


သံသယ ရှိနေပါက



သံသယ ရှိနေပါက



သံသယ ရှိနေပါက

သံသယ ရှိနေပါက

ISBN 978-9941-27-434-3



9 789941 274343

საქართველოს სსრ-ის  
მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი

# დღიური მუშა

თბილისი  
2017

უაკ(UDK)821.353.1-32  
ე-20

დიდი ფუბა  
მიხაილ ედიშერაშვილი

რედაქტორები: ქეთევან ზაქარეიშვილი, ეკატერინე აბზიანიძე  
ყდის დიზაინი: დარი დათუაშვილი  
დამკაბადონებელი მაკა ცომია

ღაიგაქლა შას „საზანში“  
**CEZANNE**  
PRINTING HOUSE

ISBN 978-9941-27-434-3

## სარჩევი

დრაკონი .....	5
წელი ახალი .....	19
Нежность .....	27
$C_2H_6O$ .....	31
ანდრომედა .....	36
თეთრი ცხელება .....	41
ლევოსა .....	46
ჰერედოსი ტბა ბაზალეთზე .....	71
3.14 .....	76
ქარი .....	84
სარკვე, სარკვე.....	88
მზის სონატა .....	92
ანა და მარია .....	96
ჩაკრულო.....	114
ნაღვლის ბუშტი – ანუ, ოცდამეერთეს სევდა .....	120
კოლხი მედეას ამბავი უნიწაკოდ .....	128
კარიბჭე .....	133
თანამეცხედრე.....	139
მონანიება.....	172
დიფსომანია.....	177
ნაკადული – ანუ, ტურები კოლხი მედეასთვის .....	187
ჰომოგამეტური იმედგაცრუება .....	232
ყური ჩვენი არსობისა.....	238



## დრაკონი

მესიზმრა, ვითომ, ვიჯექი ერთხელ იქ, საიდანაც უკან არასდროს ბრუნდებიან – გაღმა მხარეს – მაგრამ, იმის გამო, რომ დაბადებიდან რუსთავეში ვცხოვრობ, ჩემთვის გაღმა გასვლა და ისევ აქეთ მხარეს გამოსვლა პრობლემას არ წარმოადგენს. მოკლედ, ვიჯექი რუსთაველის ქუჩის რომელიღაცა ნომერში, გრძელ სკამზე, ზურგი მოგრძო მაგიდის კიდეს მქონდა მიყრდნობილი და სახლებს ვუყურებდი. ყველაფერი სავსე მქონდა – ანუ, ახლა რას ნიშნავს ეს: გული სავსე მქონდა გამოუთქმელი სევდით და, ბიოლოგიურად, როგორც ცნობილია, სისხლით; ტვინი სავსე მქონდა ფიქრებით, ნაოჭებითა და ნეირონებით; ცხვირი სავსე მქონდა ქვედა ჰაიმორული ღრუების არაჰემოლოგიური დაჩრდილვის შედეგად შიგ ღრუებში ჩამდგარი და უკვე იქიდან გადმოსული ლორწოვანი მოყვითალო სითხით; ჩემი ყურები იყო გადავსებული ჰანგებით და, შესაბამისად, ჩამესმოდა ქვეცნობიერად ბოხი, ოდნავ დაჭიმული ხმით ნათქვამი სიტყვები: „Oh, my sweet decadence“. მართლაც

და, შავ ზეცას ვუყურებდი ჩემი შავი თვალებით, ვიქეჯავდი შავ, ხშირ წარბებს თითებით, შავი თმებიდან მომწვანო წინვებს, რომლებიც გამუდმებით, შეუწყვეტლად მეცემოდნენ თავზე, ვიცლიდი, და მერე, სირცხვილის საკმაოდ მძლავრი გრძნობის გადაგორების შემდეგ, ძირს დავიხედე, სადაც ასეთი სურათი დამხვდა: ნაცრისფერ ასფალტს მტრის სისხლივით მისხმოდა შავი ნარწყევი. ხინკლის ცომეულს რომ ამოიღებს კაცი დაღვევის შემდეგ, ბუნებრივია და, შეიძლება ითქვას, ნორმალურიც კი, მაგრამ სულ არაფრისგან შავი მასა, ნავთობივით ბლანტი, თითქოს საბადო მეპოვნოს საკუთარ კუჭში ან ღვიძლში, ან ნალველში, ან, რა ვიცი, საიდანაც მოდის მთელი ეს ყველაფერი. მოკლედ, ეს არაყია უზმოზე, საკუთარ ორგანიზმში ნავთობის საბადოს რომ გაპოვნინებს და აღმოგაჩენინებს. მაგრამ არა, რადგან არაყი ეშმაკმა ღმერთთან საუკუნო შეჯიბრებისას შექმნა იმის მერე, რაც ღმერთმა ადამიანებს ღვინო უბოძა დაკარგული სამოთხის წამიერად დაბრუნების სიტკბოების შესაგრძნობად. მომენტებში ღმერთი ბეზიას ჰგავს: ბებია ჩხუბობს, გსჯის; როცა ეუბნები, ათი ლარი მინდაო, შეიძლება იმდენი ილაპარაკოს, რომ აღარც კი მოგინდეს ფულის აღება, მაგრამ მერე თვითონვე ეცოდები და ხუთ ლარს მაინც გაძლევს. მოკლედ, არაყი მომავალი ან, თუნდაც, ახლანდელი ჯოჯოხეთის მძაფრად შესაგრძნობი სითხეა, ღვინო – დაკარგული სამოთხის მოსაგონებელი, და ლუდი არის ყველაზე ადამიანური რამ, რადგან, თუ სევდა გაქვს მორეული, უფრო ნალვლიანდები, და თუ მხიარულ გუნებაზე ხარ, უფრო კარგ ხასიათზე დგები. არაყს რომ დაღვევ, მაგარი კაცი იმ შემთხვე-

ვაში იქნები, როცა იმ ფიქრებს აჯობებ, რომლებიც მოგანწევა. ის შავი ნარწყევი იყო რა: – იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა!.. – იყო ის კუბური, რომელსაც ასხამენ ადამიანთა ცოდვილ სულებს ჯოჯოხეთში, რათა დაიტანჯონ, და მართლაც, მისი ამოღებისას ისე ვგრძნობდი სიზმარშიც და ცხადშიც თავს, თითქოს ვულკანის გავარვარებული მაგმა ამოდოდა ჩემი ყელიდან. რატომაც არა?..

მერე სიზმარშივე გამოვფხიზლდი კიდეც ცოტათი იმის შემდეგ, რაც გრძელ სკამზე ხან ერთ რომელიმე წერტილს ვიყავი მიშტერებული, და ხან ქარნამობერილი ლერწამით ვირწეოდი წინ და უკან, წინ და უკან, წინ და უკან, წინ და უკან, წინ და უკან. რა ვქნა-მეთქი, ვფიქრობდი, და საბოლოოდ მივედი იმ გადანყვეტილებამდე, რომ უნდა ამენია ჩემი მძიმე ერთი ადგილი, და უნდა მევლო იქით, საითკენაც დადიოდა ბევრი ჩემამდე – ანუ, ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა მევლო მტკვრისკენ, ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელ ხიდამდე. ასეც მოვიქეცი – განა, რა მიშლიდა ხელს – და, გადავხედე რა მტკვარს მოჩხრიალეს, წამსვე შევიგრძენი მისი ზედაპირიდან და, ამავდროულად, უღრმესი ძირიდან წამოსული მღელვარე ქარი, რომელმაც მაიძულა, მეფიქრა: „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი? მრავალ დროების მონამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი“. ხიდის იქით – ძველი რუსთავისკენ – გადავიხედე, და თვალში მომხვდა ერთადერთი: ამაოება. გამოვიხედე მერე აქეთკენ, ახალი რუსთავისკენ, და აქაც იგივე გამეჩხირა თვალის ფოსოში. რა მექნა, აღარ ვიცოდი. რა ვქნა, განა, გადავხტე-მეთქი? ავედი მოაჯირზე. ადრენალინის მოზღვავენას სულაც ვერ ვგრძნობდი,



ამიტომაც გადავიფიქრე და ისევ ძირს ჩამოვედი, მიუხედავად იმისა, რომ ისევ ჩამესმა სიზმრისეულ გონებაში Psychonaut 4-ის<sup>1</sup> სულში ჩამწვდომი რიფები და გრაფის<sup>2</sup> ხმა, რომელიც ამბობდა ჩემს სათქმელს: „Нет уже сил, хоть за что-то держаться; Весь мой мир словно не мой“. მაგრამ არა, რატომ-მეთქი, გავიფიქრე და ლოყაზე გავილანუნე ჩემი არც ისე სუსტი ხელი. მაინც რა არის-მეთქი ჩვენი ყოფა, წუთისოფელი, თუ არა ოდენ სანყაული აღუვსებელი?<sup>3</sup> არ ვიცოდი იმ წამს არაფერი, არ მესმოდა არც შიგნიდან აღძრული ქვეცნობიერი ხმები, არც გარედან შემომავალი ბგერათა ერთობლიობა. ერთადერთი, რაზეც ვფიქრობდი, იყო დილემა, გამეგრძელებინა თუ არა ყველაფერი ისე, როგორც მანამდე იყო, თუ აქვე დამესრულებინა ყოველივე? ამაო კია მართლაც ყველაფერი, თითქოს უაზრო, საკმაოდ დაბლა დაცემული ისე, რომ მისი აწყობა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ... სიზმრისეულმა ხმამ მითხრა სტროფი:

*მაგრამ, რადგანაც კაცი გვექვიან – შეილნი სოფლისა –  
უნდა კიდევცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.<sup>4</sup>*

---

1. 2010 წელს ჩამოყალიბებული ქართული სუიციდურ ბლექ-მეტალ ჯგუფი;  
2. Psychonaut 4-ის სოლისტი;  
3. სტრიქონი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“;  
4. ბოლო სტროფი ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“.

ავდექი და გავაგრძელე ის გზა, რომელიც ჩემამდეც გაუვლიათ, იმ იმედით, რომ, სანამ სახლამდე მივიდოდი, კიდევ გამოვფხიზლდებოდი.

თვალეები გავახილე ცხადში.

წინა ღამე საცოდავად გაიწელა სასმლისა და რამოდენიმე უკანონო ტაბლეტის დახმარებით. ძილში რასაც ვითვლიდი, მოკლედ, სამი წუთი და თოთხმეტი წამი მოვასწარი დაძინება, მეტი ვერა, არადა ძილის წინ იმედი მქონდა, დავხუჭავ თვალებს და მეორე დილით ველარ გავახელ-მეთქი, მაგრამ, აი ესაა, რაცაა – ის სიზმარი ვნახე, ზევით რომ მოგიტხრეთ. სიცოცხლე, ჩემი აზრით, მეტად ჯიუტი რამაა, და მით უფრო ძლიერად გებლაუჭება ყოველ წამს, რაც უფრო მძლავრად გძულს იგი. თუმცადა ხომ არ დავნებდებოდი?! არა, რა თქმა უნდა. დანებება ადამიანის სისხლში არაა და არც არასდროს ყოფილა. ახლა შეიძლება იკითხოთ, მაშ, ფრანგები ადამიანები არ არიან? რა ვიცი, შეიძლება მართლაც არ არიან. მთლიანად, მთელი არსითა და სიმძლავრით მტკიოდა მთელი სხეული, ჯანმრთელობა საკმაოდ მქონდა შერყეული. რომ მიგახვედროთ, რას ვგრძნობდი, გეტყვით ასე: ტვინის თითოეულ ნაოჭს ვგრძნობდი, მთელ ნეირონთა გროვას აღვიქვამდი მაგ ტვინითვე, მაგრამ ნერვული სისტემა მენგრეოდა იმის გამო, რომ ვერ ვაკონტროლებდი თითოეულ ნეირონსა თუ ნაოჭს. ცნობისთვის, ადამიანის ტვინს გააჩნია სამოცზე მეტი მორფოლოგიული ველი, რომლის სტრუქტურული წყობა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, უნიკალურია – ყველას აქვს ინდივიდუალური, ერთმანეთისგან განსხვავებული ველი; ანუ, თითების ანაბეჭდი, ათი მილიონიდან, ერთი შეიძ-

ლება დაემთხვეს, ტვინის ველთა სტრუქტურული განლაგების დამთხვევა კი შეუძლებელია, უბრალოდ შეიძლება ორ ადამიანს მეტნაკლებად მსგავსი სტრუქტურა გააჩნდეს, და ნათესაურ კავშირს არა აქვს მნიშვნელობა ამაში – ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია ყველას, როცა შევამხანაგდებით სრულიად უცხო ადამიანთან და არა, მაგალითად, ბიძაშვილთან, ან თუნდაც არ ვიჭერთ ახლო ურთიერთობას საკუთარ დასთან ან ძმასთან. ტვინის თითოეული ველი პასუხისმგებელია სხეულის ამა თუ იმ ნაწილის მოქმედებაზე – მაგალითად: მოტორიკაზე, შეგრძნების ორგანოებზე, ძილზე და სხვა. ნებისმიერ ჩვენს მოქმედებას აკონტროლებს ორი, ნახევარსფეროებში დიამეტრალურად განთავსებული, ველი – ერთი მთავარია და უფრო მოქმედი, მეორე კი სარეზერვო და უფრო მცირე. ასევე, გაგვაჩნია ველი, რომელიც აკონტროლებს ნეირომედიატორების შემცველ – ანუ, მათი გამოყოფის გამაძლიერებელ – ნივთიერებებს, როგორცაა ალკოჰოლი, ნარკოტიკი და სხვა. ამაზე ცოტა კონკრეტულად: ადამიანის ორგანიზმი ფიზიოლოგიურად გამოიმუშავებს ენდოგენურ ალკოჰოლს, რომელიც დაახლოებით 0.04-0.1 მლ-ს უდრის ას გრამ სისხლში. როცა ჩვენ საჭმელს მივირთმევთ იმის მერე, რაც თორმეტი საათი არაფერი არ გვიჭამია, კუჭი წარმოშობს პირობით ენდოგენურ ალკოჰოლს. ასევე გამოიყოფა შაქარი, რომელიც, პირველ რიგში გიჟივით მირბის ტვინამდე, რომ მიურბენინოს მას კვების მოწოდებაზე ინფორმაცია. ამ ბუნებრივი სპირტის – ენდოგენური ალკოჰოლის – რაოდენობა ჩვენს ორგანიზმში ჯამში შეადგენს სხეულის წონის ნახევარს კუბურ სანტიმეტრში. რი-

თაც იკვებება ადამიანი, ყველაფრის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს შაქარი და სპირტი. ამის გარეშე ტვინი ვერ მიიღებს სათანადო ინფორმაციას და ვერ დაყმაყოფილდება. ვსინჯოთ: ავივსოთ კუჭი ქალაქადით, გაძლომის გრძნობას კუჭში კი მივალწვეთ, მაგრამ ტვინი ვერ მიიღებს ინფორმაციას ამის შესახებ, რათა მისი მთავარი ინდიკატორები – შაქარი და ჩემი ძმაკაცი ალკოჰოლი – არ წარმოშობილან. შესაბამისად, ჩემი აზრით, სისხლის ანალიზი, თორმეტ საათიანი შიმშილობის და ჭარბად მირთმეული კვების მერე, აჩვენებს სპირტის რაოდენობას. ეს ენდოგენური ალკოჰოლი არის ზუსტად ის დოზა, რომელიც ადამიანის ორგანიზმისთვის სასარგებლოა. აქედანაა გამოთვლილი ის სამასი პრომილი ალკოჰოლის მიღება, რაც ევროპაშია დაშვებული მძღოლებისთვის. ეჰ! მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ადამიანმა ისწავლა ამ ალკოჰოლის გამომუშავება და ტვინისთვის სხვა დოზებში მინოდება. ტვინს აქვს დიდი მიდრეკილება დამოკიდებულებაზე. მიიღო რა თავისი დოზა ტვინმა, შემდეგში უფრო მეტი ალკოჰოლი მოითხოვა და დაიწყო ვაჭრობა – კიდევ მომეცით, თორემ დამატებით ნეირომედიატორებს მეტს არ გამოვყოფო. ცნობილია, ალკოჰოლის მიღების დროს გამოიყოფა სამივე მედიატორი: დოფამინი, ენდორფინი და ამინო-ზეთოვანი მჟავე. და როცა მიიღებს ტვინი მორიგ ულუფას, გამოყოფს დამატებით ნამახალისებელს – მედიატორებს – რაც იმ წამსვე ინვესს სიამოვნებას, დანარჩენი მეზობელი ველების გააქტიურებას, რომლის ბოლო არ გვინდა რომ ჩანდეს. ესაა სიმთვრალე. რაც უფრო მეტს ვაწვდით სპირტშემადგენელს, მით უფრო იცვლის ფორმას ამაზე

პასუხისმგებელი ველი, ზომებში ფართოვდება და ზენოლას უწევს გვერდით მყოფ ველებს – მოტორიკის ველს, ძილის ველს, მეტყველების ველს – ესაა მიზეზი იმისა, რომ დალოცვილი სიმთვრალისას ვბოდილობთ, ენა გვებმება და გვეძინება. დილით ნაბახუსევზე პირში სიმშრალის, თავის ტკივილის და სხვა ძლიერი გამანადგურებლების მიზეზი, ზუსტად, გუშინ გალიზიანებული და გადიდებული ველის ადგილზე მობრუნების მცდელობაა. შესაბამისად, დასკვნა: ალკოჰოლიზმი ტვინის ერთ-ერთი ველის გალიზიანება და ზომებში ცვლილებაა, და მისი პირველადი ფორმის დაბრუნება შეუძლებელია – ანუ, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და სხვა დამოკიდებულებები ტვინის ერთ-ერთი სერიოზული დაავადებაა და აღმზედლობითი მეთოდებით მისი განკურნება შეუძლებელია. ეს კარგი, გასაგებია, მაგრამ არც კი ვიცი, იმას რა ჰქვია, ეს ყველაფერი რომ იცი და მაინც ვერაფერს აკეთებ გამოსასწორებლად.

უკვე მართლა გამეღვიძა. არც ისეთი ბნელი ყოფილა დილა, როგორც მეგონა, მაგრამ მაინც დაჰკრავდა შორი კოსმოსიდან მომზირალი საუკუნო სიმავე, რომელსაც ახლაც აქვს ძალა, შთანთქმოს ნებისმიერი ჩვენგანი და, ალბათ, იმ დილასაც ჰქონდა. ნაბახუსევზე თავი მისკდებოდა, მაგრამ საკმაოდ მსიამოვნებდა ეს ყველაფერი. ძლიერი თავის ტკივილის დროს მდუმარედ კი არ ბრაზობ, არამედ გმინავ, მაგრამ ეს გულწრფელი გმინვა კი არ არის, არამედ ღვარძლიანი გმინვაა, ხოლო მთავარი აზრი სწორედ ამაშია – განამებულის სიამოვნება ამ გმინვით გამოიხატება, რადგან, რომ არ სიამოვნებდეს, გმინვასაც არ მოჰყვებოდა. დაფიქრდით, რა-

ტომ კვენესის ქალი, და რატომ ხვენების კაცი სექსის დროს? მოუსმინეთ ოცდამეერთე საუკუნის ადამიანის კვენესას თავის ტკივილის დროს, და დაინახავთ, რომ ტკივილის მეორე დღეს ის ისე აღარ იკვენესებს, როგორც ამას პირველ დღეს აკეთებდა; ის ისე აღარ ხვენების, როგორც დაღლისგან სულამოხდილი მუშა კაცი, არამედ ისე, როგორც განვითარებულ და ევროპულ ცივილიზაციას ნაზიარებ ადამიანს შეეფერება. მისი გმინვა, დროის გასვლის პარალელურად, სულ უფრო ბრაზიანი და ამაზრზენია, და არც დღისით წყდება, არც – ღამით. ამ ადამიანმა თავადვე იცის, რომ საკუთარ თავსაც და სხვებსაც განზრახ აღიზიანებს, და ისიც კარგად იცის, რომ მის გარშემო მყოფი ადამიანები, ვის წინაშეც ასე მონდომებით გმინავს და ოხრავს, ზიზლით უსმენენ მას და მისი ოდნავადაც კი არ სჯერათ, გულში კი იძახიან, განა არ შეუძლია, უფრო უბრალოდ იხვენეოსო? ისინი ფიქრობენ, რომ ეს პიროვნება ამ საქციელს სიბოროტით და ბოლმით სჩადის. იმ პიროვნებამაც იცის, რომ მისი გარშემომყოფნი ასე ფიქრობენ, მაგრამ ზუსტად ის შეურაცხმყოფელი ფიქრები ანიჭებს ამ კაცს სიამოვნებას, რადგან იცის, ის ანუხებს მათ, არ აძინებს, მაგრამ მაინც უნდა, რომ არც მათ დაიძინონ მასთან ერთად, და მათაც იგრძნონ ის თავის-ტკივილი, ამ ადამიანს რომელიც ანუხებს. და, მიუხედავად იმისა, რომ მეც ასეთი ყაიდის კაცი ვიქნებოდი, ვინმე რომ მყოლოდა, ჯობია, ისევე ჩემს თავს დავუბრუნდე და თხოვა გავაგრძელო: კიდურებსაც კი ვერ ვამოძრავებდი, მაგრამ უცებ უბე გამომებერა, ჰოდა დაზელვა მომინდა – ბახუსიც გადამავენიყდა, და სასიამოვნოდაც მივიზილე. მახსოვს, ერთხელ ლა-

ბორატორიაში ცდის შემსწრე გავხდი: ვირთხა ჩასვეს გალიის ერთ უკიდურეს მხარეს, ხოლო მეორე უკიდურეს მხარეს დადეს საჭმელი; ეს ვირთხა, ჩვეულებრივ, რა გასაკვირია, მიდიოდა იქამდე და ჭამდა. ცდის მომდევნო ეტაპზე გალიის ძირზე დენი გაატარეს და კარგა ხნის განმავლობაში ზრდიდნენ ძაბვას ნელ-ნელა; მალე, როცა ძაბვის დონემ გარკვეულ ნიშნულს მიაღწია, მღრღნელი საჭმელთან აღარ მიდიოდა. ჩატარებული მორიგი ცდა, დროის გასვლის შემდეგ, ცოტა განსხვავებული აღმოჩნდა: საჭმელი ისეთი რამით ჩაანაცვლეს, რაც ვირთხას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა – გამაბრუებელი საშუალება; აღმოჩნდა, რომ ცხოველმა იმაზე ბევრად დიდი ძაბვა აიტანა სიამოვნების მისაღებად, ვიდრე ეს საჭმლის ჭამის შემთხვევაში მოხდა.

ბევრი რომ არ მივედ-მოვედო, ქალებმა დამლაღლეს, მაგრამ, იმის გამო, რომ საკუთარ თავს რამდენჯერმე ვაიძულე, შეყვარებული ვყოფილიყავი, ეს ნიშნავს იმას, რომ საკუთარ თავსაც დავუღლივარ. რა თქმა უნდა, გულის სიღრმეში არ მჯეროდა, რომ მიყვარდა და, შესაბამისად, შინაგანად, ალბათ, მეცინებოდა კიდევ, მაგრამ მაინც ვიტანჯებოდი იმ *სიყვარულით*, ვეჭვიანობდი ხოლმე ძლიერად, თანაც ნამდვილად, და ასე შემდეგ, ხოლო დროის გასვლის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ისეთი მოწყენილობის ბრალი იყო, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, მე კი მისი დასრულება გადავწყვიტე. მოკლედ, ქალი, როგორც ქმნილება, უძლიერესია, კი, მაგრამ... აი, ძლიერ კაცს უნარი აქვს, სიტუაცია ქალის მხრიდან დაინახოს – ასეთ დროს ამბობენ ზუსტად, კაცს ქალის ესმისო – მაგრამ ქალს ისიც შეუძლია, კაცის

გადმოსახედიდან შეხედოს სიტუაციას და, ასევე, ორივე ობიექტის მიღმა, სადღაც გვერდიდან იყურებოდეს. ქალები ჩვენ, კაცებს, ისევე გვეპყრობიან, როგორც კაცობრიობა ეპყრობოდა და დღემდე ექცევა თავის ღმერთებს – გვაკერპებენ, მაგრამ, ამავედროულად, თავს გვაბეზრებენ, რომ მარადჟამს მათი უსასრულო და უკიდევანოდ უაზრო სურვილების თავდაუზოგავ აღმსრულებლებად ვიქცეთ. ადამიანი, ზოგადად, არაა მარტივი არსება, გასაგებია, მაგრამ ყველაზე რთული კაციც კი იმაზე ბევრად მარტივია, ვიდრე – ყველაზე მარტივი ქალი. ხანდახან მართლა გინდა კაცს, ყველა ერთად დაამწკრივო, აგინო და მერე ბოდიშები მოუხადო, მაგრამ აღარ შემოიირიგო. პირველად ქალი რომ გადააგდებს კაცს, და თუ ამ კაცს ის მართლა უყვარდა, მერე ეს კაცი, დროის გასვლისდა პარალელურად, ათჯერ მეტ ქალს გადააგდებს, რისი ერთადერთი მიზეზი არის ცნობიერისა და ქვეცნობიერის მწირი კავშირი ერთმანეთთან, ვინაიდან: ქვეცნობიერში მუდამ არსებობს დახატული შენი იდეალური ქალის, შენი ერთადერთი სიყვარულის სახე, მაგრამ სუსტი ცნობიერი ვერ ცნობს, ვერ აღიქვამს რა მის სახეს, რომელიც ქვეცნობიერმა წარმოუდგინა, წამსვე იწყებს მის ძიებას სხვა ქალებში, რაც, უმეტეს შემთხვევებში, კრახით სრულდება. მაგრამ რად გინდა – ერთ ქალს მხოლოდ მეორე დაგავინწყებს იქამდე, სანამ ურთიერთობა არ დასრულდება, ხოლო, როგორც კი დასრულდება, იმ ორის დასავინწყებლად მესამეს პოულობ, თუმცაღა, უნდა ითქვას, ერთ ქალს მეორესთან ახლოსაც ვერ დააყენებ, რადგან იმ ერთმა გადაგაგდო, ის მეორე კი შენ თავად გადააგდე. მოკლედ, უნდა წავიდეს კაცი, ყველას აგი-



ნოს, მერე ბოდიშები მოუხადოს, მერე ისევ აგინოს, მერე ისევ პატიება სთხოვოს, აგინოს, და ასე შემდეგ, უსასრულოდ.

ავდექი, მივბანცალდი მაცივრამდე – თუმცა იმ გზაზე ორჯერ კედელს მივეჯახე – გამოვალე მისი კარი, ამოვიღე „ბორჯომის“ ბოთლი, სავსე არყით, და დილიდან სმას შევუდექი, მაგრამ, ორი ჭიქა რომ გამოვცალე, გავჩერდი, ბოთლი ისევ უკან შევდგი და ლოგინში დავბრუნდი. ასეა, ხანდახან თავსაც კი აკონტროლებს ადამიანი. დავნექი, და უცბად ერთი ამბავი მომაგონდა: ექვსი წლის რომ ვიყავი, ჩემს უბანში ერთი გოგო ცხოვრობდა – თიკო. როგორც მახსოვს, ყველას მოსწონდა, მაგრამ უკვე ჰყავდა შეყვარებული ზუთხი – ასე ეძახდნენ იმ ბიჭს. ჰოდა, კი არ იმჩნევდნენ ხალხში, მაგრამ ბოლო პერიოდში მაინც დაეტყვოთ, რომ ხშირად მოსდიოდათ კამათი. საჭირო საქმისთვის ჩავრთავ: ჩემი – და თიკოს, რა თქმა უნდა – კორპუსის გვერდზე იყო გასართობი პარკი, სადაც სულ ორი ატრაქციონი ფუნქციონირებდა: დენზე მიერთებული პატარა მანქანები, ორმოცდაათ თეთრიანი ჟეტონები რომ უნდა ჩაგეგდო, თუ კატაობა გინდოდა, და ლიანდაგზე ამერიკული გორკების სტილის – ოლონდ, ბევრად უფრო მსუბუქი, ბავშვებისთვის – დრაკონ-ვაგონი. ერთ დღეს, როცა მეც იმ პარკში ვიყავი დრაკონზე საკატაოდ, თიკო და ზუთხიც მოვიდნენ, რიგი დაიკავეს და ჩემ უკან დადგნენ. ისე, რა რიგი მაგას ეთქმოდა – სულ ოთხნი ვიყავით – მაგრამ მაინც. არც არასდროს ყოფილა მაგ ატრაქციონზე ბევრი ხალხი. მე სულ წინ დავჯექი, რადგან, როგორც ნათქვამი ჰქონდათ ჩემთვის, კუდი მაგრად იქნევსო, მე კი მეშინოდა. ჩემ უკან ერთი უც-

ნობი დაჯდა, თიკო და ზუთხი კი ერთად დასხდნენ სულ უკან – აი, იქ, მაგრად რომ იქნევადა. მოკლედ, ორი წრე დაარტყა ამ დრაკონმა, ვიხალისე. ერთი წუთი სულის მოსათქვამად რომ გავჩერდი, რალა მექნა – გადმოვედი, მაგრამ თიკო ვერ დავინახე, ზუთხი იქ იყო, უკვე კიბეებზე ჩადიოდა. თუმცა ვიფიქრე, ალბათ, იჩხუბეს და თიკო გაიქცა-მეთქი. მეორე დღეს ქვემო ქართლის ტელევიზიაზე გამოაცხადეს, თიკო იაშვილის ცხედარი გვიან ღამით იპოვესო გასართობი პარკის ერთ-ერთ ატრაქციონზე, ყელი ჰქონდაო გამოჭრილი. მე წინ ვხალისობდი, უკან კი ზუთხიმ თიკო მოკლა, ჩემგან ხუთ მეტრში. წარმოიდგინეთ, ბედი ხომ უნდა, უკან, კუდის მხარეს იმ დღეს არავინ დამჯდარა ან, მიგდებულები გოგო რომ დაინახეს, არავის შეუწუხებია. მაგრამ მთავარი და ყველაზე ირონიული: ბავშვთა გასართობი პარკის ორიდან ერთ მხიარულ ატრაქციონზე მთელი დღე ცხედარი კატაობდა, სანამ ატრაქციონის მუშამ დრაკონ-ვაგონის წმენდა არ გადაწყვიტა. ალბათ, ამოუყვანა ყელში იმანაც ზუთხის, ზუთხიმ კი ყელი გამოჭრა. წმინდა წყლის კაცური ამბავია, ვითომ?!

წვედი რკინიგზის სადგურზე, მატარებლის ბილეთი ავიღე და თავი ქვიშხეთისკენ დავადე. მეთქი, ჩემი ერთადერთი სიყვარული უნდა ვნახო – ის გოგო, რომელმაც თავად გადამაგდო, მაგრამ მაინც მიყვარდა – და, თუ მოვკვდები, მოვკვდე, მაგის დედაც ვატირე, მთავარია უკანასკნელად დავინახო, მისი თმის სუნი შევიგრძნო, მისი სქელი ტუჩებიდან წამოსული ენერგია, ჩემს ბაგეებს რომ იზიდავდა ასე ძლიერად, კიდევ ერთხელ შევისისხლხორცო... რად გინდა სხვა ამ დროს? არა, სასმელი მაინც გინდა,

მგონი, მეტი არაფერი. სიგარეტიც შეიძლება. სახლი. ჩუსტები. ლეპტოპი. ტელეფონი. მოკლედ, კაპიტალიზმმა რა მოიტანა!.. ვაგონში ვიჯექი, ხედს გავყურებდი – შეკიდებოდნენ მთვარეს თეთრ-ვარდისფერი ალუჩები და შადრევნები, როგორც მძიმე მტევნები; ქანდაკებებმა ჩამიარეს მოხდენილ წყებად.

– შვილო, – მომმართა ჩემ წინ მჯდომმა მოხუცმა ქალმა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, – მართლა ასე ძალიან გიყვარს?

– ჰო, რა, – ვუთხარი, – მერე რა, ვის არ ჰყვარები!..

28 აპრილი, 2017 წელი

## წელი ახალი

დაბადების დღე და ახალი წელი წელიწადის ის დღეებია, როცა შემოსულ შეტყობინებებში მოწერილი კოცნის სიცილაკი, თავისი გულებიანად, არაფერს ნიშნავს და, შესაბამისად, სრულიად უწყინარია. აი, სულ თოთხმეტმა ადამიანმა მომილოცა ახალი წელი – კი, ამ დონემდე მარტო ვარ – და მათგან, დავითვალე, თითოეულმა საშუალოდ 2.03 კოცნის სიცილაკი და 3.004 გული გამომიგზავნა სოციალურ ქსელში. დარეკვით არავინ შეწუხებულა, ბიძაჩემის გარდა, რომელიც ბიძაჩემია და, აქედან გამომდინარე, სათვალავში მისაღები არ არის.

მოკლედ, 2017 წელს შევხვდი ოჯახთან ერთად – მაინც, ერთად რომ ვიდგებით ამოდენა ხალხი, სამი მამაკაცი, ვერაფერი ახალი ჩვენს თმის ღერსაც ვერ შეეხება-მეთქი ავი განზრახვით, ვფიქრობდი – და მერე, რომ გავაცილეთ კიდევაც და მივაძახეთ, სხვა ოჯახებიც მოინახულე-ჩვენთქი, კარგო, დამჯერად გვითხრა, და მართლაც ნავიდა. ჯერ ვწრუპავდი შამპანურს, მერე კი მოყუდებაზე გადავედი.

როგორც კი გადიოდა მამაჩემი ოთახიდან საპატიო მიზეზებისდა გამო, გამოვხსნიდი მაცივარს, სადაც „ბადაგონის“ შენახული ბოთლი მეგულეობდა, სალფეტკჩაჩრილი თავსახურის ადგილას, ვიღებდი ამ მწვანე შეფერილობის შუშის ბოთლს და ვუყურებდი სინათლეზე შიგნით არსებულ სითხეს. პირველად ვინც გამოიგონა შამპანური – სახელი და გვარი არ მახსოვს, მე მაპატიეთ – ასე უთქვამს, ვარსკვლავებს გავუსინჯეო გემო. მე კიდე ვუყურებდი სითხეს, შუშის მიღმა რომ მოჩანდა სალამოს ხეების ჩრდილივით და, რაც უფრო მეტს ვუყურებდი, მით უფრო ნათდებოდა, შარავანდედი ეფინებოდა თავს. ამ დროს, ჩემდა შეუმჩნეველად, მამაჩემი დაბრუნებულა.

– ანუ, ჰოოოო, – ჩავილაპარაკე დაბნეულმა, – ანუუ, ჯერ აქვს ვადა, ჰოოო...

– აქვს, აბა, ვადაგასულს ხომ არ ვიყიდდი? – რიტორიკული შეკითხვა მომიგდო და თვითონ ისევ მაგიდას მიუჯდა.

გული აჩქარებით მიცემდა და ბოლთას ვცემდი მთელ სახლში – ერთ ოთახიანია მაინც და არ დავდლილვარ. მერე ერთ ადგილას შევდექი, თავი დავხარე და ასე ვიდექი, ისიც კი არ ვიცი, რას მივაშტერდი, ან მივაშტერდი თუ არა რაიმეს. უცებ ცხვირიდან ერთი ნვეთი გადმომივარდა და იატაკს შეასკდა, მერე გაიხლიჩა, თითქოს ატომი ყოფილიყო, და გაიბნა. ფიქრებს წაყყვი, ელექტრონებს აქეთ-იქით მოისვრიდა, პროტონებს და ნეიტრონებს კი იქვე დატოვებდა-მეთქი, რადგან, როგორც ცნობილია, ატომის მასა ბირთვზე მოდის მთლიანად, ბირთვი კი, თავის მხრივ, პროტონებისა და ნეიტრონებისგან შედგება. პროტონი თუ გაიხლიჩებოდა-

მეთქი, მერე ამას გავყევი: ადგილს არ მოიცვლიდა, მაგრამ გაიხლიჩებოდა კვარკებამდე და, თუ ეს კვარკებიც შეირხეოდა და მასში მყოფი „სიმებიც“, მაშინ ჩემი ცხვირის ლორწოდან შეიძლება სისხლიც კი მივიღოთ-მეთქი. „ელექტრონები? – ჩამდახოდა ჩემი თავი, – ელექტრონები ასე უბრალოდ გადაცვივდებოდა აქეთ-იქით და მორჩა?!“. „არა, – ვუპასუხე მტკიცედ, – ატომში ელექტრონები და კვარკები არიან არა ნულოვან განზომილებიანი ობიექტები, არამედ წარმოადგენენ ერთგანზომილებიან ოსცილირებად წრფეებს, გაიგე?“. და მერე შემეშინდა, ვაიდა ცხვირიდან ლორწო მომდის, მაგრამ სისხლად ეწვეთება-მეთქი? და გაშმაგებით დავიხედე ძირს. შვებით ამოვისუნთქე, როცა უფერული სითხე შევამჩნიე, მერე კი საპირფრეშოში შევირბინე და მისგან გავთავისუფლდი.

„გავთავისუფლდეთ!“ – ჩამდახოდა დავით უსუფაშვილის ხმა ყურებში,<sup>1</sup> და ისედაც გახეთქვაზე მყოფ თავს კიდევ უმატებდა ალბათობას, გახეთქილიყო.

– მოკლედ, მამა, – სასადილოში გავედი და ასე მივმართე, – ბიჭები ხო ვიკრიბებოდით დღეს, ჰოდა ნავალ უკვე, თორე იქ თუ ჩამეძინა, რაღა აზრი აქვს – ძილი აქაც ხომ შემეძლია.

– მერე, დაწექი და დაიძინე, – არ უნდოდა ჩემი წასვლა, მაგრამ პირდაპირ ხომ ვერ მეტყოდა, – კაი, წადი, – დამნებდა ბოლოს.

---

1. საქართველოში 2016 წლის ოქტომბერში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის სლოგანი იყო „გავთავისუფლდეთ“, ხოლო, თავის მხრივ, რესპუბლიკურ პარტიას ხელმძღვანელობდა დავით უსუფაშვილი;

დავიძინო-მეთქი? კითხვა დავუსვი ჩემს თავს. ძილი. ძილი? რა ძილი? ძილი რა არის? „ძილი მაღალგანვითარებული ორგანიზმის პერიოდული ფიზიოლოგიური მდგომარეობაა, რომელსაც განსაზღვრავს თავის ტვინის მთელი რიგი სტრუქტურების კოორდინაციული მოქმედება, – მიკარნახა ჩემმა ტვინმა, ასი წლის მოხუცის კანივით ნაოჭიანი რომ მაქვს, – გარეგნულად ხასიათდება უმოძრაობით და გარესამყაროს გამლიზიანებლებისგან გამოთიშვით. ადამიანის ძილის დროს დათრგუნულია შეგნებული ფსიქოლოგიური აქტივობა, რომელიც პერიოდულად აღდგება სიზმრის დროს“. ვახ-მეთქი, ვიფიქრე, მახსოვს, ესე იგი მე მაღალგანვითარებული ორგანიზმი ვარ-მეთქი! გონებაში კიჟინა მოვცხე, სინამდვილეში კი სასტუმრო ოთახში გავედი, რომ გამომეცვალა.

სემესტრის დასრულებამდე ერთი დღით ადრე ჩემმა კლასელმა ნახევარ ლიტრიან „პეპსის“ ბოთლში ჩასხმული ჭაჭა მაჩუქა. იმ მომენტში გამიხარდა, ერთი შეხედვით, მაგრამ მერე, ცოტა რომ დავუფუქრდი, მივხვდი, რომ კლასშიც კი ლოთის რეპუტაცია მაქვს. „მაგრამ არაუშავს! – მამხნევებდა ჩემი თავი, – მთავარია... – აქ გაიჭედა, დიდხანს იფიქრა, და ბოლოს ეს მოიფიქრა: – მოკლედ, არაუშავს-მეთქი, დამიჯერე“.

„მე არაფერი მაქვს საერთო ჩემს თავთან,“ – ვფიქრობდი, როცა ვიცვამდი ნაცრისფერ ჯინსს. მერე როლინგი უნდა ჩამეცვა, კაშნე გამეკეთებინა და ჩემი განთქმული მანტო შემომესხა. მოკლედ, სიკვდილამდე მეზარებოდა. მახსოვს, ისიც ვიფიქრე, ნეტავ სიცოცხის შეგრძნება არ მქონდეს, ახლა ტრუსით ხომ გავიდოდი-მეთქი გარეთ.

მოკლედ, გავედი. არ დაიჯეროთ, რომ მართლა ბიჭებთან მივდიოდი. არ არსებობს არანაირი „ბიჭები“, ღმერთმანი, მიაშიტებო. ყინავდა გარეთ, ორთქლს პირიდან ისე ვუშვებდი, თითქოს უხილავ ჩილიმს ვენეოდი. მანტოს გულის ჯიბეში „პეპსის“ ბოთლი მედო, გამჭვირვალე სითხით სავსე, მარცხენა ჯიბე გამობერილი მქონდა დაკეცილი ტყავის ხელთათმანებისდა გამო, მარჯვენაში კი ტელეფონი და კანფეტები ჩავაცურე გამოსვლის წინ. დავუყევი თბილისის ქუჩას, გავცდი ჩემი სკოლის ჩასახვევს, შევედი მაღაზიაში, კანფეტები გამყიდველს სახეში ვესროლე და ვთქვი:

– შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, „მარლბორო“ ერთი!

– რომელი?

– ახალ ნელს გილოცავთ! ნითელი მინდა, ნითელი, სისხლისფერი, ბრონეულის წვენის ფერი, ქინძმარაულის ფერი, საფერავის ფერი, ნითელი, მოკლედ!

მომცა ნითელი – სისხლისფერი, ბრონეულის წვენის ფერი, ქინძმარაულის ფერი, საფერავის ფერი – „მარლბორო“, გავუნოდე რკინის ლარიანი და ორლარიანი და გამოსვლა დავაპირე. კარებში მომაძახა, გაძვირდა და აკლიაო ოცი თეთრი. მე ოცდახუთი მივეცი და ვუთხარი, ბარემ ასანთიც მომეცით-მეთქი. მომცა და, კიდევ ერთხელ გილოცავთ-მეთქი, ვუთხარი და გამოვედი.

ჩავუყევი ტროტუარს ისევ – ჯერ ნელა, მერე საერთოდ გავრბოდი – და ცურტაველზე ამოვყავი თავი, პარკთან. შესასვლელში ორი სკამი დგას, იქიდან ერთ-ერთზე დავჯექი, მერე შარდის ბუშტი ამი-



ტოკდა, მაგრამ არ მახსოვს, სად მოვფსი. სიცივემ ძვალსა და რბილში რომ გაიარა, მერეღა გადავწყვიტე, რომ ჭაჭა დამელია. ვსვამდი და ვფიქრობდი, რა მარტო ვარ-მეთქი. „მე თბილისი ვარ, – გავიფიქრე, – თავის დიდების ჟამს მთელი საქართველო რომ ჩაუსახლდა; ის თბილისი ვარ, ნახევარზე მეტი ქართველი ჩემში რომ ცხოვრობს; ის თბილისი ვარ, მოსახლეობა დღესასწაულებზე სოფლებში რომ გაურბის; ის თბილისი ვარ, მთანმინდიდან რომ ჩანს ხელისგულზე“. თუმცა რუსთაველი ვიყავი, ესეც გასათვალისწინებელია. მერე გზა გადავჭერი და არ ვიცი, სად ამოვყავი თავი. დავიკარგე-მეთქი, ასე გადავწყვიტე. მერე უცებ – არ ვიცი, მეჩვენებოდა თუ მართლაც ასე იყო, მაგრამ ზამთარში აქ რა უნდა – გველი გამოჩნდა, ჩემ უკან მოსრიალებდა და, რაც უფრო ვუჩქარებდი ნაბიჯს, მით უფრო ჩქარა მოსრიალებდა ისიც.

– მიშველეთ! – დავიყვირე, მერე კი „ჯადოსნური ფლეიტა“<sup>1</sup> გამახსენდა, ზუსტად იგივე ეპიზოდით – რა კომიკურია! – და სიმღერას მოვყევი ტენორის ხმით, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ხმა უფრო ბარიტონულია და ხანდახან ბანისკენაც იხრება. – *Zu Hilfe! Zu Hilfe! Sonst bin ich verloren, der listigen Schlange zum Opfer erkoren. Barmherzige Goetter! Schon nahet sie sich! Ach, rettet mich! Ach, schuetzet mich!* – მერე ვიციონოდი იქამდე, სანამ ცრემლით არ გამევესო თვალები და ველარაფერი დავინახე.

---

1. „ჯადოსნური ფლეიტა“ – „Die Zauberflöte“ – ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის უკანასკნელი ოპერა;

„მანც მარტო ვარ, – გავიფიქრე და სიცილის ცრემლები მოვინმინდე, – მანც მარტო ვარ“. მერე ერთი ლექსი გამახსენდა:

ქაშუეთის წინ  
ლოთმა სანდრუამ  
არაყის ფული  
მთელ დღეს აგროვა,  
მერე  
დაუსხეს დიდ ჭიქაში და...

– ადამიანი მანც მარტოა!  
მიდგა კუთხეში  
სიტყვის უთქმელად  
და სავსე ჭიქას  
ცოტა ადროვა,  
მერე გადაკრა სულმოუთქმელად...  
– ადამიანი  
მანც მარტოა!<sup>1</sup>

გაუწყევი ისევ უცნობ გზას, ჭაჭა მათბობდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ გამომეღევა, მერე რალა ვქნამეთქი. მეშინოდა, რომ არ მოვიტყუო, მეშინოდა ძალიან.

„აბა, ბიჭები? – ჩემთვის ვფიქრობდი, – რაის ბიჭები?!“

ვეყურებდი უცნობ აივნებს, დენტის სუნი მინვაგდა ნესტოებს, მაგრამ მანც მივდიოდი. კაცობ-

---

1. ნაწყვეტი რევაზ ამაშუკელის ლექსიდან „ადამიანი მანც მარტოა“.

რიობას დავუკავშირდი იმ წამს გონების ძალით და  
ხმამაღლა შევეუძახე:

– ძმანო, არ გირჩევთ მოძმის სიყვარულს, გირ-  
ჩევთ სიყვარულს შორეულისას!

*Happy new year!*

*Frohes neues Jahr!*

*С новым годом!*

*Bonne année!*

*Felice anno nuovo!*

*Godt nytt år!*

ახალ წელს გილოცავთ!

2 იანვარი, 2017 წელი

# НЕЖНОСТЬ

Ты моя нежность, ты моё небо,  
за тобой встану, где бы ты не был.  
Ты моё сердце, ты моё чудо,  
обниму нежно и с тобой буду.<sup>1</sup>

\*\*\*

მე რწმენა მეკარგება,  
ხვალ აღარ გათენდება  
დღე.  
მე თავი მეზიზღება -  
ვინც მიყვარს, ეს ხარ მხოლოდ  
შენ.<sup>2</sup>

\*\*\*

მაშინ მაგრად ვლოთობდი. ახალი წლების მერე  
სამი კვირა არ გამოვფხიზლებულვარ და, იმ სამი

---

1. ტექსტის ნაწყვეტი რუსი შემსრულებლის – НАРГИЗ – სიმღერიდან „Ты – МОЯ НЕЖНОСТЬ“;

2. მისამღერი ქართული პანკ-როკ ჯგუფის – Vodka vtraiom – სიმღერიდან „რწმენა“.

კვირის შემდეგ, ცოტა აზრზე რომ მოვედი, ყურში სულ ჩურჩულები მესმოდა და მეგონა, ვიღაცა შეთქმულებას მინყობდა მოსაკლავად, მაგრამ, კიდევ კარგი, გონება ძლიერი მაქვს – გავანალიზე, რომ ეს შესაძლო მომასწავლებელი ნიშნები იყო თეთრი ცხელების, ამიტომ გადავწყვიტე, ცოტა კიდევ დამეღია. ორმოცდაათი გრამი რომ ჩავარტყი, კიდევ ორი კვირა გადავაბი სმა, და უკვე ბოლოს თავი საავადმყოფოში ამოვყავი მწვავე ინტოქსიკაციით – ჩემი ღვიძლი ვეღარ ფილტრავდა სასმელს მავნე ნივთიერებებისგან, ჰოდა გადავიწვი. ერთი დღე აპარატზეც ვიყავი შეერთებული, მაგრამ ეგ არაფერი – გამოვედი. მეორე დღეს დავდიოდი კიდეც, ჰოდა სახლში წამიყვანეს. ყველა ბოთლი მე დამეღია, თუ დედაჩემმა გადაასხა უნიტაზში, არ ვიცი, მაგრამ თაროები სულ ცარიელი დამხვდა. ამხადეს ტვინი სახლში, რა თქმა უნდა, მაგრამ მე არ ვუსმენდი – სხვა ხმებიც ჩამესმოდა, რომლებიც შეთქმულებას მინყობდნენ. მერე მორჩა დედაჩემი ჩოჩქოლს, როგორც იქნა, და თავისთან წავიდა, ხოლო ჩემი ცოლი მომდგა, თიკასთან – დაქალია მისი – უნდა წავიდე, თავს არაფერი აუტეხოო. გავიდნენ თუ არა, ავვარდი საწოლიდან და სასმელს დავუნყე ძებნა. ვერაფერი რომ ვერ ვნახე, იმის იმედილა მქონდა, სამედიცინო სპირტს მაინც ვიპოვი-მეთქი, ოთხმოცდაათ პროცენტთან ეთანოლს, მაგრამ ეგეც ვერ ვიპოვე. ცოტა ხანში ხმებმა შემომიტიეს და პირდაპირ მუქარაზე გადმოვიდნენ. ჭკუიდან ვიშლებოდი. ცხელება მეწყებოდა. ოცი გრამი მაინც უნდა დამეღია რამე ან, თუნდაც, ათი. ბოლოს გამინათდა გონება – შევვარდი აბაზანაში, უჯრიანი სარკე გამოვხსენი და

ჩემი ცოლის „შანელი“ დავლიე. ხმებიც მიწყდა. მოკლედ, გადავრჩი.

ერთი თვე რომ გავიდა, ისევ გადავიკარგე, ახლა უკვე – ერთი კვირით. თუმცა მერე თავს ძალა დავატანე და გაღეშვამდე სმა შევწყვიტე. ყოველ დღე ვსვამდი ისევ, რა თქმა უნდა, მაგრამ არა გათიშვამდე. ერთ დღესაც სახლში დავბრუნდი, და რას ვხედავ – ჩემს ცოლს ვილაცა ჭიმავს! ზოგადად, ჩემი ცოლი ძალიან ლამაზი კია, თან – მეგრელი, კოლხური ეშხი დაჰრავს; თვალები ისეთი აქვს, გარდამავალი ფერის, მაგრამ ღიასკენ იხრება უფრო, თუმცა, ვფიქრობ, აღმოსავლელი რომ ყოფილიყო – ვთქვათ, ქართლელი – მუქი ფერის ექნებოდა თვალებიც; ცხვირი სულ ოდნავ მოკაუჭებული აქვს, რაც მის ისედაც მკაცრს იერს კიდევ უფრო ამკაცრებს, ამ სიმკაცრის შემყურე ობიექტი კი ჭკუიდან გადაჰყავს; ფეხები მუდამ პირნმინდად გაპარსული აქვს, ხოლო ტერფები ისეთია, მის წინაშე უეჭველად უნდა დაეცე და დაკოცნო. მოკლედ, ვიდექი კარის ჭრილში, ვილაცა კაცი კი ჩემს ცოლს ისევ ჭიმავდა, და ეს ჩემი მეუღლეს კენესოდა სიამოვნებით. ვიდექი ასე ორი წუთი, და მხოლოდ მერეღა დამინახა მანანამ. მაგრად შეჰკივლა. გავედი სასტუმრო ოთახში, კარადა გამოვხსენი, ჩემს ჯინსის შარვალს ქამარი მოვხსენი, და ისევ საძინებელში დავბრუნდი. ის ტიპი გაქცეული დამხვდა, ჰოდა ჩემს ცოლს მივადექი, ვცემე და ვცემე, ვურტყი და ვურტყი. საათნახევარი ხელი არ გამიჩერებია – ქამრის ჯერ ტყავის ბოლოს ვურტყამდი, მერე კი, დანაშაული რომ აღიარა, რკინის ბოლოთი დავუწყე ცემა, რადგან უფრო გავბრაზდი. სულ დაებუშტა ის ლამა-

ზი სახე, არადა მართლა მიყვარდა; თვალიდან სისხლი სდიოდა, პირიდან ორი კბილი გადმოაფურთხა. ქამარი რომ გამიწყდა, ხელით ვურტყამდი – ჯერ გაშლილით, მერე მომუშტულით. ბოლოს შემეცოდა, და ფეხების რტყმა დავუნყე ნეკნებში, მაგრამ ისეც არ ვურტყამდი, რომ ჩამტვრეოდა. მაპატიეო, რომ დაიყვირა, მთლად გადამეკეცა – ლოგინზე ავედი, გადმოვხტი და მთელი ტანით ზედ დავახტი. ამოიგმინა და ნახველს სისხლი ამოაყოლა. მერე, როგორც იქნა, იკადრა – ასე მითხრა, ფეხებს დაგბანო – მაგრამ მაინც არ კმაროდა. ფურთხებაც დავუნყე, თუმცა ბოლოს მთხოვა, გაჩერდი, და ფეხებს დაგბან, მერე კი მაგ დანაბან წყალს დავლევო. ეგრე-მეთქი, შე ქალო! ახლა დაგინდობ-მეთქი, ვუთხარი, ოღონდ, ფეხებს რომ დამბან, თან მიმღერე-მეთქი. კარგიო. ტაშტი გადმოიღო, ცხელი წყლით აავსო, მერე მომიტანა, ფეხები ჩამაყოფინა, ტერფებზე მომეალერსა, თან მბანდა, თან მღეროდა, Ты моя нежность, ты моё небо-ო. მე სავარძელში ვესვენე და ვტკბებოდი. დაბანას რომ მორჩა, პირსახოცით რბილად გამიმშრალა ტერფები, მერე ტაშტი მოიყუდა და წყალი გამოცალა.

– შეგერგოს! – მე ვუთხარი, და მერე მხურვალედ ვაკოცე. მართლა მაგრად მიყვარდა ეგ ოხერი ქალი, და ახლაც მიყვარს კიდევ უფრო ძალიან.

27 ივლისი, 2017 წელი



ვერ მოგატყუებთ, არ მახსოვს, ციოდა თუ არა, მაგრამ მგონია, რომ, წესით, სიცივე უნდა ყოფილიყო, თუ გაჩერებაზე აღმართულ ელექტრონულ აბრას დაუფუჯვრებთ, რომელიც ხან 2017, ხან 2033, ხანაც 2098 წელს აჩვენებდა ეკრანზე. მოკლედ, შიშველ, ძუძუსთავეების გარშემო უმეტესად თმიან ტანზე ჩემი მტვრისფერი პალტო შემოვიცივი, ზოლიანი კაშნე ყელზე თვითმკვლელის თოკივით გავიკვანძე, ფეხები, ქუსლზე გახეულ ჭრელი წინდებით, ტალახიან ბათინკებში ჩავყავი, მერე, რახან წითელი ტრუსები-სა და ჩემი სამში გრძელის ამარა ვიყავი, შარვალში ჩავყავი ცოტათი მეტად ბანჯგვლიანი, მაგრამ მაინც კარგად გრძელი ფეხები, რომ დამესვარა და ბათინკებიდან შარვლის შიდა მხარეზე გადასული ტალახი ჩემს ბენვებს შეზელოდა. ცალსახად ვერ იტყოდით, ოფლის სუნი ამდიოდა, უკანალის წვეწის თუ ზანგის, მაგრამ ნესტოებს თავადაც მიწვავდა. გავიარე მერე სამზარეულოსკენ, გამოვალე გამორთული მაცივარი – იქნებ ამ ერთხელ გამიმართლოს და რამე სასმელი დამხვდეს-მეთქი, ვფიქრობდი და ვოცნებობდი, მაგ-



რამ სულ ტყუილად: ერთი კვერცხი მქონდა – ან, თუ ყველას ჩათვლით, სამი – და ერთიც მაიონეზი. ავიღე ეს „სლობოდა“, მოვხსენი თავსახური, მოვუჭირე ხელი ბოლოში და პირში ჩავიცალე. ა, ეგრე-მეთქი, მახსოვს, გავიფიქრე. მაგრამ ველარ ვითმენდი, ამიტომ მამაჩემის დანატოვარი სუნამოების კოლექციისკენ გავწიე, Bleu de Chanel Paris ამოვიღე, თავსახური და ის მოვხსენი, საიდანაც დეოდორანტივით ასხამს, და პირში ნახევრამდე ჩავიცალე, რომ ჩემს სისხლში  $C_2H_6O$ -ს – სპირტის ან, თუ გნებავთ, ალკოჰოლის – რაოდენობა დამეზღაბებინა. ენა და სასა სასტიკად ამეწვა, მართალია, მაგრამ თავი მაინც უკეთ ვიგრძენი. მერე, მეთქი, ეს სპირტი უეჭველად ნაჯერ ნახშირბადატომთან მიერთებულ ერთ ან რამდენიმე ჰიდროქსილის ჯგუფს შეიცავს და ერთ ატომიანია, ჰოდა მე რა უნდა დამაკლოს-მეთქი, – პირიქით. ამიტომ, საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ წყალი მინდოდა. ნავედი კიდეც სამზარეულოში ისევ, მოვუშვი ონკანი, დასაჭრელი ფრჩხილები წყლით გავივსე და ასე ვსვამდი  $H_2O$ -ს. მერე შტეფსცელს – სინამდვილეში, დენცქვიტას – მოვკარი თვალი, და გამახსენდა, რომ დენი არის დამუხტული ნაწილაკების მიმართული და მოწესრიგებული მოძრაობა, მაგრამ ხანდახან და უმეტესად, შესაძლოა, ნაწილაკები მოწესრიგებულად არ მოძრაობდნენ, მაგრამ მთავარია, მათი მოძრაობა მიმართული იყოს – ანუ, ესეც დენია. მერე ისიც გავიხსენე, რომ დენის მახასიათებლად შემოიტანეს დენის ძალა –  $I$  – რომელიც პირდაპირპროპორციულია ძაბვისა –  $U$  – ხოლო უკუპროპორციულია წინააღობისა –  $R$ ; ასევე  $I=q/t$ , ეს კი ნიშნავს, რომ დენის ძალა ტოლია გამტარის განიკვეთში გამავალი მუხტის ფარდობისა იმ დროსთან, რა

დროშიც ამ მუხტმა გაიარა. შემდეგ ის, რომ მე დენის ძალა გამახსენდა, და ის, რომ წყალს ვსვამდი, რაღაც-ნაირად დავაკავშირე, საბოლოოდ კი იმ დასკვნამდე მივედი, რომ წყალი ძალიან კარგი გამტარია, რადგანაც მისი აგებულება წინააღმდეგობას არ აძლევს საშუალებას, დიდი რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდეს. მოკლედ, ვიფიქრე, ძალიან ბევრ წყალს დავლევ, მერე კი დენ-ცქვიტაში თითებს შევყობ – იქნებ, დენმა დამარტყას და მოვკვდე-მეთქი. გავაკეთე კიდეც, მაგრამ ოდნავ მიჩხვლიტა ნემსივით, ამიტომაც ამ საქმეს თავი დავანებე და გარეთ გავედი სახლიდან.

ჩვიდმეტ ნომერ სამარშრუტო ტაქსს დავაჯექი, რადგან ზუსტად ორმოცდაათი თეთრი მქონდა, მე კი დახარჯვა მინდოდა. გადაიარა ხიდი, გაღმა და გამოღმა რუსთავს რომ აკავშირებს. ისე, რუსთავი უნიკალური ქალაქია – მხოლოდ რუსთაველი თუ დაბრუნდება, გაღმა გასული, მშვიდობით უკან. მერიასთან მოუხვია, მერე ორმოცდაათ მეტრში ისევ შეუხვია, მერე კი აღარ მიმიტყვევია ყურადღება, რას აკეთებდა – მარტო იმაზე ვფიქრობდი, ეს მძლოლი ნერვებს მიშლის-მეთქი; დავგეგმე კიდეც გონებაში, ახლა ავდგები, თმის ღერებს მტკივნეულად დავანინკნი და, გაბრაზებული რომ შემოიხედება, ცხვირში შევაფურთხებ ან ნიკაპზე შუა თითს მივადებ-მეთქი, მაგრამ, საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ თავის ბოლო გაჩერებამდე უკვე მიეღნია და მე მიცდიდა, როდის ჩავიდოდი და, შესაბამისად, ფულს მივცემდი. ოქროსფერი ორმოცდაათ თეთრიანი ამოვიღე და მძლოლის თვალწინ ისე შევათამაშე, თითქოს ფილოსოფიური ქვა მჭეროდა ხელებში, მერე გავუნოდე, ხელის გულზე დავუდე, თითები მოვუმუშტე, მყარად გეჭიროს-მეთქი, თვალი ჩავუკარი, ჰაე-

როვანი კოცნა გაფუგზავნდე და ჩავედი. ჩემგან მარჯვნივ ეკლესია იდგა, პირდაპირ – ჩრდილოეთით – ქალაქის საავადმყოფო, ხოლო პირდაპირ და მარცხნივ – ჩრდილო-დასავლეთით – ფსიქიატრიული კლინიკა. ჰოდა, ჩრდილო-დასავლეთისკენ წავედი, ჭიშკართან შეეჩერდი და დავიყმუველე, რომ ძმებს გაეგოთ, ვინ მოსულიყო. იმ წამსვე ვიგრძენი პალატებიდან წამოსული მღელვარების ნაკადი. მიმღებში დავდექი, მორიგე ექიმთან მივედი და ვუთხარი:

– ნაპოლეონი აქ გყავთ?

ერთი კარგად შემათვალეირა – დარწმუნებული ვიყავი, მოვენონე – და მხოლოდ მერეღა მიპასუხა:

– დიახ, ორი, – და გაიღიმა, – ერთი ნამცხვარია, მეორე – იმპერატორი.

– იმპერატორთან მოვედი, – თვალი ჩაფუკარი.

– აჰა, – ფურცლებში ქექვის შემდეგ მითხრა, – მედოიძე ნიკოლოზის ვინ ხართ?

მე, ცბიერმა, ფურცლისკენ თვალი გავაპარე, სადაც ზემოთ ხსენებული სახელი და გვარი ეწერა, მერე კი მის გასწვრივ ამოვიკითხე: „ასაკი – 56 წელი“.

– ძმის შვილი ვარ, – ვუთხარი, თუმცა მაინც გავრისკე – იქნება და, ძმა არ ჰყოლოდა.

– მაშინ აქეთ მობრძანდით, – გამიძღვა, – ამ ბოლო დროს აგრესიული აღარაა, რაც ძალიან გვახარებს. მაგრამ, ისე, აქამდე არასდროს მოსულხართ აქ. რამე ხომ არ მოხდა? თუ რაიმე ისეთი ამბავი გაქვთ სათქმელი მისთვის, ჯობია, ვიცოდეთ...

– არა, არა! – შევძახე, – უბრალოდ, Ich bin gerade aus Leipzig angekommen,<sup>1</sup> და ნახვა მომიხდა, ფისუნი, – და მხარზე ხელი დავადე.

---

1. გერმ.: „ლაიპციგიდან სულ ახლახანს ჩამოვედი“.

მოკლედ, მედოიძე ნიკოლოზ-ნიკა-ნიკოლაის თავი-დან მის – ანუ, ნაპოლეონის – დიდებაზე ვესაუბრე, შემდეგ მის ძლიერ მხარეებს მოვუხარე ქედი, ბოლოს კი ვეჩხუბე, სულელი ხარ, ვატერლოო რომ წააგე-მეთქი. დადუმდა, სუნთქვა შეკრა, კრიჭა გახსნა, თქვა, აღარ ვარო ნაპოლეონი, და ტირილი დაიწყო. რა გინდაო, მკითხა კიდევ.

– გეჩხუბებიან აქ, ძმისგულო? არ ჯერათ შენი?

– მწყინს, – მითხრა.

– ვინც განწყენინებს, ისე უყურე, როგორც – შენზე სუსტს, – ვუთხარი, – პატარა ბავშვმა რომ ხელზე გიკბინოს, გადაუხდი სამაგიეროს? არა. ჰოდა, არც არავის გადაუხადო, იმიტომ, რომ ბოროტები კი არა, სუსტები არიან. შენ ზღვა ხარ, ნიკოლაი, და ზღვა არასოდეს გადმოდის კალაპოტიდან იმის დასახრჩობად, ვინც მას ქვევს ესვრის.

გამოვედი.

მორიგე ექიმს ვთხოვე, ძალიან კი მრცხვენია, მაგრამ ხუთ ლარიანი ხომ არ გექნებათ-მეთქი? გერმანული ფული ბანკში მაქვს, ისე კი ჯიბეში ხუთი თეთრიც არ მიგდია-მეთქი. მომცა, კეთილი იყო. ზედა ტუჩსა და ცხვირს შუა ამონვერილ ქალურ უღვაშებზე ვაკოცე, ერთ ღერს კი ენაც ავუსვი. მადლობა-მეთქი, ვუთხარი და წავედი.

ამბობენ, ღვინო ღმერთმა შექმნა, არაყი კი – სატანამო. ამიტომაც ლუდი ვიყიდე.

ვსვამ ახლა და, დამიჯერეთ, არაფერი მანუხებს.

## ანდროჰედია

დილა იყო მეტად მზიანი. ჰაერი, ჯერ კიდევ  $O_2$ -ით მდიდარი, ნელ-ნელა ივსებოდა  $CO_2$ -ით. ანდრო, მე და სიკო – ანდროს დებილი ლაბრადორი – მოვდიოდით ფალიაშვილის ქუჩის დაღმართზე. ბახის არია ჩამესმოდა იმ წამს ყურებში, მაგრამ მერე საკუთარმა გონებამვე გამომაფხიზლა, გამიქრო ყველანაირი შინაგანი ბგერები, და დავრჩი იმ ხმაურის ამარა, რაც სუფევდა იმ დილით – თუმცა ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ გაძლიერებისთვის განწირული და მზად მყოფი. მოკლედ, კი დავუბრუნდი ამ სამყაროს ცნობიერი გონებით, მაგრამ ჩემმა უძლიერესმა ქვეცნობიერმა წამსვე დათრგუნა ცნობიერება და, შესაბამისად, ახლა უკვე ბახის გარეშე, გადავედი გონებით განზომილებაში. ჩემი აზრით, თუ ადამიანის სხეული სულს აკავებს – ანუ, თუ ადამიანის სხეული სულის ციხეა ან, მეორეს მხრივ, თავშესაფარი – მაშინ, ლოგიკურად, სულის საბუდებელს ადამიანის ორგანიზმში უნდა ჰქონდეს გარკვეული ლოკაცია, ადგილმდებარეობა. არ მგონია, ეს ადგი-

ლი გონება იყოს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ გონებით სხეულის საზღვრების გაცდენა შეგვიძლია და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ წარმოსახვის მეშვეობით ვახერხებთ ნებისმიერ ადგილას მოხვედრას ჩვენს ცნობიერ აღქმადობაში, მაინც, ვფიქრობ, ცივი გონება უფროთ არნივია ძლიერი ნისკარტით; სხვა გადმოსახედიდან, სხეულს ჩვენი გულიც სცილდება ხშირად და, მეტიც, ის არც კია დამოკიდებული ჩვენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, რადგან თავად წარმოქმნის იმპულსს; გულს ძგიდის მარცხენა მხარეს აქვს სინოატრეალური და ანტრივენტრიალური ნერვული სადგურები; გული სინოატრეალური ნერვული სადგურით თავად წარმოქმნის იმპულსს და, შესაბამისად, წარმოქმნილ იმპულსზე იკუმშება; რალა თქმა უნდა, კი, ეს ყველაფერი ტვინთან შეთანხმებულია, მაგრამ ტვინის მიერ გამოგზავნილი იმპულსი – როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს – მაინც ვერ მოქმედებს გულის მუშაობაზე ვერანაირი ძალით. თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა – და კიდევ იმის მიუხედავადაც, რომ გული სიკეთისა და სიყვარულის სიმბოლოა – გულის ქონა გონების გარეშე პირდაპირი დებილიზმია, რასაც საბოლოოდ ფატალურ შედეგებამდეც კი მიჰყავს ადამიანი ხანდახან. მოკლედ, ჩემი აზრით, თუ გადავთვლით გულის ცენტრიდან და თავის ტვინის ცენტრიდან თანაბარ მანძილს – რახანაც ერთადერთი ჭეშმარიტი სულიერი განვითარება გულისა და გონების თანაბარი, შეთანხმებული და კანონზომიერი განვითარებაა – მივადგებით იმ წერტილს, სადაც ადამიანის სული ხორცშესხმის გარეშეა მატერიალიზებული. თვით ფიზიკაშიც კი, მაგნიტურ ან, თუნდაც, ელექტრულ

ველს ვერც ერთი ჩვენი გრძნობათა ორგანო ვერ აღიქვამს, მაგრამ ისინი, ამ ყველაფრის გაუთვალისწინებლად, მატერიის სახეს წარმოადგენენ და, შესაბამისად, არსებობენ კიდეც. გადავწყვიტე, ეს ჩემი ჰიპოთეზა იმ მომენტშივე შემემონებინა. ლაბრადორი სიკო შემეცოდა, ამიტომ ანდროს მივვარდი და, დაახლოებით, იქ, სადაც ფარისებრი ჯირკვალი მდებარეობს, ხელი ძლიერად მოვუჭირე.

– ჰა, გაჩერდი, რას უკეთებ ანდროს! – დამიყვება სიკომ და, გათამამებულმა, დამიღრიალა კიდევაც. არ მომეწონა, რადგან, ზოგადად, როცა არსებას ზედმეტი მოსდის თავისზე მაღალ არსებასთან მიმართებაში, არ მომწონს.

– შენ ჩუმად იყავი მანდ, – არც კი შემიხედავს, ისე ვუთხარი, რადგან ეს ანდრო მიძალიანდებოდა. ჯანზე კი იყო, ისე.

ყეფდა ეს დებილი სიკო, სუფთა სულელი, არ ჩერდებოდა – მგონი, ჩაინყვიტა კიდეც რამდენიმე იოგი. მოკლედ, კეთროვანი კაცის ენა ვერ ინარნარებს ქალიშვილის შიშველ მკერდზე ისე მონდომებით, როგორი ენთუზიაზმითა და თავგამოდებითაც იცავდა სიკო ანდროს. თვალეები რომ დაებინდა სიკოს პატრონს, მაშინ გაფუჭვი ხელი, და დავაკვირდი, რას მოიმოქმედებდა. გაშვებამდე წამის მესამედით ადრე მის თვალეებში უცებ გედი დავლანდე, რამაც მომენტალურად გამახსენა, „თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს“. ასეა, ეგრეა ნამდვილად. საბოლოოდ, როგორც უკვე მიხვდით – სინამდვილეში, ვიცი, ვერ მიხვდით, და არ გეგონოთ, თითქოს თქვენს გონებრივ შესაძლებლობებს ვაკნინებდე –

მე და ანდრომ მაგრად ვიჩხუბეთ, მომერია და, ამ ყველაფრის მერე, აღარც კი შევხვდით ერთმანეთს.

ერთი კვირის თავზე სასონარკვეთა მომეძალა, მერე სულიერი გაჭირვების არეალშიც შევდგი ფეხი, შემდეგ კი – მთელი სხეულიც. ისე მოხდა, რომ – ბედის ირონია – ფარისებრი ჯირკვალი გამიდიდდა იმხელაზე, თითქოს გასკდომას ლამობსო. ეს იყო, ცხადია, იოდდეფიციტი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რით აკომპენსირებდა მდგომარეობას ფარისებრი ჯირკვლის გადიდება, როცა ჰორმონის კომპონენტი ორგანიზმს არ მიეწოდებოდა. მოკლედ, ბევრი რომ აღარ ვილაპარაკო, უცებ დავეკარგე განა ცხოვრების აზრი, არამედ ის მონდომება, რომელიც ადამიანს აიძულებს, სიცოცხლეს აზრი უპოვოს. ნავედი ფალიაშვილის ქუჩიდან – ჩემი სახლი აქ მდებარეობს, ოთხ ნომერში – მეგობრობის პირველი გასასვლელის იქით, რუსთავის ცნობილი სასტუმროსკენ. შევედი სასტუმროს ისტორიულ შენობაში, ავედი ბოლო სართულზე, იქიდან ტყუილებისა და ვერაგობის ხარჯზე აღმოვჩნდი სასტუმროს სახურავზე, სახურავიდან კიდევ ერთხელ გადმოვხედე რუსთავს ოთხივე მიმართულებით, ოთხივე მხრიდან, პირჯვარი გადავინერე ერთხელ, გავშალე ხელები, მიწას სახით დავხედე და გადმოვხტი, მაგრამ მართლაც საოცრება მოხდა – ყელმა ქავილი დამიწყო, და ჩემი სხეული კი გადმოხტა, თუმცა მე, რეალური მე, არაფიზიკური, დავრჩი სასტუმროს სახურავზე. ვხედავდი, როგორ მივფრინავდი, მერე დავინახე, როგორ გადამეხსნა სახე შუაზე, როცა კიბეზე დავენარცხე, და როგორ მივანთხ-მოვანთხიე ჩემი ბლანტი, წითელი სისხლი ერთობ გრაციოზულად. მერე მე, რეალური,



არაფიზიკური, ჩემდა უნებურად ავიჭერი ჰაერში,  
გავცდი დედამიწის ატმოსფეროს თითოეულ ფენას,  
ავედი კოსმოსში, ვაკუუმში, უკან მოვიტოვე მზის  
სისტემა, გავცდი სხვა სისტემებს, ჩამოვიცილე გა-  
ლაქტიკა ირმის ნახტომი და, აი, ასე უცბად, ანდრო-  
მედას გალაქტიკაში ამოვყავი თავი. ნერვები მეშლე-  
ბა ახლა – სასმელი მაინც იყოს აქ!  
რა მინდოდა, რას ვხტებოდი!..

32 მაისი (31 მაისის ღამე). 2017 წელი

## თეთრი მხარე

საზოგადოდ, ყველაზე რთული დაწყებაა. მართლაც, როდის დაიწყო ეს ყველაფერი? იქნებ, ჩვენი გაცნობის დღიდან ან, სულაც, გაცილებით ადრე?

ცხელი და ჩახუთული საღამო იყო. ცაზე ვარსკვლავები ისეთი სიმჭიდროვით იყვნენ განლაგებული, რომ, გეგონებოდათ, ვერ გაუძლებს და, სადაცაა, ზეცა ჩამოიქცევას. ჰაერი ისეთი სიმძიმით აწვებოდა ატმოსფეროს, ხალხი ფიქტიურად იჭყლიტებოდა. მე და ის – ან, თუ უფრო არაეგოისტურად გვინდა, გაიჟღეროს, ის და მე – ვისხედით გრძელ სკამზე, ვაჟა-ფშაველას ქუჩის რომელიღაცა კორპუსის წინ, პირდაპირ ბინის ეზოში. ყველა უხერხულად გვიყურებდა, რადგან, ეჭვი არაა, შეყვარებული წყვილი ვეგონეთ, მაგრამ, ფაქტი იყო, უბრალოდ დაუპატიჟე გარეთ გამოსასვლელად. მე, უბრალოდ, ისეთი ადამიანი ვარ, როცა ვინმე მიყვარს, ვერ ვმაღავ ან, უფრო სწორად რომ ვთქვა, ვცდილობ, დავმალო, მაგრამ ისე უნიჭოდ გამომდის, მაგ ყველაფერს სააშკარაოზე გამოტანა მაინც ჯობია. მოკ-

ლედ, მშვიდად ვისხედით, ასე თუ ისე. ხელები მიკანკალებდა და მთლიანად ოფლში ცურავდა ჩემი გაცვეთილი ტანსაცმელი, ის კი იჯდა თავშეკავებული მოხდენილობით, დასათრგუნად განწირული სიამაყით, ლამაზი თმით, ცხვირით, თვალებით, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა, დამებინდა თვალები და კაკუნი გავიგე. ტანში გამცრა და შემყრჟოლა. იმ წამსვე გავიფიქრე, მეთქი, რომ მოგკვდე, ცუდი იქნება? მწერები მანუხებდნენ.

– სუნი აგდის ოფლის, – მითხრა სტუმარმა ხმამ. ამ დროს მეორეჯერ გაისმა კაკუნი და, ისე, რომ შემოსვლის ნებაც არ მიმიცია, მეორე ხმა გაჩნდა, თუმცა, როგორც ჩანდა, ის ჩემს მხარეს იყო, ჩემკენ, მე მიცავდა, მე.

– მერე რა, – გამოეპასუხა, – ოფლი უფერული, მლაშე სითხეა, რომელსაც ფიზიკური ან დიდი გონებრივი დატვირთვის შემდეგ გამოყოფს საოფლე ჯირკვლები. თუმცა, სიმართლე ითქვას, არცაა საჭირო დატვირთვა – ყოველთვის გარეგანი სეკრეციის ჯირკვლები მცირე რაოდენობით მაინც გამოყოფენ თავიანთ სეკრეტს, ერთადერთი აუცილებელი პირობა ისაა, რომ, უბრალოდ, ორგანიზმი ცოცხალი უნდა იყოს. ამ სიცხეში კაცი ოფლიანდებოდეს, გასაკვირია?

– არ იჩხუბოთ, გთხოვთ, – შევეხვეწე და ცრემლები წამომივიდა.

– რა? მითხარი რამე? ისე, რომ მითხრა, ცუდი არ იქნება – ბოლო-ბოლო, ხომ გამოვედი შენთან ერთად გარეთ, არა? – სიცილით მითხრა მან, მაგრამ, სინამდვილეში, როგორც ყველა ქალის ნათქვამ ყოველ სიტყვაში, მის ამ წინადადებებშიც იგრძნობო-

და საყვედურის შემცველი ქვეტექსტი. მოკლედ, მას ერქვა ეკა, ბევრი რომ აღარ გაინტრიგოთ, თორემ შესავალი მიიღია და ამ ინტრიგას თავდაპირველი ფასიც, რაღა თქმა უნდა, დაეკარგა.

– არაფერი, – თქვა პირველმა ხმამ. შემაშინა ისევე, – უბრალოდ, გოგო გამოიყვანა გარეთ; ფული არ აქვს, სუნი – იცოცხლე, ისეთი. ვფიქრობ, ესაა პრობლემა. მერე კიდევ, ხუთი ლარი მაინც არ უნდა ჩაიგდო ჯიბეში, შე საცოდავო, როცა ასეთი ამბავია? ახლა ეს ორი ლარი გამომართვი, და იმყოფინე, როგორც გინდა, – მე ვიგრძენი, როგორ ჩაცურდა ჩემი შავი შარვლის მარცხენა ჯიბეში რკინის მონეტა. – მიდი, ჩაამთავრე ეს დღე როგორმე, არ შერცხვე ამ გოგოსთან, და მერე თავი მოიკალი.

– ჰო, ბოდიში, – ვუთხარი ეკას, – ფიქრებში გავერთე და... მაპატიე.

– უყვარს ამას ეს გოგო, – მეორე ხმამ გამიხეთქა გული, ჩემმა საყვარელმა დამცველმა – კიდევ კარგი, ეგ მაინც მყავდა, თორემ შემეჭამდა ის, პირველი, – და მოკალი, აჰა! თავის მოკვლა რა გამოსავალია – უნდა ადგეს და იშოვოს რამე სამსახური, მერე ფულიც ექნება და კეთილდღეობაც. თან, მომისმინე ახლა, გასიებული ბურჟუა კაპიტალისტივით ნუ ლაპარაკობ, გესმის?! გოგო თუ უყვარს და ფული არ აქვს, რა, სირცხვილია? ფულის გამო უნდა შეიყვაროს გოგომ?!

– ამას რისი შოვნის თავი აქვს, – დამცინა პირველმა ხმამ, – თავისი განათლებაც კი ვერ შველის – სამი სამსახურიდან მარტო სასმლის გამო გამოადგეს. მერე, აქაო და, მე მონოდებით მუსიკოსი ვარ, ბანკში ან მაღაზიაში როგორ ვიმუშავოო. ვაი, შე სა-

ცოდავო. მიდი, გადააგორე ეს დღე და, დამიჯერე, დაისვი დანა ყელზე – რა სანახავი იქნება!..

– მაქვს თავი, – კანკალით ვთქვი, – ხომ მაქვს?

– რისი თავი? – ჩამეკითხა ეკა, – ლაპარაკის? თუ ამასობაში ისევ ფიქრებში იყავი გართული? იცი, კარგი ბიჭი კი ხარ, თან ძალიან, მაგრამ, რა გითხრა... ცოტა დაბნეული მეჩვენები.

– რა საჭიროა ბანკში და მაღაზიაში მუშაობა? – ისევ მიცავდა მეორე ხმა. კარგი კაცი იქნებოდა, ხორცი რომ ჰქონოდა შესხმული, ჩემი აზრით, – მუსიკოსი კაცი ყოველთვის იშოვის ისეთ სამუშაოს, რომელიც მუსიკასთან პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში იქნება. მე ვფიქრობ, გენიოსიც კია ეს კაცი, არა? ხომ ხარ?

– ვარ! – ვთქვი, – ვარ, როგორ არ ვარ!

– მერე, რატომ ხარ დაბნეული? – ეტყობოდა ეკასაც, რომ აღარ სიამოვნებდა ჩემთან ყოფნა, – სადმე ხომ არ ნავსულიყავით?

– რომელ სამუშაოზე მელაპარაკები, – დამცინოდა ისევ ის პირველი ხმა, – რესტორანში მღეროდა და – ეს ხომ მაინც არის მუსიკასთან დაკავშირებული – მერე თქვა, ეს მე არ მეკადრებაო; წავიდა, დაღია და დილით ისევ იმ რესტორანში გაიღვიძა, ოღონდ, როგორც – კლიენტმა. უსირცხვილო კაცია. ღვთისმშობლის ხატი, მოოქროვილი, ლომბარდში წაიღო, საუკეთესო სასმელი რომ ეყიდა, მიუხედავად იმისა, რომ იაფზეც არ ამბობს ხოლმე უარს. რა კაცი ეს არის!

– აუჰ, – მეორე ხმამ ამოიგმინა, – შე საცოდავო მართლა... ნადი, მართლა მოიკალი თავი. ოღონდ, მართლა. ყელზე დაისვი რამე ბასრი. რა სანახაო-

ბა იქნება!.. ოღონდ ჯერ ეს დღე ჩაამთავრე, უსირ-  
ცხვილო, გესმის?

– ჰო... ეკა, – ვუთხარი, – მიყვარხარ. ხვალ ცოც-  
ხალი შეიძლება აღარც ვიყო. ორი ლარი მაქვს და,  
რა ვიცი, „ანაკომი“ გინდა?

ჯერ ძალით გაიცინა, მაგრამ მერე, როცა მიხვდა,  
სერიოზულად ვუთხარი, ერთი ულამაზესად შემომ-  
ხედა, შესაბრალისი სახე მიიღო, შუბლზე მაკოცა და  
წავიდა. აი, მითხარით ახლა, როგორ არ გამოვიჭ-  
რა?!

15 ივნისი, 2017 წელი

## ღევიოსა

კი, ქალი ქალია და იპოვნის თავის მალამოს,<sup>1</sup> მაგრამ მე კაცი ვარ და, იქნებ, მითხრათ, რა გავაკეთო?

\*\*\*

იმ დღეს, უბრალოდ, ისე გავბრაზდი, რომ სულ მივივინყე ჩემი გენიოსობა, ჩემი მიღწევები, ჩემი დასახული გეგმებიც კი, და გავეშურე რომელიღაცა ბარში, გადაკარგულისკენ, რომ გავხეულიყავი შუაზე სმით, რომ გავმსკდარიყავი, რომ დაენაკუნებულიყავი, და რომ ჩემი გენიოსური ტვინის ნაფლეთები ვილაცის ლუდით სავსე ბაკლებში ჩამეყარა.

ზამთარი იყო. მეტად ყინავდა იმ ღამეს, მახსოვს, და ჩემთვის უცხო ქალაქს მკაცრი, ხისტი, არამეგობრული და მტრულად მომზირალი ლამპიონების ჯგროს შუქი ანათებდა. საკუთარი ძვლების ღრჭიალი მესმოდა, როცა დავდიოდი. მოკლედ, ვიყინებოდი და, Imagine Club-ს რომ მივალნე, უკვე ცოცხალი-

---

1. ნაწყვეტი ფრაზა ტიციან ტაბიძის ლექსიდან „მეარღნეები და პოეტები“;

მკვდარი ვიყავი, მაგრამ მივხვდი, რომ გადავრჩებო-  
დი. ბარის თუ კლუბის კარი შევალე, მარჯვენა ფეხი  
შევდგი და შემდეგ მთელი ტანი როგორღაც შევტე-  
ნე. პირველი, რაც შევნიშნე, და რამაც მომთენთა  
და მომადუნა, იყო სითბო – პატარა კლუბის კე-  
დელთან მიედგათ ძველმოდური, მაგრამ ლამაზი და,  
როგორც ჩანდა, მძლავრი გამათბობელი ლუმენი,  
რომელსაც დროდადრო უმატებნენ ხოლმე ძველი  
გაზეთების ნაგლეჯებს; მეორე, რამაც მასიამოვნა,  
იყო სიგარეტის კვამლი, სქელი და მომაკვდინებლად  
საშიში ნისლივით რომ ჩამოჰფარებოდა მთელ სივ-  
რცეს იმ ოთხ კედელში; მესამე – რაც არ მანყობდა  
მაგრამ მაინც მესიამოვნა – იყო ის, რომ ყველამ  
მე შემომხედა, რადგან, ეჭვი არ იყო და არც არის,  
მიცნეს მე, გენოსი, თანამედროვე ლიტერატურის  
მამა, სიტყვის ოსტატი; მეოთხე ფაქტი, რის გამოც  
თვალზე ცრემლიც კი მომადგა – სიყვარულით მი-  
ყურებდა უმეტესობა; ხოლო მეხუთე და მთავარი –  
სასმლის მრავალფეროვნება. მოკლედ, შევედი თამა-  
მად, ბარს მივადექი და ჯერ ლუდი შევუკვეთე, რა-  
ზეც ბარმენმა თვალი ჩამიკრა, ახლავე იქნებო. მე-  
რე ვიკითხე, ადგილები დაჯავშნილი ან დაკავებული  
ხომ არ არის-მეთქი. მიპასუხეს, არა, იქ დაბრძან-  
დით, სადაც გენებოთო. მეც ზუსტად ისე მოვიქეცი,  
როგორც მითხრეს – იქ დავბრძანდი, სადაც მენება.  
ვიჯექი ასე, მიბუფდებოდა ფეხები ნელ-ნელა, მი-  
ნელდებოდა ისედაც ნელი გულისცემა, ხორკლებს  
ჩემს კანზე უკვე ოფლის წვეთები ცვლიდა, მაგრამ  
ამ დროს კლუბის შემოსასვლელი ხის თეთრი კარი  
მოკრძალებით გაიღო და, მიუხედავად იმისა, რომ  
არ დამინახავს, მაინც ვიგრძენი, ვილაცამ თავი ჯერ



შემოყო, ხოლო შემდეგ კი სიხარულით, სითბოთი, ბავშვურობით და რალაცა ისეთი ძლიერი გრძნობით, რაც მე მაკლდა დიდი ხანი, შემოფრატუნდა კლუბში. ყველაფერს ვიფიცებ, რომ იმ წამს ჩემი ჩაბნელებული გონება, ჩემი მწველის ფილტვებივით შავი, გაჭვარტლული გული ერთიანად განათდა, გათბა და გაღღვა.

– ზურა! – სიყვარულით დაიძახა და, დიდი ალბათობით, ვილაცა ზურას ჩაეხუტა. სულელი ვიყავი – დანახულიც არ მყავდა ის გოგო, რომ უკვე ვიქვიანე. ისე მეგონა, რომ ყველა უყვარდა. დაბალი ხმა ჰქონდა, მაგრამ არა ბოხი, და რალაცნაირად ნითელი ღვინოსავით თბილად გელვრებოდა ყურებში მისი გულწრფელი პირიდან წამოსული ბგერების ერთობლიობა. – მოვედი. დღეს მინდა, რომ დაგეხმარო. კარგ დროს მოვსულვარ, ისე. ხალხი რომ მოვა, შეკვეთები იქნება ბევრი, და მინდა, რომ მე მოვემსახურო.

– ლევიოსა! – დიდი ალბათობით, ზურა იყო ის, ვინც გამოეპასუხა. თავიდან მეგონა, ეს „ლევიოსა“ მიმართვის ფორმა იყო, მაგრამ მაშინ შევცდი. პირველ ჯერზე ბევრი ცდება, ბევრი, უმეტესობა, – ანგელოზი ხარ, როგორც ყოველთვის! მადლობა, რა, გოგო, შვილივით ხარ. ისე, მამა როგორაა?

„მამა... – გავიფიქრე მაშინ გულუბრყვილოდ, – მამა! ესე იგი, მამამისს იცნობს! აქედან გამომდინარე, დაახლოებით, მამამისის ტოლია! ანუ, ვერც შეყვარებულები იქნებიან და, შესაბამისად, ვერც ცოლქმარი!“. მაგრამ მერე ჩემს თავს ვუთხარი, დამშვიდდი, გოგო არც კი გინახავს და ნუ ეჭვიანობ-მეთქი. აი, ნაღდი სულელი! სუფთა დებილი! არა?

ეს გოგო მალევე გაიქცა სადღაც – სავარაუდოდ, საპირფარეოში – და რამოდენიმე წუთში კლუბის კარი ისევ გაიღო. ამ ჯერად სამი თავგადაპარსული და შუაში, პანკურზე უფრო მოკლედ დატოვებულ თმიანი, შეიძლება ითქვას, დაკუნთული ბიჭები შემოვიდნენ Imagine Club-ში. მალევე სამი მოპიპო თინეიჯერი და ორი ეგრედ ნოდებული „ბებერი თინეიჯერიც“ დაემატა კლუბში არსებული ხალხის რაოდენობას და, საბოლოოდ, ოდნავ შემალღებულ სცენაზე დაბალი, ქალარა კაცი ავიდა, რომელსაც თავზე კალათურთის რომელიღაცა გუნდის ლოგოიანი კეპი ეხურა.

– ჩვენთან შეკრებილო საზოგადოებავ, – ჩაჰყვირა მიკროფონს, – მოგესალმებით! – ამას მცირე აუდიტორიისთვის შესაფერისად მხურვალე ტაში მოჰყვა. მეც დავკარი ჩემი ხელისგულები ერთმანეთს დიდი მონდომებით, – მე ვარ ზურა გოგებაშვილი, და ეს ჩემი უკვე ოცდაორი წლის სახლია – Imagine Club-ი! – ამის გაჟღერებისას სტვენაც გაისმა დარბაზში. მე გავიფიქრე, აი-მეთქი ზურა, აი, მართალი ვიყავი-მეთქი, კარგია-მეთქი, აუ, ძალიან მაგარიამეთქი, – მოკლედ, ძმებო და დებო, გახსნილად ვაცხადებ დღევანდელ საღამოს, გახსნაზე კი რა უნდა დავუკრა სხვა, თუ არა დიდი ჯონის „Imagine“, რის გამოც დაერქვა ამ კლუბს ეს სახელი!

მოკლედ, ზურამ თავისი შეუბერა, მაგრამ მე ვიფიქრე ისე, რომ არ ვიცოდი, რას ველოდებოდი; ვიფიქრე და უაზროდ მიხაროდა რაღაცა, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი, რა იყო გასახარი. მერე გამახსენდა, რომ ჩემი ლუდი იგვიანებდა, მაგრამ გავაანალიზე, რომ ეს ფაქტი საერთოდ არც კი მანუხებდა.

საბოლოოდ მივხვდი იმას, რომ, როცა იქნებოდა, ლუდს მომიტანდნენ და, რაც ჩემს ზურგს უკან მოვისმინე, ვინ იკისრა იმ დღევანდელ საღამოზე მიმტანობის ფუნქცია? კი, იმ გოგომ. ამიტომ ავლელდი – ვფიქრობდი, ლუდს რომ მომიტანს, შეიძლება გამიღიმოს, მე კი რა უნდა ვქნა-მეთქი; გემრიელად მიირთვითო, რომ მითხრას, მე რას ვუპასუხებ-მეთქი; რომ მიცნოს და ავტოგრაფი მთხოვოს, როგორ მოვიტყევი-მეთქი; სახეს რომ დამანახვებს, ჩემი პირი უფრო ფართოდ გაიხსნება თუ ჩემი თვალები-მეთქი; როცა ბაკლის დასადებად დაიხრება, შეიძლება შემთხვევით თვალებში ჩავხედო, ეს კი რას მიზავს-მეთქი. მოკლედ, ავფორიაქდი, ჩემს სულში კი რაღაც ისეთი ძლიერი მოხდა, რომ სხეულზეც კი გადმოვიდა, ჩემმა ორგანიზმმა კი ისე იგრძნო ყველაფერი, რომ თითქოს საყლაპავ მიღს ვიღაცა ან რაღაცა მიჩხაპნიდა, შემდეგ ეს ინფორმაცია ტვინს გადაუგზავნა და, შესაბამისად, მეც ვიგრძენი, ამიტომ ფეხზე წამოვხტი, სადღაცა გავექანდი და – გამართლება არ უნდა? – პირდაპირ საპირფარეშოში ამოვყავი თავი, მერე მუხლებზე დავდექი, უნიტაზს ორივე ხელით ჩავეჭიდე და ყველაფერი შიგ ჩავარწყე, მაგრამ გამოდევნილი უსიამოვნო მასის რაოდენობამ მაინც გამაკვირვა, რადგან იმ დღეს, თუ სწორად მახსოვს, საერთოდ არაფერი მეჭამა. ფეხზე რომ წამოვდექი, ქვედა ტუჩზე მიწებებული ნარწყვი პალტოს სახელოთი მოვიწმინდე, პირი გამოვივლე და ისევ დარბაზში გავედი.

– Imagine, there's no heaven, – მღეროდა ზურა, – it's easy, if you try; no hell below us, above us only sky; imagine all the people living for today... Imagine, there's

no countries, it isn't hard to do; nothing to kill or die for, and no religion, too; imagine all the people living in piece... You may say, I'm a dreamer, but I'm not the only one; I hope, someday you'll join us, and the world will be as one.

არ ვეთანხმებოდი ჯონ ლენონს, მაგრამ ეს სიმღერა მაინც მიყვარდა. თუმცაღა ჩემს გვერდით მაგიდასთან მჯდომმა სამმა დაკუნთულმა ახალგაზრდამ ლიად გააპროტესტა ამ სიმღერის ტექსტი, რადგან, რთული გამოსაცნობი არ იყო, რომ ჩხუბიც უყვარდათ, აურზაურიც და, აქედან გამომდინარე, არა piece და dreamer და მსგავსი რაღაცები.

დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ უცებ, მოულოდნელად და ელვის უსწრაფესად – სიბნელეში უცნობი რომ მოგდევს, რომ გენევა და, შენ რომ გგონია, დანას ჩაგარტყამს, ის კი მოდის და შუბლზე გკოცნის, ასე – ვიგრძენი, როგორ შეერია ჩემს მუქ ლურჯ აურას უკნიდან გამომავალი და გამოსხივებული სულიერი ფენოტიპი. ისეთი მაცოცხლებელი ძალა შევიდა იმ წამს ჩემს ორგანიზმში, თითქოს ალქიმიკოსი ვყოფილიყავი და ფილოსოფიური ქვა აღმომეჩინა; თითქოს ვკვდებოდი, სისხლით ვიცლებოდი, მაგრამ ჰორიზონტზე იორდანე გამოჩენილიყო, მე კი უნდა მოვნათლულიყავი აუცილებლად. უკნიდანვე ჩამესმოდა ვივალდის „გაზაფხული“ – კვენესოდა ვიოლინოს სიმები, იბუტებოდა ხანდახან, ხანაც შეცივებული ბელურასავით იბუზებოდა, ხან კი მთელი ჰარმონიულობით მიხევდა ყურის აპკებს; ჩემს ზურგს უკნიდან მესმოდა ბახი – bach, ნაკადული – და მართლაც ვხვდებოდი, რომ მწყუროდა წყალი, და უნდა დავლოდებოდი ამ ნაკადულის მოახ-

ლოებას, რათა მეპოვა მე უკვდავება ჩემი სულისა, რამეთუ სახელის უკვდავება იმ მომენტიდან მოვიპოვე, როცა პირველი წიგნის წერა დავიწყე; ბეთჰოვენის „დიდი ფუგა“ მესმოდა კიდეც ზურგს უკნიდან, და ისედაც არეულ გონებას კიდეც უფრო მირევდა, ამასთან, სისხლის მიმოქცევამაც თითქოს იცვალა კურსი და მიმართულება, და ყველაფერი უკულმა გააკეთა – გამოიტანა სისხლი ვენამ მარჯვენა წინაგულიდან, წაილო მცირე წრეზე, შემდეგ ფილტვის არტერია გაჯერდა ჟანგბადით, შევიდა გულში და წამოვიდა ისევ ვენით დიდ წრეზე, ხოლო საბოლოოდ აორტამ შეიტანა ჩემი სისხლი მარცხენა პარკუჭში.

– აი, თქვენი ლუდი, – ხმა გაისმა ედემის ბალის აკრძალული ხის ნაყოფივით დამაინტრიგებელი, მაცდური, ქალისათვის დაბალი, და მაინც მეტად ჟრუანტელის მომგვრელი, – გემრიელად მიირთვით, – და ვიგრძენი, რომ გამიღიმა.

ვერ შევხედე. ვიყურებოდი Imagine Club-ის ოდნავ შემალღებული სცენის კედელს მიღმა და, ამავდროულად, მთელი სამყაროს მიღმა, და თავს ვგრძნობდი ყველაზე სუსტ არსებად მთელ ირმის ნახტომში. რა უნდა მექნა? ირონია – საკუთარი ტვინით ვაიძულებდი საკუთარ ტვინს, რომ უფრო ჩქარა ემუშავა, მაგრამ ამას იყო ეს ყველაფერი, ამიტომ სულელივით შევყვირე:

– ააა!

ის წამსვე ჩემთან მოვარდა და მხრებზე თავისი ჰაერივით მსუბუქი მარჯვენა ხელი მომხვია, მარცხენათი კი ლოყაზე მიმკრა ცოტათი. ღმერთო, სიკეთე! თვით სიკეთე და ხორცშესხმული კეთილი ბავშვობა იდგა მაშინ ჩემ წინ.

– კარგად ხართ? – აუფორიაქდა ულამაზესი ხმა, იმედიანი და კეთილშობილი იოგებიდან ამოსული. – დაგეხმაროთ?

– არა, არა, მე მაპატიეთ, – არ ვიყავი საზიზღარი? არ იყო ის ვარდი და არ ვიყავი მე მის გვერდით დადებული ძროხის განავალი? – დღეს ძალიან არაადეკვატური ვარ.

– შემაშინეთ, – ჩაილაპარაკა დედაზე ნაწყენი პატარასავით. თავი შემზიზღდა – შევაშინე, მისი აურის მთლიანი თეთრი ჰორიზონტი ჯერ შევკუმშე და შემდეგ ავატოკე, და ლაქაც კი დავამჩნიე სულ პატარა, ვხედავდი. ნეხვი ვარ-მეთქი, ვფიქრობდი და, სიმართლე ითქვას, არ ვცდებოდი. განავალი.

– უნდა გთხოვოთ რაღაც, – ჩემი ძალიან დაბალი, მონოტონური და არანმინდა ხმით ვუთხარი.

– დიახ, გისმენთ, – უკვე თავზე მედგა და, დიდი ალბათობით, გაკვირვებული ან ცოტა იმედგაცრუებული იყო, რომ სახეში არც ერთხელ არ შემიხედავს მისთვის, არამედ სულ კედელს გავცქეროდი, სცენის ზურგს რომ წარმოადგენდა.

– ერთი ლუდი კიდევ მომიტანეთ, ძალიან გთხოვთ, – ავადმყოფივით ვუთხარი, შმაგივით და გამოთაყვანებულივით. ისე გამომივიდა, თითქოს მთელი ცხოვრება მხოლოდ დალევაზე ფიქრში გამეტარებინოს.

მითხრა, რა პრობლემააო, და გაფარფატდა ბარისკენ. წამიერად ბედის ბორბალივით ას ოთხმოცი გრადუსით შევეტრიალდი, რომ დამენახა მისი სახე და ჩემი შეცდომა გამომესწორებინა, მაგრამ გვიანი აღმოჩნდა – ზურგით იდგა. მაშინ მომხვდა თვალში მისი ჩაცმულობის უცნაური დეტალები: კრემის-

ფერი, ოდნავ გარუჯული ევროპეიდის კანისფერი შარვალი ეცვა, მაგრამ, ამავდროულად, მუქი იასამნისფერი, ვარდისფერი ყვავილებით მოხატული კაბაც ჩაეცვა; ჩემს ბაკალში დასხმული ლუდისფერი თმები საშუალოზე მოკლედ შეეჭრა და წითელი რეზინით უხეიროდ შეეკრა უკან; ორივე მხარი ჰქონდა კისრიდან ზუსტად იდენტური კუთხით დახრილი, და ლავინს ზემოთ არსებული სხეულის ნაწილი შიშვლად მოუჩანდა; მოხარშული ტყავის ხაკისფერი ბათინკებიდან მოჩანდა წინდის ყელები – მარცხენა ტერფზე ყვითელი წინდა ამოეცვა, შავზოლებიანი, ხოლო მარჯვენა ტერფს ლურჯი წინდა უფარავდა, შინდისფერკოპლებიანი. გავიფიქრე, ეს უსვამს-მეთქი ყველაზე დიდ და თვალშისაცემ ხაზს მის ხასიათსა და, ზოგადად, პიროვნებას. ილბლიანი ბორბალივით დავტრიალდი და ისევ ჩემს თავდაპირველ პოზას დავუბრუნდი. *ბანკროტი! მაინც ვარდია, შენ – ნეხვი.* ჰოდა, შევტრიალდი თუ არა, იმ წამსვე მომინდა, იატაკზე გავშხლართულიყავი და ფორთხვით მივსულიყავი მასთან, გამეხადა მისთვის ხაკისფერი ბათინკები, გამეძრო ფერად-ფერადი წინდები და ტერფები დამეკოცნა, დამეკოცნა ფრჩხილები, როგორიც არ უნდა ჰქონოდა, დამეკოცნა ფეხის-გულები, შემდეგ ავმდგარიყავი, დალოცვა მეთხოვა და გავვარდნილიყავი კლუბიდან. მაგრამ ისევ თავდაპირველ პოზაში ვიჯექი გაქვავებული, უაზრო და მოსაწყენი კაცივით, და კლუბის სცენის ზურგად აღმართულ კედელს ვაშტერებდი თვალს.

– აი, ესეც თქვენი მეორე ლუდი, – მითხრა. და მე ავხედე.

თითქმის მრგვალი თვალები ჰქონდა, ფერადი

გარსი – პიტერ პენის ჩასაცმელივით მწვანე, კეთილი ჭაობისფერი; ფერდაკარგული წითელი ტუჩები უკრთოდა გაურკვევლობისაგან, რაც, დარწმუნებული ვიყავი, ჩემმა არაადეკვატურმა ქცევამ გამოიწვია, მაგრამ მაინც უნდოდა, გაეღიმა ან, თუ უფრო სწორად ვიტყვი, მისი შინაგანი ბუნება ეწინააღმდეგებოდა პირის კუთხეებს, ჩამოშვებულიყო, ამიტომაც გამიღიმა მაინც საბოლოოდ და, ყველაფერს ვფიცავ, რისი დაფიცებაც შეიძლება ან არ შეიძლება, რომ ის ღიმილი არასოდეს დამავინყდება – ამ ღიმილის დროს მის თვალებში გაკრთა ბავშვობა, რამაც გამახსენა, როგორ ვიჯექი ლეგოებში ჩაფლული, ვთამაშობდი თავდავინყებით ისე, რომ წარმოდგენა არ მქონდა საკუთარ გენიოსობაზე; ბავშვობა დამიდგა, კი, თვალწინ, ამიტომაც გამოვიტანე საბოლოო დასკვნა, ვერდიქტი გადაჭრით, რომ ეს გოგო, ჩემ წინ სვეტივით აღმართული, იყო ხორცშესხმული სიკეთე, იოჰან სებასტიან ბახის მუსიკის სხეულებრივი განხორციელება, ვივალდის სეზონებზე დაკრული ვიოლინოს სიმის ორგანოიდული პირმშო, ვერდის ჯილდა და სხვა და სხვა. ლამაზი იყო? – ვერ გეტყვით, არ მაინტერესებდა.

– დიდი მადლობა, – როგორღაც მაინც ამომივიდა ხმა კვამლისა და ათასი უბედურებისგან გაღიზიანებული ჩემი ყელიდან, – მაგრამ... ძალიან კი მრცხვენია... ერთი ლუდიც მომიტანეთ, გთხოვთ. იცით, რაშია საქმე? – და უაზრო ახსნას მოვყევი, რომელიც მე, საზოგადოების თვალში, მეპატიებოდა, – რაღაცა ექსპერიმენტს ვატარებ და, რაც არ უნდა სულელურად ჟღერდეს...

– არა, არ ჟღერს სულელურად, – შემაჩერა, და



ისე მომეჩვენა, თითქოს ცოტათი ჩემკენაც კი დაიხარა, – მე გიცნობთ, ამიტომ მჯერა თქვენი. ახლავე მოგართმევთ.

მოვატყუე, მან კი დამიჯერა. ის არ იყო სულელი, არამედ, უბრალოდ, მე ვიყავი დამპალი.

თვალი ისევ გავაყოლე, რალა თქმა უნდა. ბარმენტან მივიდა და უთხრა, ერთიც ჩამოასხიო, მე კი სიტყვა „ბარმენი“ რომ გავიგონე ჩემს გონებაში, წამსვე „კარმენი“ გამახსენდა, და მოვყევი სტვენას ვირტუოზულს. მაგრამ მალევე გამაჩერა გვერდზე მჯდომმა სამმა დაკუნთულმა ბიჭმა – ძმაო, აქ მართო არ ხარო. რა უნდა მეთქვა, ამიტომაც გავჩერდი. ამასობაში ის მომიახლოვდა, მესამე ბაკალი ლუდიც დამიდო და კვლავაც გამიღიმა, თან არ გეგონოთ, რომ ხელოვნურობის ნატამალი მაინც ერია ამ ლიმილში – ეს იყო სრულიად, ასი პროცენტით ბუნებრივი და გულწრფელი ქმედება. მეც კი გავუღიმე. მერე ჩემს გვერდით ჩამოჯდა.

– ცოტა არ იყოს, დავიღალე, – თქვა და მშრალი შუბლი ხელით მოიწმინდა, ვითომ ოფლიანი იყო. ამაზეც გამიღიმა. სულ იღიმოდა. ყველა უყვარდა, ასე მეგონა.

– თუ საიდუმლო გულის სარკმელში შესვლას გაბედავს ბავშვი, – ჩუმად ვსაუბრობდი, მაგრამ იმედი მქონდა, რომ გაიგონებდა, – და შუალამე რომ დაჰკრავს საათს, გამოვა იმავ წამში, თქვენი გენიაც დიდრონ საფლავში მაშინ ჩაწვება მხოლოდ, და მისვე გულში სიმშვიდე დაისადგურებს ბოლოს.

– მშვენიერი ლექსია, – შემიქო, წამოჯდა, იდაყვები მუხლებზე დაიწყო და მე მომაჩერდა, – ახლა შეთხზი?

– თქვენ უკეთესი ხართ, ვიდრე მე, – ვუთხარი და ვიგრძენი, თვალები როგორ ამიცრემლიანდა. *აი, დაბერდი! ცრემლები მაინც შეიკავე, თუ კაცი ხარ!*

– თქვენობით ნუ მომმართავ, – თავისი ხელისგული – სხვათა შორის, უხეში მეჩვენა – დამადლო ჩემსაზე, და მაშინ ვიგრძენი ზუსტად ის ელექტროშოკი, რომელმაც მთელი სხეული ჯერ გამიხურა, ხოლო შემდეგ ერთიანად გამიყინა, – მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა, ვერც მე მოგმართავ თქვენობით.

– ეგ არაფერი...

– ნავალ, – მითხრა და ფეხზე წამოხტა, – ახლა სცენაზე მე უნდა ავიდე, დაუჟკრა რაღაცები, – მერე დაიხარა, თავისი ნახევარმთვარისებრი პირი ჩემს ყურთან მიიტანა და ჩამჩურჩულა: – პირველი სიმღერა ის იქნება, რასაც შენ მეტყვი.

– ის დაუჟკარი... – დავიბენი, სიტყვებსაც ვერ ვიკრებდი მე, ასოთამწყობი, ქართული ლიტერატურული სიტყვის მამა, – ის... სახელი დამავინყდა... აი, ესე რომ იწყება... *Hello, darkness, my old friend...*

არაფერი უთქვამს ჩემთვის, ისე გაიქცა კაბის შრიალით სცენისკენ, თითქოსდა ორი წუთის წინ არ ჰქონოდა ნათქვამი, დავიღალეო. პატარა კიბესთან მდგარი სავარძლიდან გიტარა გიჟივით ააგდო ჰაერში, დაიჭირა, სცენაზე ავარდა, მიკროფონს თითი დაჰკრა და, გამარჯობაო, დაიყვირა, თან ხელის ქნევაც მიაყოლა. მომენტში მომეჩვენა, რომ ჩემკენაც გამოაპარა მზერა, და იმედი მქონდა, რომ ეს მხოლოდ ჩემი ეგოიზმისა და ნარცისიზმის ნაზავისა და გამო არ დამინახავს ასე. მაგრამ არა – ვიცოდი, რომ სასიამოვნო გარეგნობა არ მქონდა, და ამ ჩემს უსიამოვნო შესახედაობას წვერში ვმაღავდი, მაშ

რატომ უნდა ვყოფილიყავი ნარცისი ამ კომპონენტში? მაგრამ ამ დებულებაში უკვე ნამდვილად იკვეთებოდა ერთგვარი ნარცისიზმი, რაც, თავის მხრივ, მცირე პარადოქსული მოვლენა იყო.

*მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;  
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:  
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,  
ნურვინ გარევეთ ერთმანეთსა! გესმით ჩემი ნაუბარი?!*

ეს სტროფი ამომიტივტივდა უცებ გონებაში. რა იყო ეს ყველაფერი? მიჯნურობა? სიძვა? იქნებ, არც ერთი?

*იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;  
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა?²*

აღმაფრინა-მეთქი მე იმ გოგომ? – ვფიქრობდი. აღმაფრინა თუ, პირიქით, ძირს დამცა? იქნებ, ძირს იმიტომ დავეცი, რომ მანამდე წელში მოხრილი დავდიოდი, ახლა კი უნდა წამოვდგე და წელში გავიმართო-მეთქი? და თუ წელში გავიმართები, იქნებ აღმაც გავფრინდე-მეთქი. ვინ იცოდა... ვინ იცის...

მერე მან დაკვრა დაიწყო, შემდეგ ამღერდა. მე ისევ ტანში დამიარა ელექტროდენმა, რომელიც შესაძლოა სულაც არ ყოფილიყო ის ელექტრული დენი, ფიზიკაში რომაა ცნობილი –  $I=q/t=U/R$ . ის აგრძელებდა სიმღერას, ჩემ თვალწინ კი უცბად გადაი-

1. სტროფი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“;

2. ორი სტრიქონი „ვეფხისტყაოსნიდან“;

შალა ორკესტრი სიმფონიური, და დავინყე ფიქრი, რომელი საკრავი იყო ის. მე, ჩემი მხრივ, საკუთარი მეტად ბოხი, ოდნავ უხეში და ცოტათი თავზარდამცემი ხმით მივჰგავდი ტუბას – საკრავს, რომელსაც ყველაზე დაბალი ბგერების ალება შეეძლო. მაგრამ ის? ორკესტრში შევვარდი, დირიჟორის მარცხნივ მდგარი სკამიდან შმაგად დავიტაცე ვიოლინო, გავაჟღერე, და მივხვდი, რომ ვიოლინოს ხმა უფრო მაღალია, ვიდრე – *მისი*. შემდეგ გადავირბინე უკანა რიგში, ავიღე ფლეიტა, ჩავბერე, რომ შემემონებინა, მაგრამ გავანალიზე, რომ ფლეიტა – მიუხედავად იმისა, რომ იმ ოქტავაში მღეროდა, რომელშიაც ის – მაინც უფრო არაადამიანური იყო, უფრო ჩიტისმაგვარი. დავიარე მთელი ორკესტრი, გადავწვდი ჩელოს – იქნებ, ეს იყოს-მეთქი. პირველ გაჟღერებაზე, რომ არ მოგატყუოთ, მივამსგავსე, მაგრამ მაინც არა – ეს უფრო დაბალი იყო. და მაშინ დამარტყა თავში, რომ ალტი არ მინახავს. მივვარდი ალტს, ხეში გავუსვი და, ღმერთო, ეს იყო. ეს იყო ის. *მის* ხმას ავაცოლე ალტის ჟღერადობა, ალტი ავამღერე ზუსტად მის ხმაზე, უბრალოდ სიტყვებს ვერ იძახდა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა – ის ხომ იძახდა? ვუკრავდი და ვუკრავდი, არ ვილღებოდი, მაგრამ მერე სიმღერას მორჩა, და მე ისევ Imagine Club-ის ოთხ კედელში აღმოვჩნდი გამოკეტილი. ტაშით შეეგება მთელი იქ შეკრებილი საზოგადოება, მერე ძირს ჩამოვიდა და ვილაც ბიჭს გადაეხვია. მე ვიეჭვიანე გოგოზე, რომელსაც არც კი ვიცნობდი, ამიტომ პირველი ბაკალი ერთი მოყუდებით გამოვცალე, თან თვალები მტრულად მუვჭუტე და დავძაბე.

უცებ ჩემკენ გამოეშურა. ისევ გვერდით მომიჯ-

და, ჯიუტად მშვიდი და კეთილი ღიმილით მომაჩერდა, შემდეგ ხელი გამომინოდა ჩამოსართმევად და მითხრა:

– მე ლევოსა მქვია, – მე ხელი ჩამოვართვი, და ისევ მეჩვენა, რომ ხელისგულები ჰქონდა უხეში, – ლევოსა ბადურაშვილი, – შემდეგ, ასე უაზროდ, მაგრამ მაინც ქვების ხახუნის შედეგად გაჩენილი ერთი შემთხვევითი ნაპერწკალივით თქვა: – ჩემი საყვარელი მწერალია ედგარ ალან პო.

– ედგარ პო! – სიხარულით შეეყვირე, რადგან ერთი მეტად კარგი ლექსი გამახსენდა: – ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი, როცა საუბარი ედგარ პოზეა! აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი დასდევს განწირულთა შავი პოეზია!

ლევოსა უკვე რალაცნაირად თბილად მიყურებდა, თითქოს, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზებისდა გამო, ვეცოდებოდი.

– განაგრძე, – მითხრა და ხელი ისევ ხელზე დამადო, რომ ჩემთვის მოტივაცია შეემატებინა.

– ...ხშირად მაგონდება ფოთლებშემოცლილი, – გავაგრძელე მე, –

სახემიბნედილი ქალის მწუხარება!

მთვარით დაბურული, მთვარით შემოსილი,

მთვარით დაძონძილი ოხვრა, შეყვარება!

(რად ხარ უცხოეთში? მე შენ გელოდები!)

მოვა შუალამის ბნელი სტუმარივით...

სანთლებს გაანელებს, დარბაზს დააბნელებს,

მიდის სავარძელთან სხვაგვარ მდუმარებით.

უცხო მხარეები იგრძნეს ხომალდებმა,

ფარდა შეირხევა, როგორც – ყრუ ფოთოლი.

კოშკთა სიმაღლიდან რეკავს მოლანდება,  
ცივი უდაბნოა ღამე უშფოთველი,  
თანაც გაიხედავ: შენაც დაღამდები –  
ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი;  
ასეთ სანახავად, როგორც თანამდები,  
ბაღში შეშლილივით კვდება თებერვალი!<sup>1</sup>

– მადლობა, – ასე მითხრა, ისევ შეცოდებით გამიღიმა, ადგა, ჩემი ერთი დაცლილი ბაკალი აიღო და წავიდა.

ორივე ბაკალი ერთმანეთის მიყოლებით გამოვცალე. ყელიც დამისველდა ცოტა, სასიამოვნოდ, და სისხლში ალკოჰოლის დონემაც მოიმატა და საჭირო ნიშნულს მიაღწია, რაც ჩემთვის აუცილებელი იყო. თუმცაღა უცებ ფეხზე წამოვხტი, გავიქეცი სცენისკენ, მასზე ავვარდი, ავიღე მიკროფონი და ჩავყვირე:

– ლევიოსა! – დავინახე, როგორ გამოიხედა ჩემკენ ოდნავ დაზაფრულმა და შეშინებულმა, – კარგი გოგო ხარ, ლევიოსა! თან, იცი, როგორი? აი, ხომ არის ორი განვითარება – ემბრიონული და პოსტ-ემბრიონული – ჰოდა, ზოგი ადამიანი პოსტ-ემბრიონულში კარგ ხალხს ხვდება და მათ გავლენას განიცდის, ამიტომ ხდება კარგი; მაგრამ, ემბრიონულშივე კარგი ვინცაა, იმას ცხოვრებაში ყველა ცუდიც რომ შეხვდეს, მაინც კარგი იქნება. ასეთი ხარ შენ, მე ასე მგონია, ლევიოსა – დაიბადე, და კარგი კი არ გახდი, არამედ, ჩაისახე თუ არა, კარგი იყავი იმ თავითვე. რეალობა, ქალბატონებო და ბატონებო, – გავყვიროდი არანორმალურივით, – კონიუქ-

---

1. გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „საუბარი ედგარზე“.

ტურის საალერსო სახელია. კი, ანგარიში როგორ არ უნდა გაუნოთ, მაგრამ დროდადრო თუ მარადიულ ფასეულობებსაც არ შეავლეთ თვალი, ჩაგიხვევთ კონიუქტურის სადღეები მანქანა და აგანთხლევთ ერთიანად. აიღეთ, მაგალითად, კაცი, რომელსაც შია და საჭმელი არ აქვს – ასეთი კაცი რომ მარტო რეალობას მიაცივდეს და მარადიული ფასეულობები ფეხებზე დაიკიდოს, ან მათხოვარი უნდა გახდეს, ან ქურდი, ანდაც მონა. ლევიოსა, შენ ჩემი მარადიული ფასეულობა ხარ!

დავინახე, როგორ ირწეოდა ლევიოსა ბარმენის დახლთან, მაგრამ შემდეგ უცებ შეწყვიტა ზევით-ქვევით რწევა და გაშეშდა. ერთხანს ასე იდგა, გეგონებოდათ, საკუთარ სხეულს უგდებდა ყურს და ცდილობდა, რომელიღაცა შემაშფოთებელ კითხვაზე ძნელი პასუხი ეპოვა. ბოლოს რაღაც იდუმალი, თითქოს დედამინის ღრმა წიაღიდან ქურდულად ამომავალი ხმითა და ექოსავით უსაშველოდ გაგრძელებულად თქვა რაღაცა სიტყვები, რომლებიც ვერ გავიგონე, უბრალოდ პირის მოძრაობით მივხვდი, რომ სიტყვა მეტად განწელა. თავში ჩავირტყი ხელი, ნეკა თითებით ყურები გამოვიწმინდე იმ იმედით, რომ ისევ გაიმეორებდა ლევიოსა სიტყვას, მაგრამ არა, მოვტყუვდი.

– ადამიანო, – დავინწყე ისე, როგორც მთვრალზე მიწეოდა, უაზროდ, რადგან ჩემ მიერ წარმოქმული ეს სიტყვა არაფერ კავშირში არ იყო არც ერთ მომხდარ ფაქტთან იმ დღეს, – როგორ გგონიათ, მე მთვრალი ვარ? მეოცნებე? სიზმრების გამომცნობი? შუალამის ზარი? ნამის ცვარი? ორთქლი და სურნელება მარადისობისა? განა, არ გესმით?

განა, არ იყო თქმული? შუალამე შუადღეც არს, სევ-  
და სიხარულიც არს, წყევლა კურთხევაც არის, ღამე  
არის დღეც, მთვარე არის მზეც, ბრძენი რეგვენიც  
არის. გითქვამთ ოდესმე „კი“ მხიარულებისათვის?  
აჰა, ჩემო მეგობრებო, მაშინ „კი“ გითქვამთ ყოველი  
მწუხარებისთვის. ყველაფერი გადაჯაჭვულია, ერ-  
თმანეთში არეული და შეყვარებული. მე ვინ ვარ? მე  
ვარ მთვრალი ტკბილი საკრავი, შუალამის არფა, იმ  
ზარის ხმა, რომელიც არავის გაუგია, მაგრამ მაინც  
უნდა რეკოს ყრუთა წინაშე – თქვენ წინაშე, მეგობ-  
რებო, რამეთუ თქვენ ჩემი არ გესმით. ლევიოსა, –  
შემდეგ ისევ მას შევხედე, – შენ ხარ ღამე, უძილო-  
ბის დროს სარკმელში მოკამკამე, და არა ხარ დღე,  
რადგან ღამე უფრო ღრმაა, ვიდრე – დღე, და ყოვე-  
ლი ღამე მეუბნება, რომ მივიდე მასთან ახლოს, რა-  
თა მიჩურჩულოს რაღაც ისეთი, რაც დღემ არ იცის.  
მაგრამ ღამეც დღეა, შენც დღე ხარ და, ამავდროუ-  
ლად, ღამეც, და შენ უნდა ნამიყვანო მე ახლა სად-  
მე, რომ საბოლოოდ გადავრჩე ან დავიღუპო.

– შენი იელოველი დედა!.. – მომესმა მარჯვნი-  
დან, შემდეგ კი თავში მარილიანი მიწისთხილის ნა-  
ტეხი მომხვდა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არაფერი  
მომსვლია.

აღბათ, ჩემი პოეტური სიტყვისდა გამო – მაინც  
არ უნდა ეფიქრათ, რადგან, ჭეშმარიტად, იელოვე-  
ლები ჩემნაირად პოეტურები ნამდვილად არ არიან  
– იფიქრეს იმ ტლოპინებმა და დაკუნთულებმა, რომ  
იელოველთა სექტის წარმომადგენელი ვიყავი, თუმ-  
ცა ის უფრო მეწყინა, რომ გავაანალიზე, რახან ეს  
იფიქრეს, ეს ნიშნავდა, რომ არც მე მიცნობდნენ და,  
მითუმეტეს, არც ჩემს შემოქმედებასა და გენიო-



სურ ბუნებას. მაგრამ არაუშავდა, რადგან მტკიცედ ვუთხარი საკუთარ თავს, რომ არ მაინტერესებდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მარტივები და პრიმიტიულები იყვნენ, მაინც, ზოგადად, ადამიანი ის არ არის, ვისაც თავისი სამარის სამყოფი მინა დაიტევს, არამედ – ის, ვისაც თვით სამყაროც არ ეყოფა დასატევად. ადამიანთა უმრავლესობას ბევრი ფარული და დიდებული უნარი აქვს, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევა გამოამჟღავნებს და გამოააშკარავებს ხოლმე. ადამიანის ერთადერთი რეალური მოთხოვნა ჭეშმარიტებისკენ სწრაფვაა, და მხოლოდ ამ მისწრაფების დროს აღწევს იგი თავისუფლებას. ადამიანს ერთადერთი რამ აქცევს ასე დიდებულ ქმნილებად – ის ერთადერთი არსებაა დედამიწაზე, რომელმაც იცის, რომ სიკვდილი აუცილებლად მოაკითხავს, და ამ ფიქრებში იგი უფრო მალღდება; რაც ნაკლებს ფიქრობს ადამიანი სიკვდილზე, მით უფრო ჰგავს იგი ცხოველს. ალბათ, ის დაკუნთულები სხვის სასიკვდილოდ ცემაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე საკუთარ სიკვდილზე.

მაინც იმაზე მეფიქრებოდა, შევცდი თუ არა და, თუ შევცდი, ვის მიერ? ლევოსამ შემაცდინა ისე, როგორც ევამ შეაცდინა ადამი ერთ დროს? მაგრამ, ევა ვინლა შეაცდინა? ევა სატანამ შეაცდინა, მაგრამ ლევოსა? სატანა და ანტიქრისტე ყველას ვერ დაეუფლება, არამედ იბატონებს მხოლოდ იმაზე, ვინც ისედაც დალუპვას აპირებდა – იმაზე, ვინც მისი შეცდენის გარეშეც მოიძულებდა ხსნის გზას. და ლევოსა იყო ასეთი? ჩემ თვალწინ იდგამეთქი სიკეთე, ვახსენე რამდენჯერმე და, დავიჯერო, ის დალუპვისთვის იყო განწირული? არამც და არამც-

მეთქი, მტკიცედ ვუთხარი თავს და პრობლემა ამით გადავჭერი.

– იელოველო, – მომაცხაბა ერთ-ერთმა დაკუნთულმა, – სახე ხომ არ შეგილამაზო? მეზიზღებით იელოველები.

– ნუ გეზიზღება ნურავინ, – ვუთხარი მართლაც იელოველივით, მაგრამ მაინც გულიდან, – სჯობს, სიყვარულის ცეცხლში ინვოდე, რომ არ დაინვა იქ, სადაც ინვიან დემონები. გიყვარდეს ყველა, და ღმერთთან ახლოს იქნები – თუ მას არ დაკარგავ, ჯოჯოხეთიც სამოთხედ გექცევა, მაგრამ, აი, უღმერთოდ სამოთხეც ჯოჯოხეთია. სადაც სიყვარული არ არის, იქაა ზუსტად ცეცხლი და ტანჯვა.

– ეს მართლა იელოველია, – ძმაბიჭებს გახედა სიცილით, – ჯოჯოხეთი არ არსებობს, ფისუნია.

– სულელო, – ცოტა გავბრაზდი, – განა შესაძლებელია, სიკეთე აკეთოს იმან, რაც არ არსებობს? შეხედე, რამდენი სიკეთე მოუტანა ჯოჯოხეთმა ადამიანთა მოდგმას: რამდენ ბოროტმოქმედს შეაგრძნობინა სინანული; რამდენი ცოდვილი აქცია წმინდანად; რამდენ ცოდვას არ მისცა მოქმედებაში მოსვლის საშუალება. შენ არ გეშინია მისი, იმიტომ, რომ არ ფიქრობ მასზე.

ისე ძლიერად მომხვდა ამ დროს მუშტი ყბაში, რომ საერთოდ ვერაფერი ვიგრძენი – ვერც თავად დარტყმისგან მოყენებული ტკივილი. ვხედავდი საკუთარ თავს ზევიდან, რადგან, როგორც ჩანდა, მე იატაკზე ვეგდე, მაგრამ, ამავდროულად, საკუთარ უგონო და უსულო სხეულს დავეყურებდი მაღლიდან. მერე მეც ზედ ჩემს სხეულს დავეცი და, როცა გონს სრულიად მოვეგე, ისევ ერთი ვიყავი და არა – ორი.

ჰოდა, მთელი ჩემი არსებული ძალა მოვიკრიბე, ნა-  
მოვდექი, იმ დაკუნთულს მივაჩერდი, მერე სილა გა-  
ვანანი სახეში და თავქუდმოგლეჯით გავიქეცი ჯერ  
გასასვლელი კარისკენ, ხოლო შემდეგ – თებერვლის  
ლამის გაყინულ ქუჩაში. ორასი მეტრი ისე სწრაფად  
ვირბინე, როგორც არასოდეს მერბინა მთელი ჩემი  
შეგნებული ცხოვრების განმავლობაში, მაგრამ მერე  
უცებ გავჩერდი და, ჩემდა უნებურად, ძირს დავვარ-  
დი სახით ქვემოთ.

არ ვიცი, რამდენ ხანში გამაღვიძა თავზე დამ-  
დგარმა ლევიოსამ, მაგრამ ჯერ კიდევ ღამე იყო, თა-  
ნაც პირიდან ისევ სასმლის სუნი ამომდიოდა – ანუ,  
შესაბამისად, დიდი დრო არ უნდა გასულიყო. ერ-  
თადერთი ახალი გარემოება აღმოვაჩინე მხოლოდ იმ  
წამს – თოვდა და, თანაც, უკვე ზედაპირზეც დაედო.  
ლევიოსას თავისი ხაკისფერი ბათინკები გაეხადა და  
თოვლში წინდების ამარა დააბიჯებდა მხიარულად.

– აუ, რა ხმა იყო! – აღფრთოვანებით მომძახხა,  
– წამო, ადექი. მანქანით ვარ და, სადაც მეტყვი, იქ  
გაგიყვან.

მე უხმოდ გავყევი, ოდნავ ბარბაცით. არსად გაყ-  
ვანა მე არ მჭირდებოდა, ამიტომ უბრალოდ მანქა-  
ნაში ჩავუჯექი, სითბოსთვის.

– შეყვარებული არასოდეს მყოლია... – ჩაიბუტ-  
ბუტა რალაცნაირად და, მიუხედავად იმისა, რომ აშ-  
კარად გაგრძელებას აპირებდა, მე მაინც არ დავას-  
რულებინე:

– გინდა, გითხრა, რატომ? – დაჟინებით მივა-  
ჩერდი, შმაგივით, – იმიტომ, რომ ზედმეტად კარგი  
ხარ. ყველა მამრი იქამდე, სანამ ნაბიჯს გადადგამ-  
დეს, კარგად ფიქრდება, გათვლის არა შორ – ეს

ქალებს ჩვევიათ – არამედ ახლო მომავალს, უკვე დაშორების სცენას გაითამაშებს გონებაში. და შენ... შენ რომ გული გეტკინება... ადამიანი, რომელიც წყვილის დაშორების სცენას გონებაში გაითამაშებს და შენს გულისტკივილის გამო დაზაფრულ სახეს დაინახავს, ყველაფერს წამშივე გადაიფიქრებს. ესაა კაცის ბუნება, და ეს ხარ შენ. და, იცი, როგორ მინდა, ტერფზე გემთხვიო?

თავიდან ოდნავ აუცრემლიანდა თვალები, მაგრამ რამდენჯერმე სწრაფად დაახამხამა, შემდეგ კი მომიბრუნდა მძლოლის სავარძლიდან და მკითხა:

– რომელზე?

– სულ ერთია, – საერთოდ აღარ ვეკუთვნოდი უკვე ჩემს თავს, – მაგრამ, მაინც მარჯვენა უფრო მინდა ახლა.

შარვლის ტოტები აიკაპინა ჯერ, ფეხი სავარძელზე შემოდო, შემდეგ თავად შარვალი აინია მალლა, მერე ფერად წინდას ყელში ჩაავლო ცერა და საჩვენებელი თითები, გაიძრო, სველი წინდი დაფერთხა, ბარძაყზე გადაიფინა, მარჯვენა ტერფი კი ჩემკენ გამოიშვირა. როგორი საამო სურნელი ჰქონდა!.. კანი ოდნავ მოხარშულს ჰგავდა, რადგან თბილი წინდა ეცვა, და ფრჩხილები ოდნავ გრძელი ჰქონდა, თითქოს მოუვლელი, მაგრამ ამის დანახვაზე ჩემს ტანში მეხი გავარდა და ორგანოები დამინვა. ვიგრძენი, როგორ ესიამოვნა მასაც, როცა ცერა თითი ავულოკე, ხოლო შემდეგ ფეხის ზურგზე ვემთხვიე, მაგრამ შემდეგ ადგილზე გავშრი, გავიყინე, გავქვავდი, თითქოს ვიყავი მამაცი ბერძენი მეომარი, რომელმაც შედუზა გორგონას თვალებში ჩახედა. გავშემდი-მეთქი და, დაახლოებით, ოცი წამი ასე გავატა-

რე, შემდეგ კი უკან გადავინიე, წელში გავსწორდი, ხელი მოვმუშტე და, რაც ძალა და ღონე მქონდა, თავში ვიტაკე.

საწყალი გოგო! მე შევაცდინე! მე, ვითომ გენიოსმა, სინამდვილეში კი ნაგავმა! მე ვიყავი ვაშლი, მე ვიყავი ციანიდი, მე ვიყავი დარიშხანი, მე ვიყავი არარაობა.

– რა გჭირს? – შეშინებული მიყურებდა, – რატომ აკეთებ ამას?

– მე არაფერი მაქვს საერთო ჩემს თავთან! – დავიყვირე მთელ ხმაზე, წითელი „ფოლკსვაგენის“ კარი გავაღე, ქუჩაში გადავედი და, არ ვიცი, სად, მაგრამ გავიქეცი.

\*\*\*

ზუსტად ორი კვირის შემდეგ დავბრუნდი Imagine Club-ში. იყო სიცივე, იდგა სიჩუმე, ახალი ჩართული ბუხარი კი ჯერ ვერ ათბობდა დარბაზის პატარა ოთხ კედელს. ბუხართან ზურა – მახსოვდა მისი სახელი – ჩაცუცქულიყო და ცდილობდა, ცეცხლი უფრო მძლავრი გაეხადა.

– ზურა, – ზურგიდან მივედი და ისე დავუძახე, – გამარჯობა.

– გაუმარჯოს, – ხელი გამომიწოდა, და მეც ჩამოვართვი, – რომ იცოდეთ, პატივია ჩემთვის თქვენი აქ ყოფნა, და იმდღევანდელზე ბოდიში მინდა, მოგიხადოთ...

– ეგ არაფერი, – ვუთხარი და მხარზე ხელი დავადე, – მაგრამ რაღაც მაინტერესებს და, მგონია, რომ თქვენ გეცოდინებათ.

– გისმენთ, – მითხრა და ბუხარი სულ გადაავინ-  
ყდა.

– აქ იმ დღეს გოგო იყო, ლევიოსა, – მისი სა-  
ხელის წარმოთქმისას ისევ გამაჟრჟოლა ტანში, –  
მისი ხელთათმანები მე მაქვს და... ნომერი მაინც  
არ იცით, რომ დაფურეკო და გავაგებინო ეს ამბა-  
ვი? ალბათ, უკვე იმედიც გადაენურა, რომ ოდესმე  
იპოვნის თავის ტყავის წითელ ხელთათმანებს, მე კი  
მინდა, დავუმტკიცო, რომ იმედი მარადია.

– ლევიოსა მამასთან წავიდა, ამერიკაში, – საექ-  
ვოდ მიყურებდა ზურა, – მამამისი მუსიკოსია, გე-  
ცოდინება... „ბადურაშვილი“ გვარი არ გეცნობა?  
მოკლედ, იქაა. ისე, აქამდე სად იყავით?

– ანუ, აღარ ჩამოვა?

– იქ ცხოვრობს მამამისი და, რა ვიცი, – ლეი-  
კერსის კები მოიძრო თავიდან, – როგორც გავიგე,  
ლევიოსაც მუსიკალურ კარიერას იწყებს. მოკლედ,  
მგონი, ჩამოსვლას არ აპირებს.

*...(რად ხარ უცხოეთში? მე შენ გელოდები!)*

*მოვა შუალამის ბნელი სტუმარივით...*

*სანთლებს გაანელებს, დარბაზს დააბნელებს,  
მიდის სავარძელთან სხვაგვარ მდუმარებით.*

*უცხო მხარეები იგრძნეს ხომალდებმა,  
ფარდა შეირხევა, როგორც – ყრუ ფოთოლი.*

*კოშკთა სიმაღლიდან რეკავს მოლანდება,*

*ცივი უდაბნოა ღამე უშფოთველი,*

*თანაც გაიხედავ: შენაც დალამდები –*

*ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი;*

*ასეთ სანახავად, როგორც თანამდები,*

*ბაღში შეშლილივით კვდება თებერვალი!*

ნამოვედი. გზაში ბაზრობაზე შევიარე, რომ, რაც  
კი ფული მქონდა, სულ ვაშლები მეყიდა მისით.

\*\*\*

ვხედავ, როგორ მოაბიჯებს ჩემკენ თავანუელი.  
ერთ ტერფზე მწვანე წინდა ჩაუცვამს, შავ ზოლებია-  
ნი, მეორეზე – ყვითელი, წითელი კოპლებით. მინ-  
და, სულ ფრჩილები ვუკოცნო, დავუჩოქო, ვკოცნო  
და ვკოცნო ტერფებზე ყოველგვარი ავი აზრისა და  
განზრახვის გარეშე. იატაკზე ვზივარ ჩემს გენიოს  
ტვინს მიჯაჭვული, ის კი მოდის ჩემთან ყელმოღე-  
რებით, მოდის და ვარდების სურნელს მაფრქვევს.  
მკლავები გაუშლია ბავშვური გულუბრყვილობით,  
მე კი ბოროტ გონებაში მიკრთება აზრი, დანა ხომ  
არ გავუყარო, მაგრამ იმ წამსვე ვამბობ მტკიცე  
უარს, და მეც მივდივარ, რომ ჩავეხუტო. ლევიოსა!  
მეც ჰაერში ვარ.

19 თებერვალი – 21 თებერვალი, 2017 წელი

## პირედუოსი ტბა ბაზალთზე

2000 წლის დეკემბრის თვე იდგა, მახსოვს. მაშინ ზუსტად თექვსმეტი წლის, ორი თვისა და ოთხი დღის ვიყავი, თავში ორპირი ქარი მიქროდა, მაგრამ მთლად დაკარგული თაობის წარმომადგენლად არ ვითვლებოდი – მარიხუანაც მონეული მქონდა, ქალთანაც ვიყავი ნამყოფი და – გაღებილი მთვრალიც, მაგრამ ეს ყველაფერი თითოჯერ მოხდა და, სიმართლე ითქვას, თუ არ ჩავთვლით ქალთან ყოფნას, მათი მეორედ გაკეთების სურვილი არ მქონია. სკოლაში ვერაფერს მოეხერხებინა ჩემი დაინტერესება, გარდა – საბუნებისმეტყველო საგნებისა და, განსაკუთრებით, ფიზიკის. თუმცა, იმის გამო, რომ 2000 წელს საქართველოში არც ისე დალაგებული მდგომარეობა სუფევდა, ფიზიკის გაკვეთილი იყო ქართულის ან ისტორიის გადამეორებისთვის, რადგან მათემატიკის დავალების დაწერას ბიოლოგიასა და ქიმიაზეც ვასწრებდით. და მაინც, მთავარი იყო, სახელმძღვანელო გვქონდა – ავილებდი ხოლმე, ჩავრგავდი თავს და, მიუხედავად იმისა, რომ წინგნის ავტორი აშკარად გა-



გებაში არ იყო ფიზიკისა, მე მაინც მიყვარდა კითხვა იმისი, რაც არ მესმოდა. და ალბათ ამიტომაც მიყვარდა ფიზიკა – არ მესმოდა. აი, მაგალითად, როგორც ქალებზე: დედამინაზე არ დადის ერთი კაციც კი, ვისაც ქალების ესმის განა ბოლომდე, არამედ – ოდნავადაც. თუმცა, ალბათ, ეს გარემოება არ უნდა იყოს კაცების დამაკნინებელი, რადგან ქალებს ესმით ერთმანეთის და ამიტომაც სძულთ ერთურთი. შესაძლებელია, ერთადერთი მიზეზი, რატომაც მამაკაცებს ქალები მოსწონთ, ზუსტად ისაა, რომ მათი არ ესმით, მაგრამ სურთ, ესმოდეთ. მეც არ მესმოდა ფიზიკა, მაგრამ ვით დაჭრილ ირმების ჯოგს – ნყარო ანკარა, ისე მწყუროდა მისი გაგება.

მოკლედ, 2000 წლის დეკემბრის თვე იდგამეთქი, დავიწყე და აღარ დავასრულე. ბაზალეთის ტბაზე ვიყავით ასულები მე და ჩემი ორი მეგობარი – ნია და დათო. ბაზალეთის ტბის იმ მხარეს, რომელზედაც ჩვენ ვიყავით, ორი ნაპირია – ერთი კერძო და მეორე ჩვეულებრივი. კერძო სანაპიროზე შესვლა, რაღა თქმა უნდა, ფასიანია, ამიტომაც მეორე პლიაჟი ვარჩიეთ. ერთადერთი შიში, რაც თან სდევდა ჩემს ერთ დღე-ღამიან მოგზაურობას, იყო ის, რომ შეიძლებოდა ტუალეტში გასვლა მომდომებოდა, იქ კი ყინავდა. მაგრამ როგორმე ამასაც გადავიტანდი, როგორმე ვიზამდი იმას, რასაც ახლა, ოცდათორმეტი წლის ასაკში მსხვილი ნაწლავიდან ნარჩენი საკვების გამოდევნას ვუწოდებ მე, ფიზიკოსი კაცი – დიახ, იმისდა გაუთვალისწინებლად, რომ ჩემი ფიზიკის ცოდნა უცოდინარი ავტორის წიგნის კითხვით შემოიფარგლებოდა, მაინც ჩავაბარე. თუმცაღა იმ დროს, იმ დღეს, ჩვიდმეტი წლის ჰორმონებს აყოლილმა დათომ

და ტესტოსტერონის დონემოჭარბებულმა ნიამ დამ-  
ტოვეს – კი, აი ასე მარტივად, ადგნენ და დამაგდეს  
ქარში, ყინვაში, და ღმერთმა იცის – ან მანაც თვალი  
მოარიდა იმ სანახაობას – სად წავიდნენ თავის გასა-  
გიჟებლად. და ამ დროს, უცბად, თითქოს არსაიდან  
გაჩნდაო, ჩემს გვერდზე ამაყად მომზირალი, ლომის  
ფაფარივით გრაციოზული წვერის პატრონი, უპეე-  
ბამოლამებული თვალების პატრონი კაცი დავინახე.  
პირველივე წამს ვერ გავარჩიე მისი სახის ნაკვთები,  
მაგრამ მერეღა მივხვდი.

– ბატონო ჰერედეოს! ნუთუ... ნუთუ ეს თქვენ  
ხართ? – ენა ჩამივარდა მე, ამ დიადი კაცის წინაშე  
მდგომ არარაობას.

– სხვა ვინმეს იცნობ ჩემნაირს? – მომიგო მოხდე-  
ნილი ქედმაღლობით გენიოსმა.

– არა, რა თქმა უნდა... ბატონო ჰერედეოს!..

– მიგატოვეს, ბიჭო, მიგატოვეს, არა?

– ეგრეა, მაგრამ არაუშავს, ბატონო ჰერედეოს,  
არაუშავს!

– სწორია, არაუშავს. ამ ქვეყანაზე არ არსებობს  
რამე, რაც უშავს, დაიმახსოვრე.

ჩვენ ორნი ვიდექით ერთ პოზაში – ზურგზე ორი-  
ვეს შემოგვეჭდო ჩვენი ხელები, თავი ორივეს მაღლა  
გვეჭირა, დაბალანსებულად, და ვუყურებდით, რო-  
გორ იხსნებოდა ცა, და როგორ ცდილობდა მზე, გაე-  
ნათებინა ქაობისფერი ბაზალეთის ტბა.

– დიდო მნათობო, ვით იყო ბედნიერი, უკუეთუ  
არა გყავდეს, ვისაც ასინათლებ?.. – უცებ წარმოს-  
თქვა ტიტანმა.

მე მას ვუყურებდი, ის კი იდგა, უყურებდა ტბას,  
და თავის ხელებს – იმ ხელებს, რომლებსაც შედევრე-

ბი შეექმნათ – ზურგსუკან ათამაშებდა. ოდნავი ქარი, დილიდან რომ ქროდა, იმ წამს ჩადგა, ხეებიც მიყურდნენ, ტბაც გაიტრუნა – სიჩუმე ჩამოვარდა, ძველი ბიბლიოთეკის თაროებზე გაძვალტყავებული წიგნების გვერდით დადებული მტვრის ფენის მსგავსი სქელი სიჩუმე. მერე ველარ გავძელი და მაინც ვუთხარი:

– მე ერთი მოთხრობა მაქვს, პატარაა, მინდა, რომ წაიკითხოთ.

– კარგი, რა... ის იმედგაცრუება არ გეყოფა, მე-გობრებმა რომ მიგატოვეს და, ვინ იცის – არა, შეიძლება ვიციტ, კი – რას აკეთებენ ახლა?

ამასობაში აღმოვაჩინე, რომ მთლიანად დამვინყებოდა ეგ ამბავი. გულიც მატკინა ოდნავ ბატონი ჰერედუოსის სიტყვებმა, მაგრამ, ჯანდაბას, მე მაინც ფიზიკა მაინტერესებს-მეთქი, გავიფიქრე.

– ამ ცხოვრებაში რა გზა გინდა, ბიძია? – თითქოს ჩემს ფიქრებს გამოეხმაურა იგი.

– ფიზიკოსობა მინდა, ბატონო ჰერედუოს, ფიზიკოსობა.

– ჰოდა გაანებე წერას თავი, რალა საჭიროა მერე, – ჩაიცინა თავადვე, მაგრამ შემდეგ სერიოზულად მითხრა: – რომ იცოდე შენ მომავლისთვის, ცხოვრებაში რა გზაც არ უნდა აირჩიო, ყველა ბოლოს მაინც ერთდება. მე უკვე წასვლას ვაპირებ ანი, ხომ იცი შენ. ცივა აქ, მე კიდევ არყისთვის ფული არ მაქვს...

ემმაკი იყო, აბა რა იყო – იცოდა, მე მქონდა ფული და მივცემდი. მართალიც იყო. რომ გავუნოდე ქალაქის კუპიურა, მხრებზე ხელი დამკრა და კეთილად გამიღიმა.

– შენი სახელი არ ვიცი და არც მაინტერესებს – ეს სანყენად არ მიიღო, – მითხრა ბატონმა ჰერე-

დღოსმა, – მაგრამ კარგი ბიჭი კი ხარ. პლანი არ მონიო ბევრი, ხომ იცი, არაა კარგი. არც არაყი ვარგა, მაგრამ პლანი მაინც არ მონიო. მსხლის ლიმონათი არ გიყვარს, ბიძია? წამო, აქვე რესტორანი ვიცი, მე არაყი, შენ – ლიმონათი, ა?

მე ვუთხარი, მეგობრები, რასაც არ უნდა აკეთებდნენ, ჩემს ტვინსაც იგივეს უზამენ, თუ არ დაველოდები-მეთქი. გაიცინა და ზურგი მაქცია. მაგრამ ბოლოს მობრუნდა და ასეთი რაღაცა მითხრა:

– ფიზიკა ხომ გიყვარს, ბიძია? ჰოდა, იცოდე, მე კინეტიკური ენერგია არ გამაჩნია, მხოლოდ – პოტენციური.

სამხედრო სალამი მაჩუქა, და წავიდა. სალმით გამომემშვიდობა, დიახ – ვიცი, მანიშნა, დასასრულიც დასაწყისიაო.

\*\*\*

წლები გავიდა მას მერე. ერთ დღეს, როცა ლექციაზე ვიჯექი და ფორმულებით გავსებულ დაფას ვუყურებდი, ლექტორმა ყველაფერი წაშალა, აილო ცარცი და დაწერა: „ $E_k=mv^2/2$ .  $E_p=mgh$ “. შემოგვხედა ბოლოს და თქვა:

– კინეტიკური ენერგია, უხეშად რომ ვთქვათ, სიჩქარის ენერგიაა, ხოლო პოტენციური ენერგია – სიმალლის.

და მეც მაშინ მივხვდი.

2 დეკემბერი, 2016 წელი

„იძლევა დრო-სივრცე იმის საშუალებას, რომ დროისმაგვარი მრუდი დახურული იყოს? ანუ, შესაძლებელია თუ არა, დროისმაგვარი მრუდი სანყის წერტილში ბრუნდებოდეს? – ასეთ კითხვებს ვუსვამდი საკუთარ თავს იმ საღამოს, როცა მაგიდაზე ჭიქა და ნახევარი ბოთლი შტროხი მედო, – თუ დამკვირვებლები დრო-სივრცის გარეთ მოხვდნენ, უსასრულობაში, განა, იმას იფიქრებენ, რომ მათი მოგზაურობა დრო-სივრცეში მოხდა? – შტროხი ჭიქაში დავასხი და ხახაში გადავუძახე, – კოსმოსური სიმი არის გრძელი და ძალიან წვრილი ობიექტი. ერთი კოსმოსური სიმის გრავიტაციული ველი ბრტყელი და გახვრეტილი სივრცეა, რომელსაც ბოლოში გააჩნია ეს სიმი. აქედან გამომდინარე, თუ ადამიანი კოსმოსური სიმის გარშემო ივლის, მანძილი იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, დრო კი საერთოდ არ მოექცვა ზეგავლენის ქვეშ. ანუ, ერთი კოსმოსური სიმის გარშემო არსებული დრო-სივრცე დახურულ დროისმაგვარ მრუდს არ

შეიცავს. მიუხედავად ამისა, თუ მეორე კოსმოსური სიმი პირველის მიმართ მოძრაობს, სივრცის დისტანციაც მცირდება და დროის ინტერვალიც. თუ კოსმოსური სიმები, ერთმანეთთან შეფარდებით, თითქმის სინათლის სიჩქარით იმოძრავენ, ორივე სიმის გარშემო არსებული დრო შეიძლება ისეთი დიდი რაოდენობით დაიზოგოს, რომ ადამიანი მგზავრობის დანყების დრომდე რამდენიმე ხნით ადრეც კი დაბრუნდეს იქ, საიდანაც დაიწყო. ანუ, არსებობს დახურული დროისმაგვარი მრუდები, რომლებსაც შეგიძლია გაჰყვე და დროში იმოგზაურო. ასევე, არსებობს პარალელური სამყაროები უსასრულობას გამოკლებული ერთი რაოდენობით. ჩვენ წარსული იმიტომ გვახსოვს, რომ ის უკვე მოხდა, მაგრამ, თუ პარალელურ განზომილებაში ჩვენი მომავალი მეორე ჩემი თავის წარსულია, მაშინ შევძლებ თუ არა, გავიხსენო ის, რაც არ მომხდარა, მაგრამ, ამავდროულად, მოხდა? და თუ სამყარო უამრავი სხვა სამყაროსგან შედგება, მაშინ რა არის გადასასვლელი გზა მათში? შავი ხვრელი, ნუთუ? სწორია დებულება: „როდესაც სანყისი კვანტური მდგომარეობა გრავიტაციულ კოლაფსს განიცდის და იქმნება შავი ხვრელი, მაშინ შავი ხვრელის აორთქლების უკანასკნელი პროცესი იქნება კვანტური; ასევე, შავი ხვრელის მიერ შთანთქმული ინფორმაცია გარე სამყაროსგან სამუდამოდ იმალება და ვერასდროს გამოდის დღის სინათლეზე – მაშინაც კი, როდესაც შავი ხვრელი ორთქლდება და ქრება“? მაგრამ არა, არა მგონია! ვფიქრობ, შავი ხვრელიდან წამოსული გამოსხივება ენერგიას წაიღებს, რის გამოც შავი ხვრელი მასას დაკარგავს და შეიკუმშება; საბოლოოდ, შავი ხვრე-

ლი აორთქლდება და სრულიად გაქრება, მაგრამ ინფორმაცია არ დაიკარგება, თუმცაღა გამოუსადეგარი და მეტად უხერხული ფორმით დაბრუნდება – ეს ყველაფერი იმას ჰგავს, წიგნი რომ დაწვა: ფიზიკურად, წიგნში არსებული ინფორმაცია არ დაიკარგება, თუ მთელ კვამლს და ფერფლს შევავროვებთ, მაგრამ მისი ნაკითხვა იქნება ძლიერ რთული და თითქმის შეუძლებელი,“ – შტროხი მოვსვი, შუა და საჩვენებელი თითები ერთმანეთს მივაბჯინე, საფეთქლებზე მივიდე, დავიზილე და საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ფიზიკისა და ასტროფიზიკის თემა იმ მომენტშივე უნდა ამომენურა. ასეც მოვიქეცი – მეტი ფიქრი აღარც გამიგრძელებია არც დიდ აფეთქებაზე, არც შავ ხვრელებზე და არც სხვა მსგავს თემაზე.

– მრავალო, მრავაალოო, დასაღვეად წაავალო, – წავილიღინე ბარიტონულად, მაგრამ, როცა მივხვდი, „წავალო“ უაზრობა იყო ჩემი მხრიდან, გადავაკეთე: – დასაღვეად ჩავაალო, – თუ გაინტერესებთ, სად „ჩავალო“, გეტყვით: ჩემი არც ისე მოკრძალებული სახლის პირველ სართულზე, რადგან იქ მაქვს ყველანაირი სასმლის ყველანაირი ბოთლი – სავსეც, ცარიელიც და ნახევრად სავსეც ან, თუ პესიმისტი ბრძანდებით, ნახევრად ცარიელი.

დაძონძილი მაისური გავიხადე, მივედი ფანჯარასთან, გადავიხედე, შუშებს შევაფურთხე და, სპირტის სუნი რომ ვიგრძენი ჩემი ფურთხისგანვე ამომავალი, ისევ ავლოკე და უკანვე შევათვისებინე ჩემს ორგანიზმს. ფანჯრის რაფაზე ამოტვიფრულ ტექსტს შევხედე წარსულისკენ სიყვარლით მომზირალი თვალებით – Нет уже сил по барам спиваться,

но и нет сил прекращать запой. Нет уже сил хоть за что-то держаться. Весь мой мир словно не мой – და ის დღე გამახსენდა, როცა სამართებლით მეტად მონდომებულად ვჩიქნიდი ამ სიტყვებს. მოკლედ, ვგიჟდებოდი უმოქმედობისა და უსაქმურობისგან, ასევე, რალა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, სმის-გან. დავხედე საათს – ლამის სამი საათი და ცამეტი წუთი იყო ზუსტად – და, როცა უსაქმობისგან ხსნა არსაიდან ჩანდა, ჩემმა კარმა გაიღრჭიალა, ნელა გაიღო, ჩემს ოთახში კი ჩემი შავი კატა შემოვიდა, კარლ მარქსის<sup>1</sup> წვერივით გაბურძგნული, კარი არ მიუხურავს, ისე მომაჩერდა მეგრული წინაკასავით მწვანე თვალებით.

– რა გინდა, ვლადიმერ ილიჩ? – ვკითხე, რად-გან შევატყვე, რალაცას დიდი ზეგავლენა მოეხდინა მასზე.

– მოვიდა, – მითხრა ჩუმად, თითქმის ჩურჩულით.

– ვინ მოვიდა, ულიანოვ? – დაეჭვებულმა ვკითხე კატას, თუმცა ის, აშკარად, დაზაფრული იდგა და ხმას ძლივს იღებდა.

– ის მოვიდა, ლუკიანე, ის, – მითხრა და ერთი ღრმად ჩაისუნთქა.

– არ იტყვი წესიერად, ილიჩ, ვინ მოვიდა?! – გა-ვუბრაზდი.

– დილის ვარსკვლავი მოვიდა.

რაკი ეს თქვა, მე წამსვე გავაანალიზე ყველაფე-რი და ისევ ჩემს კატას მივუბრუნდი:

– ჩადი, ვლადიმერ, და ასე უთხარი, წუთი წუთზე

---

1. გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, პოლიტიკური თეორიტიკოსი, სოციოლოგი, კომუნისტი და რევოლუციონერი, რომლის იდეებსაც ეფუძნება თანამედროვე კომუნისმი.



ჩამოვაო, – კატა გაბრუნდა, მაგრამ მერე რაღაც გამახსენდა და ისევ დავეუძახე: – ილიჩ!.. მოიცადე. მომისმინე, გარეთ წვიმს, ამიტომ სველი იქნება, ჰოდა გახადე, რაც აცვია, საკიდზე დაკიდე, ბუხარი ანთე და ვისკი მიეცი ან, თუ საკუთარი შემოქმედების გასინჯვა უნდა ახლა, სამოც გრადუსიანი ქაჭა გადმოუღე და ასე უთხარი, ლუკიანემ შემოგიტვალათ, გადაკარით და გაგათბობთ.

ჩემი ძმაკაცი კატა – ვლადიმერ ილიჩ ულიანოვი – კიბეებზე რბილად დაეშვა, მე კი უცებ გამოვივლე პირი მენტოლიანი სავლებით, რომ სასმლის სუნი არ ამსვლოდა, ამოვიცვი სუფთა საცვალის, თეთრი, ფითქინა, ასეთივე წინდები, ნაჭრის შარვალი, ზოლიანი ზედა და შავი პალტო, თითქოს გარეთ გავდიოდი წვიმაში მართლაც. მოკლედ, მეც ნელა ჩავდიოდი კიბეზე, გამბედაობას ვიკრეფდი თითო საფეხურის გაცდენასთან ერთად, და ბოლოს ჩემ წინ ის გამოჩნდა: ადამიანის ტყავისაგან შეკერილი შავი კლასიკური ფეხსაცმელი ეცვა, გალაკული, შავი თასმები მაღალ შავ წინდებში ჩატანა, ერთმანეთზე გადადებულ, გადაჯვარედინებულ ფეხებს ასევე შავი და ასევე კლასიკური შარვალი უმოსავდა; შიშველ, ოდნავ ბენვიან ტანზე მუქი ლურჯი პერანგი ეცვა, ზედ კი თხელი შავი პიჯაკი შემოეცვა. ცალყბა ღიმილით შემომეგება, ასევე გავუღიმე მეც.

– ცისკრის ვარსკვლავი ამოდის! – წავიმღერე ხმამაღლა კიბის ბოლო ორი საფეხურიდან, – ამოდის, და ორ ზღვას შუა ბრწყინდება!

– ფორმაში ხარ, – შემაქო და გაიცინა, მერე ხელის სკამისკენ გაშვერით მანიშნა, დაჯექიო.

– აბა, აქ რამ მოგიყვანა, შე მადლიანო? – ღიმილით ვკითხე.

– ყველაზე არაზუსტი ზედსართავი შეგირჩევია ჩემი დახასიათებისთვის, – ღიმილი არ შორდებოდა სახიდან, – მაგრამ, ლუკიანე, უნდა გითხრა: აქ რომის პაპის დავალებით ვარ.

– რამხელა ირონიაა – ის ბატონი გზავნის მსახურს, რომელიც თავად იმის მსახურია, ვინც მას ახლა ემსახურება!.. პარადოქსები, იცოცხლე, გიყვართ ორივეს!

– მომისმინე, – დასერიოზულდა, – პაპმა იცის შენი გავლენა ორთოდოქსებზე, და ისიც იცის, რომ შენნაირი მორწმუნე დღეს არ მოიძებნება, ამიტომაც გთავაზობს, დაითანხმე სინოდი, რომ საბოლოოდ გაერთიანდეს ის, რაც უაზროდ გაიყო 1054 წელს – მართლმადიდებლობა და კათოლიკეობა. წარმოიდგინე, მოსისხლე მტრები – კათოლიკეები და პროტესტანტები – უკვე შეერთდნენ, და რა სჭირს მართლმადიდებლობას? განა, არ კარგავს ძალას და გავლენას თუნდაც ხალხზე, როცა ხედავენ, როგორი დასუსტებულია ეკლესია?

– შენ მე სულელი გგონივარ, ვარსკვლავო? – მეც დავსერიოზულდი უკვე, – 1054 წელს მოხდა დიდი განხეთქილება – სქიზმა – და მიზეზი ჩემთვისაც კარგად ცნობილია და, მითუმეტეს, შენთვისაც: კათოლიკურმა ეკლესიამ სარწმუნოების სიმბოლო – მრწამსი – შეცვალა ფილიოკეს ჩამატებით; თუ პაპს უნდა შერიგება, ჩამატებული უნდა ამოიღოს, ხომ იცი.

– ლუკიანე, მომისმინე...

– არა, დამაცადე, – შევანყვეტინე, – მამა, ძე

და სულიწმინდა; მამა – პირველი ჰიპოსტასი, შემოქმედი, არავისგან იშვება და არავისგან გამოდის; ძე – მეორე ჰიპოსტასი, მამისგან შობილი; სულიწმინდა – მესამე ჰიპოსტასი, მამისგან გამომდინარე. ვარსკვლავო, კათოლიკური ეკლესიის მიერ მოხდა უაზრობის ჩამატება მესამე ჰიპოსტასის ბუნებაში – თითქოსდა სულიწმინდა ძისგანაც გამომდინარეობს, რაც ჭეშმარიტად უხეში დარღვევაა – რა გამოდის, სულიწმინდა ღვთისმშობელს მიუდგა და იშვა იესო, სრული ღმერთი და სრული კაცი? თუ სულიწმინდა ძისგანაც გამომდინარეობს, ვიღებთ ინცესტის მსგავს დარღვევას და უაზრო პარადოქსს – ანუ, შვილიც მიუდგა დედას. მეორე სერიოზული დარღვევა, ჩემო ვარსკვლავო, არის დოგმატი მარიამის ყოვლად... – აქ სიტყვა გავწყვიტე, რადგან აზრზე მოვედი, – ჯანდაბა, ვარსკვლავო, სულ დამავინყდა, ვის ველაპარაკებოდი, – და გამეცინა, – ვიცი, იქ იყავი, და ისიც ვიცი, რომ ეს ყველაფერი შენთვისაც ცნობილია – განა შეიძლება, არ იცოდე? მოკლედ, ჩემი პასუხი ნათელია, თუმცაღა გაფასებ, რომ იმედი არ დაკარგე და ამხელა გზა გამოიარე ჩემთვის. ერთი ხომ არ დაგველია რამე, შენი თაოსნობით შექმნილი? „Finlandia“ მაქვს ლურჯიც და წითელიც – აირჩიე.

თუმცა დილის ვარსკვლავს არაფერი აურჩევია, უბრალოდ განბილებული – თუმცა, არ იმჩნევდა – და იმედგაცრუებული სახით მომაჩერდა, საკიდზე ჩამოკიდებული მშრალი შავი პალტო მოიცვა, კარი გააღო და წვიმაში გაუჩინარდა. გამოვიხურე მე კარი, რადგან შემეცვიდა ცოტათი და შემეშინდა, არ გავცივებულიყავი. ნავედი სასმლების კარადისკენ,

დავხედე ჯერ ლურჯ, ხოლო შემდეგ წითელ „Finlandia“-ს და, რომ ვერ გადავწყვიტე, რომელი დამელია, ორივე თითო ჭიქა ჩამოვისხი და გადავკარი. შემახურა სხეულში. საათს რომ შევხედე, სამი და თხუთმეტი იყო ჯერ მხოლოდ. გამიკვირდა, ნუთუ სულ ერთ წუთში მოვასწარი-მეთქი ამდენის თქმა. ამ დროს სამზარეულოდან ვლადიმერ ილიჩი გამოვიდა, კუდს ინტერესით აქიციანებდა, მერე კი გვერდზე მომიჯდა. გაკვირვებულმა შევხედე და ვკითხე:

- ილიჩ, ხომ არ იცი, რა უნდოდა?
- აბა, მე რა ვიცი!..

თებერვალი – 17 აპრილი,  
2017 წელი (პაუზების გამო)

## ქარი

ერთ მეტად ქარიან დღეს მე მოვდიოდი ქუჩაში მარტო, როგორც – ყოველთვის, და თან მომქონდა მთელი ქარის ენერგეტიკა. მარჯვენა ხელში, მარცხენასთან შედარებით ბევრად უფრო გამძლე, ამტანსა და ძლიერში, მეჭირა ცივი ლუდის ქილა და, რახან ჩემ წინ მდგომ ხეს აპრილის თვის მიწურულს ისე ჩამოსცვივდა ფოთოლი, თითქოს გაგანია შემოდგომა ყოფილიყო, ძლიერმა სასონარკვეთამ მომიცვა, ამიტომ გადავწყვიტე, მარცხენა, მარჯვენასთან შედარებით ბევრად უფრო ნაკლებად გამძლე, მოთენთილ და სუსტ ხელზე ყველა ვენა გადამეხსნა შუაზე ან მრავალ ნაწილად. რითი გადავიჭრა, რითი გადავიჭრა-მეთქი, ვფიქრობდი, როცა პასუხი ჩემსავე ხელში დავინახე – ლუდის ქილა. იმ ხვრელში ჩავჩარე ორივე ხელის საჩვენებელი თითი, რომლიდანაც სითხე გადმოდის და, შესაბამისად, ისმევა, ორივე თითის ვექტორი ერთმანეთის სანინალმდეგო მხარეს მივმართე და, როცა გავაანალიზე, რომ ქილაში ჯერ კიდევ ესხა სასმელი, უკვე გვიანი იყო – მთელი ლუდი

ძირს დაიქცა, ასფალტზე. მე, როგორც უკვე აღკო-  
ჰოლიკად ჩამოყალიბებული ახალგაზრდა, ჩავვარდი  
უიმედობაში, დავეცი მუხლებზე, ხელისგულები ჯერ  
მინას დავადე, შემდეგ კი ზეცას ავუშვირე სალოცავ  
პოზაში, ამ დროს კი ძლიერმა ქარმა დაუბერა, ძირს  
დაქცეულ გრადუსიან სითხეს სქელი წვეთები ბუმ-  
ბულისებრ მსუბუქად მოსწყვიტა, ტუჩებზე მომას-  
ხა და ოდნავ დამაწყნარა. მე სპირტის გემო კიდეც  
ერთხელ – და ბევრად უფრო დიდი სიამოვნებით,  
ვიდრე მანამდე – შევიგრძენი რეცეპტორებით, მე-  
რე უნებურად წარმოვთქვი, შე პარაზიტო-მეთეი, ამ  
სიტყვაზე Psychonaut 4-ის „Parasite“ გამახსენდა, და  
მოვეყვი ჯერ ლილისს, შემდეგ ზმუილს, ბოლოს კი  
ხავილსა და კივილს. გამვლელი არავინ იყო, მაგრამ  
ყველა მე მიყურებდა მაინც და, აქედან გამომდინარე,  
ოდნავ შემრცხვა, თუმცა, განა, არსებობს ბუნებაში  
ისეთი კატა, რომელსაც თავის აზრის ეშინია? ესეც  
ვიფიქრე, ამიტომ ისევ გავარძელე ყვირილი. მერე  
სხვა მიმართულებით გამექცა გონება: ძმაო, ნიკო-  
ლოზ, იქნებ კატა კი არა, სპილო ხარ-მეთეი, ჩემს  
თავს ვუთხარი, და ამან დამაფიქრა კიდეც უფრო მე-  
ტად, რადგან, როგორც ცნობილია, სპილოს ეშინია  
თავის, მაგრამ, განა, თავს არ ეშინია უშველებელი  
სპილოს ერთი დაბიჯების მაინც? ეს არის ორმხრი-  
ვი შიში და, როგორც სხვა ყველაფერი ორმხრივი  
გრძნობა, ისიც სასიამოვნო და პატივსაცემია მეტად.  
მე არ ვიცოდი, რა მექნა ან, სულაც, რა მინდოდა ამ  
ქვეყანაზე, ამიტომ დიდი ზომის ქურთუკის ფართე  
გულის ჯიბეში ხელი ჩავიყავი და – ჰოი საოცრებავ!  
– ახალი ქილა გაჩნდა ჩემს მარჯვენა ხელში, რომე-  
ლიც წამსვე გავხსენი და მოვიყუდე. ცივმა სითხემ

კბილები მატკინა, საკუთარმა თავშეუკავებლობამ – გული, ალკოჰოლის ახალმა დოზამ – ღვიძლი და თირკმლები, მაგრამ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე მეგობრობის გამზირის ორმოცდაერთ ნომერში, მეორე სამუსიკო სკოლის პირდაპირ არ ნავეცეუღვარ და გზა გავაგრძელე დაულაღვად, ახალი შემართებითა და ენთუზიაზმით, რამაც გული, ცოტა არ იყოს, ამიჩქარა, გულის აჩქარებამ ჩემში სისხლის მიმოქცევა დააჩქარა, სისხლის მიმოქცევის პროცესმა მეტაბოლიზმის სიჩქარე აიყოლია და, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გავოფლიანდი.

– სიგარეტი ხომ არ გექნება, ძმა? – იქვე გამვლელ ლამაზ გოგონას ვკითხე ოდნავი მონინებით.

– არ ვენწვი, – მითხრა და ხელი ისე აიქნია, თითქოს მომაბეზრებელ ბუზებს იგერიებსო დიდი მონდომებით.

ამ დროს ჰორიზონტზე, იუსტიციის სახლის მოპირდაპირე მხარეს, გამოჩნდა ხატია – ერთდროულად, არც ნაცნობი და არც უცნობი გოგონა. მოაბიჯებდა თითქმის არეულად, თავდაუჯერებლად, მოათამაშებდა მოხდენილ გავას ნარცისული სულისკვეთებით, გამომეტყველება ჰქონდა ზღვრული – მაშასადამე, ეს ნიშნავს, რომ მას უჭირდა, რადგანაც მის მთელ სხეულზე ჩანდა ჭიდილი ხორცის და სულის, ასევე – სიყვარულის და სიძულვილის, კიდევ – მაქსიმალიზმის და ნიჰილიზმის. მოკლედ, ბრძოლის ველად ქცეულიყო ხატიას მთელი სხეული, და მის ტუჩებზე მოხდენილად იხატებოდა ინი და იანი. მისი თვალები ჰგავდა ჰასკისას – ერთი ვნებით იყო განმსჭვალული და სავსე, ხოლო მეორე სიყვარულს და კეთილშობილებას გაეჟღინთა. ვიცოდი, მოვიდოდა და გადაამოც-

ნიდა, ამიტომაც სასწრაფოდ დავინყე სალექი რეზინის მოძიება ჩემს არსენალში, თუმცა, სამწუხაროდ, ამო გამოდგა ეს ყველაფერი და, შესაბამისად, დავმარცხდი. ხატია მართლაც მოვიდა ჩემამდე მეტად ინდიფერენტული, ნიჰილისტური, უინტერესო და ჰაერში გაურკვევლად გამოკიდებული სახით, მაგრამ, დამინახა თუ არა ახლოდან, ისე გაიღიმა, რომ, შემოძლია დარწმუნებით ვთქვა, ცხოვრებაში მე ასეთი ღიმილი არასდროს მენახა და არც მინახავს. ვერ მივხვდი, რა უნდოდა მას ცხოვრებისგან – ჩემსავით იყო იმ მომენტში, უბრალოდ ის არ სვამდა, მე კი, თამამად ვამბობ, ვლოთობდი.

– როგორ ხარ, ნიკოლოზ? – თავისი წითელი პომადიანი ტუჩები გამოიშვირა ჩემი ლოყისკენ, მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე გადაკოცვისას, ჩვენი მხოლოდ ლოყები მიედო ერთმანეთს მჭიდროდ. წამსვე დამიარა ჟრუანტელმა მისი რბილი კანის შეგრძნების გამო.

– ეს მე ვარ, – ვუთხარი ღიმილით.

– რა? – ვერ მიმხვდარიყო, მაგრამ, ჩემი ღიმილისდა გამო, ისიც იღიმოდა.

– ეს მე ვარ, – გავუმეორე იმ იმედით, რომ ნელ-ნელა გაიგებდა, რა სურდა ცხოვრებაში რეალურად არა სხვისგან და არა კარიერისგან, არამედ – უბრალოდ, ფასეულად და ჭეშმარიტად ღირებულად.

– მითხარი... – ღიმილითვე შეჭმუხნა წარბები.

– ეს მე ვარ ქარი, – მეც ვუთხარი, ლუდი გამოვცალე და, სიმართლე ვთქვა, აღარ მახსოვს, მერე რა იყო.



## სარკვე, სარკვე

**დასაწყისი:** მოკლედ, ერთ დღეს ძველ რუსთავში, მოედნის გვერდზე რომ ვინრო ქუჩაა და იმ ქუჩაზე ბარ-რესტორანი „პრალა“, რომელიც პირდაპირ ასევე ბარ-რესტორან „ბერლინს“ უყურებს, იქ, ხინკალს ვჭამდი. ჩემ წინ განყობილ ხის მაგიდაზე ოთხ წილადად იდო ასი ხინკალი, და თითოეულს ორთქლი ასდიოდა. უცებ, შევამჩნიე, რომ ერთი მათგანი გახეულიყო და წვენი გადმოსდიოდა, ამიტომ, ბიბლიური იგავისდა თანახმად,<sup>1</sup> მივატოვე ის ოთხმოცდაცხრამეტი ხინკალი და იმ ერთს მივუბრუნდი საჭმელად. ახლა ვხვდები, რომ ეს ისტორია არანაირ კავშირში არაა იმასთან, რისი მოყოლაც მინდა, ამიტომ, თქვენის ნებართვით, დასაწყისს შევცვლი.

**ახალი დასაწყისი:** ადამიანი, როგორც ერთი არსი, ჟამთასვლასთან ერთად ორ არსს ჰქმნის.

– ყინულია შენს ღიმილში, – ვუთხარი, – ტყუი-

---

1. საუბარია დაკარგული ცხვრების იგავზე, რომელიც სახარებაში გვხვდება.

ლად მილიმი. ვერ მგრძნობ და, შესაბამისად, მატყუარა ხარ.

– რატომ ვერ გგრძნობ მე შენ, როცა შენ მე უფრო ვერ მგრძნობ, ა? – ასეთი იყო მისი პასუხი.

– მე რომ ვერ გგრძნობდე, არ ვიტყოდი, ყინულია-მეთქი შენს ღიმილში, რადგან, თუ სიცივე ვერ იგრძენი, როგორ იგებ, ყინულია თუ უბრალო მინა შენ წინაშე?

– და რის გამო, ა?

– განა, არ იცი? ჩვენ ჩვენი საქმეებით ვფასობთ ადამიანების თვალში. მე რომ ღმერთი ვიყო, გულით განგსჯიდი, მაგრამ, სამწუხაროდ ან საბედნიეროდ, ადამიანი ვარ, ამიტომ ეს არ შემიძლია. და, სანამ იტყოდე, დაგასწრებ და მე ვიტყვი: ვიცი, არა მაქვს უფლება ვინმეს განსჯის, მაგრამ მწამს, შენ ვინმე არ ხარ.

– ჯოჯოხეთი მელის? და რა, გგონია, მე არ ვიცი ეს ყველაფერი? – ღრმა ირონია შეიმჩნეოდა იმ წამს მის ხმაში, რომელიც გამონვეული იყო საბოლოო არსის გააზრების დრამატულობით. ადამიანი როცა ცუდს სჩადის რამეს, ყოველთვის იცის, რომ ჩადენილი ცუდია, მაგრამ, იმის გამო, რომ საკუთარ თავთან სახელი გაიტეხა და მის თვალში მუდამ ავხორცია თავადვე და ირონიული, შინაგანადვე ბრკოლდება და აღარ ცდილობს, რამე გამოასწოროს.

– არა, რას ამბობ. ტყუილია შენთვის ეგ ყველაფერი: არ არსებობს შენთვის არც ეშმაკი და არც ჯოჯოხეთი – შენი სული დაილუპება იქამდე, სანამ მოკვდება შენი სხეული, ამიტომ არაფრის გეშინოდეს.

– რა თქმა უნდა, ეს იმაზე შემაშინებელია, ვიდრე ნებისმიერი ეშმაკი ან ჯოჯოხეთი შეიძლება იყოს, და დარწმუნებული ვარ, შენ ეს იცი.

– რატომაც არა?..

– თუ მართალია ეს ყოველივე, რაც გაიფიქრე – და შენ იცი, მე მესმის შენი ფიქრები – მაშინ, გამოდის, ჩემი არსებობის დაკარგვით არაფერს ვკარგავ, რადგან არ ვარ იმ ცხოველზე მეტი არაფრით, რომელმაც ცეკვა და ხტუნვა შიმშილისა და გვემის ხარჯზე ისწავლა.

– თუ მომისმენ, ასე გეტყვი: არსებობის დაკარგვით არსებობას დაკარგავ, არსებობა კი, თავის მხრივ, ცხოვრებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. შენ ვერ დათრგუნავ სიკვდილით სიკვდილს, რადგან ერთადერთი, ვინც დაითრგუნება, მე ვიქნები.

– მე გზა ერთი მაქვს.

– შენ არ ხარ ერთადერთი, ვისაც გზა ერთი აქვს. ვერ ივლის ადამიანი ათ გზაზე ერთდროულად, თუმცა, უნდა იცოდე, რომ ეს ათივე გზა ბოლოს ერთდება. აქედან გამომდინარე, მე თამამად ვასკვნი, გზა ყველას ერთი აქვს, თუმცა სხვადასხვა, მაგრამ, რახანაც ისინი ბოლოში ერთდება, გამოდის, ყველა ერთ მიზანს ემსახურება გარდაუვალობის პრინციპით.

– მაშინ, თუ სიტყვებზე მეკიდები ბავშვივით, ასე ვიტყვი: მე ბოლო ერთი მაქვს, რადგან გააზრებულად ვეფლობი ქაობში.

იმის გამო, რომ დამემტკიცებინა მისთვის, ბოლო ერთი არ ჰქონდა, გადავწყვიტე, ორი დასასრული დამეწერა:

**დასასრული1:** – ძმაო, მისმინე, – ვუთხარი, – ან

შენი ხელობით ილუპები, ამიტომაც ჩემი ხელით დაგასამარებ.

და სარკე დავამსხვრიე. და იმასვე დავემსგავსე საბოლოოდ, ვისაც ვუყურებდი სარკეში.

**დასასრული2:** – მე ერთს გეტყვი, ჩემო ძმაო, – ვუთხარი, – შენ ილუპები, მაგრამ მაინც მიყვარხარ. სარკე მაინც დავამსხვრიე. ხო აზრზე ხართ...

30 აპრილი, 2017 წელი

## მზის სონატა

სიკვდილის პირას მყოფი, ვფიქრობ, დავწერო ახალი სონატა, მთვარის სონატა. თუმცა ჯერ დღეა, მომიწევს მოცდა დაღამებამდე.

\*\*\*

აი, საუკუნე გავიდა თითქოს, და მაინც დღეა, მე კი ვერ ვითმენ, წერა დავიწყო.

\*\*\*

დრო იწელება, დრო ნელა გადის, და მაინც მიჰქრის, და მეც მიმაქროლებს უფსკრულისაკენ. მიფიქრია დროზე ბევრი. ამ ქვეყანაზე ჩვენთვის მოცემულ დრო და სივრცეში უნდა მოვასწროთ ცხოვრებისკენ აღმასვლა. აწმყო უნდა დავაფასოთ, უეჭველია, მაგრამ უნდა ვიჩქაროთ შეგნებულად, გააზრებულად, რადგან ვერც კი წარმოგვიდგენია, რას გვიმზადებს ჩვენ, უბედურთ და ამოუცნობი მიზეზე-

ბით შექმნილთ, ხვალინდელი დღე. თითოეული ადამიანი დროის სამი მონაკვეთით ცხოვრობს: წარსულთ, აწმყოთი და მომავლით – წარსულს, რა თქმა უნდა, ვერ შეეცვლით და ვერც დავაბრუნებთ; მეტიც – ჩვენ არ გვაქვს წარსული, არამედ ჩვენ თავად ვართ ჩვენი წარსული. მაგრამ, აი, მომავალი დღევანდელი დღით განისაზღვრება და, შესაბამისად, მისგან გამომდინარეობს. აწმყო, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა – ჩვენი წარსულის თვისობრივი ჯამი ახლანდელ დროში. დრო, როგორც მე მესმის მისი არსი, სულიერი უნდა იყოს, წესით, დროის სული კი, ჩემი აზრით, სიცრუის სულია, რადგან იგი დღეს ერთს ამკობს, ხვალ – მეორეს; ის დღეს დასცინის იმ აზრებს, რომლებიც, თავის მხრივ, წლების შემდეგ უკვე იმას დასცინებს, რომელიც მას დასცინოდა. როგორც აღტკინების წუთებში, როდესაც თავში ხმაურია, ქაოსი, თვალებში ყველაფერი გაორებულია და თავბრუ გეხვევა, როდესაც შეუძლებელია რაიმეს დანახვა და მოსმენა და, შესაბამისად, გაგება, ასევე დროის სულის ზეგავლენის ქვეშ ხდება იგივე – ადამიანები ისეთივე თავბრუსხვევაში არიან, ისევე ნაკლებად ხედავენ და ესმით, როგორც – ძლიერი აღგძნების ჟამს. უსასრულობას რაც შეეხება, ის შეიძლება დროის არ არსებობით იყოს გამოწვეული ან, რაც მე უფრო მეტად სავარაუდოდ მიმაჩნია, დროის ქარბი რაოდენობით – ყოველი წელი, ყოველი თვე, ყოველი კვირა, ყოველი დღე, ყოველი წუთი, ყოველი წამი გვაახლოებს ჩვენ მარადიულობასთან; ყოველი ახალი წლის დადგომა მარადიულობის ომახიანი შემოძახებაა ღრმა სიშორიდან, რომელიც ჩვენი გონიერი გულებისკენაა მომართუ-

ლი; ყოველი ნუთი მართლაც გვაახლოებს იმ მიჯნას, როცა მარადიულობაში უნდა გადავინაცვლოთ და, ვიდრე დროისა და უსასრულობის ამ ზღვარს მივალწევდეთ, ჭეშმარიტების გზაზე დადგომა უნდა მოვასწროთ. თითოეული დღე და საათი მარადისობის გამოძახილია, მე ასე ვთვლი და მიმაჩნია... ადამიანს უბრალოდ ადამიანის შეფერხება და შეჩერება თუ შეუძლია მხოლოდ, თორემ აბა დროს რას უზამს... და მაინც, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ღმერთო, დრო?.. სანამ ჩემს თავს ვკითხავ, დრო რა არის—მეთქი, იქამდე პასუხი დანამდვილებით ვიცი, მაგრამ, როცა კითხვას ვსვამ, მით უფრო მიჭირს პასუხის გაცემა...

აი, მთელი ჩემი ცხოვრება დრო სწრაფად გადიოდა, და მხოლოდ ახლალა შენელდა თითქოს სპეციალურად, გამიზნულად და გააზრებულად. მახსენდება ცოლი, წლების წინ თავზე რომ მედგა და დამჩხაოდა უმოწყალოდ; ერთხელ ისიც მითხრა, ყველაფერი დამთავრდაო. კი, ყველა ადამიანი თავისებურად სასტიკია – მაგალითად, კაცები უხეშობენ, სვამენ, იგინებიან და იტყუებიან – მაგრამ ყველაზე სასტიკი კაციც კი ვერ გეტყვის სიტყვებს, დამთავრდაო ყველაფერი. ქალები ისე მარტივად, ისე სიამოვნებით და სიამის განცდის თანხლებით ამბობენ ამ და მსგავს სიტყვებს, რომ, ძალაუნებურად, არ გესმის მათი. ალბათ, ერთადერთი, რაც კაცებს ქალებში მოსწონთ, ისაა, რომ ქალების გაგება, უბრალოდ, არ შეიძლება და მორჩა. ზოგადად, სიყვარულის არსითაც განსხვავდება კაცი და ქალი – ქალს სურს, მამაკაცი მიიყვანოს იმ დონემდე, რომ მან საკუთარი თავი უარყოს და ბოლომდე ქალზე გახ-

დეს დამოკიდებული, ხოლო მამაკაცის სიყვარულის არსი თავისუფალი ფლობის სურვილია, და არა – საკუთარი თავის უარყოფა და ქალის ბოლომდე ერთგულება; ფლობის სურვილი კიდეც უფრო მეტად იზრდება მამაკაცში, რაც ქალი მისცემს საკუთარ თავს, რადგან მამაკაცის ბუნებისთვის ადვილი არ არის, დანებდეს აზრს, რომ ქალს მეტი აღარაფერი აქვს მისაცემი.

მაგრამ, სონატა?!

არ ღამდებოდა, მე კი მოუთმენლობისა და შიშის ნაზავ გრძნობას ავეტანე. ვაიდა, ისე მოვკვდე, რომ ჩემი ბოლო სონატა ვერ დავწერო-მეთქი, ვფიქრობდი. და ამ ფიქრებში მომივიდა იდეა, აზრი: სონატა მზისთვის. მზე მონატრებაა მთვარის, ხოლო მთვარე – მზის. მე დავწერ, თქვენ დაარქვით, რაც გინდათ – ერთიდაიგივეა ეს ყველაფერი, არაფერია მზისქვეშეთში ახალი.

16 დეკემბერი, 2016 წელი



## ანა და მარია

ზუსტად მახსოვს, ეს იყო 2013 წლის ცხრა ივნისის ღამე, რომელიც, რეალურად, უკვე აღარ იყო ცხრა ივნისი, არამედ – ათი. ქობულეთში ვიყავი ერთ-ერთ შავიზღვისპირა სასტუმროში, რომელიც სულაც არ იყო შავი. სასტუმროს მეოთხე სართულზე ვიყავი ასული, მომცრო აივანზე, და ზღვას არ გავყურებდი. ვიდექი ამ ვინრო აივანზე, ვუცქერდი პალმებიან ჰორიზონტს, როცა უცებ მომინდა, ქვევით დამეხედა და, რატომაც არა, დავიხედე კიდევაც, თუმცა არაფერი განსაკუთრებული მე იქ არ დამხვედრია – იდგა ერთი მუქი იასამნისფერი მანქანა, ორი გამლილი ქოლგა და ასფალტი. არ ვიცი, დასავლეთის, ზღვიდან წამოსული ნოტიო ჰაერის ბრალი იყო ეს ყველაფერი თუ სხვა რაიმე აუხსნელის, მაგრამ ენით გამოუთქმელი სევდა კი შემომანვა მე იმ წუთებში და, დავხედე თუ არა კიდევ ერთხელ ნაცრისფერ ასფალტს, გავიფიქრე, ბარემ ხომ არ გადავხტე-მეთქი. დაიღვრებოდა კი ერთი მსხვილი ცრემლი მაინც იმის გამო, რომ, აი, მოვკვდი ამხელა კაცი? იქნებ, გაუ-

ხარდებოდათ ის, რომ, როგორც იქნებოდა, დავისვენებდი ამქვეყნიური უაზრობისგან? ხელები გავშალე და საკუთარ თავს მოვატყუე, ვხტები-მეთქი, მერე ცოტა გადავინიე კიდევ წინ, მაგრამ ისე შემეშინდა, აივნის კარებს ავეკარი ზურგით. დავჯექი ძირს, შემოვინწყე ხელები თავზე, თუმცა, რომ მივხვდი, ასე დიდი ხანი ვერ გავძლებდი, გაძლების მაქსიმალურ დროს დავასწარი – ავდექი, კარი გამოვალე, დერეფანში გავედი, კიბეებზე დავეშვი, შემოსასვლელი კარიც და მთავარი ჭიშკარიც დავხსენი, გავედი ცარიელ ქუჩაში და ღრმად ჩავისუნთქე. მოკლედ, სიკვდილზე და, განსაკუთრებით, თავის მოკვლაზე რომ დაინწყებ ადამიანი ფიქრს, სანამ არ მოკვდება, იქამდე ვერ ჩერდება, მაგრამ მერე ფიქრობს, რატომ მოკვდი, რა მინდოდაო; თუმცაღა ქალსაც აქვს – უფრო კონკრეტულად, ქალის სიყვარულს – ის მკურნალი ძალა, რომ სიკვდილზე ფიქრს მოგწყვიტოს, მაგრამ ეს მხოლოდ იქამდე, სანამ თვითონ ქალი არ მიგატოვებს, მერე კი ბევრად მეტს იფიქრებ იმაზე, რასაც მოწყდი. ახლა გავაგრძელებ იმას, რასაც ვყვებოდი: მოკლედ, გავედი ქუჩაში, ჩავუყევი მეფე დავით აღმაშენებლის გამზირს იქამდე, სანამ ღია მალაზია არ ვიპოვე. მარკეტი პატარა იყო, და თავისუფლად შეიძლებოდა არ ჰქონოდათ ის, რაც მე მინდოდა, მაგრამ, რახან სხვა გზა არ მქონდა, შევედი მაინც.

– გამარჯობა, – ვუთხარი გამყიდველს იმ წამსვე, როგორც კი შევდგი ფეხი.

– გამოუმარჯოს, – ასე მიპასუხა ან, რაც უფრო მეტად სავარაუდოა, მე გავიგე ასე უცნაურად.

– ერთი იმედი მომეცით, თუ შეიძლება, – ვთხოვე.

– რაი? – საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ გაიკვირ-  
ვა ხმამაღლა.

– იმედი მინდა. რა ღირს? – გაფუმეორე კითხვა  
დამატებითურთ.

– ჰელე, ტელევიზიის ჩართვა გინდა? არ მაქვს  
აგერ მე ტელევიზორი, – ულამაზესი აქცენტით  
წარმოთქვა.

– არა, ტელევიზია არა, – თავი გავაქნიე და ახ-  
სნას მოვყევი: – უიმედოდ ვარ. დილით ჩამოვედი აქ,  
ახლა უკვე ღამეა, მაგრამ იმედი არ მიჩნდება მაინც,  
ჰოდა, რა ღირს, მითხარით, და გადავიხდი ნების-  
მიერ თანხას.

– ახლა რაშია საქმე, თუ იცი, – დაფიქრდა ამ  
სიტყვებით, მერე კი მითხრა, – ბევრი იმედი მაქ მე  
– დაწყებული ნახევარი ლიტრიდან, დამთავრებული  
ორლიტრა ნახევრით – და გააჩნია, რომელ გინდა და.

– „ბავარია“ იმედი გაქვთ? ორი ლიტრი.

– რაფერ არ მაქვს „ბავარია“ იმედი! – გაიბრწყინ-  
ა სახე ძალით. – თან ორი ლიტრი. ექვსი ლარი და  
თეთრი ოთხმოცდაათი მოიტა.

– აჰა შენ შვიდი ლარი, და ერთჯერადი ჭიქაც  
მომეცი ერთი ცალი, – ვუთხარი იმ მომენტში, რო-  
ცა გაფუნოდე ხუთ ლარიანი კუპიურა და რკინის ორ  
ლარიანი მონეტა. მერე ვკითხე: – თავის მოკვლაზე  
გიფიქრია?

– არა, ძმა, – ასე მიპასუხა და თან მომცა ორი  
ლიტრი „ბავარია“ და ერთი გამჭვირვალე ჭიქა.

– კაი მაშინ, – ვუთხარი, ნავაჭრი გამოვართვი და  
წამოვედი ისევ სასტუმროსკენ.

გამოვდგი თუ არა ფეხი მაღაზიიდან და ორი მეტ-  
რი გავიარე, მოშიშვლებულ მხარზე წვიმის მეტად

ცივი წვეთი დამეცა, რამაც მაფიქრებინა, რომ ადამიანი, რომელიც აბსოლუტურად აზრიან სამყაროს უაზროს დაარქმევს, თავად გრძნობს საკუთარ თავს უაზროდ, მაგრამ საგნისთვის უაზროს დარქმევაში ის უკვე აზრს ნელ-ნელა ხედავს, და იცის, ფაქტი, ნესვის დიდი და მძიმე ნაყოფი რომ პატარა და სუსტ ბალახსაა გამობმული, ხოლო კაკლის მსუბუქი და პატარა ნაყოფი – უზარმაზარ ხეს, ერთი შეხედვით უსამართლობაა, მაგრამ, როგორც კი დაწვება კაკლის ხის ქვეშ და თავში ნაყოფი დაეცემა, ხვდება, ნესვი რომ დაეცემოდა, კიდევაც გაუხეთქავდა თავს. მეორე წვეთიც რომ დამეცა ახლა უკვე მეორე მხარზე, ფიქრი შევწყვიტე, რადგან ისე მომინდა უცებ დაღევა, რომ გონების ყველა ნერტილიდან გამოშავალი უხილავი ძალწირი ლუდის ბოთლისკენ გამექცა. ნაბიჯის სიჩქარეს მოვუმატე საგრძნობლად. საკუთარ აზრებს ისე ვყავდი დატყვევებული ბოლო პერიოდის განმავლობაში, რომ ყოველ დღე დღეში რამდენჯერმე ვსვამდი, მაგრამ განა იმიტომ, რომ დაღევა ან ფიქრს ასუსტებს – არადა, პირიქით, აძლიერებს კიდევ მომენტებში – ან იმიტომ, რომ ცუდ გუნებაგანწყობილებას კარგით ცვლის, არამედ, რა ვიცი... არ ვიცი, რატომ. ალბათ, მიზეზი მაინც ის იყო, რომ ჩემს სულში არსებული სიცარიელე ხორცში არსებული სიცარიელე მეგონა, და მუცელს ვივსებდი სასმლით; ანდაც იმიტომ, რომ ალკოჰოლი ცენტრალურ ნერვულ სისტემას მიდუნებდა და ტვინზე აბსოლუტურ ძალაუფლებას ვერ ვიღებდი, ის კი აკეთებდა ყველაფერ იმას, რის უფლებასაც ჩემი ადამიანური არსება არ ან ვერ აძლევდა ხოლმე. სასტუმროშიც მაგიტომ მიმქონდა ლუდი იმ დღეს,

ხომ ხვდებით. გზაში, რომლის გავლა ხუთ ნუთში თავისუფლად შეიძლებოდა, ძლიერად გამინვიმდა, მაგრამ სისველეს, რალა თქმა უნდა, არ შეეუშინდი, და გავაგრძელე სიარული კუს ნაბიჯებით. თავიდან ვიფიქრე, ნომერში ავალ-მეთქი, მაგრამ მერე ერთი კონტრარგუმენტის გარეშეც უარვყავი პირველი აზრი, და გადავწყვიტე ისევ იმ აივანზე ჯერ ასვლა და შემდეგ გასვლა, რომლიდანაც დავეშვი მალაზიაში.

აივანზე რომ ავედი, ქვევით აღარ ჩამიხედავს, თორემ, ვიცოდი, ერთიც რომ გადამეხედა, შეიძლებოდა მართლა გადავმხტარიყავი. მივჯექი კუთხეში, ცივ იატაკზე საჯდომი დავდე, გაყინულ მოაჯირს ზურგი მივაჭდე, თუმცა შემეშინდა, არ მოტყდეს და მე არ გადავვარდე-მეთქი. ჯოჯოხეთის სტანდარტებით, მშვენიერი სალამო იყო. ცხელოდა. ჭიებისგან გამოხრული ასწლოვანი ხმელი ხესავით ინვოდა დედამინა, ხოლო ცა თითქოს ჯიბრზე ამატებდა ცეცხლზე ნავთს. ნვიმდა. ზეცის ერთ მხარეს შავი ღრუბლების მასიური ფენა მოგროვილიყო, იგივეს თქმა შეიძლება მეორე მხარეზეც, მაგრამ შუაში ამ ღრუბელთა მასებს ჰყოფდა ვარსკვლავებით სავსე გრძელი ვაკუუმი, ლურჯ-მოიასამნისფრო. პირდაპირ რომანტიულ და სასიყვარულო ხასიათზე მოვიდოდა ადამიანი ამ ცის შემხედვარე, და მეც ასე მომივიდა, ეჰ. ჰოდა, ვინ, ვინ ჩავიხუტო-მეთქი გულში, ვფიქრობდი, და ავიღე ლუდის ბოთლი, ჩავიკარი და ჩავბურჯლენე. ამ დროს შემოაღეს მეოთხე სართულის აივნის კარი. გავხედე, და რას ვხედავ – გოგოა, თან საკმაოდ ლამაზი, ჩემზე ოდნავ დაბალი, სავსე მკერდით და ულამაზესი ცხვირით. აი, მართლაც, ისეთი გოგო იყო, უეჭველი ანა უნდა რქმეოდა. გა-

ვიფიქრე, რომ ნავიდეს, მართლა გადავხტები-მეთქი.

– ხომ არ შეგიშალე ხელი, უკაცრავად? – მკითხა, მაგრამ ისე, რომ პასუხსაც არ დაელოდა, აივნის მეორე კუთხეში მიჯდა.

– არა, რას ამბობ, – ვუთხარი მეც და ფეხები მოვკეცე, მისთვის მეტი თავისუფალი ადგილი რომ მიმეცა, – პირიქით. დიდი ალბათობით, სიკვდილს გადამარჩინე.

– ანა მქვია.

– ვიცი, ჰო. და სასიამოვნოა შენი ახლა გაცნობა, – ვუთხარი და ხელი გავეუნოდე. ჩამომართვა, – მე ვარ ალიკა.

– ალიკ, ლუდს ხომ ვერ გამინანილებდი? – ხელი გამომიშვირა პასუხის დალოდების გარეშე.

– ერთი ჭიქა თუ გინდა მხოლოდ და სხვისი ნაპირალის დაღვევა ზიზღს არ გგვრის, გამომართვი ეს ჭიქა და დაგისხამ, – ვუთხარი, და გამომართვა ერთჯერადი, გამჭვირვალე ჭურჭელი. დავეუსხი, მე ბოთლიდან მოვსვი.

მადლობა გადამიხადა, დიდი ყლუპი მოსვა და მერე მითხრა:

– კარგია, სასიამოვნო დასალევია. რატომ სვამ?

– კარგი ახლა, შენც ნუ დაიწყებ, – ავიქნიე ხელი გაღიზიანებულმა. მერე, რომ არ სწყენოდა, საუბრის გაბმა დავიწყე: – ოცი წლის ხომ არ ხარ, ანა?

– კი. შენც?

– და შეყვარებული ხომ არ გყავს, ანა?

– არა, მაგრამ არც შენ მომწონხარ. შენ?

– და ნომერში, ალბათ, დაქალთან ერთად ხარ, ხომ?

– კი, შენ?

– დედაშენი ექიმია, მამაშენი – ქიმიკოსი, მაგრამ გაურკვეველი გზებით შოულობს ფულს; შენ ძალიან მორცხვი პიროვნება ხარ, მაგრამ საკუთარ თავზე მაღლა დგები ყოველთვის და, შესაბამისად, ისე იქცევი, ვითომდა პირიქით, ღია და პირდაპირი იყო. შეყვარებული რატომ არ გყავს?

– ვიცნობთ ერთმანეთს? – ცოტა გაკვირვებული იყო, წარბები შეეჭმუნა.

– შენი დაქალი ისეთი მორცხვია, არც კი უკოცნია საპირისპირო სქესისთვის. დედაშენი და მამაშენი ერთად აღარ ცხოვრობენ, შენ კი მათი ცალ-ცალკე ატანა არ შეგეძლო, სახლიდან წამოხვედი და შენს თავს უთხარი, რომ ახლა ორივე შენგან შორს იქნებოდა. ორი წელია, მამიდასთან ცხოვრობ, რადგან ერთადერთი პიროვნებაა, ვისაც არც მამაშენი ეხმიანება, არც – დედაშენი. შენ კი გეკონტაქტებიან იშვიათად – ძირითადად, მაინც მამა – მაგრამ მამიდას არავინ ანუხებს, ვერც მასთან მისვლას ბედავს ვინმე. აქ რამდენი დღით ხარ?

– დავიჯერო, ეგ არ გეცოდინება? – მოლუშული იყო, არ ესიამოვნა.

– მეც ორი დღით ვარ. ბევრს რომ ჭამ, შენი თავის გრცხვენია, და მერე ორი დღე შიმშილობ, მაგრამ მესამე დღეს მაინც იმ დოზა საკვებს იღებ, შიმშილობა რისთვისაც დაიწყე; მერე ამას ხვდები და ისევ ჩვეულებრივად ჭამ იქამდე, სანამ ისევ ნერვები არ მოგეშლება და ორი დღე ხელახლა არ იშიმშილებ. საკუთარ ფორმებზე ფიქრობ, მოკლედ. შეყვარებული რატომ არ გყავს?

– საიდან გაიგე ეს ყველაფერი? – ახლალა დას-

ვა ის შეკითხვა, ასე დიდხანს ძალიან რომ უნდოდა, დაესვა.

– ლუდი რომ მოსვი, შემოგხედე თუ არა, წამსვე ყველაფერს მივხვდი. რატომ არ გყავს შეყვარებული? – მე ისევ ჩემს კითხვას ვსვამდი დაულალავად.

– თვალის ქვეშ ორი გრძელი ზოლი გაქვს ასეთ ახალგაზრდა ბიჭს, – თითი გამოიშვირა ჩემკენ და ისე მითხრა, – სვამ.

– გრძელი ცხვირი გაქვს, – ამ ჯერზე მე გავიშვირე თითი მისკენ, – ხშირად და ადვილად ჰყოფ სხვის საქმეებში.

– ნუ მეუხეშები, გეთაყვა, – გაიღიმა პირველად იმ დღეს, – ცას ახედე.

– სანამ მოხვიდოდი, იქამდე ავხედე.

– რამდენი ვარსკვლავია, თუ ხედავ, – ცაში იყურებოდა თვითონ, თითქოს აქ არ იყო, – წვიმაც კი არ მოდის ღრუბლებიდან, უყურე, არამედ – ამ ცარიელი ადგილიდან. თითქოს მოსემ გაყოო შუაზე, არა? წარმოიდგინე, სამყაროში, დაახლოებით, ორასი მილიარდი გალაქტიკაა; დედამიწა კი, უყურე, სად მდებარეობს: მზის სისტემაში, რომელიც, თავის მხრივ, „ირმის ნახტომის“ გალაქტიკაშია, „ირმის ნახტომი“ – ლოკალურ გალაქტიკების ჯგუფში; ეს ჯგუფი შედის გალაქტიკათა გროვაში, რომელიც თავად შედის ქალწულის თანავარსკვლავედში; ეს ქალწულის თანავარსკვლავედი, რომელიც ორი ათას გალაქტიკას იტევს, ეკუთვნის ლანიაკეას გალაქტიკურ ზეგროვას, რომელიც უკვე ას ათას გალაქტიკას მოიცავს. ხვდები, ალიკ, როგორი პატარები ვართ? ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ. მე სულ მინდა თავის მოკვლა. სიმართლე გითხრა, აქაც იმი-



ტომ გამოვედი, მეთქი, გადავიხედები, სიმაღლეს გადავზომავ თვალით – იქნებ, გადავხტე. მაგრამ შენ დამხვდი. ჩემი აზრით, ყველამ უნდა მოიკლას თავი, რადგან არაფერს აქვს აზრი.

სასტიკად არ მომეწონა ის, რაც ბოლოს თქვა. მაშინდა მივხვდი, რატომ არ ჰყავდა შეყვარებული. ისე, ადამიანებს ყოველთვის უჭირდათ შუაში დგომა, და სულ უკიდურესი რადიკალიზმის ზღვარზე დადიოდნენ. თუმცაღა ისიც ნათელია, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი რადიკალიზმი მეორეზე ყოველთვის უპირატესია.

მოკლედ, მოვიყუდე ლუდი და სულის მოუთქმელად გამოვცალე, მერე ფეხზე ავდექი და, რომ შემაქანა, მოაჯირს მივასკდი. ვიფიქრე, ახლა მოტყდება და თან გამიყოლებს-მეთქი, მაგრამ არაფერი მსგავსი არ მომსვლია. ანას დავემშვიდობე – ვუთხარი, უნდა წავიდე-მეთქი, და გულზე დაკიდებულ ჯვარს ხელი მოვუჭირე, რომ, მისი იმედით მაინც, ბოლომდე არ მივცემოდი სასოწარკვეთას.

\*\*\*

ზუსტად მახსოვს, ეს იყო 2017 წლის ცხრა ივნისის ღამე, რომელიც, რეალურად, უკვე აღარ იყო ცხრა ივნისი, არამედ – ათი. ქობულეთში ვიყავი ერთ-ერთ შავიზღვისპირა სასტუმროში, რომელიც სულაც არ იყო შავი. სასტუმროს მეოთხე სართულზე ვიყავი ასული, მომცრო აივანზე, და ზღვას არ გავყურებდი. ვიდექი ამ ვინრო აივანზე, ვუცქერდი პალმებიან ჰორიზონტს, როცა უცებ მომინდა, ქვევით დამეხე-და და, რატომაც არა, დავიხედე კიდევაც, თუმცა

არაფერი განსაკუთრებული მე იქ არ დამხვედრია – იდგა ერთი მუქი იასამნისფერი მანქანა, ორი გამ-ლილი ქოლგა და ასფალტი. არ ვიცი, დასავლეთის, ზღვიდან წამოსული ნოტიო ჰაერის ბრალი იყო ეს ყველაფერი თუ სხვა რაიმე აუხსნელის, მაგრამ ენით გამოუთქმელი სევდა კი შემომანვა მე იმ წუთებში და, დავხედე თუ არა კიდევ ერთხელ ნაცრისფერ ას-ფალტს, გავიფიქრე, ბარემ ხომ არ გადავხტე-მეთქი. დაიღვრებოდა კი ერთი მსხვილი ცრემლი მაინც იმის გამო, რომ, აი, მოვკვდი ამხელა კაცი? იქნებ, გაუ-ხარდებოდათ ის, რომ, როგორც იქნებოდა, დავისვე-ნებდი ამქვეყნიური უაზრობისგან? ხელები გავშალე და საკუთარ თავს მოვატყუე, ვხტები-მეთქი, მერე ცოტა გადავინიე კიდეც წინ, მაგრამ ისე შემეშინდა, აივნის კარებს ავეკარი ზურგით. დავჯექი ძირს, შე-მოვიწყვე ხელები თავზე, თუმცა, რომ მივხვდი, ასე დიდი ხანი ვერ გავძლებდი, გაძლების მაქსიმალურ დროს დავასწარი – ავდექი, კარი გამოვალე, დე-რეფანში გავედი, კიბეებზე დავეშვი, შემოსასვლე-ლი კარიც და მთავარი ჭიშკარიც დავხსენი, გავედი ცარიელ ქუჩაში და ღრმად ჩავისუნთქე. მოკლედ, სიკვდილზე და, განსაკუთრებით, თავის მოკვლაზე რომ დაინყებს ადამიანი ფიქრს, სანამ არ მოკვდება, იქამდე ვერ ჩერდება, მაგრამ მერე ფიქრობს, რა-ტომ მოკვდი, რა მინდოდაო; თუმცაღა ქალსაც აქვს – უფრო კონკრეტულად, ქალის სიყვარულს – ის მკურნალი ძალა, რომ სიკვდილზე ფიქრს მოგწყვი-ტოს, მაგრამ ეს მხოლოდ იქამდე, სანამ თვითონ ქა-ლი არ მიგატოვებს, მერე კი ბევრად მეტს იფიქრებ იმაზე, რასაც მოწყდი. ახლა გავაგრძელებ იმას, რა-საც ვყვებოდი: მოკლედ, გავედი ქუჩაში, ჩავუყვი

მეფე დავით აღმაშენებლის გამზირს იქამდე, სანამ ღია მალაზია არ ვიპოვე. მარკეტი პატარა იყო, და თავისუფლად შეიძლებოდა არ ჰქონოდათ ის, რაც მე მინდოდა, მაგრამ, რახან სხვა გზა არ მქონდა, შევედი მაინც. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მოხდაო უკვე ეს ყველაფერი. თავბრუ მეხვეოდა და ავტომატურად ვმოქმედებდი, რამაც დეჟა-ვუს შეგრძნება ათმაგად გამიმძაფრა.

– გამარჯობა, – ისევ ვუთხარი გამყიდველს იმ წამსვე, როგორც კი შევდგი ფეხი.

– გამოუმარჯოს, – ასე მიპასუხა ან, რაც უფრო მეტად სავარაუდოა, მე გავიგე ასე უცნაურად ისევ.

– ერთი იმედი მომეცით, თუ შეიძლება, – ისევ ვთხოვე.

– რაი? – საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ გაიკვირვა ისევ ხმამაღლა.

– იმედი მინდა. რა ღირს? – კიდევ გავუმეორე კითხვა დამატებითურთ.

– ჰელე, ტელევიზიის ჩართვა გინდა? არ მაქვს აგერ მე ტელევიზორი, – ისევ და ისევ ულამაზესი აქცენტით წარმოთქვა.

– არა, ტელევიზია არა, – თავი გავაქნიე და კიდევ ახსნას მოვყევი: – უიმედოდ ვარ. დილით ჩამოვედი აქ, ახლა უკვე ღამეა, მაგრამ იმედი არ მიჩნდება მაინც, ჰოდა, რა ღირს, მითხარით, და გადავიხდი ნებისმიერ თანხას.

– ახლა რაშია საქმე, თუ იცი, – დაფიქრდა ამ სიტყვებით, მერე კი მითხრა, – ბევრი იმედი მაქ მე – დაწყებული ნახევარი ლიტრიდან, დამთავრებული ორლიტრა ნახევრით – და გააჩნია, რომელ გინდა და.

– „არგო“ იმედი გაქვთ? ორი ლიტრი.

– რაფერ არ მაქვს „არგო“ იმედი! – გაიბრწყინა სახე ძალით. – თან ორი ლიტრი. ექვსი ლარი და თეთრი ორმოცი მოიტა.

– აჰა შენ ექვსი ლარი და ორმოცდაათი თეთრი, და ერთჯერადი ჭიქაც მომეცი ერთი ცალი, – ვუთხარი იმ მომენტში, როცა გავუწოდე ხუთ ლარიანი კუპიურა, რკინის ლარიანი და ორმოცდაათ თეთრიანი მონეტა. მერე ვკითხე: – ოთხი წელი გავიდა, და თავის მოკვლაზე ისევ არ გიფიქრია ჯერ?

– არა, ძმა, – ისევ ასე მიპასუხა და თან მომცა ორი ლიტრი „არგო“ და ერთი გამჭვირვალე ჭიქა.

– კაი მაშინ, – ვუთხარი ისევ ეს, სხვა რა მეთქვა, ნავაჭრი გამოვართვი და წამოვედი ისევ სასტუმროსკენ.

გამოვდგი თუ არა ფეხი მაღაზიიდან და ორი მეტრი გავიარე, მოშიშვლებულ, ფერმკრთალ მხარზე წვიმის მეტად ცივი წვეთი დამეცა, რამაც ისევ ზუსტად ის მაფიქრებინა, რომ ადამიანი, რომელიც აბსოლუტურად აზრიან სამყაროს უაზროს დაარქმევს, თავად გრძნობს საკუთარ თავს უაზროდ, მაგრამ საგნისთვის უაზროს დარქმევაში ის უკვე აზრს ნელ-ნელა ხედავს, და იცის, ფაქტი, ნესვის დიდი და მძიმე ნაყოფი რომ პატარა და სუსტ ბალახსაა გამობმული, ხოლო კაკლის მსუბუქი და პატარა ნაყოფი – უზარმაზარ ხეს, ერთი შეხედვით უსამართლობაა, მაგრამ, როგორც კი დაწვება კაკლის ხის ქვეშ და თავში ნაყოფი დაეცემა, ხვდება, ნესვი რომ დაეცემოდა, კიდევაც გაუხეთქავდა თავს. მეორე წვეთიც რომ დამეცა ახლა უკვე მეორე მხარზე, ფიქრი შევწყვიტე, რადგან ისე მომინდა უცებ

დალევა, რომ გონების ყველა ნერტილიდან გამო-  
მავალი უხილავი ძალწირი ლუდის ბოთლისკენ გა-  
მექცა. ნაბიჯის სიჩქარეს მოფუმატე საგრძნობლად.  
საკუთარ აზრებს ისე ვყავდი დატყვევებული ბოლო  
პერიოდის განმავლობაში, რომ ყოველ დღე დღეში  
რამდენჯერმე ვსვამდი, მაგრამ განა იმიტომ, რომ  
დალევა ან ფიქრს ასუსტებს – არადა, პირიქით, აძ-  
ლიერებს კიდევ მომენტებში – ან იმიტომ, რომ ცუდ  
გუნებაგანწყობილებას კარგით ცვლის, არამედ, რა  
ვიცი... არ ვიცი, რატომ. ალბათ, მიზეზი მაინც ის  
იყო, რომ ჩემს სულში არსებული სიცარიელე ხორ-  
ცში არსებული სიცარიელე მეგონა, და მუცელს  
ვივსებდი სასმლით; ანდაც იმიტომ, რომ ალკოჰო-  
ლი ცენტრალურ ნერვულ სისტემას მიდუნებდა და  
ტვინზე აბსოლუტურ ძალაუფლებას ვერ ვიღებდი,  
ის კი აკეთებდა ყველაფერ იმას, რის უფლებასაც  
ჩემი ადამიანური არსება არ ან ვერ აძლევდა ხოლმე.  
სასტუმროშიც მაგიტომ მიმქონდა ლუდი იმ დღეს,  
ხომ ხვდებით. გზაში, რომლის გავლა ხუთ ნუთში  
თავისუფლად შეიძლებოდა, ძლიერად გამიწვიმდა,  
მაგრამ სისველეს, რალა თქმა უნდა, არ შეეუშინდი,  
და გავაგრძელე სიარული კუს ნაბიჯებით. თავიდან  
ვიფიქრე, ნომერში ავალ-მეთქი, მაგრამ მერე ერთი  
კონტრარგუმენტის გარეშეც უარყავი პირველი აზ-  
რი, და გადავწყვიტე ისევ იმ აივანზე ჯერ ასვლა და  
შემდეგ გასვლა, რომლიდანაც დავეშვი მალაზიაში.

აივანზე რომ ავედი, ქვევით აღარ ჩამიხედავს,  
თორემ, ვიცოდი, ერთიც რომ გადამეხედა, შეიძლე-  
ბოდა მართლა გადავმხტარიყავი. მივჯექი კუთხეში,  
ცივ იატაკზე საჯდომი დავდე, გაყინულ მოაჯირს  
ზურგი მივაჭდე, თუმცა შემეშინდა, არ მოტყდეს

და მე არ გადავვარდე-მეთქი. სიკვდილი რომ გინდა ადამიანს, ესეიგი რალაც ძლიერი და ფასეული გაკლია. ჯოჯოხეთის სტანდარტებით, მშვენიერი საღამო იყო. ცხელოდა. ქიებისგან გამობრუნული ასწლოვანი ხმელი ბაობაბივით იწვოდა დედამინა, ხოლო ცა თითქოს ჯიბრზე ამატებდა ცეცხლზე ნავთს. წვიმდა. ზეცის ერთ მხარეს შავი ღრუბლების მასიური ფენა მოგროვილიყო, იგივეს თქმა შეიძლება მეორე მხარეზეც, მაგრამ შუაში ამ ღრუბელთა მასებს ჰყოფდა ვარსკვლავებით სავსე გრძელი ვაკუუმი, ლურჯ-მოიასამნისფრო. პირდაპირ რომანტიულ და სასიყვარულო ხასიათზე მოვიდოდა ადამიანი ამ ცის შემხედვარე, და მეც ასე მომივიდა, ეჰ. ჰოდა, ვინ, ვინ ჩავიხუტო-მეთქი გულში, ვფიქრობდი, და ავიღე ლუდის ბოთლი, ჩავიკარი და ჩავბურჯლენე. ამ დროს შემოაღეს მეოთხე სართულის აივნის კარი. კისერი ჩრდილო-დასავლეთით მოვაბრუნე, თვალები ფართოდ გავაღე, და რას ვხედავ – გოგოა, თან ისეთი, რომ, მართლა, როგორც კი დავინახე, შემიყვარდა. სახე ჰქონდა წვრილი, ულამაზესი, ცხვირიც ასეთივე წვრილი და ლამაზი ჰქონდა, პატარა და ოდნავ წანვეტებული; თვალები – ოდნავ მოჭუტული, თვალის ფერადი გარსი – შავი, შავი; ტანი ჰქონდა, როგორც ყველაფერი, წვრილი, გამხდარი და გამოყვანილი – ზუსტად ისეთი, შეხებას რომ დააპირებ, ხელი აგიკანკალდება და გადაიფიქრებ; მისი ფეხებიც წვრილი იყო, მაგრამ, სუსტიო, ვერ იტყოდით; თმა ქერად ჰქონდა შეღებილი, მაგრამ ბუნებრივი ფერიც უჩანდა თმის ღერების თავებში. მოკლედ, სიყვარული იყო, რა – რა აზრი აქვს გარეგნობას, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ამდენი

ვილაპარაკე. რომ გამოვიდა აივანზე და მკაფიოდ დამინახა, უკან გაბრუნდა და გასვლა დააპირა, მაგრამ წამოვხტი და შევაჩერე. მე გავალ-მეთქი, რომ ვუთხარი, არა, რას ამბობო, ასე მიპასუხა, და უფრო შემიყვარდა. ისეთი გოგო იყო, უექველად ღვთისმშობლის სახელი უნდა რქმეოდა, მაგრამ ამხელა პასუხისმგებლობის მორიდებოდა და ერთი ასო ჩამოეშორებინა. ასეც იყო.

– დავრჩები, კარგი, – თქვა ბოლოს, – მაგრამ შენც დარჩი. არ მინდა, ცუდად გამოვიდეს.

– ჩემი ყოფნა თუ განუხებს, – ვუთხარი უხერხულად, რადგან „თქვენობით“ მინდოდა საუბარი, თუმცა, რახან თავად არ დაუნყია ასე, არც მე დავინყე, – მაშინ წავალ, რადგან არ მინდა, მხოლოდ ნამუსის გამო გაატარო დრო იმ ადამიანთან, ვისაც არც იცნობ და, თან, ლუდის სუნი ასდის და ბოთლიც გვერდზე უდგას.

– არა, არა, – მშვიდად თქვა, – რახან ასეა, ასეც იყო საჭირო. „განგებასა ვერვინ შეცვლის – არ საქმნელი არ იქმნების“,<sup>1</sup> – შოთას სიტყვები გაიმეორა და გამიღიმა. რა ღიმილი იყო!.. კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა.

– ეგრეა, – დავეთანხმე, – „არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“.<sup>2</sup>

– მართლა ასე ფიქრობ? – მკითხა, და ოდნავ სევდიანად, მაგრამ უმშვენიერესად ამომხედა – ჩემზე დაბალი იყო საკმაოდ, – თუ უბრალოდ იმიტომ თქვი, მე რომ ვთქვი პირველად?

---

1. რუსთაველისეული აფორიზმი.

2. რუსთაველისეული აფორიზმი.

– არა, მართლა ასე მგონია, – ვუპასუხე და, რეალურად, არც მომიტყუებია.

– რატომ სვამ? რა ლამაზი ცაა, ნახე, – ცას არ ვუყურებდი, მაგრამ მარია კი ლამაზი იყო.

– მარია... – აღმომხდა კიდევაც.

– ვიცნობთ ერთმანეთს? – ძალიან გაუკვირდა და, მგონი, შეეშინდა.

– შარშან ილიას უნივერსიტეტში შოპენის საღამოზე უკრავდი, და იქიდან მახსოვხარ, – არც კი ვყოფილვარ იქ, მაგრამ, ხომ ხვდებით.

– ე, იქ იყავი? – გაეზადრა მთლიანი სახე, – რა მაგარია! არ მახსოვხარ, არადა ცოტა ხალხი იყო.

– არაუშავს. პირველ რიგში ვიჯექი, ისე. ასეთი ძლიერი კონცერტი ბოლოს როდის მოვისმინე, არ მახსოვს, – ვუთხარი და ისევ მომინდა თავის მოკვლა უცებ, წამის სიძლიერით. ავინიე ფეხისწვერებზე, გადავიხედე აივნიდან, მერე მარიას ვკითხე: – გადახტებოდი?

– არა, – მიპასუხა, მერე კი წამსვე მკითხა: – შენი სახელი?

– ალიკა ვარ მე. რომ გადავხტე, გეწყინება?

– რა თქმა უნდა.

– მაშინ არ გადავხტები.

– რამდენი ვარსკვლავია, თუ ხედავ, – ცაში იყურებოდა თვითონ, თითქოს აქ არ იყო, – წვიმაც კი არ მოდის ღრუბლებიდან, უყურე, არამედ – ამ ცარიელი ადგილიდან. თითქოს მოსემ გაყოლო შუაზე, არა? წარმოიდგინე, სამყაროში, დაახლოებით, ორასი მილიარდი გალაქტიკაა; დედამიწა კი, უყურე, სად მდებარეობს: მზის სისტემაში, რომელიც, თავის მხრივ, „ირმის ნახტომის“ გალაქტიკა-



შია, „ირმის ნახტომი“ – ლოკალურ გალაქტიკების ჯგუფში; ეს ჯგუფი შედის გალაქტიკათა გროვაში, რომელიც თავად შედის ქალწულის თანავარსკვლავედში; ეს ქალწულის თანავარსკვლავედი, რომელიც ორი ათას გალაქტიკას იტევს, ეკუთვნის ლანიაკეას გალაქტიკურ ზეგროვას, რომელიც უკვე ასი ათას გალაქტიკას მოიცავს. ხვდები, ალიკ, როგორი პატარები ვართ? – ღმერთო, როგორ არ მინდოდა, ისევ იმ სიტყვებით გაეგრძელებინა, რაც ოთხი წლის წინ მქონდა მოსმენილი! ასე წაიყვანა საუბარი შემდეგ მარიამ: – ძალიან, ძალიან პატარები ვართ, მაგრამ – რა საოცრებაა – მთელი ეს ვარსკვლავები იმ ატომებისგან შედგებიან, რა ატომებიც ჩვენს შემადგენლობაში შედის. ჩვენ დიდი ოჯახის წევრები ვართ. ჩვენ იგივე წონა გვაქვს – თუ უფრო მეტი არა – როგორც იმ ვარსკვლავს, აი, ყველაზე ძლიერად რომ კაშკაშებს. ჩემიც, შენიც და სირიუსის, აგერ რომ მოჩანს, ატომები ერთ მომენტში წამრმოიქმნა, უბრალოდ, სამყაროს გაფართოებასთან ერთად, სივრცის სხვადასხვა წერტილში აღმოჩნდა, გესმის? შენ ის ხარ, რაც ეს ვარსკვლავია, რაც მე ვარ, რაც ეს მზეა, რაც სამყაროა. ადამიანი მხოლოდ სამყაროს ნაწილი კი არა, არამედ სრული სამყაროა. გგონია, სამყარო სხვა ატომებისგან შედგება? გგონია, სამყარო არ ფიქრობს, არ გრძნობს, ვერ ხედავს? სამყარო – ეს შენ ხარ, მე ვარ, ერთად და ცალ-ცალკე. ყველაფერს აქვს აზრი ამ ქვეყანაზე.

ენა ჩამივარდა. ზუსტად სამყაროს გაფართოების სიჩქარით ფართოვდებოდა ჩემი სიყვარული მარიას მიმართ. უნდა მეკითხა, რატომ არ ჰყავდა შეყვარებული? თუ არ უნდა მეკითხა? მე ვფიქრობ, სიყვა-

რული ერთადერთი გრძნობაა, რომელიც ადამიანს სამოთხიდან შემორჩა, და მხოლოდ ეს გრძნობა დააბრუნებს მას ედემში. ადამიანს ყველაფერი რომ ჰქონდეს, მაგრამ სიყვარული – არა, ეს იგივეა, არაფერი რომ არ ჰქონდეს. მოკლედ, მერე, როგორც ყოველთვის, ცნობისნადილმა რომ გადაწონა სხვა ყველაფერი და იმ ხერხს რომ მივმართე, რომლითაც ანას ცხოვრება შევიტყვე და მარიას შოპენის საღამო, ისიც დავინახე, რომ ამ ჩემ წინ ატუზულ გოგონას, რომელიც, ეჭვი არ იყო, შემყვარებოდა, ვილაცა ჰყავდა – ანუ, ხომ ხვდებით, ურთიერთობა ჰქონდა ჩემზე უფროს კაცთან, ასე ოცდაათი წლის.

ისევ მომინდა სიკვდილი, იმ აივნიდან გადახტომა. ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ მგონია, სიყვარულის ნაკლებობას ვერაფერი შეავსებს, თუმცა თავად სიყვარულს სხვა ყველა დანარჩენი სიცარიელის შევსება შეუძლია. თუ ადამიანს სიკვდილი უნდა, ეს ნიშნავს, რომ მას ცხოვრებაში ჭეშმარიტი ხელოვნება სჭირდება, მაგრამ, თუ ადამიანს, კონკრეტულად, თავის მოკვლა უნდა, მას აუცილებლად სიყვარული აკლია.

რა ვიცი. არ ვიცი.

11-12 ივნისი, 2017 წელი

## ჩაკრულო

გზაჯვარედინთან, შუქნიშნის წინ გაჩერდა ჩემი წითელი „კადილაკი“, შუქნიშნის ბურთის წითელივე ფერისდა გამო. უმანქანობის პერიოდში, როცა ღრუბლიანი ამინდი იდგა, რომ ჩამოვდგებოდი ხოლმე შუქნიშანთან, ავიხედავდი ზევით ისე, რომ სამივე მანათობელი ბურთულის ფონზე შეშინებული თავის ბენვისფერი ცა ფონად გამოჩენილიყო, დაველოდებოდი ხოლმე სამივე ფერის გამოცვლას, მერე ფოკუსირებას მხოლოდ ცაზე მოვახდენდი, და გავიფიქრებდი, ამაზე ნათელი და მრავალფეროვანი რომელი ამინდია-მეთქი. მერე კი, მანქანა რომ ვიყიდე უკვე, მხოლოდ წითელზე ვჩერდებოდი, ნარინჯ-სტაფილო-ფორთოხლისფერზე ძრავას ავახმაურებდი, ხოლო მწვანეზე უკვე მივქროდი, და მენატრებოდა ის დრო, სამივე ფერს რომ პირდაპირ ვუყურებდი ხოლმე იმაზე ფიქრში, აი-მეთქი ცისარტყელა ღრუბლიან ცაზე. მოკლედ, დავინწყე და შევყევი ისევ... გზაჯვარედინზე ვიდექი და, სანამ წითელი ფერი იყო შუქნიშანზე ანთებული, უნდა ამერ-

ჩია, მარჯვნივ შევუხვევდი, პირდაპირ ვივლიდი და მერე მარცხნივ წავიდოდი, თუ პირდაპირ გავაგრძელებდი გზას და შემდეგ მარჯვნივ შევუხვევდი. უნდა ამერჩია-მეთქი, ვთქვი, მაგრამ, მასხოვს, იმ წამს ვიფიქრე, სულელი ვარ, ასე რომ ვფიქრობ-მეთქი. სწორიც ვიყავი, თუ გაინტერესებთ. გზა, სინამდვილეში, უთვალავია, მაგრამ ამ უთვალავი გზიდან განა მხოლოდ ერთი მიდის ჭეშმარიტებამდე, არამედ – ყველა. სისულელე იქნებოდა, მხოლოდ ერთი რომ ყოფილიყო სწორი, რადგან ადამიანს როდესაც უნევს არჩევანის წინაშე დადგომა, იმას არჩევანის ძალაც უნდა შესწევდეს. მაგრამ, მეგობრებო, ჩვენ მოგვატყუეს ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სიმართლე გვითხრეს სიცილით, ჩვენ კი, სულელებმა, რახან დავინახეთ, იცინიანო, ეს სიმართლე ხუმრობით გაჟღენთილ ტყუილად მივიღეთ. იმის თქმა მსურს, რომ, ცხადია, არჩევანი არ არსებობს, ტყუილია. ჯაჭვი თითოეული ჩვენგანის დაბადების წამიდან მჭიდროდ იკვრება, ყოველ მის რგოლს კი აუცილებლობისა და გარდაუვალობის ძალითა და გზით მივყავართ მომდევნო რგოლამდე. ჩვენ გვგონია, რომ უამრავი გზიდან მხოლოდ ერთია სწორი, მაგრამ, სინამდვილეში, ასე არაა, თუმცაღა ეს უამრავი გზაც აუცილებლობის ერთ-ერთი ჯაჭვია, რადგან ადამიანმა მათ უნდა მისდიოს და ზუსტად იმაზე იფიქროს, რომ ის არასწორია, რომ ის ცდება; ამ გზებზე სიარულისას ადამიანი ეჭვებმა უნდა დაღრღნას, აწამოს და უფრო მწარედ განაცდევინოს თავისი არსებობა, რომ, შეცდომის აღიარების გზით, ჭეშმარიტებამდე მცდარი გზითად მივიდეს, რადგან ჭეშმარიტებაც გარდაუვალია.

მოკლედ, ძმანო და დანო, აინთო თუ არა მწვანე შუქი რგოლში, იმ წამსვე მივაჭირე პედალს და პირდაპირ წავედი, რადგან, რომ შემეხვია, ისე მეგონა, უეჭველად რამე დამემართებოდა. სინამდვილეში კი არც არაფერი მეგონა, უბრალოდ ასე გადავწყვიტე ან, სიმართლე ითქვას, არც გადამინყვეტია. ამინდი ზუსტად ისეთი იყო, მე რომ ასეთ დროს შუქნიშნის ფერების ცვლის პროცესის ყურება მიყვარდა ხოლმე. მარშრუტი ზუსტად ისე გავიარე, როგორც ზემოთ აღვწერე, და საბოლოოდ სასაფლაოს ჭიშკარს მივადექი.

თბილისის ერთ-ერთი თმაჭაღარა, ფაფარაშრილი და სიამაყის ცრემლგარეული საგოდებელი გადამეშალა თვალწინ, როცა ჭიშკარი ღრჭიალით შევაღე. ბინდი იდგა, ამის გამო კი ხილვადობა გაუარესებული იყო, მაგრამ, დამიჯერეთ, რალაცნაირად ვგრძნობდი, რომ ირგვლივ ენით აღუწერელი სილამაზე მერტყა გარს. ბინდი, სინამდვილეში, ხელს არ უშლიდა ამ სილამაზის დანახვას, არამედ იდუმალეზას ანიჭებდა, მნიშვნელობას უმძაფრებდა, იდუმალეზა კი თხემით ტერფამდე ჰარმონიულად ერწყმოდა თვით სასაფლაოს პირვანდელ არსს, რამაც ჩემი რელიგიურობის განელებული გრძნობაც კი გააღვივა შეფარული ძალით. იქ, მიწის იმ საკმაოდ დიდ ნაჭერზე, რომელიც გარე სამყაროსგან რკინის ჭიშკრითა და გარდაცვალების შესრულებადობით იყო გამიჯნული, შავი და თეთრი საფლავის ქვები მკაფიოდ, კონკრეტულად და ნითელი კალმითაც კი უსვამდა ხაზს პირდაპირ შეურიგებლობას სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, და მათ შუა ჩამდგარ შუღლს კიდევ უფრო მეტად აღვივებდა. ეს ადგილი იყო

თვით თანასწორობა, ცნება „ერთის“ ხორცშესხმა – აქ ნახავდით იმათაც, ვისაც დაბადება არ ელირსა და დედის მუცელშივე მოკვდა, და იმათაც, ვინც შვილ-თაშვილების სკოლის დამთავრებას მოესწრო. ბინდი იდგა-მეთქი, ვთქვი, მაგრამ მოდით აქ დღის შუქზე, და ნახავთ, რომ სასაფლაოს სული ქართული სულია ან, სულაც, მხოლოდ მომენტში კვეთენ ეს სულები ერთმანეთს. ქართველი იტყვის: „როგორ, ჩემი მიცვალებულის მეზობელ მიცვალებულს ჩემსაზე უკეთესი საფლავი უნდა ჰქონდეს?!“ და უკანასკნელ თეთრს გაიღებს, რომ თავისი გარდაცვლილის მეზობელ გარდაცვლილს აჯობოს საფლავის სილამაზით. სხვა გარდაცვლილის ოჯახი, რომელიც, თავის მხრივ, იმ ზემოთ ხსენებული ქართველის მიცვალებულის გვერდზე დაასვენებს თავის მიცვალებულს, გადანყვეტს, უკვე თავის მეზობელს აჯობოს, და ასე გრძელდება ეს უსასრულოდ, სანამ თავად სასაფლაო არ იქცევა მსოფლიო მუზეუმის ექსპონანტად ან, საბოლოო შემთხვევაში, თავად მუზეუმად, სადაც თითოეული საფლავის ქვა ხელოვნების ძვირფას ნიმუშს წარმოადგენს. ბოლოს, როგორც იქნა, მეც ვიპოვე ჩემი ძმის საფლავი, მივედი და პირდაპირ კუბოს თავზე – მე ხომ მახსოვდა, სად ჩადეს კუბო – ამოსული ბალახის გლეჯვა დავინყე. უცებ კი ცამ ინათა.

მახსოვს, მექანიკურად ვმოქმედებდი, მაგრამ გულის ან გონების ბნელ კუნჭულში მაინც ვგრძნობდი, რომ ჩემს თავს ვფლობდი, და რომ არავითარი გარეშე ძალა არ მოქმედებდა ჩემი სხეულით. იქით წავედი, საითაც ინათა, და სულ გადამავინყდა ჩემი ძმის საფლავი. აღმოჩნდა, რომ განა მთლიანად ცამ,

არამედ რალაცა ერთმა ობიექტმა გაანათა, რომელიც მეტად დიდი იყო, ფრიზბის ფორმის, მტკიცე ფოლადისგან დამზადებული. მაღალი სხეულები გავარჩიე, რომელთაგანაც ერთ-ერთი ჩემთან მოვიდა, გამიღიმა აშკარად კეთილად და თავისიანებისკენ ხელის გაშვერით მიმანიშნა, თუ გინდა, წამომყევით. მაღალი იყო ჩემზე, დაახლოებით, ორი თავით. გავყევი რატომღაც უშიშრად – ალბათ იმიტომ, რომ სანამ ჩვენ, ადამიანები, რამეს გავაცნობიერებთ, ქვეცნობიერმა უკვე ყველაფერი იცის, და მეც ამ ქვეცნობიერის კარნახით ვმოქმედებდი, რადგან მიჩურჩულა, გაყევიო. ცხრანი იყვნენ, ერთ-ერთი მათგანი კი გამოვიდა, კეთილი სახით მომაჩერდა, ხელი ჩემკენ გამოიშვირა და მითხრა:

– ლაზარ.

– არა, no, нет, nein, – ვუთხარი, – მიხაილი.

გაცინა, და აშკარად გახალისდა. მერე თავი გააქნია და ისევ მითხრა:

– ლაზარ, – თითოთ ისევ ჩემზე მიანიშნა, – ლაზარე.

– მიხაილი, – ისევ გაუუმეორე.

მიხვდა, რომ მე ვერ მივხვდებოდი, ამიტომ საიდანლაც წიგნები გადმოიღო – გადმოიღო-მეთქი უბრალოდ ვამბობ, თორემ, სინამდვილეში, თითქოს არსაიდან გააჩინა – და დამანახვა. ხელში „ვეფხისტყაოსანი“ ეჭირა, ასევე „არტიტული ყვავილები“, „რექვიემი“, ხოლო დანარჩენი ორი რა იყო, ვერ გავარჩიე. ქართულად რომ იყო წარწერები, ზუსტად მახსოვს. მოკლედ, ამ წიგნებს დაადო ხელი, მერე – მე, და ისევ გაიმეორა:

– ლაზარე.

ამ ჯერზე მივუხვდი, გავიღიმე, თავი დავუქნიე და მეც ვუთხარი:

– ლაზარე.

– სიყვარული, – თქვა კეთილი ღიმილით, – ომი; მშვიდობა; ქრისტე; იესო; მე; შენ; ის; იგი; ჩვენ; თქვენ; ისინი; იგინი; შოთა; ნიკოლოზ; ლუკა; გატუნია; შონია, – მერე ჩემი სახელი წარმოთქვა, ბოლოს კი: – ჩაკრულო...

– ჩაკრულო?! – შევძახე.

უცნობს გაეღიმა, შემდეგ ისევ არსაიდან გადმოიღო აუდიოფირი დისკიანად, ჩართო და თქვა:

– ჩაკრულო.

32 იანვარი (31 იანვრის ღამე), 2017 წელი



## ნაღვივის ბუმბუი – ანუ, ომდაგვირთხ სკვლა

მუქი ყავისფერი ფარდის მიღმა მზიან ამინდში რომ გაიხედო, რა ფერსაც აღიქვამს თვალი, ისეთი ფერის ცა იყო იმ დღეს, მაისის შუა რიცხვებიდან ერთ-ერთ რიცხვში. რომ გავიღვიძე, თავი ბალიშიდან ვერ ავწიე, რადგანაც ისე დამმძიმებოდა, თითქოს ქალას ძვლების შიგნით არსებულ ღრუში ტვინი კი არა, ტონიანი ლითონი მდებოდა. არ მახსოვდა, წინა დღეს – ან, თუნდაც, ღამეს – რა მოხდა, და არც ის ვიცოდი, მომდევნო დღეს რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ იმ მომენტში უცებ მომინდა ფორტეპიანოზე დაკვრა და, იმის გამო, რომ სახლში ინსტრუმენტი არ მქონდა, მომენტალურად მომეცა ძალა, ავმდგარიყავი და წავსულიყავი მეორე მუსიკალურ სკოლაში, რომელიც მეგობრობის გამზირის ორმოცდაერთ ნომერში მდებარეობდა – და, იქნებ, მდებარეობს კიდევ – რომ იქ რომელიმე ოთახის გასაღები მეთხოვა ჩემი ნაცნობი დარაჯისთვის, და ფორტეპიანოზე მშვიდად დამეკრა. მოკლედ, დავძლიე ჩემი ტონიანი თავი, ავწიე ბალიშიდან, ჩვეული

პროცედურები ჩავიტარე და გადავწყვიტე, გავსულიყავი სახლიდან, მაგრამ წამიერად შემძრა თავმა შიგნიდან, ამატკია ზედა და ქვედა ჰაიმორული ღრუები, ამინუილა ყურები, ჰოდა, ამიტომ მივხვდი ყველაფერს – გავედი სამზარეულოში, გამოვალე ჩემი ოქროსფრად შეღებილი კარადა, ამოვიღე პატარა არყის ჭიქა, ჩამოვისხი ჭაჭა, გადავკარი და, როცა მთლიანად გამიარა ყველანაირმა ტკივილმა, ავდექი და წამოვედი ისე, რომ არც კი მიმილაგებია სამზარეულო. ვერ ვითმენდი, რომ მივსულიყავი მუსიკალურ სკოლაში, რადგან ჯერ არ არსებული მელოდია მიტრიალებდა თავში, ეს კი მე უნდა გამომეცადა ფორტეპიანოზე, რომ მერე, ამ გამოცდის შემდეგ, ნოტებით ჩამეწერა კიდეც. სოლ მინორი-მეთქი, მახსოვს, ასე გავიფიქრე. სოლ მინორი ყველაზე სევდიანი, ნალვლიანი ტონალობაა. მერე სიტყვებზე მოვყევი ფიქრს – მაგალითად, ნალველზე: მეთქი, ნეტავ, რატომ დაარქვა ჩვენმა წინაპარმა ნალველს ნალველი ან, მეორე მხრივ, ღვიძლის ქვეშ მდებარე ნალვლის ბუშტის წვენს – ნალველა, ან ნალვლის ბუშტიც კი? მერე სიუჟეტი დამეხატა და თვალწინ წარმომიდგა: ძველად იბერიაში ან, თუნდაც, კოლხეთში დადიოდა ერთი კაცი, რომელიც მუდამ სევდით იყო განმსჭვალული; ასაკი – ოცდახუთიდან ოცდაათ წლამდე; საბოლოოდ, ოცდათერთმეტის რომ გახდა, გარდაიცვალა; დაფიქრდნენ დასახლებობის უხუცესები, დაეწვათ თუ დაემარხათ, და საბოლოოდ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჯერ გაეჭრათ მისი სხეული, რადგან ასეთი ნალვლიანი კაცი, ასეთი სევდიანი, მათ ლოკაციაზე ჯერ არ დაბადებულყო; გაჭრეს და, ბუნებრივია, დახვდათ შინაგანი ორ-

განოები, რომელთა უმეტესობას უკვე იცნობდნენ, მაგრამ იყო ერთი, რომელიც, კი, შესაძლოა ენახათ კიდევ მანამდე, თუმცა სახელი ჯერ არ დაერქმიათ; მოიყვანეს ექიმი, უთხრეს, ამ პატარა ბუშტს დახედე, ღვიძლის ქვემოთ, და გვითხარი რამე, რაც გაგიხარდებაო; ექიმი დააკვირდა, და საბოლოო დასკვნის დრო რომ მოვიდა, თქვა, ეს ბუშტი აქამდეც მაქვს ნანახი, მაგრამ ასეთ გაუბედურებულ მდგომარეობაში არაო; შესაძლოა, ამ კაცის საყოველთაოდ ცნობილი ნალველიც კი აქედან იყოსო გამოწვეული; ამ სიტყვებმა დააფიქრა მოსახლეობა და, ცოტაოდენი დროის გასვლის შემდეგ, ამ ღვიძლის ქვემოთ დაკიდებულ ბუშტს ნალვლის ბუშტი ეწოდა, მის წვენს კი – თავად ნალველი. რა ვიცი, სიმართლეა თუ არა – იქნებ, იყოს კიდევაც – მაგრამ, მგონი, ბუნებრივად ჟღერს. ჰა, არა?

მოკლედ, მე ამ ფიქრების დროს უკვე ქუჩაში ვიყავი და კარგა მანძილიც გამეწვლო. სულ ასიოდე მეტრი მქონდა დარჩენილი, სანამ მეორე მუსიკალურ სკოლამდე მივალწვედი, ამიტომ გადავწყვიტე, მეყიდა უკვე რამე სასმელი, რომ დამედგა ფორტეპიანოს თავზე, როგორც გამართული მეტრონომი, და მშვიდად დამეწყო საქმე, რომელიც ასე მექაჩებოდა თავისკენ. ანუ, ესეიგი, შევედი მაღაზიაში, საში ქილა „ტუბორგი“ ვიყიდე და ისევ გაავგრძელე გზა, ქვაფენილით გაგებულნი. მეორე მუსიკალურ სკოლას რომ მივადექი, უკვე ისე ცხელოდა, გველი რომ ვყოფილიყავი, ტყავსაც გავიხდიდი, მაგრამ არ ვარ გველი, არც ვიყავი, თუ დაიჯერებთ. შევედი შენობაში, შვიდი ნაბიჯი გადავდგი ზღურბლიდან ჩრდილოეთის მიმართულებით და პატარა ოთა-

ხის ხის კარს მივადექი, დავაკაკუნე, შევალე და ჩემი ნაცნობი ნუგო-ნუგზარი დავინახე.

– ნუგზარ, ძმაო, როგორ გამიხარდა შენი ნახვა!  
– ისე მოვატყუე, რომ, ლამის, მეც დავიჯერე და კინალამ ვუთხარი, ერთ დღეს ჩავუსხდეთ სადმე, კარგად მოვილხინოთ-მეთქი, – როგორ ხარ?

– არამიშავს, რამაზ, ჯიგარო, – ხელი ჩამომართვა და მჭიდროდ გადამეხვია, – არ გამოჩენილხარ, რამდენი ხანია.

– კი, ეგრეა, – დავეთანხმე ფაქტზე, – და ახლაც იმიტომ მოვედი, რომ შენი იმედი მაქვს.

– აბა, მითხარი, რა ხდება? – დოინჯი შემოირტყა მენჯზე.

– არაფერი ისეთი... უბრალოდ, თავისუფალი კლასი თუ მოიძებნება, გთხოვ, რომ გასაღები მათხოვო – სულ ერთი საათით მინდა.

– სამი თავისუფალი კლასი მაქვს, და აუცილებლად მოგცემ გასაღებს, ძმაო, მაგრამ, – მარჯვენა ხელზე ჩამოკიდებული პოლიეთილენის ცელოფნის შიგთავსს მოავლო თვალი ნუგზარმა, – ბავშვები სწავლობენ აქ, და შეეცადე, არავინ დაგინახოს, როგორ დალევ.

– დავმალავ, ძმაო, ნუგო, – შევძახე დაპირების ტონით, – შენ ოღონდ გასაღები მომეცი.

მომცა გასაღები ნუგზარმა, რომელიც ნომერ მერვე კლასს აღებდა, და მეც, რალა თქმა უნდა, ამ კლასისკენ გავეშურე, თან სამ ქილა ლუდს უნიჭოდ „ვმალავდი“ ხან სად, ხანაც – სად. კლასის კარი რომ შევალე და ფორტეპიანოს მიუჯექი, ხუთ ნუთში ვილაც ქალი შემოვიდა – დირექტორმა მე მომცა ნება, ამ კლასში შემოვსულიყავიო. რა მეთქვა – კარგით,

რაზეა-მეთქი საუბარი, და დავუთმე ჩემი ადგილი. გავედი დერეფანში და მივაკითხე ისევ ნუგზარს. დღის ორი საათი იყო. ვუთხარი, ასე და ასე მოხდა, კლასიდან გამოსვლა მომიწია-მეთქი. ნუგომ დამამ-შვიდა, სამ საათამდე მთავარი დარბაზიც ცარიელია და შეგიძლია, იქ დაუქრაო. მე ვუთხარი, ჯიგარი ხარ-მეთქი, და გავიქეცი დარბაზისკენ, კარი შევაღე, მერე ეგრევე გიჟივით მოვიხურე და, სცენაზე მდგარ როიალთან რომ უნდა ავვარდნილიყავი უკვე, დავინახე, ზუსტად იმ როიალს, მე რომ მინდოდა დაკვრა, ვილაც ქალი დარაჯობდა.

– უკაცრავად, – ვუთხარი, – თავისუფალი არაა როიალი? დაკვრა მინდა...

– იცით, – ძალიან ბებრული ხმა ჰქონდა, – შიგნით მუშია წევს და, კლავიშს რომ დააჭიროთ თითი, ჩაქუჩი მოხვდება და იტირებს ან, უარეს შემთხვევაში, გაბრაზდება, გადახსნის როიალს, ამოვა და დაგვხოცავს. მე ვფიქრობ, ჯობია, კუთხეში რომ პიანინო დგას, იმაზე დაუქრათ.

რალა მეთქვა – მუშია არისო და, ინტრიგანი ხომ არ ვიყავი, რომ ასე ჯიბრზე გამეთავისუფლებინა? ამიტომ, მივუჯექი კუთხეში მდგარ ფორტეპიანოს, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, აღმოვაჩინე, რომ მელოდია, რომელიც მთელი დღე მიტრიალებდა გონებაში, გამქრალიყო. ყველას დედა ვატირე-მეთქი, გავიფიქრე, ერთი ქილა ლუდი ერთი მოყუდებით გამოვცალე, ნარჩენი იქვე დავაგდე და ეზოში გავედი. მზე აჭერდა, მართალია, თუმცა მაინც მომიწინადა, ცაში ამეხედა. წამით მზის მძლავრმა ელვარებამ დამაბრმავა, მაგრამ მერე უეცრად მოვკარი თვალი ცხრა სართულიანი შენობის სახურავზე მდგარ ფი-

გურას, რომელიც ადამიანს ჰგავდა – ქალს ან გოგოს. ისე, ქალი ხომ რთული მექანიზმია, მაგრამ, ჩემი აზრით, გოგო ქალზე რთულია, რადგან ბოლომდე ქალი არაა, თუმცა ძალიან უნდა ქალობა. აქვე დავამატებ, უცნაურად რომ არ მოგეჩვენოთ: მეორე მუსიკალური სასწავლებელი მდებარეობს მეგობრობის გამზირის ორმოცდაერთ ნომერში, ცხრა სართულიანი კორპუსის პირველ სართულზე. ახლა ამბავს ვაგრძელებ: მოკლედ, დავინახე ეს ქალი თუ გოგო და, აწი მე რაღა გამაჩერებდა, ჯერ ხელების ქნევა დავიწყე, ვუყვიროდი, დამელოდე-მეთქი, მერე კი მოვუბრინე კორპუსს, სადარბაზოში შევევარდი, ავირბინე ცხრა სართული და სახურავის ღია ქრილს მივადექი. ჯერ პატარა რკინის კიბეზე ავცოცდი, შემდეგ ქრილში შევედი ან, თუ უფრო სწორი იქნება, ავედი, აქედან კი სხვენზე აღმოვჩნდი. სხვენში კიდევ იყო ერთი ღია ქრილი, რომელიც წამსვე მეცა თვალში და მზერა მომჭრა. მივირბინე მასთან, ავხტი და სახურავზე აღმოვჩნდი. მისი ზედაპირი სწორი იყო, მეორე ბოლოში კი ღია ნაბლისფერი, თითქოს უძლური ცეცხლის ალისფერი თმების მქონე გოგონა იდგა, რომლის სხეულის ირგვლივაც შემორტყმულიყო მკვეთრი ცისფერი აურა. მასთან მივედი, და რას ვხედავ – ბარბარე რუსიძე! გავგიჟდი, გადავირიე – მეთქი, რა უნდა ბარბარეს ასეთ მშვენიერ დღეს სახურავზე!..

– ბარბარე! – შენიშვნის ტონით დავუძახე.

– ვა, რამაზ, – გამიღიმა უდარდელად, – როგორ ხარ? რა გინდა აქ?

– იგივეს კითხვას ვაპირებდი, – ვუსაყვედურე თითქოს, – შენ რა გინდა აქ?

– მე? – გაიკვირვა, – მე... რა ვიცი. უნდა გადავხტე.

– რატომ, კი მაგრამ? – გამიკვირდა, რადგან არაფერი ეტყობოდა პოტენციური თვითმკვლელისა.

– რატომ და, რა ვიცი, – მისი აურის ფერისდა შესაფერისად საუბრობდა – ლალად, – სიმართლე რომ გითხრა, მალე სკოლას ვამთავრებ, და სამედიცინოზე ვაბარებ, არადა არ მინდა სამედიცინო; ვერ მოგატყუებ და ვერ გეტყვი, რომ იურიდიული მინდა; არც სიმღერა მინდა; ფიზიკაც არ მინდა; სამთო გეოლოგიაც კი არ მაინტერესებს, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს; ანუ, რამაზ, მართლა არ ვიცი, რა მინდა და, ალბათ, ამიტომაც ვდგავარ აქ, სახურავზე, და ხელში რძის ბოთლი მიკავია, რომ სევდა გამიქარვოს.

– გადახედე ხალხს, ბარბარე, – ვუთხარი დაფიქრებულმა, – როგორ გგონია, ამათ იციან, რა უნდათ? მაგრამ, განა რამდენი დგას ახლა სახურავზე?

– მე. რას სვამ? – ჩამეკითხა.

– ლუდი მაქვს, გინდა?

– არა, – ამრეზით მომანჭა სახე, – ალკოჰოლი დარდს ვერ გააქარვებს.

– ვერც რძე, – მოკლედ მოვუჭერი.

– თუ პრობლემა ნაღვლის ბუშტშია, შესაძლოა მოაგვაროს კიდევ, – შემომივლია მშვიდად.

– ე, შენ საიდან... – გამიკვირდა, საიდან გაიგო ჩემი შეთხზული ლეგენდის შესახებ, მაგრამ, როცა უკვე უნდა მეკითხა, კიდეს მიუახლოვდა და ხელები გაშალა, ამიტომ აზრი გამიწყდა და დავუძახე: – მოიცადე, ბარბარე!..

– რა იყო, რამაზ? – მკითხა და კიდევ ერთხელ

შემომანათა იმდღევანდელი ცასავით ლურჯი თვალები, – რამე გაქვს სათქმელი? ხდება რამე?

ლამაზი გოგო იყო ბარბარე, თუმცა – მეტად გამხდარი. ცხვირი ოდნავ გამრუდებული ჰქონდა და, თუ მცირე დროით მაინც დააკვირდებოდა ადამიანი, მის ყბაზე მცირე პროგენიასაც შენიშნავდა, მაგრამ ყველაზე მშვენიერი ნაწილი, რაც მის სახეზე მდებარეობდა, იყო ზუსტად ყბა, ცხვირი და, შემდეგ, თვალები.

მოკლედ, მივედი ბარბარესთან, ჩემი საკმაოდ ძლიერი მკლავი მკერდთან დავადე, გამოვწიე კიდიდან, მერე კი ვუთხარი:

– ჯერ მე მაცადე.

ნელა დავიხიე უკან, მერე კი, მოულოდნელად, გიჟივით ვაკოცე ბარბარეს მარწყვივით ტკბილ ტუჩებში, გავექანე კიდისკენ, ზურგი ქვევით მოვაქციე, სახე – ზევით, რომ ცისთვის ბოლომდე მეყურებინა, და დაუოკებელი სიცილით გადავხტი გასაფრენად, რა.

მარტო თქვენ კი არა, – მეც მაინტერესებს, საიდან ან, თუნდაც, როგორ ვწერ მე ამ ყველაფერს.

12 მაისი – 14 მაისი, 2017 წელი



## ქოლხი მელაჲს აგბაკი უნინაკოდ

ქოლხეთის დაბლობზე დავაბიჯებდი, ხელში ვაშლი მეჭირა, თავზე ოქროს გვირგვინი მედგა, ფრაკი მეცვა ნითელი. ცხელოდა, მაგრამ ღრუბლების სქელი გროვა დამცველი ბრბოსავით გადაფარებოდა მზეს, ამიტომ სიცხე ვერ ატანდა. თუ წარმოიდგენთ ბალახიან უდაბნოს – ანუ, ადგილს, სადაც მხოლოდ ბალახია, თან უიმბლდონის ცენტრალური კორტის დონეზე მოვლილი – გეტყვით, რომ, აი, ზუსტად ეგეთი ადგილი იყო, სადაც დავაბიჯებდი. მერე, ძლივს, ჰორიზონტზე ერთადერთი ხე გამოჩნდა. დავიძარი მისკენ. სიარულში აღმოვაჩინე, რომ ნიუტონის მეორე კანონი – მოდერნიზებულიად და ჩემი მიზნისკენ პირშექცევით, რა თქმა უნდა – ამოქმედებულიყო და, შესაბამისად, რა სირქართაც მე ვუახლოვდებოდი ხეს, ხეც იმ სირქართვე მოდიოდა ჩემკენ. ბოლოს, როგორც იქნა, ერთმანეთს შევხვდით – კაპილარებივით დატოტილი მუხა აღმოჩნდა, რომელსაც უკანა მხარე არ უჩანდა, ჰოდა, მეც ჩემი წილი ცნობისნადილი რომ დამეკმაყოფილებინა, შემოვუარე, შემოვუარე და, რას ვხედავ –

ოქროს სანმისი ჰკიდია ზედ. ოქროს სანმისი ვიპოვე-  
მეთქი, შეეყვირე გახარებულმა. ტოტზე მკიდიაო, ხემ  
მიპასუხა. თავიდან შემეშინდა, მაგრამ მერე მომავალი  
გამოვიცანი, და ისე, ვითომც არაფერი მქონდა და-  
საკარგი, მომეცი-მეთქი, ვუთხარი. ტოტზე მკიდიაო,  
გამიმეორა. რა ვერ გაიგეო, მერე უკნიდან მომესმა  
ქალის ნატიფი ხმა – აი, ისეთი, ეგრევე ჟრუანტელმა  
დამიარა; ჰო, მოკლედ: რა ვერ გაიგე, ტოტზე ჰკიდიაო.  
სანმისი მინდა-მეთქი, ქალს ვუთხარი. მე, საერთოდ,  
ხეზე მკიდიაო. მენყინა, და ეს მანაც იგრძნო, ამიტომ,  
დანაშაული რომ გამოესყიდა, მუხიდან ვაშლი მოწყვი-  
ტა და გამომიწოდა. რომ ვიუარე, შერცხვა – მსხალი  
ხომ არ გერჩინაო. მუხაზე ვაშლიც არის-მეთქი და  
მსხალიც? კი, ტოტზე კიდიაო. შენი ხათრით, შეეჭამ-  
მეთქი, დავეყვი მერე, ჩავკბიჩე ნაყოფი – უტკბილესი  
იყო, მაგრამ, სახელის კითხვა როგორც კი დავაპირე  
იმ საოცარი ქალისთვის, თვალებზე ბინდი გადამეკ-  
რა და ძირს დავვარდი, თუმცა, სიმართლე ითქვას, მე-  
დეა რომ იყო, კი მივხვდი მაგას. ზუსტად ვერ ვიტყვი,  
შემიყვარდა თუ არა, მაგრამ მაგას რა აზრი აქვს –  
გამელვია, ჩამიშხამდა მთელი ძილი!.. თბილისის ქუ-  
ჩაზე ამოვყავი ისევ თავი, რუსთავში, ჩემს სახლში.  
ისე, საკმაოდ საინტერესო ფენომენია, როცა ქალაქის  
ქუჩას მეორე ქალაქის სახელს არქმევ. არის რუსთავ-  
ში ქუჩები – მაგალითად, თოდრიას ქუჩა, რომელი-  
ღაც მიკრო რაიონები – სადაც ადამიანის პიროვნე-  
ბის ფსიქოლოგიურ არსში იგი<sup>1</sup> დომინირებს და, შე-  
საბამისად, უბიძგებს მას, არსებობა ინსტინქტებამდე

---

1. ზიგმუნდ ფროიდის „ფსიქოანალიზის“ მიხედვით, პიროვნების მოდელი სამი ქვესტრუქტურისაგან შედგება, რომელთაგან იგი არის ინსტინქტთა საბალო, და მას გააჩნია ამორალური სურვილების წარმოქმნის ძალა;

დაიყვანოს, და პიროვნების მოცემულობა მთლიანად ინსტინქტების საბაზოდ აქციოს, დაუოკებელი სურვილები წარმოშვას, გააუვნებელყოს ლოგიკა და მორალური შეზღუდვები, მთელი პიროვნება ამოქმედოს მხოლოდ სასიამოვნოს და არასასიამოვნოს გარჩევის პრინციპით და, შესაბამისად, ადამიანისთვის მოქმედების ერთადერთ საშუალებად დასვენება და განტვირთვა დახატოს. არსებობს ასევე ადგილები – მაგალითად, მეგობრობის და რუსთაველის გამზირები – სადაც ადამიანი ბოლომდე ცნობიერი ხდება და, შესაბამისად, ჭეშმარიტად პასუხისგებაში მოდის საკუთარ მოქმედებასთან და სურვილებთანაც კი. და ბოლოს, არსებობს ისეთი ადგილიც – აი, ზემოთ ხსენებული თბილისის ქუჩა – რომელიც პიროვნებაში სოციალიზაციური ევოლუციის სიჩქარეს საგრძნობლად ზრდის, რომლის ტროტუარზე გავლისას ყველაზე ამორალური ადამიანიც კი გარკვეული მორალის მატარებელი ხდება, და რომლის ასფალტის ფეხსაცმლის ძირზე შეხებაც კი დომინანტურ გრძნობებს – სიყვარულს, შიშს, ცნობისმოყვარეობას – აღძრავს პიროვნებაში. შესაძლოა, ძალიან შევიჭერი ახლა და გავუტიე, მაგრამ, მოდით, საქმეს დავუბრუნდეთ:

გამელვიძა-მეთქი, ვთქვი და აღარ დავამთავრე, შესაბამისად, მარტივი მისახვედრია, რომ მეძინა, და ის სიუჟეტი, რომელიც დასაწყისში დაიხატა, ქვეცნობიერის ხატება იყო. კოლხ მედეაზე ვფიქრობდი, იქნებოდა თუ არა იგი ბედნიერი თავისი პირველადი არსებობის დროს – პირველადი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ რეინკარნაციის შანსებს არ ვანულებ და, შესაბამისად, ფაქტად ვიღებ, რომ, თუ არის, იყოს, თუ არა და, ნუ იქნება. წარმოვიდგინე, როგორ გამოყვა მედეა იასონს

საბერძნეთში, როგორ გაუჩინა შვილი, როგორ უყურა ქმრის და შვილის სიკვდილსაც შემდეგ, როგორ შეიცნო ყოფის აუტანლად მსუბუქი ამოება, და როგორ დაასრულა სიცოცხლე რომელიდაც თავისივე ბალახეული ნაყენით. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს, განა?“<sup>1</sup> თვითმკვლელები ვერ ისვენებენ, ამიტომ მრავალი მომავალი სიცოცხლით იტანჯებიან და, რამდენჯერაც მოკვდებიან, ხელახლა იბადებიან იქამდე, სანამ ბოლო არ მოვა და, თუ ეჭვი გეპარებათ, სიტყვაზე მენდეთ. ვიფიქრე, ახლაც უნდა იყოს-მეთქი მედეას რეინკარნირებული სული რომელიმე ცოცხალი ქალის ან, თუნდაც, გოგონას სხეულში. მოსვენება არ მომცა ამან, ჰოდა ამოვიცვი ტრუსები – არ მეცვა, ჰო, ცხელოდა და ვგრძობდი – მერე წინდები, შარვალი... მოკლედ, შევიმოსე, რა, და დავეშვი დაღმართზე, მეგობრობის გამზირს რომ უერთდებოდა. გავედი კიდეც მერე გამზირზე, ცენტრალურ გზასთან. „ვეჯინისკენ“ გავიქეცი – მეთქი, უეჭველი უნდა შემხვდეს სადმე რეინკარნირებული მედეა. არ ვიცი, რატომ – ალბათ, ალლომ მიკარნახა – ზოომალაზიაში შევედი. გამყიდველი ჩაკუზული დამხვდა – დიდი ალბათობით, რომელიმე ცხოველის საჭმელს ეძებდა ქვედა დახლებში – ხოლო კედელთან ერთი გოგო ატუზულიყო – ასე, ოცი წლის; თვალები სუფთა წყლისფერი ჰქონდა, თმა – ძალიან შავი, ნაკვთები – ნაღდი კოლხური.

– გოგონა, თქვენ რა გქვიათ? – ჩავეკითხე, თან სახეზე მივაშტერდი.

– მე? – გაუკვირდა.

---

1. ნაწყვეტი ფრაზა აკაკი წერეთლის პოემიდან „გამზრდელი“.

- დიახ, თქვენ. – დასტური მივეცი.
- მე... დეა მქვია. აქ დაქალს გამოვეგზავნე – ძალი ჰყავს მშვიერი და...
- ააა! – დავიყვირე. მაგრად ვყვიროდი მერე სულ:
- და რა ძაღლია ეგ მერე?!
- რა ვიცი, ქუჩაში იპოვა... – შეეშინდა ჩემი ღრიალის.
- აჰა! ჰოდა ნავალ!
- მოიცადეთ, – გამაჩერა, მერე ჩემკენ ხელი გამოიშვირა, შეკრული მუჭი, ნელა გაშალა, თითქოს აკრძალულ ვაშლს მადღევსო, – „პედიგრი“ არ გინდათ?
- ვაწ, ვაწ!!! – დავუყეფე, და გამოვიქეცი.
- გიმნაზიისკენ გამოვრბოდი და, მაგ ასახვევს რომ მივუახლოვდი, მერეღა გადავიფიქრე შეხვევა, და ისევ წინ გავაგრძელე სვლა. ყველა წერტილში ოფლი გამდიოდა. ნერვები მქონდა მოშლილი – როგორ, განა, ასე მარტივად რამ მაპოვნინა ეს დალოცვილი, ა?! ვიფიქრე, უეჭველი დავლევ-მეთქი, მაგრამ სახეში შემოვირტყი მაგ ფიქრის გამო, რომ ამხელა არაალკოჰოლური პაუზა ვილაცა კოლხი მედეას გამო უნდა შემენწყვიტა! გავიქეცი ისევ, „ბიბლუსს“ გავცდი, ოცი მეტრი კიდევ ვირბინე, საშაურმეში შევევარდი, დახლთან მივევარდი.
- გისმენთ, – მითხრა საშაურმის თანამშრომელმა გოგომ.
- ერთი ცხარე გამოუშვით, შვიდ ლარიანი! – ცხარე მინდოდა, ჰო, იმიტომ, რომ თავი დამეტანჯა, მაგრამ მეორე წამსვე დავმშვიდდი, ღრმად ჩავისუნთქე და ისევ იმ გოგოს ვუთხარი: – ცხარე არა, უკაცრავად, უწინაყო ჯობია.

10 აგვისტო, 2017 წელი

## კარიბჭე

მხოლოდ თანდაყოლილ და მუდმივად თანამდეგ თვითგანადგურებას შეიძლება დაერქვას სიკვდილი, და მხოლოდ ასეთი თვითგანადგურების – ანუ, სიკვდილის – ნიჭით დაჯილდოებულ არსებას შეიძლება ეწოდოს ცოცხალი. თავს ვიკლავ? – მაშ, ვკვდები; მაქვს არჩევანი, მოვიკლა თავი თუ გავაგრძელო ცხოვრება? – მაშ, ცოცხალი ვარ.

სმა რომ დავიწყე, მალე ვთვრებოდი. მეგონა, ხშირად რომ დავლევ, ორგანიზმი მიეჩვენება და ნელა დავთვრები-მეთქი, მაგრამ, რაც დრო გავიდა, მით ნაკლები მჭირდება დასათრობად. ლოთობა ცუდი საქმეა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჯანმრთელობას გინგრევს, არამედ იმიტომ, რომ ამ დროს მთლიანად გიპყრობს შური, ამავდროული ამპარტავნება, მრისხანება და სხვა მრავალი სიკვდილის ტოლფასი სენი; სასმელს ადამიანი ცხოველის დონემდე დაჰყავს, მაგრამ სასმელთან ერთად შეძენილ თვისებებს – წამოდგომის შანსის არმქონე დეკადანსამდე. ვგრძნობდი, ბოლო პერიოდში თითოეული წვეთი მი-

ხურებდა სხეულს, და მაიძულებდა, სერიოზულად მომაკვდინებელი ფიქრებისგან თავის გადასარჩენის მიზნით, უფრო მეტი დამელია, რომ უსიზმროდ ჩამძინებოდა.

არ ვიცი ზუსტად, მაგრამ მგონია, მამაჩემი ჩემზე უარესი იყო. ალბათ, სულაც არ ყოფილა ისეთი საშინელი რეალურად, როგორც მე ვარ, მაგრამ ადამიანის არსის სამხრეთი პოლუსის ბუნება მაიძულებს, ვიფიქრო, რომ ბევრი რამ – თუ არა ყველაფერი – ჩემს არეულ ცხოვრებაში მისი ბრალია. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არაა. ცხოვრება როცა ირევა, მიზეზი ყოველთვის ისაა, რომ, დალაგებული ყოფიერების პერიოდში, ჩვენ მიერ მოსასწრები საქმე დროში ვერ ჩავატიეთ. და საერთოდაც, თუ გავიაზრებთ, რომ ყველაფერი ცუდი, რაც ჩვენს თავს ტრიალებს, ჩვენივე მიქარული საქციელებისა და გამო ხდება, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება. მიქარული საქციელი, თავის მხრივ, მცირე ცოდვის ფესვია, მაგრამ ცოდვა, თავის მხრივ, სიკვდილის დასაწყისია. თუმცა არსებობს კი მცირე ცოდვა? რომელიმე ტბას მცირე მაშინ ეწოდება, როდესაც მას დიდ ზღვას ვადარებთ, თუმცა სინამდვილეში იგი სულაც არაა პატარა, რადგან საკმაო რაოდენობის წყალს იტევს; მცირე ცოდვა მხოლოდ მომაკვდინებელთან შედარებით გვეჩვენება მცირედ, მაგრამ, თავისთავად ალებული, მაინც დიდი ბოროტებაა, იმიტომ, რომ ცოდვა – დიდიც და მცირეც – ორივე ერთი წერტილიდან იღებს სათავეს; ჩვენ უმნიშვნელოდ გვეჩვენება, როდესაც გაუფრთხილებლად და თამამად ვათვალისწინებთ ქალის ლამაზ სახეს, მაგრამ სილამაზის თვალისწინება საშუალებას

აძლევს ბინძურ ფიქრებს, სრულიად მოიცვან ჩვენი არსება; ისინი ჩვენს გონებას იპყრობენ, შემდეგ კი უკვე იმის მისწრაფებაც გვიჩნდება, რომ ხელით შევწვდეთ იმ ტკობას, რაზეც ვოცნებობდით, მერე აზრის საქმედ სრულყოფის პროცესს ვინყებთ, ვასრულებთ; მოქმედების რამოდენიმეჯერ გამეორება პროცესს ჩვევაში გადაზრდის, ჩვევას – ჩვეულებაში, და ბოლოს ის ცოცხალ არსად მოგვევლინება, ცოცხალი არსი კი აუცილებლობას ჩამოაყალიბებს, ცუდი საქმის აუცილებლობა კი ჭეშმარიტი სიკვდილის უახლოესი მეგობარია. თუმცა თესლი მცირე ზომისაა, მისგან მაინც დიდი ხე ამოიზრდება.

სადაც მარტოობა მთავრდება, იქ ბაზარი იწყება, და სადაც ბაზარია, იქ მუდამ ვაჭრების ხმაური და ბუზების ბზუილი ისმის, ამიტომაც ვცხოვრობ განმარტოებით. არც არასდროს ესმოდა მეზობელს მეზობლის და, მეტიც, ერთმანეთის ავიც უკვირდათ და კარგიც. თუმცა, ეს ალბათ მხოლოდ მე ვფიქრობ ასე, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი – არც არასოდეს ჩამოჰკიდებია ჭეშმარიტება აბსოლუტიზმის მაჯას. და მაინც, ყველაფრით კმაყოფილ მარტო მცხოვრებ კაცსაც ურჩევნია, კაცის მკვლელის ხელში ჩავარდეს, ვიდრე აღმოჩნდეს ქალზე ფიქრებში. ყოველთვის მაკლდა.

ორი დღის წინ საკუთარ სახლში დავდიოდი, როცა უცნაური გარემოება – ხორცშესხმული – აღმოვაჩინე ჩემი გრძელი დერეფნის ბოლოს. აშკარად, როცა სახლს ვაშენებდი, ამ კორიდორის ჩრდილოეთ მცირე კედელზე არანაირი ოთახის კარი არ გამიკეთებია. თავიდან ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი, და არც გამკვირვებია, რადგან ორი კვირა გადაბმული სმის



მერე პირველი სრული დღე ხდებოდა, არ დამელია, და თავისუფლად შეიძლებოდა, თეთრი ცხელება მქონოდა დაწყებული, მაგრამ არა – ჩემზე ძლიერ-მა ქვეცნობიერმა ხმამ ღრმა სიშორიდან მიკარნახა, ცხადში ხარო, მეგობარო. ცნობისმოყვარეობა, რა თქმა უნდა, ვერ დავძლიე – ისე, საინტერესოა, ცნობისნადილის მხეცური გრძნობა აჯობებს ჩემს არსებაში, თუ სასმლის უმტკიცესი მოთხოვნილება – და გავეშურე იქითკენ, საითაც უცნობი კარი დამხვდა. შუა გზაში შევხტი, რადგან კარს მიღმა რაღაც გავიგონე, და ეს რაღაც არ იყო არც ვნებიანი კვნესა ქალის, არც მამაკაცის ცხოველური ქოშინი, არც ფორტეპიანოს კლავიშების რბილი ხმა, არც ვიოლინოს სიმის მხატვრული რხევა, არც დიდი ხნის გარდაცვლილი მამის ხმა, არც მკვდარი დედაჩემის მონატრებული შეძახილი... ეს იყო ხავილი, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა და მეტამორფოზას განიცდიდა, გადადიოდა სასონარკვეთილ და უიმედო თხოვნისებრ ყვილში. შიშისა და ცნობისმოყვარეობის ვექტორებმა საპირისპირო მიმართულება მიიღეს უცებ ჩემს პიროვნებაში, მაგრამ, როგორც ეს ნებისმიერ ადამიანში მოხდებოდა, ცნობისნადილის ვექტორის სიგრძემ შიშის ვექტორის სიგრძეს გადააჭარბა, მომართა ტოლქმედი ძალის ვექტორი სათავისოდ, და მეც ისევ გავაგრძელე გზა უცნობი კარისკენ. ნელ-ნელა ხმა მეცნო... ასე ერთხელ მიყვირია. ფრთხილად მივედი ხის შესასვლელთან, ჩავჭიდე მრგვალ სახელურს ჩემი ძლიერი მტევანი, დავაპირე გამოწევა და, გამოვქაჩე თუ არა, ძირს დავეცი. სამჯერ რომ ვცადე კიდევ გაღება და სამი-ვეჯერ რომ დავეცი ძირს, გადავწყვიტე, იმ წამს აღ-

მოჩენილ და შემჩნეულ ჭუჭრუტანაში შემეხედა, რომ საბოლოოდ გამერკვია, რა ხდებოდა ჩემს კუთვნილ სახლში. შევიხედე. შევიხედე და... მე ვიყავი, ზუსტად ვიცი, დავინახე. თან მე ვიყავი მწამებელიც და წამებულისც. თავქვე მყავდა საკუთარი თავი ჯვარზე გაკრული, ზედ თავზე დამსხვრეული არყის ბოთლის ნატეხებისგან გაკეთებული გვირგვინი მედგა, ვყვიროდი ტკივილისგან, სახე დამმანჭვოდა. მერე ეს სურათი გაქრა, მაგრამ იგივე შინაარსის, თუმცა განსხვავებული სიუჟეტის სცენა წარმოიქმნა: შიშველი ვიდექი, მარტო დიდი ბათინკები მეცვა, ზამთრის; მარჯვენა ხელში დანა მეჭირა და წამდაუნუმ ბარძაყში ვირტყამდი; ბარძაყიდან სისხლი წრფივად გადმოდიოდა და ნაკადულივით ანკარად ჩაედინებოდა ფეხსაცმელში; იწყებდა სიარულს ეს ჩემი თავი – ანუ, შემიძლია ვთქვა, ვინცებდი სიარულს მე – და, ედებოდა რა ჩემივე სისხლს ჩემი ტერფები, ჭყაპუნობდა ისე, თითქოს თავსხმა წვიმის შემდეგ გაჩენილ გუბებში მევლოს რეზინის ბოტებით. სცენა მალე ისევ გამოიცვალა. ახლა ჩემი თავი, რომელიც იმ ოთახში სამი იყო სხვადასხვა როლში, ეუბნებოდა მეორე ჩემს თავს, რომელსაც თავი ყულფში ჰქონდა გაყოფილი:

– შენ დამნაშავე ხარ, მეგობარო, უნდა მოკვდე.

ამის გამგონე მესამე ჩემი თავი აღშფოთთა, მიიღბინა დამსჯელთან და ბრაზიანი ტონით იკითხა:

– რა ხდება, რა ამბავია?!

– ეს კაცი სიმართლეს ლაპარაკობდა, ძმაო, გესმის? – კითხვა დაუბრუნა დამსჯელმა ჩემმა თავმა.

– გესმის?!

– აბა, რატომ სჯით, რატომ ახრჩობთ?! – გაუ-

გებრობაში მყოფმა მესამე ჩემმა თავმა იკითხა. ამ დროს კიდევ ერთი ჩემი თავი უკვე ლურჯდებოდა.

– რატომ?! – გაუკვირდა დამსჯელს, – რატომ! იმიტომ, რომ ზუსტად ესაა სიმართლის ფასი, ჩემო ძმაო. ასე რომ არ იყოს, ხომ ყველა სიმართლეს ილაპარაკებდა?!

მერე ისევ აიშალა ფიგურები ისე, როგორც აშლიდა გაბრაზებული დამარცხებული ჭადრაკის დაფას, და შემდეგ ისევ მშვიდად დაენყო ახალი სცენა, სადაც მე ვინვოდი. ვინვოდი, ვინვოდი და ამ ცეცხლში გახვეული ვითხოვდი შველას, თუმცა ჩემს ამ თხოვნას ობიექტი არ ჰყოლია – უბრალოდ ვისვრიდი ჰაერში სიტყვებს: „გთხოვთ, მიშველეთ, დამეხმარეთ“. თხოვნა ჯერ ისე რა ასასრულებელია, მერე – მიმართვის ობიექტის გარეშე. ან ვისთვის მეთხოვა რაიმე? – არავინ მყავდა.

აღარ შემეძლო იმის ყურება, რას მიშვრებოდნენ, ამიტომ თვალი გამოვარიდე ჭუჭრუტანას და, რა წამს ეს ვქენი, წამსკდა თვალებიდან სისხლი. რა საცოდავია ის ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ ძლიერ სულიერ ტკივილს დიდი ხანი ძილი ან ბევრი შოკოლადი მოუჩინებს. მხოლოდ ტირილი, მეგობრებო! მხოლოდ ცრემლები! ყველაფერი მომისწრია, სიყვარულის გარდა, არადა, როცა იბადები ადამიანი, სიყვარულისთვის იბადები; გაჩენის მომენტიდან მზად ხარ, გიყვარდეს. ახლაც, ალბათ, ჯერ კიდევ ვიწვი.

27 ივნისის ღამე, 2017 წელი

## თანამეცხედრე

„ანუ, მიცნობთ და მე არ გიცნობთ? შემთხვევით დამამატეთ მეგობრებში, მე დაგამატეთ, თუ?..“ – ასეთი იყო მისი პირველი სიტყვები ჩემდამი, რომელიც გაისმა არა მისი ბაგეებისგან მოწყვეტით, არამედ – ჩემს გონებაში, რამეთუ ასეთი არაფერი უთქვამს, მაგრამ მომწერა.

„თქვენ დამამატეთ, შემოძლია დაზუსტებით ვთქვა,“ – სამ წამიანი ფიქრის შემდეგ ვუპასუხე ასე. ნუ გაიკვირვებთ – სამ წამში ადამიანი რამოდენიმე სიზმრის ნახვასაც ასწრებს, არამცთუ – ფიქრს. მაგრამ, იქნებ, ფიქრი უფრო მძიმეა ასანვეად, ვიდრე – სიზმარი?

„ბოდიში, ბატონო დემეტრე, გასაგებია,“ – ასე მომწერა და, როგორც მე მივხვდი, ჩემმა მოკლე და, ცოტა არ იყოს, ცივმა პასუხმა, ერთის მხრივ, უკარნახა, რომ ან არ მეცალა, ანდაც, უბრალოდ, სურვილი არ მქონდა მიმოწერის გაჩაღებისა. არ იყო ტყუილი ეს მოცემულობა, მართლა, მაგრამ რალაცა უხილავი მაინც მაიძულებდა, რომ ქალს ასე უზრდე-

ლურად – მიუხედავად იმისა, რომ ხშირად თავად იქცევიან საშინლად ამ კომპონენტში – არ მოვქცეოდი.

„ისე, მეცნობით, მაგრამ არ გიცნობთ, ზუსტად ვიცი,“ – მაინც მივწერე. და თუმცა იმის მეტი, რომ ამ შეტყობინებას ნახავდა, იმედი არ მქონია არაფრისა, მაინც გამომეპასუხა ოდნავ უცნაურად და, შეიძლება ითქვას, მოულოდნელადაც:

„თავად არ ვიცნობ საკუთარ თავს, ამიტომ გასაკვირი არაა, თქვენც არ მიცნობდეთ“.

„კარგი ნათქვამია, მაგრამ ეგ ისედაც ყოველთვის იგულისხმება და, შესაბამისად, სხვა რამ ვიგულისხმე, უფრო მარტივი, ქალბატონო ნატაშა,“ – ისე ვიფიქრე, რომ პათეტიკური ქალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, შევცდი. რომც არ შევმცდარიყავი, მაინც, განა ცნება „პათეტიკურობა“ და „ბანალურობა“ იმის შემოღებული არაა, ვისაც რეალობისგან თავის არიდება სურს? რადგან ნებისმიერი არსებული რეალობა პათეტიკურია და ბანალური.

„ჰო, ყველაფერი რთულად მარტივია“, – სიმართლე ვთქვა, ამ პასუხმა ძლიერ გამაღიზიანა, ამიტომ ჩემი შუბლზე შეკრული კიკინა – იმ სიგრძე თმა არ მქონდა, რომ უკან შემეკრა, მაგრამ იმ სიგრძისა კი მაინც იყო, რომ თვალებზე ჩამომშლოდა ხოლმე – გავიხსენი და, გაბრაზებულ-გაღიზიანებულმა, დასაბანი თმა პირდაპირ თვალებზე ჩამოვიყარე, მერე წელში მოვიხარე, სახელოები ავიკაპინე და კომპიუტერის ეკრანს ჩასაფრებული ლომივით შევხედე.

„რთულად მარტივი კი, მაგრამ მარტივად რთული თუა, ეგაა მთავარი,“ – აი, ასე ვუპასუხე.

„არა, – წამსვე მომწერა, – აბსოლუტური არა-

ფერია სამყაროში, მაგრამ სამყარო, თავის მხრივ, აბსოლუტურია ყველა კომპონენტში,“ – მიუხედავად იმისა, რომ რთულად დასაკავშირებელი იყო წინა შეტყობინებასთან ეს, მაინც დაგაკავშირე, რადგან ამ სიტყვებში გამოიკვეთა ამ ქალის სახე ყველაზე უკეთ.

„ჩვენი სამყაროს აბსოლუტურობას დასაწყისი ჰქონდა, ამიტომ დასასრულიც ექნება. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურობაც არაა აბსოლუტური,“ – ნელ-ნელა ვართულებდი მეც და, ეჭვი მქონდა, ისიც.

„დასაწყისიც უსასრულოა – რალაცის დაბადება არაფრისგან. არაფერიც ხომ რალაცისგან დაიბადა. დაბადებამდეც უსასრულობაა და მას შემდეგაც. ზუსტად უსასრულობაა აბსოლუტური, მაგრამ ისიც მხოლოდ თეორიულად,“ – ღრმად მოაზროვნე ქალი ყოველთვის ყველაზე საშიშია.

„არაფერი“ უფრო დიდი ყველაფერია, ვიდრე – „ყველაფერი“. ამიტომ, თუ „არაფერი“ უსასრულობაა, მაშინ ის უსაზღვროა, მაგრამ თუ „არაფერი“ „ყველაფერია“, და „ყველაფერს“ საზღვრები აქვს, მაშინ „არაფერიც“ სასრული გამოდის და, შესაბამისად, უსასრულობაც, სასრული უსასრულობა კი, ცხადია, უსასრულობა აღარ არის,“ – ასე თუ უნდა, უფრო განვანათლებ-მეთქი, გადავწყვიტე.

„მთელი აღმოსავლური ფილოსოფია დაბადებიდან დაიბადა: ყველაფერი ან არაფერი. მე მგონია, ასეთი რადიკალური ფიქრი შთამბეჭდავი, მაგრამ ოდნავ უსაფუძვლოა, – წარმოვიდგინე, როგორ ლაპარაკობდა, როგორ ამბობდა ამ სიტყვებს, – უსასრულობა უსაზღვროა, მაგრამ საზღვრები ყველაფერს სჭირდება“.

„კი, იმიტომ, რომ ყველაფერი არაფერია, და არაფერი – ყველაფერი. მეშინია, რომ შეიძლება უსასრულოება არ არსებობდეს,“ – ტანში შემყრჟოლა, რადგან პირველად გავამხილე ჩემი შიში ვილაცასთან, მითუმეტეს ქალთან.

„შიში კარგია. კარგად, უცნობო,“ – ასე დაასრულა და საიტიდან გავიდა.

უცნობოო. მე კი ისე მარტივად გავიცანი. თუმცა იმ დღეს პროფილი გავაუქმე, მაინც არასოდეს დამვიწყებია მისი სახელი და გვარი. ან კი როგორ უნდა დამვიწყებოდა – იმ დღიდან თერთმეტ თვეში ცოლად შევირთე.

\*\*\*

ნატაშა ბუაძე; მამა – მირიან ბუაძე, დედა – იანა როდჩენკო. მართლაც, ჩავხვდე თუ არა თვალეზში ნატაშას, მივხვდი, რომ მხოლოდ ერთი სისხლი არ უნდა ჰქონოდა. მის ოდნავ წაგრძელებულ, დაჭიმულ, მკვრივ, სწორ, სიმეტრიულ, ოდნავ დაძარღვულ, დინამიურ, ვარდის სურნელოვან კისერსაც რომ მოვავლე თვალი, აი, მაშინ მივხვდი, რომ ვინმე უკრაინელი უნდა ჰყოლოდა, რადგან მხოლოდ უკრაინული სისხლის პატრონს შეუძლია ასეთი უნაკლო კისრის ქონა. იანა – დედამისი – რომ ვნახე პირველად, კიდევ უფრო განმიმტკიცდა ეს აზრი. ისედაც, ერთადერთი, რითიც მამამისს ჰგავდა ნატაშა, იყო თვალის ფერი, თორემ ჭრილიც კი, თავის ფორმაც, კისერიც, თმის ფერიც, თმის მოცულობაც კი და ყველაფერი, რაც ადამიანს აძლევს გარეგნობას, ჰქონდა იანასი, უბრალოდ იანას თვალის ფე-

რადი გარსი ცისფერი ჰქონდა, ნატამას კი – გალაქტიკის ცენტრში მოთავსებული საკუთარ თავში ჩაქცეული ვარსკვლავით შავი. ასეთი ჭკვიანი ქალი მე ცხოვრებაში არ მენახა. მის თვალებშივე აირეკლებოდა ხოლმე სულის ბნელი კუნჭულები; გუგებში მიშტერებისას ვხედავდი, რომ ამ ქალს შეეძლო გაგანია შემოდგომაში, ხეზე შერჩენილი ფოთლების ფერებში გამოწყობილი, მწვავე ფოთოლთცვენისას დამდგარიყო ყველაზე დიდი ხის ქვეშ, ეტრიალა ექსტაზამდე თავბრუსხვევით, ეყურებინა მისკენ მსუბუქად მოლივლივე წითელ-ყვითელი ფოთლებისთვის, დალოდებოდა ძლიერ ქარს, შემოდგომაზე რომ იცის ხოლმე, დალოდებოდა იმ ქარს, რომ დაენახა, როგორ მიჰყვებოდნენ ფოთლები მას, ხოლო შემდეგ თვითონაც დაეკარგა მთელი მასა და წონა, აჭრილიყო ჰაერში, შერეოდა ფოთლებს და გაფრენილიყო სადღაც შორს; ამავდროულად, ისევ მისივე თვალებში ჩანდა შავი, ავი სულისკვეთება, ცეცხლის ენების ფერი მელიის კუდი, თუმცა, გამომიტყდა თუ არა თავის სიყვარულში, ის მელიაც გაქრა მისი ყოვლისმომცველი თვალებიდან და ის ავი ზმანებებიც. უნამუსო ვიყავი, ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ნამუსის გარეშევე მოვკვდები.

თავისი სიცოცხლის ოცდამერვე გაზაფხულს ხვდებოდა ქუჩაში, მტვერში, რუსთავის საფუძვლიან და ძირფესვიან ქარში მაშინ ნატამა, როცა მოულოდნელად, მაგრამ მაინც თითქოს გათვლითა და დაგეგმარებით შევხვდით ცურტაველის ქუჩაზე – ის ქვევიდან მოდიოდა, მე ქვევითკენ. ისე საქმიანად გამოიყურებოდა, ისე ევროპელი ქალივით ოფიციალურად ეცვა, როგორც, დიდი ალბათობით, წლების



წინ – დედამისს. მე შემრცხვა საკუთარი თავის – ზურგზე გახეული მტვრისფერი მანტო მემოსა, გახუნებული შარვალი და ტალახიანი ბათინკები; თავი ისეთი ცხიმოვანი მქონდა დაუბანლობის გამო, რომ, როცა ეს გავანალიზე, ჯიბიდან ქუდი ამოვადპვრინე და წამში დავიფარე. მიუხედავად იმისა, რომ განზრახული მქონდა, თუ ვერ შემაძინია, მე არაფერს ვეცყვი-მეთქი, მაინც გამექცა თვალი ჩემდა უნებურად მისკენ მაშინ, როცა მხრებით ერთმანეთის პარალელურ სიბრტყეებზე აღმოვჩნდით.

– ბატონო დემეტრე, – თან გახარებული, თან დაღლილი, თან ზემდგომი, თან მდაბალი და თან სამყაროსეული ყოვლისმომცველობითი – როგორიც თავად იყო – ღიმილი მომაგება, – ნუთუ, ეს თქვენ ხართ, აი! ისე გააუქმეთ საკუთარი პროფილი ერთი კვირის წინ, რომ იმის იმედიც აღარ მქონდა, რომ მეფიქრა, რუსთავი პატარა ქალაქია და სადმე აუცილებლად შევხვდები-მეთქი. როგორ ხართ?

იმ მომენტში ჩემი გონება შეტოკდა, ჩემმა სინდისმა თითქოს მომავალი განჭვრიტა და წინასწარ დამინყო ქენჯნა; ჩემ თვალწინ გაჩაღდა ცხარე, მშფოთვარე და განწირული ბრძოლა საკუთარ ნატამას კისერივით დაძაბულ ნებისყოფასა და შინაგან უსუსურობას შორის. ბოლოს ორივემ მოიგო, მე კი ერთადერთი დამარცხებული გამოვდექი.

– მაღლობა, რომ მომიკითხეთ, ქალბატონო ნატამა, – მართლა გულწრფელად გავუღიმე. – დიახ, ინტერნეტზე საბოლოოდ და სამუდამოდ უარი ვთქვი, თქვენ კი, როგორც ჩანს, გეძინებოდათ. იმ დღის სიზმარი ხომ არ გახსოვთ? თქვენ როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ნატამა? ეს კაცი, გზის გადაღმი-

დან თქვენ რომ გაცქერდებათ დაჟინებით, თქვენი ქმარია?

– არა, რას ბრძანებთ, – სიცილით შეიცხადა და მოხდენილი კარიერისტულობით მოიხსნა ტყავის ყავისფერი ჩანთა, მარჯვენა მხარზე რომ ეკიდა, – რაოდენ სამნუხაროც არ უნდა იყოს, ახლა მეჩქარება – სახლში დედა მელოდება, სასწრაფო საქმე მაქვსო, – მერე ჩანთა გახსნა და ოდნავ მაგარი, მოყვითალო, პატარა მართკუთხედად დაჭრილი ძვირიანი ფურცელი ამოაძვრინა, – ეს ჩემი სავიზიტო ბარათია. ლაპარაკი თუ მოგინდეთ, მომწერეთ ან დამირეკეთ.

– ლაპარაკი თუ მომინდა, რატომ მოგწეროთ? მაშინ, მოწერა რომ მომინდეს, იქნებ, დაგირეკოთ, ნატაშა? – გავეხუმრე ჩემი ჭკუით.

– იქნებ, ასე ჯობდეს მართლაც, – ღიმილიანი სერიოზულობით მითხრა, და მე გავუგე, ის კი წავიდა.

\*\*\*

რომ ვთქვა, არ მიყვარდა-მეთქი, მწარედ და უნამუსოდ მოვიტყუები, მაგრამ, რომ ვთქვა, ნორმალური ადამიანის მით მიყვარდა-მეთქი, ეს უფრო დიდი სიცრუე გამომივა. დიდი სიყვარული ვერასდროს გადაიზრდება დიდ სიძულვილში, თუმცა ცხოველური სიყვარული, უდიდესი ალბათობით, განწირულია იმისთვის, რომ ცოტაოდენი, სულ მცირედი დროის გასვლის შემდეგ უკვე ცხოველურ სიძულვილად იქცეს. თუმცაღა მაინც რა – ჩემი პრობლემა ესეც არ იყო, არამედ მხოლოდ ის, რომ საკუთარი თავი მეცოდებოდა. ადამიანი, რომელიც საკუთარი თავ-

ვის შეცოდებას დაიწყებს, განწირულია მწარე და გამოუვალი იმედგაცრუებებისათვის. არა, მართლა მიყვარდა ნატაშა, უბრალოდ, ალბათ, ჩემი თავი მაინც პირველ ადგილზე მეყენა. დავჯდებოდი ხოლმე დილაობით, როცა უკვე ჩემი ცოლი ნატაშა სამსახურში იყო, დავიდგამდი წითელი ღვინის ბოთლს და ვეუბნებოდი ჩემს თავს, რომ ჩემი ცხოვრება უთავბოლო ტრაგედიაა და, როგორი ცოდვილიც არ უნდა იყოს, მაინც თანაგრძნობის ღირსია; ერთადერთი ვარ დედამინაზე, ნომერ პირველი, გენია უპირველესი, მაგრამ შეშლილი და შეურაცხადი, არაფრის მაქნისი და ზარმაცი, ნარცისი და ეგოისტი, ამპარტავანი და შვიდივე მომაკვდინებელი ცოდვის ზურგით მატარებელი; ცოლიც გაურკვეველი სიყვარულითა და იმის იმედით შევირთე, რომ ის ფული, რასაც გამოიმუშავებდა, მეც მერგებოდა წილად, შემდეგ ამ წილს გადავინახავდი, თვეობით დავადებდი წილს წილზე, მოვაგროვებდი რამდენიმე ათასს და დავუდებდი გამომცემლობას, რომ დაებეჭდათ ჩემი გენიალური წიგნი, რომელსაც მხოლოდ იმიტომ აქციეს ზურგი, რომ ბიუჯეტში ფული არ ჰყოფნიდათ; მე არ ვმუშაობდი, როგორც ალბათ უკვე მიხვდით – ანდაც როგორ უნდა მემუშავა, როცა ვიცოდი, ვიყავი უნივერსალი და განუმეორებელი ჩემს სფეროში. დავიჩაგრე. ერთადერთი ოცნება მქონდა – დიდება. წერის შემდეგ უპირველესი ჩემთვის დიდება იყო, ხოლო დიდების შემდეგ – ფული, რადგან ჩემი ცოლი ნატაშა უკვე მესამე თვეში ჩამდგარიყო და მაინც მუშაობდა. კი, წილს წილზე მაძლევდა ჩემი ნატაშა, მაგრამ მე, წარსულის უიმედობისა და მომავლის მეოცნებეობით განმსჭვალული კაცი, სამ

მეოთხედ ნაწილს სასმელში ვხარჯავდი, ეს ყველაფერი კი ნატაშას ბოლოს უღებდა. მორჩილად იტანდა რაღაც პერიოდი ჩემს ლოთობას, მაგრამ ბოლოს – ისიც ადამიანი იყო – ყელში ამოუვიდა ყველაფერი, და მთელი თვეების დაგროვებული ბოლმა, საყვედურები და გესლი ერთ დღეს დამანთხია თავზე. მე, რახან ამ დღეს დიდი ხანი იყო, ველოდებოდი, და რახან ისედაც უკვე კარგად გამომთვრალი ვიყავი, მშვიდად და აუღელვებლად ვუსმენდი მთელ ამ სპექტაკლს და ამ გამოსვლებს, ჩემი სიმშვიდე კი ნატაშას გაცოფებას აორკეცებდა. ბოლოს, თითქმის ნახევარ საათიანი გაუჩერებელი, ამოქოქილი და დასაგესლად მიმართული საუბარი უცებ შეწყვიტა ტკივილიანი მოულოდნელობით, გაჩერდა, მიყურა, მიყურა და ტირილი დაიწყო მოთქმით, გოდებით. პირველად მაშინ შემეცოდა, რადგან ის, რასაც ადრე ვხვდებოდი და ვიაზრებდი, ცხადად დამდგომოდა თვალწინ. ვუთხარი, ნატაშა, მიყვარხარ-მეთქი, და ზუსტად ვიცი, რომ იმ მომენტში მას უფრო შევეცოდე, რადგან მიხვდა, მის გარდა არც არავინ მყავდა, არც არავინ მიყვარდა და არც არავინ მსურდა გვერდში. და თუმცა იმასაც აანალიზებდა, რომ მიქარა ჩემზე ქორწინებით, მაინც იცოდა, რომ ვერ მიმატოვებდა. მაშინ ორივეს ტირილი აგვივარდა. მე აცრემლებული ვკოცნიდი სულ ოდნავ გამობერილ მუცელზე და, ცრემლების ზღვაში მოცურავე, ვეუბნებოდი ჩემს მუცლად მყოფ შვილსაც, მიყვარხარ-მეთქი.

ნატაშა ისევ აგრძელებდა მუშაობას, მე – სმას. გაგიჩნდებოდათ, ალბათ, კითხვა, თუ გენიოსია ეს კაცი, მარტო რატომ ზის და სვამსო ასე უთავბო-

ლოდ. ადრეულ ასაკში დავწერე პირველი წიგნი, რომელიც იმდენად მრავლის მომცველი იყო და იმდენად მკაფიო განაცხადს წარმოადგენდა ჩემს გენიოსობაზე, რომ მკითხველის ერთ ნახევარს დაწყებამდევე ეგონა, ამ პატარა ბიჭმა რა უნდა დაწეროსო და, შესაბამისად, არასერიოზულად იკითხებოდა, ხოლო მეორე ნახევარი ფიქრობდა, ასეთი ძლიერი ნაწარმოები ბავშვის დაწერილი ვერ იქნება – მოიპარავდაო უსინდისოდ, ბავშვს კი ვინ მოკითხავდა ამას, ამიტომ გადაწყვიტეს, დავინყებას მისცემოდა ეს ყველაფერი. ფართო საზოგადოებას ვერ ეღივსა ჩემი წიგნები და, მოკლედ, ყველაფერი ჩაფლავდა, მე კი დავრჩი ჰაერში და, მიუხედავად იმისა, რომ წლები გავიდა მაგ ამბების შემდეგ, დღემდე არავინ მიცნობს, როგორც – მწერალს. მთანმინდაზე ასულს, ყოველთვის შემისპყრობდა ხოლმე ენით გამოუთქმელი სევდა, რომელიც შიგნიდან მჭამდა და სულიერ ორგანოებს მინვაავდა; ვხედავდი იქ, ჩემს ახლო მწოლიარე, მეფური ძილით მძინარე აკაკის ლანდს, ბარათაშვილის ტანჯულ, რომანტიკულ, მორწმუნე და იმედის სხივით განათებულ საფლავს, გალაკტიონის მშვიდად მომზირალ თვალებს ძველი გენიოსისას, რომელშიაც ჯერ კიდევ იკითხებოდა რითმები, გრძნობა, უიმედობა, ნერონის ცეცხლი და სიყვარული. და მე ვიჯექი ყველას წინ, გადავყურებდი თბილისს და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლიური ქალაქი არ იყო, მკლავდა და მანადგურებდა მე ის აზრი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ სადმე უბრალო და არაფრით გამორჩეულ სასაფლაოზე დამაგდებდნენ მოვალეობის მოხდის მიზნით, არადა ვიცოდი, მელოდა *მამა დავითი*. ფიქრობდი,

ერთადერთი, ვინც მე გამიგებს, ნიკოლოზია-მეთქი ბარათაშვილი, რადგან ყველაზე მეტად მას ჰქონდა გამოცდილი დაუფასებლობა და, როგორი მწარე და ირონიულიც არ უნდა იყოს, ისიც კი არავინ იცის ზუსტად, ნამდვილად ბარათაშვილი მარხია მთან-მინდის პანთეონში თუ ვინმე სხვა, შემთხვევითი პიროვნება. თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ მისი სახელი უკვდავია და იცოცხლებს მანამ, სანამ ჩვენი ქვეყანა იარსებებს. არ მინდოდა სიკვდილი, არ ვტყუი, მართლაც არ მინდოდა, მაგრამ ვოცნებობდი, რა იქნებოდა, სულ რომ არ დავბადებულიყავი-მეთქი. და რატომ არ მინდოდა? იმიტომ, რომ ხარბი ვარ, შურიანი და მშიშარა: ვინ დალევდა ჩემ მაგივრად? ვიღაცას რატომ უნდა რგებოდა ის, რაც, წესითა და რიგით, ჩემი იყო? ანდაც, საერთოდ, რა მელოდა სიკვდილის შემდეგ მე, ცოდვილს? ბოლო და უმძიმესი ცოდვა ხომ მაშინ დავიდე ზურგზე და, რაც ყველაზე მტკივნეული იყო, გულზე, როცა ნატაშა მოვიყვანე ცოლად – ამ საოცარმა ქალმა დაინახა ჩემში ის, რაც ვერ დაინახა ვერავინ ნატაშამდე, შემდეგ შევუყვარდი და მეც, ამით გაგულისებულმა, ცოლობა შევთავაზე, თუმცა მანამდე ვესაუბრე ჩემს გენიოსურ ბუნებაზე, ჩემს მომავალზე, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო, რადგან გარდაუვალობად მიმაჩნდა, ჩემს შანსებზე იმისთვის, რომ უკეთესი ცხოვრება მქონოდა საყვარელ ადამიანთან ერთად, და ასე შემდეგ. ჩემი ცხოვრება ყოველთვის იყო წარსულზე ტირილი და მომავალზე ოცნება. გამომყვა ნატაშა ცოლად, და მანდ დაიწყო ორმხრივი ჯოჯოხეთი.

ერთხელ ნატაშა, უკვე მეხუთე თვეში მყოფი,

ჩემთან მოვიდა, მზრუნველი და სიყვარულით გაჟღერებული მანერებით ჩამიჯდა კალთაში, შუბლზე მაკოცა, კისერზე მომხვია ხელები, მომეხუტა, შუბლი შუბლზე მომადო, თავისი ყოვლის მომცველი და თითქმის ყოვლის შემძლე თვალებით ჩემს გენიოსურ თვალებში ჩამხედა და მითხრა, გთხოვ, დღეს არ დალიოო. რა მექნა ან რა მეთქვა საერთოდ – ქალს ყოველთვის ჰქონდა და აქვს კაცზე ძალაუფლება – ჰოდა მეც ვუთხარი, კი გამიჭირდება, მაგრამ, შენი და ბავშვის ხათრით, დღეს გავძლებ-მეთქი როგორმე. გაიხარა და მხიარულად მაკოცა ცხვირზე, მაგრამ თითქოს შევამჩნიე რაღაცა გამომცდელი და წინდახედული მის მზერაში. საოცარი ქალი იყო მართლაც – სხვა ასეთი, მისნაირი ან ამ მასშტაბის დიდებულების მატარებელი ქალი მე არასოდეს მენახა. წავიდა იმ დღეს სამსახურში, მე კი მოვყევი ფიქრს, თუ რა უნდა მექნა. ჯერ დავინყე ტელევიზორის ყურება, შემდეგ ისევ საკუთარ ბედს დავუბრუნდი და, საბოლოოდ, როგორც ალბათ უკვე მიხვდით, ისევ დალევაზე შევჩერდი. გადმოვიღე ჩემი ნახევრამდე ჩაცლილი ღვინის ბოთლი, მოვიყუდე და, სამი წამი გავიდა თუ არა, ეგრევე მიმეძინა. გამოღვიძებულმა შევამჩნიე, რომ უკვე მოსალამოვებულიყო, ხოლო, თავი რომ ავნიე, გამწყრალ და პრეტენზიულ პოზაში მდგომი ნატამაც დავინახე, მე დამეყურებდა. შე აფერისტოო, ასე დაიწყო და, ვინ იცის, რამდენი ილაპარაკა. ლოთი ხარო, ცეროზით მოკვდებიო, მეც თან წამიყოლებ და ბავშვსაცო, შენი თავის გარდა არავინ გაინტერესებსო, აკი არ დავლევო? მე ჩავაგდეო წამალი ბოთლში, რომ შენი ნებისყოფა შემემონმებინა, შე უნებისყოფო.

აქ კი ველარ მოვითმინე, წამოვდექი და მეც დავუნყე ჩხუბი, შე გველო, ცოლად რატომ მოგიყვანე-მეთქი, რა გამოცდებს მინყობ-მეთქი, ერთი ჭიქა უნდა და-მელია-მეთქი, წერა მინდოდა-მეთქი. მერე ისევ ნატაშამ გააგრძელა, ოთხი წელია არაფერი დაგინერია და ნუ მატყუებო, არაფრის მაქნისი ხარო, რატომ გამოგყევით ცოლად, ფულს რატომ გაძღვევო, რატომ ვმუშაობ ორსული ქალიო, რატომ არ ზრუნავო ჩემზე. მოკლედ, ანიოკდა ბინა, შეინძრა კორპუსი, ბოლოს კი ნატაშა გაფითრდა, ფერი დაკარგა, თვალები ზევით წაუვიდა და გონება დაკარგა. მე მივვარდი, სახეში გავარტყი და, რომ მივხვდი, მომწონდა, იქამდე ვურტყი, სანამ მართლა არ გამოფხიზლდა, თუმცაღა სახე დანითლებული ჰქონდა და, რა გასაკვირია, რომ სტკიოდა. ამის შემდეგ წყალი მოვუტანე, დავალევი, ხოლო მერე კი გარეთ გავედი და, წლობით უმოქმედობის შემდგომ, დავინყე ჩემი ლიტერატურული საღამოს ორგანიზება. მოვიარე ყველაფერი, შევიარე ყველგან, შევანუხე ყველა იქამდე, სანამ ჩემსას არ მივალწიე. ოთხი დღის შემდეგ უნდა გამართულიყო ღონისძიება ორგანიზებულად, ლამაზად და მოწესრიგებულად. ნატაშასთვის არაფერი მითქვამს. მე წლების წინ დანერილი მოთხრობებიდან ხუთი ყველაზე ჩვეულებრივი ამოვარჩიე ჩემს ლიტერატურულ საღამოზე წასაკითხად, სადაც, რა თქმა უნდა, ნასვამი მივედი. სულ ჩვიდმეტი კაცი დაესწრო საღამოს, მაგრამ ჩვიდმეტივე აღფრთოვანდა. უშუალოდ რომ ვსაუბრობდი დამსწრეებთან, ყველაფერს მივედ-მოვედე – ჩემს ტალანტს, სხვების აშკარა უნიჭობას და ჩემს ცოლს, რომელიც ხელს მიშლის, თორემ დავნერდი-მეთქი.



ნატაშა მინასთან გავასწორე ვილაცა უცხო ხალხის თვალწინ, რომლებიც ისეთივე უნიჭოები იყვნენ, როგორც ისინი, ვისზეც ვსაუბრობდი სალამოზე; მე ხაზი გავუსვი ჩემს ერთადერთობას და, თუმცა ჩვიდმეტი მისმენდა სულ, ჩვიდმეტივე მართლაც დარწმუნდა ყოველივეში. ყველაფერს მიჯერებდნენ იმის მერე, რაც მათ თვალში გეიზერივით ავიჭერი ზევით და ავმალლდი. ნატაშას ისევ ვასწორებდი მინასთან, ვუნოდებდი ჩემში გენიის ჩამკვლელ ქალს, ტირან ცოლს, ცივისსხლიანს და – ეს ყველაფერი ხომ ტყუილია, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ტყუილი – დავაბრალე, ვითომ აბორტს იკეთებდა, მე კი ძლივს გადავაფიქრებინე. არც კი ვიცი, მართლა, რაში დამჭირდა ასეთი რალაცების თქმა – ალბათ, მაინც იმიტომ, რომ საკუთარი სისუსტე გადამეფარა და ვილაცა დამემცირებინა, ხოლო, რახან ლიტერატურულ წრეში საერთოდ არავინ მიცნობდა და, შესაბამისად, არც სიტყვა მეთქმოდა, ერთადერთი ადამიანი, ვის გვერდითაც ვიდექი და ვისთანაც ჩემი შედარება შეიძლებოდა, იყო ჩემი ცოლი ნატაშა. კი, ვხვდებოდი ყოველივეს და მესმოდა ჩემი ბოლო დონის სიმდაბლე, მაგრამ იმდენად მომწონდა სხვისი ფეხქვეშ გათელვა, რომ ჩემი პირიდან ამოსული სიცილი ჯოჯოხეთელი დემონის სიცილს ჰგავდა. და ყველაზე საშინელება – ამასაც კი ვხვდებოდი. საზიზღარი ვიყავი და დღემდე საშინელი ვარ. საცოდავი ნატაშა, როგორ მიყვარდა...

ერთხელ მითხრა ნატაშამ, ამოვიყვანო დღეს სახლში დაქალებს. იმ დღეს ამინდი ზომიერად მზიანი, ზომიერად ღრუბლიანი, ზომიერად ნესტიანი, ზომიერად ცივი და ზომიერად გრილი იყო – მოკლედ,

მთლიანად ზომიერი, როგორც ზომიერ სარტყელში მყოფ ქვეყანას შეეფერება – ამიტომ მეც, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ნორმალურ ხასიათზე ვიყავი, თავი სულ ოდნავ მიბჟუოდა, ნაპნკენივით წუოდა ყურებიც, ჰოდა ვუთხარი ნატაშას, ეს დღე თქვენია – გოგოები ამოიყვანე-მეთქი. ნუ, ეჭვი არ შეგეპაროთ – და შეიძლება მართლაც არ გეპარებათ – რომ მოვიდოდა და მეტყოდა, დღეს მაინც ნუ დაღევო, და მე ისევ ვეტყოდი, აბა რა, მაგას როგორ განყენინებ-მეთქი. ასეც მოხდა – იმედები არ გაგიცრუეთ, დანო და ძმანო. იმედგაცრუება შეიძლება იყოს იმდენად მცირე, რომ იმ მომენტში გამართლებად იქცეს და არა წუხილის მიზეზად, მაგრამ, ამავედროულად, იმედგაცრუების მეორე და ნამდვილი სახე არის დამანგრეველი, არის ცუნამი ნაპირს მოვარდნილი, რომელიც დაგლენავს, ჩამოგშლის და გადაგრეცხავს, მაგრამ ზოგი ცუნამი ნაპირს ზედმეტობას მოაშორებს ხოლმე, და ზედმეტი ტვირთისგან დაცლილი ნაპირი გასცქერის ზღვაში შეჭრილ ცოდვებს, და ხვდება, რომ ერთი ცუნამი ღირდა იმის წაღებად, რაც ახლა მისი აღარ არის, არამედ მხოლოდ შორეულ წარსულში იყო მისი. ერთხელ მითხრა ჩემმა ნატაშამ – როგორ მიყვარდა! – რომ ის საკითხი, რაც მნიშვნელოვანზე ოდნავ არამნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანი საერთოდ არ არის. მოკლედ, ამოიყვანა ორი ქალი და ერთიც ვილაცა კაცი თუ ბიჭი თუ რა ვიცი, ვინ ან რა. მე ჩუმად ვიჯექი ჩემს ოთახში, რომ რამე ისეთი არ მექნა, მეორე წამსვე რომ სანანებელი გამხდომოდა, მაგრამ, მოვკარი თუ არა თვალი მამრის მხრებს, დავინყე ეჭვიანობა: ვფიქრობდი, ეს არის-მეთქი ჩემი პირდაპირი დაცინ-

ვა, ჩემი არაფრის მაქნისობის და მძორობის ჩემივე თვალწინ ხაზგასმა; ეს არის ბოძზე მიჯაჭვული კაცი-ცისტვის სილის განვნა და ფურთხება, როცა იცი, რომ ჯაჭვებს ვერ განწყვეტს-მეთქი; ეს არის-მეთქი სოდომი, გომორი და პორნოგრაფიული ორგანო; ჩემს გვერდითა ოთახშივე დაინყებენ ერთმანეთის ფლობას, და მე, არაფრის შემძლე და ყოვლად უმაქნისი კაცი, მოვისმენ, როგორ იკვნესებს ჩემი საკუთარი ცოლი სიამოვნებისგან, რომელსაც მე ვერ ვანიჭებ, ამიტომაც გაიჩინა-მეთქი ვილაცა; ჩემი სახლის დივანზე დაკავდებიან უმსგავსობით, ის ორი ქალი კი, ნატაშამ სასხვათაშორისოდ რომ ამოიყვანა, ამ ყველაფერს გადაიღებს და რომელიმე საიტს გაუგზავნის, რომ მერე მე, მთვრალმა და აღგზნებულმა, ფიქრებით, რომ ჩემს ცოლს ვერ შევანუხებ და თან ფეხმძიმედაა, ჩავრთო ინკოგნიტო ინტერნეტ ბრაუზერში რომელიმე მათგანი, და მთავარ გვერდზე ვიპოვო ორსული ჩემი ცოლის გაბახება-მეთქი. ველარ მოვითმინე, წამოგვარდი ჩემი რბილი სავარძლიდან, გამოვხსენი ძველ ფეხებზე ძლივს მდგარი ხმაურიანი სერვანდი, გამოვიღე კონიაკი, მოვიყუდე, ერთი ღრმა ყლუპი საყლაპავში გადავუშვი, თავზე დავახურე, ოთახის კარი გავაღე და მისაღებში გავვარდი, მაგრამ, ხედი უკვე მკაფიოდ რომ გადამეშალა თვალწინ, სიცილი ამივარდა წამით, თუმცა მალევე დავსერიოზულდი. ეს კაცი თუ ბიჭი თუ რა ვიცი – ბიჭივით(?) კი გამოიყურებოდა – აკრულიყო საყრდენ კედელზე, მარცხენა ხელზე ცისარტყელის ფერებში შეღებილი მაღალყელიანი სამაჯური ეკეთა, თმის რაღაცა ნაწილი ვარდისფრად შეეღება, წვერი, ეტყობოდა, ძლივს ამოსდიოდა ხოლმე, წი-

თელი შარვალი და ყვითელი მაისური ეცვა, ფეხზე კი გაუგონარი და ჯერ არ ნახული სტილის ფეხსაცმელები მოერგო. გამარჯობაო, რომ მითხრა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

– ჯოჯოხეთის ცეცხლში დაინვები ისე, რომ ჩაგინყდება ყველანაირი ხმა გამოუთქმელი და ჩვენთვის მიუწვდომელი ტკივილისდა გამო, მაგრამ, სულის კანს რომ დახედავ, ჯერ ერთი დამწვარი ადგილიც კი არ გექნება, – ასე მივეგებე, თან პირზე ცინიკური და ეშმაკეული ღიმილი მეკერა, – ათასი წელი რომ გავა და ისევ რომ დაიხედავ სულის კანზე, ერთ დამწვარ წერტილს აღმოაჩენ მხოლოდ; ორი ათასი წელი რომ გავა, სულის კანზე მეორე დამწვრობაც გააჩნდება და, იცი, რა? პირველად იგრძნობ სიხარულს ამდენი ხნის მერე, რადგან გეგონება, რომ შენი სულიც ოდესმე მთლიანად დაინვება და დაიფერფლება; სამი ათასი წელი რომ გავა, მესამე დამწვარი ადგილი გამოჩნდება შენი სულის ზედაპირზე, და უცებ მოგეპარება ერთ-ერთი დემონი, სამკაპს ხვრელში შეგთხრის, შეგირჭობს, რომელიც, თავის მხრივ, ჯერ სულის სნორ ნაწლავს გახევეს, შემდეგ – დანარჩენ ნაწლავებს, საყლაპავს გაგიხლეჩს და პირიდან ამოგივა, მერე კი ისევ ცეცხლზე დაგანვენენ, რომ ჭრილობები მოიშუშო; ამასობაში გავა კიდევ ათასი წელი, იდგება შენი ტანჯვის მეოთხე ათასწლეული, და შენ, უკვე ჭრილობებმოშუშებულის, შენიშნავ მეოთხე და ყველაზე დიდ დამწვარ ადგილს, რის გამოც აღტაცება შეგაპყრობს, რომ დამთავრდება ოდესმე შენი ტკივილიც, და გადმოგივარდება ცრემლი, რომელიც სინამდვილეში ნავთია, და რომელიც დაესხმება ჯოჯოხეთის ფსკერს,

გაიშლება და ისევ შენ შეგეშხეფება, ეს კი ორმა-  
გად დაგტანჯავს. მილიონი წელი რომ გავა, ჩემო  
ძვირფასო, ჩემო კარგო, შენ მთლიანად დამწვარი  
და დაშანთული იქნები, იკანკალებ იმის მოლოდინ-  
ში, რომ ეს იქნება ბოლო მომენტი, ბოლო ჟამი შენი  
ამ განამებისა; ააღდება ცეცხლი ჯოჯოხეთის ჰაერ-  
ში, შენ კი ინატრებ, რომ შეგეხოს, რათა დაგწვას  
და ბოლო მოუღოს შენს ტანჯვას სამარადჟამით,  
თუმცა ამ დროს შემოვა თვით ლუციფერი, დაგიდ-  
გებათ შენ და შენნაირებს ცხვირწინ, ხელებს გაშ-  
ლის, გადაგხედავთ და ატეხს გულიან სიცილს. გაინ-  
ტერესებს, რატომ? იმიტომ, რომ აპირებს, თქვას,  
გველებო, კანი გამოიცვალეთო. იტყვის კიდეც და,  
რახან ჯოჯოხეთის ბატონი და პატრონი ისაა, შენ  
უნებურად შეასრულებ მის ბრძანებას – ფრჩხილე-  
ბით ამოიჭრი სულის კანის ადგილს იმისთვის, რომ  
თითები კარგად ჩააჭდო და გაიძრო ეგ შენი ტყავი.  
დაინახავ, რომ კანის ქვეშ კიდეც არის სულიერი კა-  
ნის უამრავი ფენა, და შენ მიხვდები, რომ ეს შე-  
ნი ტანჯვა არის სამარადისო. მაგრამ, ახლა კარგად  
მომისმინე, სანამ იმაზე იფიქრებ, რომ ეგ შენი კანის  
ფენებიც ოდესმე გამოილევა და მაინც დაისვენებ  
საბოლოოდ, ფენას ფენა დაემატება. რა უნდა ქნა,  
იცი? უნდა თქვა: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთი-  
საო, შემინყალე მე, ცოდვილი“. ამ დროს დედამინა-  
ზე დაისადგურებს გაზაფხული, ხალხი კი აღდგომის  
დღესასწაულს იზეიმებს, გაიხსნება ჯოჯოხეთის კა-  
რი და, სულელო, გადარჩები. როგორ გგონია, რა-  
ტომაა აღდგომა მოძრავი დღესასწაული? მხოლოდ  
იმიტომ, რომ ჯოჯოხეთში იესოს სახელს ხან როდის  
ახსენებენ, ხან – როდის, თუმცა კი პერიოდი ერთია

– გაზაფხული. ასე რომ, ძვირფასო, იფიქრე – ფიქრი ტანჯვაა, მაგრამ მხოლოდ ფიქრშია ხსნა.

გაფითრებული და, სიმართლე ითქვას, შეშინებული მიყურებდა. იმ მომენტში ვერ გავიხსენე, რა ვილაპარაკე, მაგრამ შევაშფოთე, მივხვდი. მართლა არ მინდოდა, ნატაშასთვის მენწყენინებინა და, რახან ის ვილაცა ნატაშას ახლობელი იყო, ჩემს ცოლს მივვარდი, ბოდიშები ვუხადე და ვკითხე, ნატაშა, მითხარი, რამე ზედმეტი ხომ არ მომივიდა-მეთქი. ვხედავდი, ნატაშას როგორ მოადგა ცრემლები თვალებზე, მაგრამ ეს ცრემლები არ იყო იმ მიზეზით გამოწვეული, რომ მე ის დავამცირე, არამედ მის თვალებში ჩანდა ცოტაოდენი გაკვირვება, გაკრთა მცირე სიამაყეც კი, დიდი სიბრალული და, რაც ყველაზე მეტად გამიკვირდა მე, სიყვარული. ბიძგი მომცა, წამოდექიო, და მეც ავდექი, მერე კი ყველას უთხრა, ჩემი ქმარი დემეტრე, ავად რომ იყო, გამოკეთებულა, მაგრამ მცირე გავლენა მაინც დაუტოვებიაო ავადმყოფობას. ამის თქმა იყო და, ვიგრძენი, სახლში დაჭიმული და ნატაშას კისერივით დაძაბული აურა როგორ მოეშვა, თითქოს შვება ჰპოვაო. მერე ვილაცამ გაიცინა კიდევ – ორი ქალიდან ერთ-ერთი იყო – მას მეორეც აჰყვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ის ბიჭიც კი, ვისაც სრული სერიოზულობით ვესაუბრე წამების წინ. ერთ-ერთი ქალი იყო ნინო – ჩემი ნატაშას მეჯვარე – ხოლო მეორეს არ ვიცნობდი. ეს არისო ნათია, ასე მითხრა ნატაშამ, ჩვენს ქორწილშიც იყო, იქნებ გახსოვდესო. უი, ნათია, როგორ ხარ-მეთქი, მივედი და გადავკოცნე, არადა არც კი გაიფიქროთ, რომ მახსოვდა, ვინ იყო. ის კაცი თუ ბიჭი – რა ვიცი, ვერ გავარკვიე სქესი – იყო ირაკლი გოცირიძე,

გოგოების ახალი თანამშრომელი. ხელი გავუწოდე, სასიამოვნოა-მეთქი. ჩემთვისაცო, კი მითხრა, მაგრამ მაინც ეჭვის თვალთ მიყურებდა. ბოლოს ვუთხარი, მე არ შეგიშლით-მეთქი და, მიუხედავად იმისა, რომ მითხრეს, არ გვიშლიო, მაინც ჩემს ოთახში დავბრუნდი და ერთიცი მოვიყუდე. თუმცა, სანამ სტუმრები არ დაშლილან, მეტი არ დამიღვევია.

როცა ნინო, ნათია და ირაკლი მიდიოდნენ, მე გასაცილებლად გავედი, რა თქმა უნდა და, როგორც არ მჩვევია ხოლმე, თბილი სიტყვებიც ვუთხარი თითოეულ მათგანს. მაგრამ უცებ გავშეშდი, როცა ნინოს კაბას მოვკარი თვალი. საფეთქლები ამიტოკდა, კეფა ამენვა, და მივხვდი, ღმერთო, მივხვდი, რომ აი, აი, აი, ნანატრი მუზა, აი, ნანატრი სული, აი, ოთხნლიანი უმოქმედობის დასასრული, აი! გავიქეცი, ხელები მოვხვიე, ჰაერში ავნიე და ისე დავატრიალე, რომ კაბას ეფრიალა.

– მადლობა, ნინო, მადლობა! – ვყვიროდი მთელ ხმაზე, მერე კი ჩემს ოთახში გავიქეცი, – მშვიდობით, ხალხო!

ჩემს თავს ხშირად ვუსვამდი და ახლაც ვუსვამ კითხვას, თუ რატომ შემეყვარდა მაინც და მაინც ნატაშა ბუაძე. პასუხამდე ერთხელ მივედი და, ღმერთო, სულ ვნატრობდი, ნეტავ ტყუილი იყოს-მეთქი: ის იყო ერთადერთი ამ სამყაროში, ვისაც – შესაძლოა, დიდი გაჭირვების ფასად, მაგრამ მაინც – ჩემი გაძლება და ატანა შეეძლო; ნატაშა რომ კაცი ყოფილიყო, აუცილებლად ჩემი თავი იქნებოდა. იქნებ, მასში ზუსტად ჩემს თავს ვხედავდი, და მე, როგორც წმინდა წყლის ეგოისტს, ეს ჩემი თავი შემეყვარდა მასში? ნეტავ, ვცდებოდე.

მოკლედ, მე ჩემს ოთახში შევიკეტე, ამოვიღე ლეპტოპი, გავშალე ვორდის ფაილი, თითები კლავიატურაზე, როგორც ფორტეპიანოს კლავიშებზე, ისე დავანყვე, შრიფტი გავამუქე, ოდნავ გავადიდე სათაურისთვის, და დავანერე: „არგო“. მე ვწერდი განცდებით, გრძნობით, და თითების ბალიშებითვე ვგრძნობდი ვიბრაციებს, რომელსაც ჩემი სული გამოსცემდა, და რომლითაც იკვეთებოდა ის და სხეული. ყოველ დანერილ წინადადებაზე ვხვდებოდი, რისი წერა დავინყე, და ყოველ მიხვედრაზე ახალი წინადადება მაფიქრებოდა. მე არ ვიყავი ის კომპოზიტორი, რომელიც ფორტეპიანოს უზის ნოტების ამოსარჩევად, არამედ ვიყავი ის, ვისაც თავში აქვს მუსიკა და ერთადერთი, რაც აკლია, ფურცლებზე გადატანაა. ოთხი წელი იყო გასული იმის შემდეგ, რაც მე წერა შევწყვიტე, გესმით? და, აი, დადგა მომენტი, როცა წლობითი მარხვა დავარღვიე მხოლოდ იმისთვის, რომ სამადლობელი სიტყვა შემეწინა ღმერთისთვის. ნატაშა არ მანუხებდა და, როცა მხოლოდ ღამის სამ საათსა და თოთხმეტ წუთზე გაჩერდა ტკაცუნის ჩემი ლეპტოპის კლავიატურაზე ბრახუნით შექმნილი, მაშინლა შემომილო კარი. მის სახეს და, რაც მთავარი და დაუფარავი ჰქონდა, კისერს დაემჩნა დაძაბულობა, ოდნავი შიშიც, სიყვარულიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეჭვიანობაც. როცა მითხრა, რა იყო, ნინო რა გიჟივით აიტაცეო ჰაერში, მაშინ მივხვდი, რომ მართლაც ეჭვიანობდა, თან – არც ისე მსუბუქად. მუზა მომცა-მეთქი, რომ ვუთხარი, ცოტა კი ჩამშვიდდა, მაგრამ კისერი მაინც დაძაბული დარჩა. ორსული ქალი იყო, არც ისე ბევრი ჰქონდა დარჩენილი გაჩენამდე, ამიტომ



არაფერს ვფიქრობდი ისეთს, რაც მას არ შეეფერებოდა. მერე მითხრა, ხვალ ექიმთან ჩავწერე, არ გინდა, გაიგო, შენი შვილი ბიჭია თუ გოგო? მე ვუთხარი, ბიჭია, რად უნდა ამდენი ფიქრი და მსჯელობა-მეთქი. არ გამომყვებიო? რა თქმა უნდა, მაგრამ ნახავ, ბიჭი აღმოჩნდება-მეთქი. წერა იმ დღეს შევწყვიტე და ჩვენს საერთო საძინებელში გავედი, რომ დაღლილ ორსულ მეუღლეს გვერდზე მივწოლოდი. როგორ მინდოდა, ოდესმე ჩემი კოცნით მისი კისერი მომედუნებინა!.. მაგრამ არა, ვერ მოესწრო ამ ცხოვრებაში. მივუნექი ჩემს ნატაშას გვერდით და მუცელზე და შუბლზე კოცნა დავუწყე, მერე კი ორივეს ჩაგვეძინა.

დილით ექოსკოპიაზე გავეშურეთ. კი, მეჩქარებოდა სახლში დაბრუნება, რადგან ჩემი „არგო“ მელოდა შინ – უნდა მიმეხედა, თუ მინდოდა, რომ იმ დღესვე დამესრულებინა. ჩემი მუცლადმყოფი შვილის პანანინა ნაგაზი რომ გვანახეს კომპიუტერის ეკრანზე, ვუთხარი ჩემს ცოლს, აი, ხომ გეუბნებოდი-მეთქი. ნატაშასაც გაუხარდა, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც მომეჩვენა, თითქოს გოგო უფრო გაუხარდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ამბობდა, კაცისთვის ბევრი რამე უფრო მარტივია, ამიტომ ყველა ქალი ცოდოაო რაღაც დონეზე. როგორ მიყვარდა! იმ წამსვე სახელზე ფიქრი დაიწყო – თავიდან თქვა, ჟოლო უნდა დავარქვაო. გაკვირვებულმა რომ შევხედე, გაიცინა თავისი ფერიის ჯადოსნური ფანტელებისმაგვარი ღიმილით, მითხრა, ვხუმრობ, ფალოსი უნდა დავარქვაო. ექიმს გაეცინა, მე კი რაღაცნაირად თითქოს შემეშინდა, რადგან აქამდე მისი პირიდან ამომავალი მცირედი უხამსობაც კი არ მახ-

სოვდა, მითუმეტეს – ბავშვთან მიმართებაში. იაკობიო, ბოლოს თქვა და, იაკობი-მეთქი, დაეუდასტურე მეც. სახლში რომ მივედით, ჩაჯდა ერთ სავარძელში, მუცელზე მოიკიდა ხელი და მთელი დღე ასე ეფერებოდა იაკობს, თან უმღეროდა, *dobru noc, ma mila, dobru noc*-ო. ასეთი ტკბილი ხმა არსად მომესმინა, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, რომ დავბრუნებულისყავი ჩემს სამუშაო ოთახში და „არგოს“ წერა გამეგრძელებინა. ასეც მოვიქეცი, თუმცა მაინც ვუსმენდი ამ საოცარ ქალს, რომელიც ჩემი მეუღლე იყო, და ვხვდებოდი, როგორ გამიმართლა მე, და როგორ არ გაუმართლა მას ზუსტად ამის გამო. მოკლედ, ვწერე და ვწერე, გავცდი ათ თაბახს და, ბოლო – მეთოთხმეტე – ფურცელს რომ მივადექი, თვალები დავხუჭე, გონებაში უკანასკნელი წინადადება დავაწყვე და შემდეგ ფურცელზე გადავიტანე. ბოლოს მარჯვენა ქვედა კუთხეში ყველაზე პატარა შრიფტით მივანერე თარიღი, თუ როდის იწერებოდა ეს შედეგრი, წერტილი დავსვი და სავსე ყიქა კონიაკი გადავკარი აღსანიშნავად. ცოტა ხანი სკამზე ვტრიალ-ვწრიალებდი, შემდეგ კი ვორდის ოფციები ჩამოვშალე და print-ს დავანექი, პრინტერში თოთხმეტი თაბახი ჩავდე და დაველოდე, დაბეჭდილი როდის ამოვიდოდა. არ ვიცი, თუ შეიძლება ასეთი რამ, მაგრამ, წესით, ფურცლებზე დახედვითვე და ასობის წყობითვე მიხვდებოდა ადამიანი, რომ ეს იყო ლიტერატურული მწვერვალი, მხოლოდ ერთეულების დაპყრობილი. როგორღაც დავაწყვე თაბახის ფურცლები ერთმანეთის ქვეშ აკურატულად და ლამაზად, სტეპლერი ხუთჯერ დავარტყი სიმეტრიულად გაზომილ ადგილებზე, ჩემი სამუშაო ოთახის

კარი გავალე და დედობრივი სიყვარულით მოალერსე ნატაშასთან გავედი, რომ ჩემი ახალი ხელოვნების ნიმუში მეჩვენებინა. მხოლოდ მაშინლა შეწყვიტა თავისი მუცლის ფერება, ამომხედა და, სანამ ნანერს გამომართმევდა, მაგრად ჩამეხუტა. ასე ვიყავით ნუთების განმავლობაში, და ეს ნუთები იყო ჩემთვის ყველაზე მტანჯველი, რადგან მახსოვდა, რას ვუნოდებდი ჩემს მეუღლეს ხალხში. შემდეგ გამომართვა, მე კი გადავწყვიტე, სხვა ოთახში გავსულიყავი და ასე დავლოდებოდი. გამიკრთა კიდეც ფიქრი გონებაში, ხომ არ გამოვცალო-მეთქი კონიაკის მთელი ის ბოთლი, მაგრამ მერე, სასწაულებრივი და უხილავი ძალის ჩარევით, ამ ჩემს მანკიერ სურვილზე მტკიცედ განვაცხადე ღონიერი უარი. ხან ვიჯექი, ხან ვინექი, ხანაც ვიდექი და ფანჯრიდან ვიყურებოდი. ზუსტად ჩემი ასეთი დგომითი მდგომარეობის – ცუდად კი ჟღერს – დროს შემოვიდა ოთახში ნატაშა, მოვიდა ჩემთან, ქვემოდან ამომხედა და აცრემლებული თვალები შემომანათა. ხან ხელი გამოიწოდა ჩემკენ, ხან თვითონ წამოვიდა, ხან მომეკრა, ხან წასვლა დააპირა – მოკლედ, აშკარა იყო, ყოყმანობდა.

– მითხარი რამე, ნატაშა, – ხმა ამოვიღე ბოლოს.

– რა გითხრა, დემეტრე, აბა, რა გითხრა... – ასეთი ხმა მხოლოდ მაშინ ჰქონდა, როცა, ჩემთან ჩხუბის შემდეგ, სინდისი ანუხებდა.

– რამე მითხარი, – არ ვეშვებოდი, – მითხარი, რომ გენიალურია. ხომ არის გენიალური, ა, ნატაშა, ხომ არის?

გაშრა, გაქვავდა. იცოდა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ჩემი იდეები იყო, ამიტომ უარესი ყოყმანი დაიწყო.

– არა, – თქვა ბოლოს, – არ არის გენიალური –  
სულ ცოტა აკლია, მაგრამ მაინც ძალიან ძლიერია.

ყველაფერი შემოიძლია დავიფიცო, იმ წამს გავ-  
ფითრდი, თვალები წყლით ამევსო, შუბლი კი ოფ-  
ლით დამენამა. თითქოს შეეშინდა ნატაშას, თითქოს  
ბნელი აურის სუსხიანი ბუსუსები იგრძნო ჩემგან  
გამომავალი, ამიტომ მომეხვია და მხურვალედ მა-  
კოცა – უნდოდა, საკუთარი დანაშაულის გრძნობა  
გაექარებინა, ჩემთვის კი ცოტათი ეამებინა. მაგ-  
რამ, გესმით, ჩემი ნაშრომი, ჩემი უძილობის ნაყო-  
ფი, რომელზე ერთი დახედვაც კი საკმარისი იყო,  
რომ კაცს ეთქვა, გენიალურიაო, ჩემმა ცოლმა ერთი  
წინადადებით გააცამტვერა.

– ჰა! – აღმოხდა უცებ, – შენც იგრძენი, დე-  
მეტრე? ნახე, თითქოს მუცელში რალაცა მომხვდა  
შიგნიდან. შენი შვილი მირტყამს. მოდი, მოეფერე,  
დემეტრე, მოდი.

მე საკრავის მომხიბვლავი ხმით დაჰიპნოზე-  
ბული გველივით დავიკლაკნე, მუხლებზე დავეცი,  
აკანკალებული ხელები ჩემი ცოლის საშვილოს-  
ნოში მჯდომი შვილისკენ გავიშვირე, ნატაშას მუ-  
ცელს შევეხე, ხელები მოვხვიე და, როგორც ადა-  
მიანი, ისე ჩავიკარი გულში. ფრთხილადო, კი მით-  
ხრა ნატაშამ ჩუმად, მაგრამ იცოდა, ბავშვს არა-  
ფერს ვავნებდი.

– იაკობ, შვილო, – დავუწყე ჩემს ჯერ არ დაბა-  
დებულ ძეს საუბარი, – აბა, რას აკეთებ – მშობელ  
დედას როგორ ურტყამ? გამოსვლა გინდა? თავს  
რად ილუპავ, იაკობ, რა გინდა გარეთ? მხნეობა და  
მოთმინებაა საჭირო, ამიტომ ცოტაც მოიცადე. იმ  
დღეს, როცა დაბადება მოგიწევს, ვინ იცის, მე სად

ვიქნები; დედაშენი დაღვრის წყლებს თავისი საშოდან, პირველად დამირეკავს მე, მაგრამ მე ტელეფონი გამორთული მექნება, როგორც ყოველთვის, შემდეგ კი, იმის მაგივრად, რომ სასწრაფოში დარეკოს, დედამის იანას შეეხმიანება და ეტყვის, დედა, მგონი, მენწყებაო; იანა გაგიჟდება, გამოქანდება თავისი ლურჯი „ტოიოტას“ ჰიბრიდით, ჩაისვამს მუცელმტკივან შვილს, გააქანებს უახლოეს საავადმყოფოში, თან გზაში მიუთითებს, ღრმად ისუნთქოს თუ რაზე იფიქროს საერთოდ; იქნებ, ერთი-ორჯერ მეც გამლანძლოს, შვილი ებადება, ეს კი სად გდიაო? რა, მტყუანი იქნება? დედაშენ ნატაშას დაანვენენ სამშობიარო პალატაში, თავს მოვევლებიან ექიმები, ბებიაშენი იანა კი დერეფანში იტრიალებს რეტიანივით, შვილიშვილის გამოჩენას დაელოდება და იმედოვნებს, რომ დედას დაემსგავსება და არა მამას, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ აბსურდია – როგორი სხვანაირიც არ უნდა იყოს ბავშვი მშობლისგან, საკვანძო მომენტებში ვაჟი ყოველთვის მამის ასლი და პროტოტიპია, ამიტომ ბოდიში, იაკობ, ბებიკოსთან – მე დამემსგავსები. მე იმ მომენტში, როცა დედაშენი ჭინთვებს დაიწყებს, ვიქნები უკვე გვარიანად მთვრალი, შემდეგ გული რეჩხს მიყოფს, წინათგრძნობა შემჭამს და, ძალაუნებურად, ჩავრთავ ტელეფონს, დაფურეკავ ჩემს საყვარელ მეუღლე ნატაშას, ყურმილს კი ჩემი სიდედრი იანა აიღებს, ვაჟბატონო, სად ბრძანდებიო, შემომჩივლებს, შენს ცოლს მშობიარობა დაენყო, აი, ნუთი-ნუთზე გააჩენსო. გამოვვარდები მეც ქუჩაში გიჟივით, გავაჩერებ პირველივე ტაქსს, ვეტყვი, საავადმყოფოში გამაქანე-მეთქი და, როცა მკითხავს, რომელ საავადმყოფოშიო,

მე სულელივით ამოვიღებ ჩემს ტელეფონს, დავრეკავ ისევ ნატაშას ნომერზე, რომელზედაც ისევ იანა მიპასუხებს, და ვკითხავ, რომელ საავადმყოფოში ხართ-მეთქი. საქალაქოშიო, მიპასუხებს, დავუკიდებ ყურმილს და მივუბრუნდები ისევ ტაქსისტს, საქალაქო საავადმყოფოში გამაქანე, ჩემი ცოლი მშობიარობს-მეთქი. გამაქანებს მართლაც, ას ათი კილომეტრ/საათით წაიყვანს თავის მწვანე „მერსედესს“, ოსტატურად შევარდება საავადმყოფოს ეზოში, დაატორმუხებს, მე ჯიბეებს მოვიჩხრეკ, რომ ფული მივცე, მაგრამ მივხვდები, რომ არაფერი მაქვს, ამიტომ ვეტყვი, ჯიგარო, დამელოდე, ახლავე ჩამოვალ-მეთქი. მთელი სისწრაფით შევვარდები იქ, სადაც ჩემს ცოლს ჩემი სიდედრი დაელოდება, ვეტყვი, იანა, ტაქსის ფული მომეცი, გთხოვ, მე გამთავებია-მეთქი. ოხ, შე უპასუხისმგებლო კაცოო, მეტყვის, მაგრამ მაინც გამომიწოდებს რკინის ორლარიანს, მე კი ისევ ჩავირბენ საავადმყოფოს ეზოში, რომ ტაქსისტს ეს ფული გავუწოდო, მაგრამ აღმოვაჩენ, რომ თურმე წასულია, რადგან გაიგო ჩემი მდგომარეობა, როცა ვუთხარი, ჩემი ცოლი მშობიარობს-მეთქი. ამ ორლარიანს მევე ჩავიჯიბავ, რომ გაჭირვების ყამს იაფიანი სასმელი ვიყიდო, რაც მომივა. ავვარდები ისევ საავადმყოფოს იმ დერეფანში, სადაც ჩემი სიდედრი ჩემივე ცოლის მშობიარობას და შენს გამოჩენას, ჩემო იაკობ, დაელოდება, მერე შევალბე პალატის კარს, ვიტყვი, მე ნატაშა ბუაძის მეუღლე ვარ და მშობიარობაზე დასწრება მინდა-მეთქი. უარს არ მეტყვიან, ნატაშასაც გაუხარდება, რომ მივედი. ექიმივით გამომანყობენ, დედაშენი კი, იაკობ, მეტყვის, მოდი ჩემთან, დემეტრე, ხელს ჩაგჭიდებო. ძლიერად

მომიჭერს ხელს – ისე, რომ მეც კი მართლა მეტკინება – და მეტად ხმამაღლა გაიჭინთება. ფეხები გაშლილი და მალლა აწეული ექნება ლამაზად და, ამავე დროულად, შემაშფოთებლად. მერე ქალ ექიმს ვილაცხა კაცი ექიმი შეცვლის, რომელიც პირდაპირ ჩემი ცოლის საშოს მიაჩერდება ბავშვის მოლოდინში. ბიჭო, ვის ან რას უყურებ-მეთქი, დავიყვირებ, გავუშვებ ნატაშას ხელს, გავიქცევი იმ ექიმისკენ, მერე კი უცებ ნატაშა წინანდელზე ხმამაღლა გაიჭინთება, იმ ექიმის ხელში კი პატარა ბავშვი, პატარა იაკობი გაჩნდება, და მე, დაბნეული, შეშინებული და მთვრალი, მიმოვიხედავ პალატაში აქეთ-იქით, ბოლოს კი დავეცემი და გული წამივა. რომ გამოვფხიზლდები, შენ უკვე დედაშენის ხელებში იწვები უსაფრთხოდ, მე კი მოვალ, დაგხედავთ ორივეს და გავიფიქრებ, როგორ გამიმართლა მე, რომ თქვენ მყავხართ, და როგორ არ გაგიმართლათ თქვენ, რომ მეც თქვენ გეკუთვნით. მერე გავა წელიწადი, შენ დაიწყებ ლაპარაკს, ჩემო იაკობ, მე გასწავლი პირველ ლექსს, დედა – პირველ სიმღერას, შენ მალევე აითვისებ ამ ყველაფერს, მე კი მივხვდები, რომ მამის გენიოსური ბუნება შენზე გადმოვიდა. წლების შემდეგ მიხვალ ბაღში, იქნები ყველაზე ზემდგომი შენი გონებითა და, რაღა თქმა უნდა, გულით, შენი ცოდნით და შენი სიკეთით. სკოლაში ვერ გაგიგებენ, არ მოგეწონება, პირველად გასინჯავ მწარე იმედგაცრუების შემზარავ გემოს, მე კი, მამაშენი, ვიქნები შენი ნამდვილი მასწავლებელი. დრო გავა, მე მოვკვდები ისე, რომ შეიძლება არ დავიმარხო მთანმინდაზე, მაგრამ შენ შენს თავში იგროძნობ გენიოსურ სულს, გაგიჩნდება უღევი ამბიციები, დაიწყებ წერას უზადოდ,

როგორც ამას მამაშენი აკეთებდა – იქნებ, უკეთესადაც კი – დაიწყებ საკუთარი თავის წარმოჩინებას, მაგრამ მალევე მიხვდები, რომ არავის სჭირდები, არავის უნდობარ; ასეა ეს ქვეყანა აგებული და მოწყობილი და, ჯერ სადა ხარ – როცა შენი დიდი ნიჭის შესახებ შეიტყობენ, უარესიც იქნება: შური და ტყუილები. თუ რამეს მიაღწევ, გაგანადგურებენ ის ადამიანები, რომლებმაც მიგაღწევენ ის იქამდე, სადაც იქნები მაშინ – არასოდეს გეტყვიან კარგზე ცუდს, კი, მაგრამ არც კარგი დასცდებათ, არამედ დაუფარავი ნიჭილიზმით იქნებიან შენი კარგისადმი განმსჭვალულნი, მაგრამ, მთავარია, ერთი შეცდომა დაუშვა, რომ მთელ შენს უარყოფით ფაქტებსა და ფაქტორებს ცხვირნინ დაგილაგებენ, რომ შემდეგ თავადვე განიხილონ შენი რაობა. შენ, იმედგაცრუებული და დაღლილი ამ ყველაფრისგან, დაიწყებ სმას და აშვებულ ცხოვრებას, რის გამოც ველარც კი დანერ, მაგრამ მალევე მოხდება სასწაული, და შენ შეგხვდება ქალი, რომელსაც შეიყვარებ, შეიყვარებ და ცოლად მოიყვან. წლები გავა იმის მერე, რაც ვერ დანერ, მაგრამ კიდევ მოხდება სასწაული, და შექმნი ისეთ ნაშრომს, როგორც არავის შენამდე არ შეუქმნია, მერე კი მიხვალ საყვარელ მეუღლესთან, რომ ნააკითხო, გაუზიარო და, როცა ჰკითხავ, გენიალურია თუ არა, გიპასუხებს ცოტა დააკლდაო.

ამის თქმა იყო და ნატაშა გაფითრდა, მე კი ავდექი, შავი მოსაცმელი მოვისხი და გარეთ გასვლა დავაპირე, თუმცა არ ვიცოდი, სად ვაპირებდი წასვლას, მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა დალევა. ამიტომ, თავი რომ არ დამემცირებინა ნატაშასთვის ფულის თხოვნით, ჩემი სერვანდიდან ჯერ კონიაკის



ის ბოთლი გადმოვიღე, მაგრამ, როცა ვნახე, ნახევრამდე იყო ჩაცლილი უკვე, სხვა ბოთლი ავირჩიე, რადგან ვიცოდი, არ მეყოფოდა. გარეთ ქარი იყო ძლიერი, და ჯერ კიდევ თებერვლის სუსხი გამოჰყოლოდა მარტის თვის ჰაერის მასების მოძრავ ნაკადს. გაზაფხულის მოსვლასთან ერთად ატეხილი კატების კნავილი აპობდა ჩუმ ჰორიზონტს, და მე ეს ხმაური მეჩვენებოდა, როგორც განწირული ბავშვის გულამოსკვნილი ტირილი. მე სწრაფი ნაბიჯით დავდიოდი სულ ერთი მიმართულებით – მარტორქასავით პირდაპირ. თუმცა მერე, როცა ძირამდე დავიყვანე ბოთლში კონიაკი, თავში საშინელი და შემადრწუნებელი აზრი გამიკრთა, რომელზე უარიც ვერ ვთქვი, იმდენად ვიყავი გაბრაზებული თუ, უბრალოდ და მარტივად, გაოგნებული იმის გამო, რაც ნატამამ მითხრა. არ არის გენიალური – სულ ცოტა აკლია, მაგრამ მაინც ძალიან ძლიერიაო, გესმით?! ასე მითხრა, ხომ კარგად გახსოვთ თქვენც, არა? ხომ არ ვიგონებ, არა?! ვინ ვარ-მეთქი მე, მახსოვს, ასე გავიფიქრე მაშინ: მე ვიყავი და ახლაც ვარ ლოთი, არარაობა, ადამიანი, რომელიც საკუთარი ხელით შეგნებულად ისპობს ღმერთისგან მომადლებულ უღევს და ხანდახან მართლაც მიუწვდომელ ნიჭს, რომელთა გონივრული გამოყენებითა და ყოველდღიური სულიერი შრომის დახმარებით უნდა განახორციელოს დიადი მიზანი – მოამზადოს სული მარადიული განსასვენებლისათვის; მე დაკარგული პიროვნება ვარ, როგორც ოჯახისთვის, ისე – ქვეყნისთვის და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ თავად ღმერთისთვისაც; მე ვარ კაცი, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა საკუთარ სულს, და კაცი, რომელიც მზად

იყო, გამოუსწორებელი და მწარე დალი დაესვა სა-  
კუთარი შვილის შინაგანი სამყაროსთვის; ალკოჰო-  
ლის ზემოქმედება გაივლის, მაგრამ დარჩება მისი  
მიღების შედეგად დანგრეული და მიუსაფარი სული.  
მოკლედ, ჯერ განმარტოება გადავწყვიტე, რადგან  
ადამიანი ისე ხშირად არაფრით სცოდავს, როგორც  
– ენით, განმარტოებით ყოფნისას კი ამ ცოდვას  
გაურბის, მაგრამ, სიმართლე ითქვას, რეალური გან-  
მარტოება არ არსებობს, იმიტომ, რომ, თუ ღმერთი  
არ იქნა შენთან, ეშმაკი მაინც გვერდში გეყოლება,  
რომელიც თავის დროს დაელოდება; წმინდა სინდი-  
სის მქონე ადამიანს არც კი სჭირდება განმარტოე-  
ბა, რადგანაც ის ყველასთან მშვიდ ურთიერთობას  
დაიჭერს, მაგრამ, აი, ადამიანი, რომელსაც სინდისი  
ხალხში ქენჯნის, განმარტოებაშიც დაიტანჯება და  
ვერ მოისვენებს. ჩემი იდეა იყო ასეთი: უნდა დამევე-  
ლო ყველა ნაცნობის კარზე, უნდა მეთქვა, როგორი  
ქაჯია ჩემი ცოლი, როგორ ირტყამს მუშტებს მუ-  
ცელში მხოლოდ იმის გამო, რომ მე შეიძლება ცუდი  
მამა ვიყო, როგორ მაგდება სახლიდან და მოკვლით  
მემუქრება; უნდა მეთხოვა მათთვის დახმარება, ისი-  
ნი კი, ვინ იცოდა, რას გააკეთებდნენ.

იმ ღამეს ასეც მოვიქეცი, ყველა დახმარებას  
დამპირდა, შეფარებაც კი შემომთავაზეს, მაგრამ  
არავისთან დავრჩი და გარეთ გამოვედი, რომ დამე-  
ძინა რომელიმე გრძელ სკამზე სადმე, პარკში. დამე-  
სიზმრა, როგორც „სიზმარაშია“<sup>1</sup> – მე ჩემს არარსე-  
ბულ, მეფური ძვირფასეულობით შემკულ სანოლზე

---

1. ქართული ხალხური ზღაპარი, რომლის მიხედვითაც 1986 წელს გადა-  
ღებულია იმავე სახელწოდების ანიმაციური ფილმი.

მეძინა, როცა ვირთხები ცეკვითა და სიმღერით შემოიჭრნენ, დამინგრიეს სანოლის ფეხები, დამაგდეს მინაზე, ამიტაცეს თავისი უშველებელი წინა თათებით და გამიტაცეს სადღაცა შორს, მე მგონია – ჯოჯოხეთში, და ასევე მგონია, ეგ ვირთხები დემონები იყვნენ.

ნატაშას მთელი კვირები ურეკავდნენ ჩემი ნაცნობები, რამდენიმე სახლშიც ააკითხა. ვუყვარდი ჩემს ცოლს, ჩემს მეუღლეს, ჩემს თანამეცხედრეს, მართლა ვუყვარდი, და მეც მიყვარდა ისევე მდაბიოდ, როგორც თავად ვიყავი და ვარ. მეშვიდე თვეში იყო – მე უკვე დაბრუნებული ვიყავი შინ მაინც იმ სამარცხვინო ქმედებების შემდეგაც კი, როგორც მათხოვარი – როცა ერთ დღეს საპირფარეშოში შევიდა მოსაშარდად, თან კარგად გამობერილი მუცელი ხელით ეკავა, რაც მანიშნებდა, რომ სტკიოდა. შევიდა და ათი წუთის შემდეგ გამოვიდა, ხელები სისხლიანი ჰქონდა, თვალები – ცრემლიანი, მაგრამ არ ერიდებოდა და სისხლსაც ურევდა ცრემლებს თვალებზე ხელების მოსმით. მუცელი საერთოდ აღარ ჰქონდა გამობერილი ოდნავადაც, უნიტაზში კი ჩამოშლილი და ფურცელივით ნაკუნებად დახეული ჩემი არდაბადებული შვილი ეგდო, მთლიანად აზელილი მასა, თითქოს ნარწყევით, მაგრამ ნარწყევი კი არა, ჩემი სისხლი და ხორცი იყო. კვირები ტიროდა ნატაშა, მე იმდენი ვსვი, სანამ ღვიძლის დაშლა არ დამეწყო, მერე ნატაშა ნერვიულობით გარდაიცვალა, მე კი დავრჩი ასე, ატირებული, და დაშლილი ღვიძლის ამარა, დაშლილ სულთან და შერყეულ გონებასთან ერთად. ისლა დამრჩენია, დაველოდო დროს, როდის მივუნ-

ვები ჩემს საყვარელ მეუღლეს გვერდით, რომ ახლა მართლა ერთად გავწიოთ რაღაცა ახალი უღელი ჩვენს იაკობთან ერთად.

ღმერთი იყოს შემწე და აღმადგინებელი ყოველი დაცემულისა, ამინ.

9 მარტი – 14 მარტი, 2017 წელი

## მონანიება

1980 წელს მე დავიბადე; 1994 წელს, თოთხმეტი წლისამ, დავამთავრე პირველი წიგნის წერა; 1996 წელს დავწერე მეორეც; 2000 წელს ჩემი magnum opus-იც მივაყოლე, და იმის მერე აღარაფერი დამიწერია.

ახლა დგას 2013 წელი, დეკემბერია, და ველოდები, როდის დადგება დღე ჩემი დაბადებისა, რომ გავხდე ოცდაცამეტი წლის და, საბოლოოდ, გარდავიცვალო.

თხუთმეტი წლის რომ გავხდი, ჩემი პირველი წიგნი ახალი დამთავრებული მქონდა. მივედი სკოლაში იმ დღეს – სამშაბათი უწევდა იმ წელს ჩემი დაბადების დღე – და მომილოცეს ბავშვებმა, ჩემმა კლასელებმა, დიდის ამბით. ამ დროს ქართულის გაკვეთილი მქონდა, ამიტომ, რა გასაკვირია, ჩემმა მასწავლებელმაც მოჰკრა ყური სიტყვებს, გილოცავო. მოვიდა ჩემთან და მკითხა, დაბადების დღე გაქვსო? კი-მეთქი, ვუპასუხე გაბადრულმა. მომილოცავსო, მითხრა, მერე კი, ოდნავი პაუზა რომ გააკეთა, დაა-

მატა, რამდენი წლის გახდით? მე ვუთხარი, თხუთმეტის-მეთქი. ეჰ, ჯერ თხუთმეტის ყოფილხარო, ჩაილაპარაკა და თავზე ხელი გადამისვა. იმ დროს, მახსოვს, გავიფიქრე, ჯერ კი არა, უკვე თხუთმეტის ვარ-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს, რალა თქმა უნდა – *ბრძნად მეტყუელებათ ვერცხლი არს წმინდა, ხოლო დუმილი ოქრო რჩეული*.<sup>1</sup> მართლაც და, თხუთმეტი წელი თითქოს არაფერია, თითქოს მეტად მოკლე დროა ამ სამყაროში, არაფრის მომცემი, ჯერ კიდევ დასაწყისი გვირაბისა, მაგრამ ეს მაშინ, როცა ას წელს იცოცხლებს ადამიანი; თუ ადამიანს ოცდახუთი და ოცდაათი წლის სიცოცხლე უწერია დედამიწაზე ამ განზომილებაში, მაშინ თხუთმეტი წლის ყოფნა იგივეა, რაც ასი და ას ათი წლის სიცოცხლეგანერილი ადამიანისთვის – ცამოცი წელიწადი.

ქრისტეს დაცინვით დავინტერესდი პირველ ხანებში და, მიუხედავად იმისა, რომ მეშინოდა, მაინც მივბაძე ძირძველ კომუნისტებს – ლენინს, მარქსს – და მეც დავინყე ქრისტეს გამობა. წითელი რეჟიმის შემდეგ რელიგია ისე იკრეფდა ძალებს, როგორც წითელი რეჟიმისას – ათეიზმი, ამიტომ მე მინდოდა, ბალანსი დამეჭირა და ვყოფილიყავი არა რელიგიის, არამედ კომუნიზმის ერთგული. მეშინოდა, დიახ, მაგრამ მაინც ყოველგვარ შიშზე მაღლა დგას ცნობისწადილი ადამიანში – კაცობრიობის მიღწევისათვის გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ნახტომი იყო და არის შიშზე ცნობისწადილის მოზღვავებული რაოდენობით ორგანიზმში ან, თუ უფრო მართებუ-

---

1. ბიბლიური სოლომონ მეფის სიტყვები.

ლად ვიმსჯელებთ და ამის ხარჯზე ვიტყვით, გონებაში, რომელმაც შემდეგ ეს ყველაფერი სხეულსა და, ზოგადად, ადამიანის არსზე გადმოიტანა. განა მთვარეზე პირველი – ანდაც ნებისმიერი – გაფრენის წინ არ ეშინოდათ და ეშინიათ გაფრენის აღმსრულებლებს, არ კანკალებენ და ცივი ოფლი არ ასხამთ შუბლზე, რომელიც, თავის მხრივ, თავის ტვინის შუბლის წილს იფარავს? როგორ არა, თუმცაღა მაინც ისინი დგამენ ნაბიჯს ან, რეალურად, აკეთებენ ირმის ნახტომს, და ყველაფერ ამის შემდეგ ზეიმობს ცნობისნადილი თავის კიდევ ერთ გამარჯვებას ადამიანის ბუნებაში შიშისა და, ზოგადად, ნებისმიერი სხვა გრძნობის წინააღმდეგ. ადამიანის სულისა და სხეულის ნაზავ ცნობიერებაში და ქვეცნობიერებაში ყველაზე დიდი, ძლიერი გრძნობა, სიყვარულის შემდეგ, ზუსტადაც რომ ცნობისნადილია. ადამიანის არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი და, შეიძლება ითქვას, მიზეზიც, ცნობისნადილის დაკმაყოფილება ან, უფრო მართებულად რომ ითქვას, ისეთი გარემოს შექმნაა, სადაც ცნობისნადილის დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა დიდ ხანს წარმართება და, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი მაინც ვერასოდეს ამონურავს თავის სურვილებს ცნობადობაზე, ის მაინც ბოლომდე ეცდება, და ეს მცდელობა მიანიჭებს მას იმ ბედნიერებას, რომელსაც ადამიანთა სამყაროში სიცოცხლის სურვილი ჰქვია; და თუ ადამიანს არაფერი არ აინტერესებს, ის, დიდი ალბათობით, მკვდარია უკვე, ხოლო, თუ მოხდა სასწაული – მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სასწაულის მოხდენის ალბათობა მცირეზე უმცირესია – და ადამიანი ამონურავს თავის ნადილს ცნო-

ბადობაზე, მაშინ ის ცნება „ადამიანის“ ფარგლებს გასცდება, თუმცაღა, გასცდება რა იგი ადამიანის ფარგლებს, თვალწინ გადაეშლება ახალი სამყარო, რომელიც სავსეა ახალი ფაქტებით და, შესაბამისად, იმ პიროვნებაში აღიძვრება ახალი ცნობისმოყვარეობა – მართალია, უფრო მეტად ამაღლებული და ზემდგომი იქნება ეს გრძნობა, თუმცა მაინც ცნობისწადილის მომხიბვლავ და სასიამოვნო ფრაკში იქნება იგი გამონყოფილი საგანგებოდ, რათა ნება მისცეს პირს, დააგემოვნოს ის, ხოლო ვინც მას დააგემოვნებს, ძნელად თუ გაჩერდება უკვე შემდგომ.

ლენინს ვბაძავდი – ათეისტობა მინდოდა, მაგრამ ბოლოს მაინც სექტა შევქმენი, დავწერე ჩემი სახარება და სხვა.

და 2013 წელს, ორი თვის წინ, მე, ჩემი აზრებით შემინებული, თუ რა მომელოდა შემდეგ ამისთვის, სექტის კრებიდან პირდაპირ გავიპარე ქარელში, მათა მონასტერში. საქართველო მიცნობდა მე, მაგრამ არა – მამები, ამიტომ, გამოვჩნდი თუ არა იქ და ვითხოვე თუ არა თავშესაფარი, ერთმა ბერმა თავის კელიაში დამტოვა და მითხრა, აქ მოიცადე, სანამ სხვა ბერებსაც მოვიყვანო. და მეც ვიცდიდი. უცებ ჩემმა მობილურმა ტელეფონმა მოკლედ დაიწიპინა. იმის გამო, რომ სოციალიზმიდან გადმოვედი კაპიტალიზმში – ანუ, ორივე რეჟიმს მოვესწარი – მობილურ ტელეფონს მთლად რაციონალურად ვერ ვიყენებდი, და ერთადერთი, რაც ამ წრიპინმა მომაგონა, ეს იყო ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის მეოთხე ნაწილის დასაწყისი, და მეც ღიღინს მოყყევი.

უცებ კი გარეთ ჩოჩქოლი ატყდა. მომიწია, კელიის აღმოსავლეთ კედელზე გაკეთებულ ერთა-



დერთ ფანჯარასთან მისვლა, რომ დამენახა, რა ხდებოდა იქ, იმ მშვიდ და განმარტოებულ ადგილას. მე ვაპირებდი, დავმდგარიყავი მორჩილად, და მერე, ყველანაირი პირობის შესრულების შემდეგ, გავმხდარიყავი ნევრი შავი სამღვდელოების. მაგრამ, გავიხედე თუ არა, დავინახე ოცამდე კაცი, ნვეროსანი, საერო ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩემი კელიისკენ მორბენალი და გაშმაგებული. თავიდან ვერ მივხვდი, თუმცაღა მერე, რომ მომიახლოვდნენ, ჩემი სექტის მეორე ხელმძღვანელის შრამიანი სახე გავარჩიე. მივხვდი, მომაკითხეს. ისინი მორბოდნენ ჩემკენ, მუშტები ჰაერში აეშვირათ და ყვიროდნენ, ლევან, ლევანო. კელიის კარი ძალით გააღეს, შემოვარდნენ ჩემთან და, მიუხედავად ჩემი წონისა, ჰაერში ამიტაცეს, როგორც – ტურნირის გამარჯვებული მწვრთნელი, გამიყვანეს გარეთ, და ასე ჰაერში აწეული მიმიყვანეს მანქანამდე და შიგ ჩამტენეს. ჩემი ბრალია, ღმერთო, შემინდე.

8 დეკემბერი, 2016 წელი

## დიუსოპანია

რუსთავში დასახლების შემდეგ ხშირად ვფიქრობდი რატომღაც, რას წარმოადგენდა და, რეალურად, რა იყო ის ქართული ტრადიციები, რომლებიც აშკარად ფიტავდა და, ამავდროულად, ანადგურებდა მის აღმსრულებელ საზოგადოებას; ვფიქრობდი, ხალხი არჩევანის წინაშე დგას – ან ყველა ტრადიცია დაიცვას, ანდაც ყველა უარყოს – თუმცა არავის აზრადაც არ მოსვლია-მეთქი შუაში ჩადგომა.

მეტალურგიასთან როცა მოვხვდი პირველად, წამსვე სტალინი და, შესაბამისად, საბჭოთა კავშირი გამახსენდა. მოკლედ, იმ დღეს შევხვდი პირველად კახა გაფრინდაშვილს – ზუსტად მეტალურგიის წინ იდგა და შენობას უყურებდა. გვერდზე დავუდექი, რადგან მეც მომინდა უცბად, ისეთივე თვალთ შემეხებდა რუსთავის მთავარი „ღირსშესანიშნაობის-თვის“, როგორაც იქ მდგარი კაცი უყურებდა. მივედი, მისგან ხუთი მეტრის დაშორებით, გვერდზე დავდექი და მივაშტერდი მეც მეტალურგიის წინა კედელს, თუმცა დასახული მიზანს ვერ მივალწიე –

ვერ შევხედე ნაგებობას იმ კაცის თვალით, ვერ მოვისვენე ადგილზე და, ამიტომაც, მივედი მასთან და ვუთხარი:

– ბოდიში შენუხებისთვის, მაგრამ, ხომ ვერ მეტყვით, რას უყურებთ ასე გამალებით? შეგამჩნიეთ და ვერ მოვისვენე, ამიტომაც მოვედი, რომ მეკითხა.

– რას გაგონებთ ეს შენობა? – კითხვითვე მიპასუხა მან.

– ვერ მივხვდი, უკაცრავად... – დავიბენი და ენა ამეზნა, – რას მაგონებს?.. ანუ?..

– დიახ, რა ასოციაციას იწვევს თქვენში ეს შენობა, ეს კედელი? – განმიმარტა თავისი თავდაპირველი შეკითხვა. – რა გაგონდებათ მისი დანახვისას? რას ხედავთ ისეთს, რაც მასზე არაა?

– მე... – ისევ დავიბენი, მაგრამ მალევე მოვიკრიბე გამბედაობა, მეტალურგიის მიღმა შევიჭვრიტე და ვუპასუხე: – წამსვე ნამგალი და ურო დავინახე, და პირდაპირ იოსებ ჯულაშვილის სახე გამოკრთა... – ვუპასუხე გაკვირვებულმა, რადგან მართლა დავინახე ეს ყველაფერი, და რადგან აქამდე ამის მსგავსი არაფერი დამენახა.

– იოსებ ჯულაშვილი... – თავისთვის ჩაილაპარაკა. – დიახ, ასეც ვიფიქრე.

– თქვენ? – ჩავეკითხე უცებ, აფორიაქებით, – თქვენ რას ხედავთ?

– მე, მაგალითად, ეს ჩუქურთმები წამსვე მიბიძგებს, რომ ჯოჯოხეთზე ვიფიქრო და, მამასადა-მე, მე ვხედავ საუკუნო სატანჯველს, ცეცხლოვან ფრთებს, მესმის კივილი და მჯერა გადარჩენის.

– ჯოჯოხეთი?.. – ხმამალლა ვთქვი და დავფიქრდი.

– კარგად დააკვირდით, – ისევ მითხრა ისე, რომ ჩემკენ არც კი გამოუხედავს, – და ისე მიპასუხეთ: იოსებ ჯულაშვილს როგორი სახე აქვს? ანუ, სერიოზულია? იქნებ, ტირის? იქნებ, სულაც მრისხანებს?

– იცინის, – წამოვიძახე გაკვირვებულმა, – მართლა იცინის! ცხვირზე ცერა თითი მიუბჯენია, ნეკა თითი კი ჩემკენ მოუშვერია, და იცინის.

– იცინის? – მკითხა, და მე მის ხმაში ოდნავი კმაყოფილება შევამჩნიე.

– დიას, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა! – ვუპასუხე.

– იქნებ, კი არ იცინის, არამედ დაგვცინის? – მითხრა, მერე კი გაბრუნდა, თავი ჩალუნა, ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო და ისე წავიდა, რომ არც კი შემოუხედავს ჩემკენ.

\*\*\*

როცა მეორედ შევხვდი კახა გაფრინდაშვილს, ჯერაც არ ვიცოდი, რა ერქვა, თუმცაღა, რა გასაკვირია, რომ სახეზე დამამახსოვრდა. ოცდაორი აპრილი იყო, ამიტომ მე ლენინზე ვფიქრობდი.<sup>1</sup> დავდიოდი ოდნავ დაბნეული, ცხვირში მხვდებოდა ქარის მოტანილი სურნელებები – ზოგი ვარდის, ზოგი ტიტის, ზოგი შაურმის და ზოგიც ტოტალიზატორიდან ახლადგამოსული კაცის. ზუსტადაც, ვხედავდი, როგორ ჯგროდ და ჯოგად იდგა გაქუცული მამაკაცების ბრბო ტოტალიზატორის წინ,

---

1. 1870 წლის ოცდამეორე აპრილს დაიბადა რუსი რევოლუციონერი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი(ლენინი).

ზოგი აბოლებდა სიგარეტს, ზოგი იდგა იმედით, რომ რომელიმე მათგანი ბოლო ორ ნაფაზს დაარტყმევინებდა, ზოგს ჯერ კიდევ წუთების წინანდელი წყრომა და იმედგაცრუება უხევდა გამალებულ გულმკერდს და, მოკლედ, ყველას რალაცა ასეთი გამომეტყველება ეწერა სახეზე, თუმცა არც ერთი მათგანისთვის არ შემიმჩნევია იმის იმედი, რომ შევიდოდნენ ტოტალიზატორში და იქიდან რაიმე მოგებას გამოიტანდნენ; იფიქრებთ, მაშინ რალატომ თამაშობდნენო. თამაშობდნენ და თამაშობენ, რადგანაც, ძალაუფლების შეგრძნების შემდეგ, აზარტული თამაშებით თავის შექცევა ყველაზე დიდი ვნებაა დედამიწაზე არსებულ ვნებებს შორის. და თამაშის შემდეგ არის ალკოჰოლი. დიახ, ზუსტად ასე, ამაზე ვფიქრობდი, როცა ტოტალიზატორის გვერდით მიშენებული კაზინოს კარი გაიღო, იქიდან კი კახა გაფრინდაშვილი გამოვიდა, რომელმაც თხელი ქურთუკის გულის ჯიბიდან ნახევარლიტრიანი, არყით სავსე ბოთლი ამოიღო და ნელა, ჩუმად და შეფარვით მოსვა მოზრდილი ყლუპი. მისი სახე, ფიფქიას სახესავით თეთრი, ფითქინა და ფერდაკარგული, დაელარა უდროო ნაოჭებს ტუჩის კუთხეებსა და თვალების გარშემო; მისი მუცელი, არა საჭმლისგან, არამედ სასმლისგან ტანის პარამეტრებისდა შეუფერებლად გამობერილი, ჩანდა, კანის გახევას ლამობდა. არ ვიცი, რატომ გადაწყვიტე ასე, მაგრამ ისე ძლიერ მომინდა მასთან მისვლა და გამოლაპარაკება, რომ თავს ვერ ვძლიე და ასეც მოვიქეცი – მასთან მივედი.

– რატომ სვამთ ხალხში დღისით, მზისით?! – ასეთი იყო ჩემი პირველი სიტყვები, რომლებმაც

რუსთავის ქარიან ამინდში იმ დღეს საყვედურივით მიზანმიმართულად გაიჟღერა.

– მოგატყუებთ, თუ გეტყვით, სევდის გასაქარვებლად-მეთქი, – მიპასუხა დაცარიელებული, შუშის თვალებით, თითქოს მკვდარი იყო და ველარაფერს ხედავდა, – მწუხარება არ გამოწვდებდა სასმელთან ერთად, და მასთან ერთად სულში ახალი ლაქა, ახალი დალი ჩნდება – ლოთობა. შეამჩნიეთ ეს ადამიანები? – მიმითითა ტოტალიზატორის წინ მდგარ ახალგაზრდებზე, – ისინი პირველი მოგებისთანავე – და საზოგადოდაა ცნობილი, რომ პირველად ყველა იგებს – მიეჩვივნენ უშრომველად თავის გატანას, და აღარ ეძებენ სხვა გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. პირველი მცდელობის შემდეგ, როცა უკვე აღარ გაუმართლათ, ისინი ერთიანად შეიპყრო უიმედობამ, გახდნენ სიცარიელის მოტრფიალენი და დაიწყეს ცხოვრების კიბეზე კიდევ უფრო დაღმა დაშვება მომატებული აჩქარებით. ეს ყველაფერი, – თავის ბოთლზე მანიშნა, – ხორციელი მანკიერებაა, ჩემო ძმაო. ეს კი, – ახლა ტოტალიზატორსა და კაზინოს აბრებს მოატარა თავისი უსწორმასწორო ხელები, – თუმცა ირიბად, მაგრამ მაინც, სულიერი მანკიერება. რამდენადაც სული შეუდარებლად მაღალია სხეულზე, იმდენად სულიერი სათნოებები მეტია ხორციელ სათნოებებზე, თუმცა, ამავედროულად, სულიერი მანკიერებები უფრო დამლუპველია, ვიდრე ხორციელი. ჩემო ძმაო, ეს არაყი პირში გადამდის, მაგრამ ჩემს სულს არ ეხება, გესმის? სულს ის ეხება, რაც პირიდან ამოდის, და არა ის, რაც მასში ჩადის.

– ძმაო, – მე მხარზე დავადე მას ხელი, – შენ ხომ კაზინოდან გამოსხვედი და არაყი დალიე, ეს კი

ნიშნავს, რომ სულიერი მანკიერების შექმნის შემდეგ ხორცსაც მიეცი გახრწნის გასაქანი, არა?

უცებ ხელები აუკანკალდა, თვალებზე ბინდი გადაეკრა, სახე მთლიანად ჩაენთქა სასონარკვეთილების ღრუბლებში, აუთრთოლდა ცხვირი, დაუნთლდა ყურები, გაულურჯდა ფრჩხილები ხელებზე, და აკანკალებული მტევნიდან არყის ბოთლი მოწყდა, როგორც ატომს – ელექტრონი, დაეცა ასფალტის ტროტუარს, დაიმსხვრა მინა ნაწილებად და დაიქცა იქვე არაყიც. უცებ დაუნყნარდა ამ კაცს ხელებიც, ბინდიდანაც გამოერკვია, თუმცა შეშფოთდა, სასო უარესად წარეკვეთა, მუხლებზე დაეცა და დაღვრილ არაყს დაუნყო ლოკვა, მოწყურებული ძაღლივით, ენით.

– რას აკეთებთ! – გაკვირვებულმა და, სიმართლე ითქვას, გაბრაზებულმა წამოვიძახე, ხელი მკლავში გამოვდე და წამოყენება დავუბირე, მაგრამ არ მნებდებოდა და ისევ ლოკავდა დაქცეულ სითხეს, – რას აკეთებთ, განა არ გრცხვენიათ?! წამოდექით! – ვუყვიროდი მთელ ხმაზე. მეგობრობის გამზირზე ყოველი გამვლელი ჩვენ გვიყურებდა. მამაკაცი, რომელიც უკვე მეორედ გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში გამალებული ფიქრის შესაწყვეტად, ასფალტიდან არყის ალოკვას არ წყვეტდა, და მე მრცხვენოდა, მაგრამ შანსი არ იყო, იქ ისე მიმეტოვებინა. არ ვიცოდი, რა მექნა, ამიტომ ვთქვი: – ადექით და მე გიყიდით ახალ ბოთლს! – და ამ დროს, თითქოს დრო გაჩერდაო, ან თითქოს გააქვავესო, ან თითქოს მოწყდაო ამ სამყაროს, ისე გაჩერდა, გაიყინა ერთ ადგილზე, მერე კი აბსოლუტურად საღსალამათი წამოდგა ფეხზე, ღიმილით მომაჩერდა და მკითხა:

– რომელს?

– მოიცადეთ, – საშინლად მომანვა ბრაზი პირდაპირ საფეთქლებში, – ეს ყველაფერი მოანყვეთ?! გაითამაშეთ?! – დავუღრიალე.

– რას ბრძანებთ, – წარბები შეჭმუხნა, – უბრალოდ თქვენ მე იმედი მომეცით, იმედი კი ყოვლის შემძლეა, ამიტომ გამოვკეთდი წამში. ჩემო მსხნელო, თქვენი სახელი?

– მე ვარ ბაჩო, – ვუთხარი ჯერ კიდევ გაბრაზების ქარცეცხლში მყოფმა.

– და გადამრჩენელ ბაჩოს გვარი აქვს? – ჩამეკითხა მშვიდად.

– აქვს. ბაჩო ბათმანაშვილი.

– ანუ, ბაჩო ბათმანაშვილი გვარია? – მშვიდი იყო, გაიღიმა კიდევ, – და, შესაბამისად, თქვენ ბაჩო ბაჩო ბათმანაშვილი ხართ?

– რა თქმა უნდა, არა, – ცეცხლზე ნავთს ასხამდა. – მე ვარ ბაჩო ბათმანაშვილი. ბაჩო არის სახელი, ბათმანაშვილი – გვარი.

– ბათმანაშვილი... – ჩაფიქრდა, – ბათმანა... ბათმან... Batman! ბეთმენი ხარ, ბაჩო?! მაგარია! – გართობის ხასიათზე მოსულიყო.

– მე მგონია, ვილაცას სასმელი აღარ უნდა... – დავიჭირე სუსტ ნერტილზე, მაგრამ, როგორც კი ვნახე, როგორ შეეცვალა სახე მკვეთრი უარესობისკენ, გავჩერდი და აღარ შემიტოპავს, – ვხუმრობ. შევიდეთ სადმე მაღაზიაში, შენ ხელი დაადე სასმელს და გიყიდი. და შენი სახელი?

– მე კახა მქვია, კახა გაფრინდაშვილი, და ვფიქრობ, არც ისეთი განსაკუთრებული გრძნობა ყოფი-



ლა, როცა მიმართვის ფორმა „თქვენ“-იდან „შენ“-ში გადადის.

ჩვენ დავიარეთ მეგობრობის გამზირი ბოლომდე, „ვეჯინში“ ყველაზე იაფიანი არაყი ავირჩიეთ და ჩემი სახლისკენ დავეშვიტ. კახას თმა ჰქონდა საოცრად ცხიმიანი – მე, მაგალითად, სულ რომ ორი კვირა არ დავიბანო თავი, ასეთი ცხიმიანი ვერასდროს მექნება – და ეცვა საკმაოდ ჩვეულებრივად; ყურებიდან სულ ოდნავ გადმოსდიოდა გოგირდის მომცრო მასა, მაგრამ ეგ არაფერი. ის ბოთლი ჩემს სახლამდე თითქმის გამოცალა გზაში და, როცა შინ შევიპატიჟე, არ შემომყვა – ასეთ მდგომარეობაში ვერ შემოვალო სახლში. შინისაკენ წავიდა, და მე უკან გავყევი, რომ მენახა მისი საბუდებელი.

ერთი თვის განმავლობაში, გვიან ღამით, როდესაც მე სამსახურიდან ვბრუნდებოდი ხოლმე, აუცილებლად ჩაუფვლიდი მის სახლს, და მიკვირდა, რომ შიგნით, სულ ცოტა ერთი ფანჯრის მიღმა მაინც ერთო ხოლმე სინათლე. ან ცოლი ჰყავს, ან ცოლიც და ბავშვებიც-მეთქი, ვფიქრობდი, და მეცოდებოდა მისი ოჯახი. თუმცაღა, რა თქმა უნდა, არავინ ჰყოლია. ერთ დღესაც, ღამის ორი საათიდან სამ საათამდე შუალედში, რომელიღაცა დროს, მომინია მის სახლთან გავლა, მაგრამ ფანჯრებში შუქი ვერ დავინახე. ცუდმა წინათგრძნობამ მომიცვა, ამიტომ ცივი გონებით ვერა, თუმცა გრძნობათა კარნახით გადავწყვიტე, კარზე დამეკაკუნებინა. ასეც მოვიქეცი, თუმცა კარგა ხნის მანძილზე კართან არავინ მოსულა. ამის შემდეგ გადავწყვიტე, შემემონებინა, ღია თუ იყო. ჩამოვწიე სახელური და, უპრობლემოდ, კარი შეიღო. შევაბიჯე სახლში სინდისის ქენ-

ჯნით იმაზე, რომ ეს იყო შეჭრის ტოლფასი, თუმცა, რაც დავინახე, ყველანაირ ქენჯნაზე უფრო უარესი იყო: კახა იდგა სიბნელეში, მთვარის შუქი ანათებდა მის ნაადრევად ჩამობერებულ სახეს და ოდნავ დამჭკნარ, აკანკალებულ მარჯვენა ხელს, რომელშიაც შავი რევოლვერი ეჭირა; შემდეგ ამოსწია ეს რევოლვერი ნელ-ნელა ზევით, მიიტანა საფეთქელთან მარჯვენა მხრიდან და შემომხედა.

– ბაჩო, – მითხრა, – თუ ჩვენ სიკვდილისათვის მზად ვიქნებით, მაგრამ სიკვდილი არ მოვა, არაფერს დავკარგავთ, მაგრამ, თუ მოუმზადებლებს მოგვისწრო მან, მაშინ ეს თავისთავად ტკბილი და მშვიდობიანი დაბადება ზეცისთვის გადაიქცევა სულისა და სხეულის მძიმე და მტკივნეულ გაყრად. რა ემართებათ იმ დაუდევარ მეომრებს, რომლებიც ომის დროს ბრძოლის ველზე გართობას, ლოთობას და ღრმა ძილს მიეცემიან ხოლმე? რა და, უეცრად საშინელი ყვირილით დაესხმით თავს მტერი და, უიარაღოები, შიშისგან არეულები და პანიკას აყოლილები, სრულიად იბნევიან – აღარ იციან, რა იღონონ, რა გზას დაადგენ; იარაღს ეძებენ და ვერ პოულობენ, შველას ითხოვენ და მათი არავის ესმის, გაქცევას და მიმალვას ცდილობენ, მაგრამ ყოველი მხრიდან გარშემორტყმული მტერი ხელთ იგდებს მათ. ასევე შეშფოთდება სული, როდესაც მოულოდნელად დაუდგება, უზრუნველსა და მძინარს, აღსასრული. ლოცვის იარაღის მოძებნა უკვე გვიანია; დაბნეულობითა და საშინელებით მოცულს საკუთარ გრძნობებში გარკვევა არ შეუძლია; დაგვიანებულია დამხმარეთა ძებნა – ისინი, როგორც დაღუპულს, ურჩსა და შეუნანებეს, განეშორნენ მას;

აღარ არსებობს ადგილი, სადაც დაიმალება იმიტომ, რომ სინანულისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა და ღვთის გულმონყალების კარი დაიღშო მისთვის და სამუდამოდ დაიხურა.

– არა, კახა, ნუ იზამ...

მინდოდა თქმა, ნუ იზამ-მეთქი მაგას, მაგრამ არ დამცალდა, რადგანაც გამოჰკრა იმ წამსვე კახამ ჩახმახს ხელი, და მიესხა მისი სისხლი კედელს მის უკან მდგომს, გადმოვარდა ტვინიდან ტყვიაც და ტვინის ნაწილიც, და ეს კაცი დაეცა იატაკზე სულმოუთქმელად, თითქოს ვერ ითმენსო წასვლას. არასოდეს დამავინყდება მისი წყნარი, ნეტარი სახე იმ დროს, რომელიც წამიერ სიმშვიდეს ოცნებობდა და მზად იყო საუკუნო სატანჯველისთვის შესახვედრად.

გაფრინდაშვილი კახა გაფრინდა...

22 აპრილი, 2017 წელი

## ნაკადული – ანუ, სურჯაბი კოლხი მეღაასთჳის

გერმანიაში, ერთ-ერთ პატარა ქალაქ ბად ჰერ-სფელდში დიდი ავტობუსი გაჩერდა სპეციალურად მონიშნულ ადგილას – შეიძლებოდა, „გაჩერება“ და-მენწერა სპეციალურად მონიშნული ადგილის მაგივ-რად, მაგრამ გრადუსული გადახრა იქნებოდა ტაფ-ტოლოგიისკენ, და ამიტომაც ისე იყოს, როგორც არის. მოკლედ, დიდ ავტობუსში ავედი და, ქართულ ყვითელ ავტობუსებს დაჩვეულმა, რალა თქმა უნ-და, ყველაფერი გავიკვირვე – თუნდაც, მაგალითად, ტრანსპორტის ფიზიკურ ცენტრში მოთავსებული საპირფარეშო, ინტერნეტი, სისუფთავე, ნაგვის ურ-ნა და ასე შემდეგ. დავიკავე კუთვნილი ადგილი, და ფანჯრიდან გადაშლილ ხედს გავაცქერდი, მაგრამ, ორი წუთი არ იყო გასული, ჩემ გვერდზე მჯომმა მგზავრმა მხარი რომ გამკრა და მიმანიშნა, ღვე-დი გაიკეთეო. საქართველოში – იშვიათად, მაგრამ მაინც – მძღოლსაც კი შეიძლება არ ეკეთოს უსაფ-რთხოების ღვედი, არამცთუ რიგით მგზავრს, რო-მელიც, თუნდაც, მძღოლის სკამიდან მეთერთმეტე

რიგის ერთ-ერთ ადგილზე ზის. ჰოდა, მეც გავიკეთე ღვედი, რადგან, ჩემი აზრით, რა ქვეყანაშიც ჩადიხარ, ისეთი ქუდი უნდა დაიფარო, და გავაგრძელებ ფანჯრიდან გადაშლილი ხედით ტკბობა. თითქოს უსულო, მაგრამ მაინც მეტყველი შენობები იყურებოდნენ ოთხივე მიმართულებით და, მახსოვს, გავიფიქრე, ეს ნაგებობები რომ ადამიანები იყვნენ, ნამდვილი გერმანელები იქნებოდნენ-მეთქი. ასეც იყო. ავტობუსის მარშრუტი ბად ჰერსფელდიდან აიზენახამდე მოიცავდა გზას და, აიზენახში ოცდაორ ნუთიანი შესვენების შემდეგ ქალაქის ცენტრში – დიახ, ზუსტად ოცდაორი ნუთი, გერმანულად პუნქტუალური კონკრეტულობით – დაბრუნდებოდა ჩვენს ნასაყვანად იქ, სადაც ვიქნებოდით. ხედი შეიცვალა, როცა ქალაქის საზღვრებს გავცდით და ავტობანზე გავედით: გამოჩნდა ლუდის ქარხნები, პურის ყანები, ქარის ტურბინები, რომლებიც, სხვათა შორის, ერთი ბრუნის შედეგად ერთი სახლისთვის ორმოცდარვა საათის სამყოფ ენერჯიას იძლევა; ასევე ჩანდა სიმინდის ნათესები, გრუნტის მიწები, აქა-იქ სახლებიც, მთა და მთაზე ნისლიც, და ეს ნისლი, ვატყობდი, ანტილოპას ჩასაფრებული ვეფხვივით მოიპარებოდა ჩვენკენ – ანუ, ავტობანისკენ. მერე, ისევ სიმინდის ყანებს რომ გავხედე, კითხვა გამიჩნდა, ამიტომ ჩემ გვერდით მჯდომს მივუბრუნდი და ვუთხარი – რა თქმა უნდა, გერმანულად – უკაცრავად, გზასთან ასე ახლოს რომ არის დათესილი ამდენი რამე, თან გვერდზე რომ ქარხნებიცაა, არ გეშინიათ-მეთქი? რატომო? კითხვითვე მიპასუხა. ავუხსენი, მანქანების და ქარხნების გამონაბოლქვი ტყვიასა და სხვა მომწამვლელ ნივთიერებებს შეიცავს, რომელიც გა-

რეთ გამოიყოფა და, დიდი ალბათობით, თქვენი მოსავალი იკრავს-მეთქი. ბოლოს, როცა ასეთი აირების გამოყოფა ოფიციალურად დადასტურდაო, მითხრა, იმის მერე თხუთმეტი წელი გავიდაო. გავიკვირვე, მაგრამ ეს გაცემა დიდად არ შემიმჩნევია, მაღლობა გადავუხადე და ისევ ფანჯრისკენ ვიბრუნე პირი. თავი ორი დღის დასაბანი მქონდა. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემი სტანდარტებით, დასაბანი არ იყო, მაგრამ გერმანულ ავტობუსში, როცა თითოეული ადამიანი სხვადასხვა არომატითაა გაჟღენთილი, წესით, დასაბანად ითვლება. კიდევ ერთი სიმართლეც რომ ვთქვა, არ მომწონდა ამდენი არომატის აღრევა, არც ცალკე აღებული მომწონდა რომელიმე, რადგან ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის ბუნებრივი სუნია, დოზირებული ჰიგიენის, ცხოვრების წესისა და სხვა მრავალი ფაქტორის შედეგად წარმოშობილი, მაგრამ, ვისთვისაც ეს ოდესმე მითქვამს, ყველამ ფსიქიკურ გადახრაში გამიტარა, სინამდვილეში კი ამ ჩემი აზრის რეალური არსი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ეს არომატი, რომელიც გადამეტებული ჰიგიენისა და თავის მოვლის შემდეგ ჩნდება, ფარსია – თუნდაც, იმიტომ, რომ ხშირად შემინიმნავს ადამიანი გერმანიაში, ათასი ყვავილის არომატი რომ ასდის, მაგრამ საუბრის დროს პირიდან ცუდი სუნი ამოსდის; შესაბამისად, ეს ყველაფერი გარეგანია და, აქედან გამომდინარე, რაც მხოლოდ გარეგანია, ის არ შეიძლება, ნამდვილი იყოს და, მაშასადამე, უეჭველად ფარსია. ამ ფიქრებიდან გამორკვევის შემდეგ წამსვე მამაკაცის საუბარი, ოდნავ ბოხი ხმა გავიგონე ჩემს თავს ზემოთ მოთავსებულ დინამიკში, რომელიც, თურმე, მძლოლს ეკუთვნოდა – ესეც

ახალი ფაქტი იყო ჩემთვის. ევროპული უშუალობა მომენონა, ფაქტი ასეთია. ოც წუთში აიზენახში შევალთო, ეს თქვა მძლოლმა მიკროფონში, და მისი ხმა მთელ ავტობუსში გაისმა. მერე დაამატა, მშვიდობიანად ვმგზავრობთ და, ასე თუ დავასრულებთ, კარგი იქნებაო ძალიან. ამ დროს ჩემ პირდაპირ, სკამის მარცხენა მხარეს გავაპარე თვალი. გოგო იჯდა – დიახ, მაშინ გოგო იყო, რადგან მეც ჯერ კიდევ ბიჭი ვიყავი, ყმანვილი – და, მოდით, ბევრს აღარ მივედ-მოვედები, პირდაპირ ვიტყვი, რომ ეგრევე შემიყვარდა. ცხვირი ისეთი ფორმის ჰქონდა, თითქოს ოსტატ მოქანდაკეს საგანგებოდ გამოეყვანა მისთვის; მისი თვალები იყო მუქი ფერის, მაგრამ ერთი წამით შეხედვაც კი მეყო იმის გასარკვევად, რომ თვალის ფერად გარსში ორ ფერს შორის მიდიოდა ბრძოლა – შავსა და ცისფერს შორის, და ამ ორი ფერის კომბინაცია იძლეოდა ფრიად საუცხოო და არც ისე გავრცელებულ ფერს, რომელიც არც ყავისფერი იყო, არც მწვანე, არც თაფლისფერი და, სიმართლე ითქვას, არც კი ვიცი, ასეთ ფერს ქართულ ან ნებისმიერ სხვა ენაზე შესაბამისი აღწერილობითი სიტყვა თუ გააჩნია; ამ გოგონას აურა იყო მუქი ლურჯი, რაც, თუ აურების დახასიათებაში რამე გაგეგებათ, დამეთანხმებით, უძლიერესია; წარბები იმდენად მკაცრ შესახედაობას აძლევდა მის სახეს, რომ მისი ღიმილი ფასდაუდებელი და ყველაზე დამატყვევებელი უნდა ყოფილიყო სამყაროში. მოკლედ, მაგრამ შემიყვარდა, და იმ წამსვე ცუდად გავხდი, იმდენად შემიპყრო უიმედო მონყენილობამ. თუმცა ამ დროს მეტად საგულისხმომ ფაქტი მოხდა: ჩვენი ავტობუსი ტრანსპორტთა მწკრივს მიჰყვებოდა, როცა ჰო-

რიზონტზე შავი კატა გამოჩნდა; მწვანე „ოპელს“, რომლის შემდეგაც ერთი პატარა „მიცუბიში“ მოდიოდა და შემდეგ ჩვენ, ამ შავმა კატამ გადაურბინა; „ოპელმა“ დაამუხრუჭა, კატას ასცდა, ცხოველიც დაფრთხა, „ოპელის“ უკან მომავალი „მიცუბიშიც“ აიცილა და, ერთი შეხედვით, როცა უკვე სამშვიდობოს იყო, ჩვენმა ავტობუსმა სიგნალის თანხლებით დაარტყა. მკაფიოდ გავიგე, ჯერ როგორ დაიკნავლა უკანასკნელად კატამ სიმწრისგან, როგორ გადატყდა ცხოველის ნეკნები, როგორ დაეხა კუნთები. მერე, როცა ყველაფრის გაკეთება გვიანი იყო, ავტობუსმა გადაუარა და ნაწლავები ზედ გზაზე გადმოაყრევინა. ხალხმა ამოიგმინა, მძღოლს სასო წარეკვეთა და ლამის იქვე მდგარ ბოძს შეახეთქა ავტობუსი. ჩემ გასწვრივ, მაგრამ მეორე ბოლოში მჯდარმა ქალმა, რომელსაც მაისური ეცვა წარწერით „Vegan Power“, ტირილი დაიწყო და მძღოლისკენ საჩხუბრად გაეშურა, მაგრამ, წამოდგა თუ არა, ღვედმა უკანვე დააგდო თავის ადგილზე. მე, საერთოდ, ვფიქრობ, რომ ყველაფერი, მთელი ეს ამბავი, აქედან დაიწყო, ამიტომ თხრობას გავაგრძელებ, და თქვენ გადანვიტეთ. მოკლედ, ავტობუსი გზიდან გადავიდა და გაჩერდა, მძღოლი გადმოვიდა, საბარგულიდან ცელოფანი და ბარი ამოიღო – არც კი ვიცი, რად უნდოდა, მაგრამ, ფაქტია, თან ჰქონდა – მკვდარი კატა ცელოფნით აიღო, მიწაზე გადავიდა, ბარით ამოთხარა და კატა დაასაფლავა. ამ ცერემონიალს ყველა მგზავრი დაესწო, და ჩემი მხრიდან დანაშაული იქნებოდა, ავტობუსში რომ დავრჩენილიყავი. რომ არ მოვიტყუო, მართლა შემეცოდა საწყალი ცხოველი, და ზუსტად ამიტომაც ვთქვი – ოღონდ, ქართულად – საცო-



დავი კატა-მეთქი. ამ დროს ის გოგო, ზემოთ რომ ვახსენე, შემობრუნდა ჩემკენ, თვალები გამისწორა, წარბები ოდნავ შეჭმუხნა და მეორე სოპრანოს ხმით დაილაპარაკა, ჩამეკითხა:

– ქართველი ხარ?

\*\*\*

ბავშვობა, ჩემი აზრით, ყველაფრის სათავე და განმაპირობებელია, ამიტომაც მინდა, ერთი ამბავი მოვყვე, რის შემდეგაც, აშკარად მკაფიო წირული გამოვლინებების ხარჯზე, მივედი იმ დასკვნამდე, რომლის გაანალიზების მერეც გერმანიაში წავედი: ჩემს ოჯახს უჭირდა იმ დღიდანვე, მე რომ დავიბადე და, დიდი ალბათობით, ჩემს დაბადებამდეც. როცა ემბრიონული განვითარების ეტაპი ბოლომდე ამოვწურე, დედაჩემის საშოდან გამოვძვერი, მაგრამ აქ ერთი ფაქტია საგულისხმო – თავით არ გამოვსულვარ, როგორც ეს ნორმალურ შემთხვევებში ხდება, არამედ, შეიძლება ითქვას, საშვილოსნოში უკუღმა ვიჯექი და, ქვეყნიერებაზე ჩემი მოვლენის დრო რომ დადგა, ჯერ ფეხები გადმოვყავი, შემდეგ ჩემი პატარა საოხრე, და პირველი დასამახსოვრებელი მოქმედება ჩავიძინე – ექიმს ზედ დავაფსი. აქედან დაიწყო ჩემი პოსტ-ემბრიონული განვითარება, რომელიც ახლაც გრძელდება, მაგრამ, მგონია, უკვე დასასრულსაა მიახლოებული. მოკლედ, საფენები არ იყო მაშინ, მე რომ დავიბადე, ჰოდა დედაჩემი ტილოს მიკეთებდა – ისე, ახლა პამპერსები რომ აცვიათ ახალშობილებს – და ეს ტილო იყო განა ერთჯერადი, არამედ მრავალგამოყენე-

ბადი, რადგან, როცა ერთხელ გავსვრიდი, ჩემთან ერთად გარეცხავდნენ ხოლმე და ისევ იმას მაცვამდნენ. მამაჩემს, თავიდანვე ვგრძნობდი, არ ვუყვარდი, რადგან სულ ეჭვი ჰქონდა, რომ სხვა კაცისგან იყო დედაჩემი ორსულად. დედაჩემი – ლალი – მართლაც შემჩნეული იყო საეჭვო ურთიერთობებში რამდენჯერმე, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ აკრძალული აქტის გაუთვალისწინებელი პირმშო არ ვარ. მამაჩემი – მალხაზი – როგორც უკვე ვთქვი, გიჟი იყო – სულ ფსიქოლოგიური და სამეცნიერო წიგნებით დადიოდა ხელში, რომელიც, სიმართლე ითქვას, იმ დროში მარტივი საშოვნელი არ უნდა ყოფილიყო. ათას ექსპერიმენტს ატარებდა ჩემზე – ძირითადად, ფსიქოლოგიური სახის: აი, მაგალითად, სამი წლის რომ გავხდი, ჩემს ოჯახს ორჯერ უფრო ძლიერად გაუჭირდა მატერიალური თვალსაზრისით, და მამაჩემმა მალხაზმა გადაწყვიტა, ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ ჩუსტი ვიყავი და ჭამა არ მჭირდებოდა; იმდენჯერ მიმეორა, რომ, საბოლოოდ, დავიჯერე და, რახან სამი წლის ვიყავი, რამხელა ფეხიც მქონდა, ის ზომა მოვირგე და ვთქვი, ოცდაცხრა ზომა ჩუსტი ვარ-მეთქი; მამაჩემმა მხარი ამიბა, სწორიაო, დედაჩემი კი ჩემგან თავს შორს იჭერდა რატომღაც. მახსოვს, ერთხელ მამაჩემი დათვრა, ჰოდა, სახლში რომ მოვიდა, მე, ჩვეულებისამებრ, კარებთან დავხვდი იატაკზე განთხმული; თავიდან ფეხსაცმელები გაიხადა, მერე ჩემზე ფეხებით შედგა, რომ მე – ანუ, ჩუსტები – ჩავეცვი, მაგრამ შემდეგ უცებ ჰაერში ახტა და იატაკზე დახტა. თვალეები გადმოცვენაზე ჰქონდა, ყვიროდა, წიხლებს მირტყამდა, ორმოცდასამი ზომა ფეხი მაქვს, და შენ, ოცდაცხრა ზომა

ჩუსტი, ჩემთან მოდიხარ, რომ ჩაგიცვაო. გაგიუყუბული იყო, მაგრად მცემდა ფეხებით, თუმცა მერე დამშვიდდა და მითხრა, დღეიდან აღარ ხარო ჩუსტი, – შენ დღეიდან კალათი ხარო; ორი დღე იმაზე მელაპარაკებოდა, თუ რა გრძნობაა, როცა კალათი ხარ, რა უნდა ქნა ასეთ დროს. ყველაზე გასაკვირი კი მართლაც ის იყო, რომ საერთოდ არ მშვიდდებოდა და, აგერ, დაახლოებით, სამი კვირა იყო, არაფერი მეჭამა, მაგრამ თავისუფლად და ერთგვარი მონდომებითაც კი ვასრულებდი დაკისრებულ სამუშაოს – ჯერ ჩუსტობას, შემდეგ კი უკვე კალათობას. მეორე დღეს, ნაბახუსევი რომ იყო მალხაზი, ასე მითხრა, ჩადი, „ბორჯომი“ ამომიტანეო. მე ვერ მივხვდი იმიტომ, რომ კალათი ვიყავი, და ვერ წარმომედგინა, როგორ შეეძლო კალათს, კიბეებზე ჩაერბინა – მეშვიდე სართულზე ვცხოვრობდით ჩვენ – ან ლიფტს ჩაჰყოლოდა ქვევით, შესულიყო მალხაზიაში და „ბორჯომი“ ეყიდა. ჩემი აზრით, მამაჩემსაც გაახსენდა მერე ჩემი კალათობის ამბავი, ამიტომ ფანჯარასთან მივიდა, მეზობელ ვანიას დაუძახა, ორი „ბორჯომი“ მიყიდე და ფულს კალათით ჩამოგიშვებო. წავიდა ვანია მალხაზიაში, იყიდა ორი ბოთლი მინერალური წყალი, ამ დროს კი მამაჩემმა თოკი მომაბა, ერთ ბოლოს ფული გამოაბა, მეორე ბოლო კი ხელებში დაიჭირა, და მეშვიდედან გადამაგდო. ზუსტად მიწასთან გავეჩერდი. ეტყობოდა, ვანიამაც იცოდა ჩემი კალათობის ამბავი, რადგან თოკიდან ფული მოხსნა, ორი ბოთლი „ბორჯომი“ კი ხელებში შემომაჩეჩა, მერე ხმამაღლა დაუსტვინა, რითაც მამაჩემს ანიშნა, რომ კალათი აეწია. ამწია კიდევ მალხაზმა, ორჯერ კორპუსის კედელსაც მიმანარცხა, მაგრამ მე,

როგორც ჭეშმარიტი კალათი, არაფერს ვიმჩნევდი. ერთადერთი, რაც ყოველთვის მიკვირდა, სიმართლე რომ ვთქვა, დედაჩემის ინერტულობა იყო ამ საქმეში, არადა მეგრული ქალი გახლდათ, თან ზოდიაქოთი ვერძი იყო, აპრილში დაბადებული, მაგრამ მაინც ასე გამოვიდა, ფაქტი ფაქტია; ასევე, მინდა, აქვე დავამატო, რომ დედაჩემისთვის საერთოდ არ მქონდა ნაკოცნი – მხოლოდ ერთხელ, და ისიც ფატალური შედეგით დასრულდა. მაგრამ, ამაზე – მოგვიანებით.

ასე გავიდა ორი წელი. მოკლედ, ხუთი წლის რომ გავხდი, იშოვა მამაჩემმა ფული, და საბოლოოდ მითხრა, ადამიანი ხარ და, შესაბამისად, შეგიძლია ჩუსტიც იყო, კალათიც, ღორიც და ნამდვილი კაციცო. შენ ვინ ხარ-მეთქი, რომ ვკითხე, გამიბრაზდა ძალიან – განა, გასაგები და აშკარა არ არისო? მეც ასე მეგონა, და ვუთხარი კიდეც, მინდა, შენ დაგემსგავსო-მეთქი. ეს ნამდვილად გაუხარდა. ამიტომაც ოთხზე დავდექი, უკანალი ავიბზიკე და ღრუტუნს მოვყევი, თან ყველაფრის ჭამა დავინყე, რაც ძირს ეყარა. გადაირია ამაზე მალხაზი, მაგიდა გადააყირავა, მახსოვს მკაფიოდ, ჭიქა მესროლა, რომელიც თავში გამარტყა, ძირს დამაგდო, მერე ქუსლიანი ფეხსაცმლით შედგა ჩემზე, მაფურთხა ბევრი, გაშლილი ხელიც ბევრი მირტყა, მუშტითაც დამალილავა, თავიც კი ჩამარტყა თავში და, საბოლოოდ, იმდენი ქნა, საავადმყოფოში გამაქანეს, რადგან მართლა ვკვდებოდი. იმ დღეს გადავრჩი, და ორი დღე-ღამის შემდეგ ისევ გამომწერეს და სახლში დამაბრუნეს. შინ, ამდენი ხნის შემდეგ პირველად, დედა დამხვდა თბილად – გულში ჩამიხუტა, მაგრად ჩამიკრა, შუბლზე და თვალებზე მკოცნა, თმები ამიჩეჩა სიყვა-

რულით. ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ, და რატომღაც მგონია, არც ის ყოფილა ასეთი ბედნიერი ოდესმე. ამ სიყვარულმა ძლიერმოქმედი წამლის ეფექტი იქონია ჩემზე – ორი დღის მერე ჩიტივით ვიყავი ან, თუ უფრო სწორად ვიტყვი, ფეხზე წამოვხტი და ვთქვი, ჩუსტი ვყოფილვარ, კალათი ვყოფილვარ, ღორი ვყოფილვარ, და ახლა ჩიტობა მინდა-მეთქი. დედაჩემს ცრემლები წამოუვიდა, მახსოვს, მამაჩემმა კი შემაგინა და აივნის კარი გამიღო – აჰა, გაფრინდიო. გაფრინდები-მეთქი, რომ ვთქვი, მართლა გავედი აივანზე, მოაჯირზეც კი ავედი, ხელები გავშალე და, გაფრენა როგორც კი დავაპირე, უკნიდან დედაჩემმა დამიჭირა, ჩამომიყვანა და ჩამიხუტა. რატომ გამაჩერე, ჩიტი ვარ და გაფრინდებოდი-მეთქი, ვუთხარი, მან კი ასე მითხრა, ადამიანი ხარ, ადამიანს კი ვერ გაფრენა აქვსო მისჯილი. დედას დავუჯერე – მაგის მერე არც კი მიცდია ისევ ჩიტობა ან ღორობა, ან კალათობა და ასე შემდეგ. ერთ საბედისწერო დღეს, როცა მხოლოდ დედაჩემის მხრიდან ალერსი მომბეზრდა და მეც მომინდა, მას მივალერსებოდი, მახსოვს, პირი უცნაური სითხით გამეფსო. მოვიდა დედაჩემი და შუბლზე მაკოცა. მე ავფორიაქდი, რადგან არასოდეს მეკოცნა დედაჩემისთვის, ჰოდა გადავწყვიტე, ეგ ყოფილიყო პირველი ჯერი და, თვალდახუჭულმა, სადაც მომიხვდა – ტუჩებში – იქ ვაკოცე. ვაკოცე და, ვაი, მაგ კოცნას – სამ წამში დედაჩემ ლალის ღიმილი შეეყინა, სახე გაუშავდა, თვალეები გაუქვავდა და ნესტოები შეეკუმშა, მეოთხე წამზე კი გარდაიცვალა. ზუსტად იმ დღეს მივხვდი, რომ, პირდაპირი მნიშვნელობით, შხამიანი ვარ.

თავიდან, შიშის პირველი და უდიდესი ეფექტის-  
და გამო, კარადაში შევიმაღლე, მაგრამ მერე, ჩემი  
იმდროინდელი თავის აზრით, ბრწყინვალე იდეა მო-  
მივიდა თავში, და საკუჭნაოში შევიკეტე კალათებ-  
თან ერთად, მეც ძველი პროფესია გავიხსენე და  
ჩემს თავს ვუთხარი, რომ დრო იყო, ისევ კალათად  
ვქცეულიყავი; მამა ვერ დამინახავს-მეთქი, ვფიქ-  
რობდი, იმიტომ, რომ გადაჩვეულია ჩემს კალათად  
ყოფნას და ვერ მიცნობს-მეთქი, ჩვეულებრივი, რი-  
გითი კალათი ვეგონები-მეთქი. თავიდან, მალხაზი  
რომ შემოვიდა სახლში, მოვედიო, შეუძახა გარდაც-  
ვლილ ცოლს, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი ეგო-  
ნა. მოვედიო, შეუძახა და, სასტუმრო ოთახში რომ  
შემოვიდა – იმ ოთახში, სადაც დედისადმი პირველი  
აღერსი გამოვცადე, პირველი კოცნა, და რომელიც,  
სამწუხაროდ, ფატალური შედეგით დასრულდა –  
მისი ფეხის ხმა მიწყდა, რადგან, დიდი ალბათობით,  
იატაკზე გაგებულ მოზაიკურ ხალიჩაზე განთხმული  
პირსისხლიანი მეუღლე დაინახა. ზუსტად სამი წუთი  
და თოთხმეტი წამი იდგა ასე გაუნძრევლად, მერე  
კი რბილი და ფრთხილი ნაბიჯი გადადგა, თითქოს  
სახლში შემოჭრილ და სადმე კუნჭულში მიმაღულ  
ქურდს უვლიდა გვერდს შეუმჩნეველად, უვნებელი  
რომ გადარჩენილიყო. საკუჭნაოდან მესმოდა, რო-  
გორ გააღო მამაჩემმა ჯერ ტუალეტის ღრჭიალა კა-  
რი – ძალიან, ძალიან ნელა – და შემდეგ როგორ  
დაბრუნდა სასტუმრო ოთახში, მისი გავლით საძი-  
ნებელში რომ შესულიყო; შევიდა ისევ ისე ნელა და  
ფრთხილად საძინებელშიც, ისევ ისე უჩუმრად, სინ-  
დის ქენჯნილი მძარცველივით შეაღო კარი, მაგრამ,  
თითქოს იმედგაცრუებულმა, არადა, მეორე შეხედ-

ვით, გულზე დადებული ლოდისგან გათავისუფლებულმა გამოიხურა იგი. აივანზე რომ გავიდა მალხაზი, და მერე, რომ გამოვიდა უკან, გამბედაობა მოემატა – ისე ჩუმი და ფრთხილი ნაბიჯებით აღარ დადიოდა. საბოლოოდ, რა გასაკვირია, საკუჭნაოსაც მოადგა, ნელა გადასწია ხის სრიალა კარი, და თავისი გაყინული, მედუზა გორგონას მზერის მხილველი ბერძენი ჯარისკაცივით გაქვავებული მზერა მომაგება. მეც ზუსტად თვალეებში ვუყურებდი, რადგან კალათი ვიყავი, და შეუძლებელი იყო, ისე დავენახე, როგორც ადამიანი, თუმცა მაინც ძალიან შემეშინდა, კანკალმა ამიტანა, მაგრამ მალევე დავწყნარდი, როცა გავიხსენე, რომ კალათი ვიყავი, ხოლო კალათები, როგორც ცნობილია, არ კანკალებენ. მერე ოფლმაც კი დამიწყო გამოჟონვა – მოკლედ, ყველაფერი ხდებოდა იმისთვის, რომ ჩემს კალათობაში მე თვითონვე შემეტანა ეჭვი – მაგრამ, მამის რეალურად დამთრგუნველი მზერის შემყურემ, წვეთები უკანვე შევიბრუნე კანში, რომ მალხაზს რამე არ ეეჭვა. კარგა ხანი მიყურა ასე, მართლა, მერე სულ ოდნავი ემოცია გაუკრთა სახეზე – მგონი, სინდისმა აუტოკა მარჯვენა წარბი – თუმცა შემდეგ ისევ ისეთი სახე მიიღო, ნახევარი წუთი კიდევ მიყურა, და მერე საკუჭნაოს კარიც მიკეტა. ამოვისუნთქე. მაშინ მეგონა, ისეთი მაგარი კალათი ვარ, საკუთარმა მამამაც ვერ მიცნო-მეთქი, და ამიტომ გადავწყვიტე, იქამდე დავრჩენილიყავი ასე, სანამ რამე ანტი-კალათური არ შემანუხებდა.

პანაშვიდი ორ დღეზე გადანანილდა, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ბევრი ხალხი იყო მოსული ოჯახში – საკუჭნაოდან თითოოროლა ადამიანს ვარჩევ-

დი ხოლმე, მეჩხერად რომ გადი-გამოდოდნენ ჩვენს სახლში. გასვენების დღეს ღრუბლები შეიყარა, მაგრამ არ უწვიმია. სავარაუდოდ, უკანასკნელი ფული გაიღო მამაჩემმა დედაჩემის საფლავისა და იმ კეთილდღეობისთვის, რომელიც ლალის ამ ცხოვრებაში ნამდვილად არ ღირსებია. არ ვიცი, რატომ გამახსენდა ეს ჩართვა ახლა, მაგრამ, რახან ფიქრმა ასე მოიტანა, ჩავამატებ: ერთხელ, მახსოვს, მამაჩემმა ტოტალიზატორში წამაგო და, შესაბამისად, ჩაბარებას მიპირებდა, მაგრამ – ეს იყო ერთადერთი მკაფიო წინააღმდეგობა დედაჩემის მხრიდან, რომელიც შემომრჩა მეხსიერებაში – დედაჩემმა ლალიმ თავი გაიგიჟა, ყვირილი მორთო მთელ სახლში, ბოლოს პატარა სკივრი გახსნა, ქორწილისდროინდელი ძვირფასეულობა რომ ელაგა შიგ, ბრილიანტის ბეჭედი ამოიღო და მალხაზს გაუწოდა, შვილის ფასს, წესით, გასწვდებო. ახლა ამბავს დავუბრუნდეთ: მოკლედ, რომ გაასვენეს დედაჩემი სახლიდან, გულმა ველარ გამიძლო, დედა მომენატრა – ანუ, შეიძლება ითქვას, ანტი-კალათური, ადამიანური რაღაც დამემართა – ჰოდა გამოვძვერი საკუჭნაოდან, დაცარიელებულ სახლში ტირილი მოვრთე, დედის ნახვა მომინდა ძალიან, და ვინანე, რატომ მანამდე არ გამოვედი-მეთქი. მერე წელზე თოკი გამოვიბი, რათა ჩემი კალათობის მრავალფუნქციურობა დამედანსტურებინა ჩემივე თვალში, ფანჯარა გამოვალე და ასე თოკგამობმული გადავხტი მეშვიდე სართულიდან, მაგრამ, ჰაერში რომ ვიყავი გამოკიდებული და ქვევით მივდიოდი, უკვე გვიანი იყო იმის გაანალიზება, თოკის მეორე ბოლო რომ არ ეჭირა არავის. უცებ ვიცვალე მდგომარეობა – პირსახე ცისკენ ვიბ-



რუნე, ზურგი მინას მივუშვირე – და ასე გავაგრძელე ფრენა, ოღონდ არ ვიცი, რისი იმედი მქონდა. წამიც არ იქნებოდა გასული – ეს მე მეჩვენებოდა ასე საუკუნედ – ჩემი სახლის ფანჯარაში დედის აჩრდილს რომ მოვკარი თვალი, რომელსაც ჩემს წელზე გამობმული თოკის ბოლო ეჭირა ხელში, სახე თბილად გაცისკროვნებოდა, მიყურებდა და, აშკარა იყო, სიყვარულით ევსებოდა მთელი არამატერიალური სხეული. როცა უკვე, წესით, ბეტონზე უნდა დავნარცხებულიყავი და მეტად ხანმოკლე სიცოცხლე დამესრულებინა, დედაჩემმა – ან, თუ ასე უფრო სწორი იქნება, დედაჩემის აჩრდილმა – თოკს ძლიერად ჩაავლო ხელები და იქ გამაჩერა, სივრცის რა წერტილშიც ვიყავი იმ წამის მესადეში. მე ისევ წამში ვიბრუნე პირი მიწისკენ, დედაჩემის პროცესიას რომ ავდევენბოდი კუდში ავისმომასწავებელი ნისლივით, სასაფლაოზე რომ მიიკლავნება ხოლმე, მაგრამ ჩემი მეზობლის სარეცხის თოკიდან ვერ დავიძვრინე თავი. მეორე წუთში იმ მეზობელმაც გამოიხედა, ვის თოკებშიც გავიხლართე, თოკებიდან დამიხსნა, კარიდან გამიყვანა და პროცესიას შემაერთა. შემდეგში ასე მითხრეს კიდევ, მაგ თოკებმა გადაგარჩინაო, მაგრამ მე ხომ ვიცი, დედაჩემმა რომ გამოქაჩა თოკს და მე ჰაერში გამაჩერა. დედაჩემის ნაბლისფერ კუბოს ავედევენე, ჯვარი რომ ჰქონდა გამოკვეთილად ამოჩუქურთმებული. იმედი მქონდა, მამაჩემი დამინახავდა და თავისთან მიმიხმობდა. დამინახა კიდევ, მაგრამ კუბოს ერთი ბოლო მას ეჭირა, მას მიჰყავდა დედაჩემი საუკუნო განსასვენებლის კარამდე, და ამიტომ ჩემთვის არ ეცალა. მეზობელმა შემომთავაზა, მასთან ერთად მევლო, თუმცა მე ვიუარე, პრო-

ცესიას ოდნავ ჩამოვრჩი, და შემდეგ ალფა მგელი-  
ვით უკან მიეყვებოდი მთელი გზა, როგორც, ზევით  
რომ ვახსენე, სასაფლაოს ავი ნისლი, რომელიც, ვინ  
იცის, იქნებ სასაფლაოს მკვიდრთა სულებით საზ-  
რდობს და, რაც მეტი ადამიანი კვდება, მით მეტად  
იზრდება ამ ნისლის მოცულობაც. დასაფლავებამდე  
– ანუ, იმ მომენტამდე, სანამ მინას მიაყრიდნენ –  
ორი წუთით ადრე კუბოსთან დინჯად მივედი მე,  
ჩია ტანის პატარა ბიჭი, სასაცილოდ დიდი ბათინკე-  
ბი რომ ჩამეცვა ზოლიან შორტებზე, დავიხარე და,  
ახლა უკვე დარწმუნებულმა, რომ ველარაფერს ვავ-  
ნებდი, გულწრფელად ვაკოცე დედაჩემის ცხედარს.  
შემიძლია დავიფიცო, მკაფიოდ დავინახე, როგორ  
გაებადრა სახე, როგორ გაუბედნიერდა გამომეტ-  
ყველება, როგორ გამიღიმა კიდეც ფართოდ, მაგ-  
რამ, ასევე დარწმუნებული ვარ, ჩემ გარდა სხვას ეს  
არავის შეუძნევიან.

ქელეხი არ ყოფილა, რა გასაკვირია, და, სახლში  
დაბრუნების დრო რომ დადგა, მამაჩემი მე არ დამ-  
ლოდებია, ისე გაემართა შინისაკენ. ისევ იმ მეზო-  
ბელმა მითხრა – აი, პროცესიაზე რომ შემომთავაზა,  
ჩემთან ერთად იარეო – წამოდი, სახლში მიგიყვანო,  
და მე ისევ ვიუარე, მაგრამ ზედმეტად პატარა შე-  
სახედაობა მქონდა, თან რეალურად პატარაც ვიყა-  
ვი, იმისთვის, რომ ასეთ შორ მანძილზე საკმაოდ  
საშიშ ქალაქში მევლო მარტოს, ჰოდა მომკიდა ხე-  
ლი და თავისთან ერთად წამიყვანა. რა გქვიაო, რომ  
მკითხა, ვერაფერი ვუპასუხე, რადგან არ გამახსენ-  
და, სახელი თუ დაურქმევიათ ჩემთვის ოდესმე –  
დაურქმევიათ-მეთქი, თორემ სახელით არც არასო-  
დეს მოუმართავთ ჩემთვის. ორი წუთი ვიფიქრე, ვი-

ფიქრე, და ბოლოს გადავწყვიტე, ჩემი სახელი მე თვითონვე მომეფიქრებინა და, ამ ხერხით, ახალი პიროვნება შემექმნა. გაუბედავობა რომ შემატყო მეზობელმა, ასე მითხრა, კარგი, მაშ ჯერ მე გეტყვი, რომ ნიკოლოზი ჩემი სახელი. პირველად გავუღიმე უცხო ადამიანს – უცხოს კი არა, მამაჩემისთვისაც არასოდეს გამიღიმიო, მხოლოდ დედას თუ დავანახვებდი ხოლმე ჩემს ბედნიერ სახეს, ისიც იშვიათად – მერე ხმაც ამოვიღე და ასე ვუთხარი, ჩემი სახელი სოსოა, იოსები, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ სოსელოც დამიძახოთ-მეთქი. კარგი, სოსელო, წავიდეთო ახლა სახლში, ნიკოლოზმა ასე მითხრა. დავიძარით შინისაკენ ძველი სამარშრუტო ტაქსით, მტვრიანით, მგზავრობის საფასური ნიკოლოზმა გადამიხადა. ჩამოვედით მერე პირდაპირ ჩემი კორპუსის – ან, რახან ნიკოლოზიც ჩემი მეზობელი იყო, უმჯობესია, ვთქვა, ჩვენი კორპუსის – ნინ, სადარბაზოსთან მივედით. მკითხა, ხომ მიაგნებო აქედან შენს სახლს. თავი დაფუქნიე. აბა, ძლიერი უნდა იყო, კარგად იყავიო. ნახვამდის-მეთქი, ნიკოლოზ ბიძია. გაუხარდა ასეთი მიმართვა – „ბიძია“. შევბრუნდი მერე სადარბაზოს შიგნითკენ, შევედი კიდეც, ავუყევი კიბეებს, თან ვითვლიდი მათ რაოდენობას – პირველ სართულზე ცხრა კიბე იყო, მეორიდან კი თითოეულ სართულზე ათი საფეხური შემხვდა. მეშვიდეზე რომ ავედი, ვიფიქრე, ჯერ ზევით ავალ, დარჩენილი ორი სართულის საფეხურების რაოდენობასაც გადავამოწმებ, და მერე ჩამოვალ-მეთქი, მაგრამ ამ დროს ჩემი სახლის კარი გაიღო თითქოს თავისით, რადგან არავინ დამინახავს მე მისი გამღები იქ იმ მომენტში. რატომღაც

აღარ გავაგრძელებ გზა და, შესაბამისად, პირდაპირ ჩემს სახლის ზღურბლს გადავაბიჯე. უცებ ჩემ წინ რაღაცამ გაიშხულია, შემდეგ იქ შერხეული ჰაერის ნაკადს მიმართულება მისცა და ეს მთელი აირი სახეზე მომელამუნა, მაგრამ თვითონ ეს ზმნა – „მომელამუნა“ – რბილ და რომანტიკულ განწყობას ტოვებს, არადა ჰაერის ის მასა აშკარად სიძულვილითა და სიმხეცით იყო სავსე. თავიდან აზრზე ვერ მოვედი, მაგრამ მერე, ქამრის ბოლო რომ მომხვდა სახეში გამეტებით, ყველაფერი გავაანალიზე. აქ მოდიო, მიყვიროდა მალხაზი, როცა დამინახა, როგორ გავრბოდი. საკუჭნაოში შევიმალე ისევ, თუმცა ვიცოდი, რომ მაინც მომაგნებდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ფეხის ხმა საძინებლისკენ წავიდა, მერე სანოლის ქრაჭუნიც გავიგონე. მალხაზი დაწვა, მე თავი დამანება. ლამის ჭკუიდან გადავედი, მაგრამ მერე ამ ამბისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია და, სიმართლე ითქვას, მშვიდობით ვიყავით მე და მამაჩემი – მე ჩემთვის, ის თავისთვის – იქამდე, სანამ ერთ საღამოს ძალიან არ გამოთვრა და, სახლში რომ მოვიდა, ლალი, მოვედიო, არ დაიძახა. მოკლედ, ლალი, მოვედიო, შეუძახა ცოლს იმ იმედით, რომ ან რამე საჭმელს დაახვედრებდა მზად, ან წინდებს გახდიდა, ანდაც მთლიანად ტანსაცმელს გააძრობდა და დასაძინებლად სანოლში ჩაანვენდა ჩვილი ბავშვივით. თუმცა მერე, აშკარა იყო, გაახსენდა, ცოლი რომ გარდაცვლილი ყავდა, ფეხსაცმლები თავისით გაიხადა, დიდი გაჭირვებით, და საკუჭნაოს კარს გაუქანა. მე სასტუმრო ოთახში ვიყავი, ჩვეულებრივ, და არა საკუჭნაოში, მაგრამ მას, ალბათ, ეგონა, რომ იქ ვიყავი ისევ,

რატომღაც. სასტუმრო ოთახშიც შემოვიდა. უფეს-საცმლოდ, წინდებში იდგა და ტერფებზე უსიამოვნო სუნი ასდიოდა ისეთი, ცხვირს რომ მიწვავდა. ოთახის შემოსასვლელი კარის ჭრილში იდგა მალხაზი და, შემიძლია დავიფიცო, ზუსტად ოცი წუთი იხსნიდა ქამარს, შავი შარვლის ყელზე რომ შემოერთყა. საბოლოოდ, როცა მოიხსნა, ხელში ისე შეათამაშა, დასავლელი კოვბოები რომ ათამაშებდნენ ცეცხლსასროლ იარაღებს, თვალეში შემომხედა და ჩემკენ დაიძრა. ვიცოდი, მაგრად მცემდა, თუმცა ადგილიდან არ მომიცვლია ფეხი, და ღირსეულად დაველოდე იმას, რასაც მიპირებდა. მართლაც მაგრად მცემა, თან ამოიჩემებდა ხოლმე ერთ წერტილს ჩემს სხეულზე, და მხოლოდ მანდ მირტყამდა იქამდე, სანამ კუნთი არ ჩამეხეოდა. დამალილავა, კუნთები დამიხია, ბოლოს ხელში ამიყვანა და სანოლზე მომისროლა, მერე აღარ ვუცემივარ. რატომღაც ტკბილად ჩამეძინა. ღამე ვიგრძენი, როგორ მომიწვა მალხაზი გვერდზე, და როგორ დაუნყო ჩემს დაღურჯებულ ადგილებს კოცნა, თუმცა ამის მერე აღარც მინახავს, რადგან, რომ გავიღვიძე, თავზე ბებიარჩემი მედგა – დედაჩემის დედა – ინეზა ბებო, თან შევამჩნიე, რომ კედლებიც არ იყო ისეთი, ჩვენ რომ გვექონდა სახლში, არც ფარდები. მერეღა მივხვდი, ბებიასთან რომ გადმომიყვანეს საცხოვრებლად. მანამდე არასოდეს მენახა ინეზა ბებო. წლების მერე ასე მითხრა, მამაშენი უკრძალავდა დედაშენს ჩვენთვის შენი თავის ნახვებას, მერე კი თვითონ მალხაზმა მოგიყვანაო ჩვენთან. ინეზა ბებო ბევრს მკოცნიდა, მაგრამ მე აღარ დამიშვია ის შეცდომა, რაც დედასთან მომივიდა – მე არ ვკოცნიდი, რად-

გან, როგორც ზემოთ ვახსენე, ჩემი ნერწყვი შხამს შეიცავდა. რომ ვკითხე, მამაჩემი სად წავიდა-მეთქი, ასე მითხრა, შენ დღეიდან ჩემთან ცხოვრობ, მამაშენი ეშმაკსაც წაუღიაო. დიდი ალბათობით, ასეც იყო – ეშმაკმა წაიღო მამაჩემი მალხაზი, არადა მიყვარდა ძალიან, ხომ იცით.

მოკლედ, ბებიას ვუთხარი, სანამ ერთად ცხოვრებას შევეუდგებოდეთ, ჯერ ჩემი სახელი უნდა ისწავლო-მეთქი. აბა, რა გქვიაო, მკითხა, თან თვალები აუცრემლიანდა. მე ვარ სოსო, იოსები, მაგრამ შენ სოსელო დამიძახე-მეთქი, ასე ვუთხარი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, შევთანხმდით ამაზე. მერე, თხუთმეტი წლის რომ გავხდი, პირადობა ავიღე, სადაც ეწერა: „სახელი – იოსებ არველაძე; დაბადების თარიღი – 20.12.1997; დაბადების ადგილი – რუსთავი, ქვემო ქართლი; პირადი ნომერი – 3500558855“. თექვსმეტი წლისამ მუშაობა დავინწყე კაფე საპელმენე „მერანში“, მეგობრობის გამზირზე რომაა რუსთავში, ხოლო ოცი წლის რომ გავხდი, რახან ფული მქონდა უკვე მოგროვებული, და რახანაც ვიზალიბერალიზაცია იყო მოქმედებაში შესული, ინეზა ბებოს გამოვუცხადე, სამოგზაუროდ მინდა-მეთქი წასვლა გერმანიაში. ბებო, ღმერთმა დაგლოცოსო, ასე მითხრა, ჰოდა მეც ჩავალაგე ბარგი, ელექტრონულად ვიყიდე ბილეთი, წავედი თბილისის აეროპორტში, იქიდან გავფრინდი კიევში, სადაც სამი საათი გავჩერდი, და შემდეგ კიევიდან ფრანკფურტში ჩავფრინდი, სადაც ორი დღე დავრჩი შემთხვევით გაცნობილ გერმანელ ახალგაზრდა კაცთან, ხოლო მერე, პატარა ქალაქების ისტორიას რომ გადავხედე, ბად ჰერსფელდში მოვიხსენებ წასვლა და დარჩენა.

\*\*\*

– დიახ, ქართველი ვარ, – გავეცი პასუხი შეკითხვაზე იმ გოგონას, ყველაზე ლამაზი რომ იყო, ხომ გახსოვთ, – შენც? – თუმცა ეს კითხვა აზრს მოკლებული იყო, მაინც დავუსვი, რადგან, ვინ იცის, იქნებ, უბრალოდ იცოდა ქართული ენა.

– კი, მეც, – მითხრა, ერთი წამის განმავლობაში მზერით შემჭამა, ხოლო შემდეგ გაიღიმა. – საით გაგინევია?

– აიზენაში, ვარტბურგის ციხესიმაგრე<sup>1</sup> და ბახის მუზეუმი უნდა ვნახო. – ვუპასუხე. დარწმუნებული ვიყავი, თავადაც ზუსტად იგივე მარშრუტი ჰქონდა, მაგრამ მაინც ვკითხე: – და შენ სად მიდიხარ?

– მშვენიერია, – თქვა და გაიღიმა, მაგრამ ამ ღიმილის დროსაც კი მაკვირდებოდა, მათვალისწინებდა, – ზუსტად იგივე მარშრუტი მაქვს მეც. ვთხოვოთ ვინმეს, გაგიცვალოს ადგილი, და ჩემ გვერდით დავექი. ნუ, რა თქმა უნდა, თუ სურვილი გაქვს.

– მგონი, არ დაგეჭირდება, – ნაძალადევად გავუღიმე, რადგან სულაც არ მეღიმიებოდა, არამედ თავბრუ მეხვეოდა და, სიმართლე ითქვას, მუხლებიც მეკეცებოდა. იმდენად ღრმა მზერა ჰქონდა ამ გოგოს, თვალებში რომ ჩაგეხედათ, იფიქრებდით, ამ თვალების ფესვები ზღვის ფსკერიდან მოდისო. ისეთი დიდი და, შეიძლება ითქვას, დიადი ეფექტი

---

1. 1521 წლიდან 1522 წლის მარტამდე ციხესიმაგრეს თავს აფარებდა მარტინ ლუთერი, როდესაც იგი რომის პაპმა ლეო მეათემ განკვეთა. სწორედ ამ პერიოდში, ჯუნკერ ჯორჯის სახელით, მარტინ ლუთერმა გერმანულად თარგმნა სახარება, რომელიც თანამედროვე გერმანულ ენაზე პირველ თარგმანს წარმოადგენს. 1999 წელს იუნესკომ ვარტბურგის ციხესიმაგრე მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა;

მოახდინა ჩემზე ამ გოგონამ, ისეთი მოულოდნელი და ისეთი შიშისმომგვრელი, რომ სხეული შიგნიდან გამეყინა, და ჩემი შოკური მდგომარეობა უფრო მეტხანს გაგრძელდა, ვიდრე გაგრძელდებოდა ნებისმიერი ულამაზესი მდედრის დანახვისას. ამ მდგომარეობიდან თუ გამოვიდოდი ოდესმე, არ მეგონა და, ვფიქრობ, არც გამოვსულვარ დღემდეც კი, რადგან ასეთ სტატიკურ მდგომარეობას თავი რომ დააღწიო, თავხედი უნდა იყო, თუ შენ აძლევ საკუთარ თავს ამის უფლებას. მაშასადამე, ამ მდგომარეობას პირველი ძლევს არა ძლიერი, არა ჭკვიანი ადამიანი, არა სხვა და სხვა, არამედ – თავხედი. ძლიერი ადამიანი შედარებით უფრო გვიან გამოდის ექსტაზიდან, ჭკვიანი კი სამუდამოდ მისი ზეგავლენის ქვეშ რჩება, ამიტომაცაა ხოლმე, რომ ლამაზი ქალი ხვდება არა ძლიერ კაცს, არა ჭკვიან მამაკაცს, არამედ თავხედს, და ცხოვრობენ ისინი არა ტკბილად და ბედნიერად, არამედ – მწარედ და უბედურად. ამ დროს ჭკვიანი კაცი ფიქრობს, ექსტაზის ქვეშ მყოფსაც შემოძლიაო მასთან ყოფნა. მოკლედ, რას ვიზამთ!.. ახლა საქმეს მივუბრუნდები: არ დაგვჭირდება-მეთქი, რომ ვუთხარი ამ გოგოს, მიზეზიც განვუმარტე, ჩემ წინ ზიხარ და, თუ კისერი არ გეტკინება, ისეც ვილაპარაკებთ-მეთქი. კარგო, დამთანხმდა, მაგრამ მე მერე მისი სახელის გაგება მომინდა, თუმცა კითხვა შემრცხვა, და ასეთი ხერხი მოვიფიქრე:

– კარგი, მოკლედ, – ვუთხარი, – ავიდეთ უკვე ავტობუსში, თორემ გავა, ელენე.

– ელენე? – გაიკვირვა. არ ვიცი, მიმიხვდით თუ ვერა, მაგრამ მაინც ავხსნი: ეს სახელი შევურჩიე,



რადგან ვიცოდი, გაიკვირებდა, მერე კი თავის ნამდვილ სახელს მეტყოდა. საკმაოდ უაზრო გზით შემოვლავ, მართალია, მაგრამ იმ დროს სრულ ჭკუაზე ნამდვილად არ გახლდით.

– განა, ელენე არ გქვია? – ჩავეკითხე მეც ვითომ გაკვირვებით.

– არა, ელენე არა, – და ისე გამიღიმა, თითქოს საერთოდ ყველაფერს მიხვდაო, – მედეა მქვია. და შენ, ტატო?

– ტატო? – გავიკვირვე.

– განა, ტატო არ გქვია? – ახლა მართლა გამიღიმა, ოღონდ რაღაცნაირად, თითქოს უპირატესი ღიმილით.

– სოსო, იოსები, მაგრამ შენ შეგიძლია სოსელო დამიძახო, – ვუპასუხე და მეც გავუღიმიე.

– სოსელო, – უფრო ფართოდ გაიღიმა. რაც მეტ ფართობზე შლიდა თავის ღიმილს, უფრო ცუდად ვხდებოდი და, შემიძლია დავიფიცო ყველაფერი, გული წამივიდოდა და წავიქცეოდი, ეს რომ არ ეთქვა: – ავიდეთ ავტობუსში, ასე ჯობია, თორემ ჩვენ არ დაგველოდება – ხომ იცი გერმანული პუნქტუალურობა, ისედაც გავჩერდით ამ კატის გამო, თან...

ავტობუსის ასასვლელ კიბეებთან მივედით და, ფეხი რომ შევდგი პირველ საფეხურზე, მერეღა დამარტყა თავში ფიქრმა, რას აკეთებ-მეთქი, და იმ წამსვე ჩამოვედი, ხელი გავიშვირე ავტობუსის შიგნითა მხრისკენ, მედეას ვანიშნე, მხოლოდ შენს შემდეგ-მეთქი, ისევ გამიღიმა – თან ახლა ისე, რომ კბილებიც გამოაჩინა – ფეხი შედგა საფეხურზე და ავიდა ზევით. უცებ მთელი თვალწინ გადაშლილი სამყარო დამიტრიალდა გონებაში, თვალეებში ამეგ-

ლისა თითქოს ხეები, ასფალტი, სახლები, მინდვრები და ავტობუსი ერთად და, ზუსტად ვიცი, პატარა მოაჯირისთვის რომ არ ჩამეველო ხელი, ნავიქცეოდი. ქალის ბუნება რომ განვიხილოთ ჩვენ, კაცებმა – კი, მართალია, ვინ ვართ ჩვენ ქალებთან შედარებით, მაგრამ მაინც – აღმოვაჩინეთ, რომ ღმერთმა განგებ მისცა მას ძლიერ განსხვავებული თვისებები, ვინაიდან ამ თვისებების მდგომარეობაც კი და მნიშვნელობაც აბსოლუტურად განსხვავდება კაცისგან; თუ კაცის თვისებებს მივიჩნევთ, მაგალითად, სამხრეთ პოლუსად, ქალის თვისებები უკიდურეს ჩრდილოეთში იქნებიან განთავსებულნი. თავბრუ მეხვეოდა-მეთქი, ხომ ვთქვი, მაგრამ მაინც არ შემიმჩნევია, რადგან ტაეპი გამახსენდა ერთი: „არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა ეახლების“.<sup>1</sup> ასეა, ვფიქრობ, მაგრამ მთელი ცხოვრება რომ არ დაიძინო, გულში უნდა კლავდე ყველაფერს და, მაშ, რა აზრი აქვს ცხოვრებას ღია სიყვარულის გარეშე? ამიტომ, ალბათ, ზღვარი უნდა ჰქონდეს მოთმინებასაც. თუმცა, მეორე მხრივ, თუ ადამიანი სიკვდილის პირასაა – და მე ვახსენე დასაწყისში, რომ ჩემი პოსტ-ემბრიონული განვითარება უკვე დასასრულს უახლოვდება – და თუ გადმოხედავს განვლილ ცხოვრებას, კითხვას დაუსვამს მთელ არსებობას, ოდესმე დამთავრდება თუ არა ტანჯვა, და შემდეგ აღმოაჩინს, რომ ადამიანის ტანჯვა უსასრულოა, ხოლო ადამიანის არსი – სასრული. ახლა, შეიძლება, სულაც ამაოდ ვმეტყველებ, და შესაძლოა ჩემნაირ კაცისთვის, ვისაც დრო ამაოდმეტყველე-

---

1. აფორიზმი „ვეფხისტყაოსნიდან“;

ბის სიფხიზლეში გაჰყავს, უმჯობესი ყოფილიყო, დღე ძილში გაეტარებინა, თუმცა დედამინა სავსეა ადამიანებით, რომლებიც სიცრუითა და ამაოდმეტყველებით განდიდნენ, მაგრამ ახლა, ჯობია, საქმეს მივუბრუნდე. ისე, რამდენჯერაც გადავუხვიე საქმეს და მერე ვთქვი, ჯობია, საქმეს მივუბრუნდე-მეთქი... ნეტა, თუ დაუნერია ვინმეს ამდენი „ჯობია, საქმეს მივუბრუნდე“ ერთ პატარა პროზაულ ნაწარმოებში? საინტერესოა.

– ხანდახან ისე მეშლება ნერვები, – შემომიბრუნდა მედია მოულოდნელად, როცა უკვე ჩვენ ჩვენს ადგილებზე ვისხედით ავტობუსში, – რომ კაცის მოკვლაზეც კი დავფიქრებულვარ, თან საკმაოდ ღრმად და ისე, ასრულებაც რომ შემეძლო, მაგრამ მერე, მეთქი, რატომ უნდა მოვკლა ვინმე – ისევ ჯობია, მე მოვკვდე, არა?

– მედია! – შევუძახე ერთი და, ყველამ ჩემკენ რომ გამოიხედა ავტობუსში, ხმას დავუწიე: – მედია.

– ჰო, სოსელო, გისმენ, – მარცხენა თვალით მიყურებდა სკამის საზურგის მიღმა.

– შენ როგორ უნდა მოკვდე, ამიხსენი ერთი! აი, მედია, შენნაირ მშვენიერებას უნდა დარჩეს  
მემკვიდრეობა,  
რომ სილამაზემ იფერადოს ვარდის კონებად,  
დამჭენარ სიტურფეს მაინც ვერ ჰკლავს უამის  
ღრეობა,  
მემკვიდრე არის მისი ხსოვნა და მოგონება.  
გრძნობებს რომ ფანტავ, რალა გრჩება, ნეტავ,  
მარაგად,  
შენ, საკუთარი სილამაზის მონადქცეულო?!

*ბრიოკ უდაბნოდ რად აქციე რთველის ბარაქა  
შენ, საკუთარი არსებობის მტერო წყეულო!  
მთელი მსოფლიოს სამკაული შენა ხარ ახლა,  
მხოლოდ შენ ძალგის გაზაფხულთან გაბაასება,  
რად არ გაშინებს, თუ ნაყოფი კვირტშივე გახმა,  
მშვენიერებას რატომ ფლანგავ, ძუნწო არსებავ?!  
წუთისოფელი შეიბრალე, შენს მზეს რომ ფიცავს,  
მაგ სილამაზეს ნუ დაუთმობ სამარის მიწას!*

მოკლედ, ახლა რისი თქმა მინდა: თუ გგონიათ, რომ, რაც ზემოთ დავწერე, სიმართლეა, იმ დიალოგიდან, მედემ რომ დაიწყო კაცის მოკვლაზე, მაშინ ძლიერ შემცდარხართ, რადგან ასეთ უაზრო საუბარს ჩემი კოლხი მედია არასოდეს იკადრებდა! ახლა კიდევ ერთ ფიქტიურ დიალოგს მოვიყვან. იკითხავთ, რატომო. რავიცი, აბა!..

– მედია, – გავძახე ჩუმად, დაშოშმინებულმა, იმის შიშით, ისევ მთელ ავტობუსს რომ არ მოეხედა ჩემკენ.

– ჰოუ, სოსელო, – ჩურჩულითვე გამომეპასუხა ჩემ წინ მჯდარი კოლხი მედია, ყველაზე ლამაზი გოგონა და, საერთოდ, რალა გოგონა, ქალი იყო! ვფიქრობ, სიტყვა „გოგონა“ მის მნიშვნელობას აკნინებს, ამიტომ ქალად მოვიხსენიებ ანი.

– მისმინე, მედია, ძალიან ლამაზი ხარ. შანსი არაა, არ უნდა მოკვდეს შენი სილამაზე, ხომ გესმის, არა? – ავადმყოფურად ვეუბნებოდი ამას, თან შუბლზე ოფლი მასხამდა. – შვილი უნდა გააჩინო –

---

1. შექსპირის პირველი სონეტი;

აი, ამის თქმა მინდოდა! როცა ორმოცჯერ დაიზამ-  
თრებს შუბლი მწყაზარი,

მაშინ ლანვებიც დროის ხნულით ნაოჭდებიან,  
ეგ სამოსელიც შეიქმნება ძონძი საზარი,  
და სილამაზის ნაფლეთები გამოჩნდებიან.  
მაშინ გკითხავენ, რა უყავი სიტურფის სხივებს,  
საით დამარხე წარსულ დღეთა საგანძურები,  
შენ უპასუხებ: „სილამაზეს სამარედ მივეც  
ეს ჩაცვინულნი თვალნი ჩემნი დატანჯულები“.

შენი პასუხი შენს დაცინვად მოგეჩვენება,  
არა სჯობია, მაშინ გქონდეს ყველგან სათქმელად:  
„აი, ეს არის ჩემი შვილი, ჩემი მშვენება,  
ჩემი სიბერის პატიება და გამართლება“.  
მემკვიდრე შეჰქმენ, რომ დაგიცხროს ეს იარები  
და სიბერეში სიჭაბუკეს ეზიარები!

– ვახ, სოსელო! – გაიცინა ჩემმა კოლხმა მედეამ.  
– არ მინდა შვილი, არა. თან რას მიმანიშნებ – შენ-  
გან გავაჩინო?

– მედეა! რას ამბობ, ქალო, უჰ! სარკეში იგრძნობ  
– დროა უკვე გახდე მშობელი;  
განმეორება საჭიროა ბუნების განძთა.  
მოტყუებული რომ არ დაგრჩეს ნუთისოფელი  
და ვინმე ვაჟუკაცს არ მოაკლო მამობის განცდა.  
ყველა კაცისთვის სანატრელი დედაკაცი ხარ,  
ყველა ვაჟუკაცი შემოგწირავს თავის მშვენებას,  
მაგრამ საკუთარ სილამაზეს გაუტაცნიხარ  
და არ გაფიქრებს შენი მოდგმის გადაშენება.

---

1. შექსპირის მეორე სონეტი;

დედაშენისთვის წარსულ დღეთა სარკე შენა ხარ,  
მას ნეტარ აპრილს გაუცოცხლებს სიყრმე შვილისა,  
როცა შენს შუბლსაც ნაოჭებით ჟამი შელახავს,  
მაშინ გაგიღებს შვილი სარკმელს სიყმანვილისას.  
უშვილ-უძირო თუ დარჩები მიუსაფარად,  
მაგ შენს სახესაც შენთან ერთად მიწა დაფარავს!

ესეც არ მითქვამს, რალა თქმა უნდა, უბრალოდ  
მინდოდა თქმა, მაგრამ არ გამოვიდა. კიდევ ერთი  
ასეთი დიალოგი არსებობს, რომელიც უნდა თქმუ-  
ლიყო და არ ითქვა:

– მედეა, – ვუჩურჩულე სკამის საზურგის უკნი-  
დან, და ჩემი პირიდან ამომავალი ჰაერის ნაკადი,  
ბგერებს რომ მოჰყვებოდა, მის სახეს მივაფშვნიტე,  
რამაც თმები ოდნავ აუტოკა. როგორ მომინდა მის-  
თვის კონცა იმ მომენტში, რომ იცოდეთ!.. მაგრამ  
ჩემს თავს აღვუთქვი პირობა, რომ კოცნის გარე-  
შე ჩაივლიდა მთელი ჩვენი ურთიერთობა. ვერ მოვ-  
კლავ-მეთქი ასეთ საოცრებას, ვფიქრობდი ჩემთვის.

– რა იყო, სოსელო? – ჩამეკითხა და რატომღაც  
გულით გამიღიმა.

– ძალიან მახინჯი ვარ, მედეა? – ვკითხე, თან  
ცრემლებს ვიკავებდი ძლივს.

– არა, სოსელო, საკმაოდ კარგად გამოიყურები,  
– ასე მითხრა და, სახეზე დაეტყო, დაეჭვდა რალა-  
ცაში.

– ჰოდა, მედეა, არ მინდა, რომ მემკვიდრის გარე-  
შე მოკვდეს შენი სილამაზე, გესმის? გააჩინე ბავშვი,

---

1. შექსპირის მესამე სონეტი(პერსონაჟმა რამდენიმე სიტყვა შეცვალა, სიტუაციას რომ უკეთ მორგებოდა ლექსი, რადგან სონეტში შექსპირი მამაკაცს მიმართავს, ხოლო პერსონაჟი ქალს ესაუბრებოდა);

გთხოვ. ჩემგან გააჩინე, თუ გინდა, ოღონდ გააჩინე, – სისულელეებს ვბჭუტურობდი, თან თავს ვერ ვაკონტროლებდი, – სანამ შენს ზაფხულს ზამთრის ცივი ხელი გაგუდავს,

*მაგ სილამაზით დაამშვენე თასი საბედო,  
სიტურფის განძი მიაბარე სანდო საბუდარს,  
მშვენიერებამ თავის მოკვლა რომ ვერ გაბედოს,  
ვინ გაგამტყუნებს, სილამაზე რომ არ დანაცრო,  
ხარკის გაღებას მშვენიებისთვის ვინ არ ეცდება,  
შენიც თავისთვის გააჩინე შენი სანაცვლო,  
ათჯერ გამრავლდი, სიხარულიც გაათკეცდება.  
ათი სიცოცხლე გაგიჩნდება ამოსარჩევად,  
ბედით იქნები ათჯერ უფრო გატაცებული,  
მაშინ სიკვდილის წასართმევი არრა დაგრჩება  
თუკი სიცოცხლე შვილს ექნება გადაცემული.  
სიკვდილი აღარ მოგადგება თავის სანთლებით,  
მემკვიდრეებად არ დაგრჩება მინის მატლები.<sup>1</sup>*

– კარგი, რა, სოსელო, – მაგრად შევეცოდე, ვხვდებოდი, – არ მინდა შვილი.

– მართალია! – დამარტყა უცებ გონებაში, – სწორია! შენი შვილი რომ შენზე ლამაზი იყოს, ჩემი ხელით დავახრჩობ, მედეა, იმიტომ, რომ შენ ხარ ერთადერთი ჭემმარიტი სილამაზე. არა! სილამაზე არა! სილამაზე არაფერია! შენ ხარ ერთადერთი ჭემმარიტი სიყვარული!

მოკლედ, ამხანაგებო, ამ დიალოგებიდან არც ერთი არ ყოფილა სიმართლე, არც ერთი არ მომიყვანია მოქმედებაში, თუმცა ვფიქრობდი მათზე ბევრს.

---

1. შექსპირის მეექვსე სონეტი;

ახლა, მოდით, იქ დავბრუნდეთ, ავტობუსში რომ ავედით მე და კოლხი მედეა, რომ დავიკავეთ ჩვენი კუთვნილი ადგილები, და რომ გავუდექით ისევ გზას აიზენახამდე. მოკლედ, დიახ, ავტობუსში ავედით მე და კოლხი მედეა, დავიკავეთ ჩვენი კუთვნილი ადგილები, და გავუდექით ისევ გზას აიზენახამდე. ავტობუსი ჩვეულებრივზე ჩქარა დადიოდა, რაც აშკარა შესამჩნევი იყო, რადგან, ჩემი აზრით, დათქმულ დროზე არ მისვლა გერმანელებისათვის არც ისე საპატიოა – განა, კანონი სჯის მათ ამის გამო, არამედ, უბრალოდ, სინდისი არ აძლევს მათ საშუალებას, დათქმულ დროს გადააცილონ წუთები. არც მქონია იმის ილუზია, რომ გზაში მე და მედეა ვილაპარაკებდით და, სიმართლე ითქვას, არც სურვილი გამჩენია საუბრისა, რადგან, ჩემი გადმოსახედიდან, ყველაფერი საუკეთესოდ ხდებოდა: მედეა იჯდა ჩემ წინ მდგარ სავარძელში, ფანჯარასთან, როგორც – მე; იყურებოდა სახის მთელი ფართობით ფანჯრის იქით გაშლილი ხედისკენ, მე კი მთელ მის მშვენებას შევყურებდი პირდაპირ – ისე, თავის მიბრუნებაც რომ არ დამეჭირებია; კინკრიხოს მარცხენა ნაწილი მქონდა ფანჯარაზე მოხერხებულად მიყუდებული, და ჩემი თვალებიდან გამოსული უხილავი, ას ოთხმოცი გრადუსით გაშლილი ძალწირები პირდაპირ მედეას სახის ნაკვეთებში შედიოდა. კამათის დანწყება არ ღირს იმაზე, შემიყვარდა მე ეს ქალი – ხომ გახსოვთ, შევთანხმდით, რომ ქალს დავუძახებდი ანი – თუ არ შემიყვარდა, რადგან ფაქტი ერთია და უკანასკნელი – შემიყვარდა, და მორჩა! როგორც კი დავინახე მედეა, იმ წამიდან დაიწყო ჩემი გულის წვა. ერთ ღამეს, მახსოვს, დამესიზმრა ასეთი რაღაც:



ტყეში ვიყავი სულ შიშველი, გარშემო სასაფლაოს ნისლი მეხვია – აი, ხომ გახსოვთ, ის ნისლი, გარდაცვლილების სულელებით რომ საზრდოობს და, რაც მეტი კვდება, მით უფრო რომ იზრდება; ჩემს თავს ზევიდან დავეყურებდი, და ის მე იდგა ტყის შუაგულში, ტვინგამოცლილი სახით, და იყურებოდა ისეთი თვალებით, როგორითაც მე არასოდეს გამიხედავს; უცებ ნისლიდან ჩემი ერთადერთი სიყვარული – მედეა – გამოვიდა, ტანთ გაუმჭვირვალე კაბა ემოსა, და ისიც ისეთი თვალებით იყურებოდა, არასოდეს რომ არ გამოუხედავს ასეთი მზერიით; ამ დროს მემ მარჯვენა ხელი წინ გაიწვდინა, მერე იდაყვში მოხარა, თითები გაავარჯიშა და პირდაპირ საგულეში, ორ მკერდს შუა შეიყო, ცოტა ხანი იქ აფათურა და შემდეგ გული გამოიღო; მარცხენა ხელში მეს უცებ ასანთის ანთებული ღერი გაუჩნდა; მემ გული წინ გაიშვირა, მარცხენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითებს შორის მოქცეული ასანთის ღერი გულს ქვევიდან შეუნთო და ცეცხლი შეუკიდა; ცოტა ხანი დაიცადა, სანამ მთლიანად დაიფერფლებოდა გული, ხოლო შემდეგ, ნაცარილა რომ შერჩა ხელში, ისევ არსაიდან გაჩენილ პოლიეთილენის პატარა ცელოფანში – აი, ისეთში, წამლები რომ ყრია ხოლმე – ჩაყარა ეს ფერფლი, ცელოფანს თუ პაკეტს თავი შეუკრა, მედეასკენ წავიდა, ცალ მუხლზე დაუჩოქა, პაკეტი, ხელისგულზე დადებული, მედეასკენ გაიშვირა და უთხრა, ეს საკმეველია, ჩემზე ილოცეო.

აიზენახში მალე ჩავედით. ავტობუსი ვარტბურგის ციხესიმაგრის ძირში გაჩერდა, მძლოლმა მიკროფონში რაღაც წარმოთქვა გერმანულად, მგზავრებმა ტაში შემოსცხეს, მეც ავაყოლე ოდნავ უხერხუ-

ლად. ავტობუსი რომ იცლებოდა – უფრო სწორად, სკამებიდან რომ დგებოდნენ მგზავრები და სკამებსშორისი გასასვლელისკენ დგამდნენ ნაბიჯს – მე ჩემ გვერდზე მჯდომ მგზავრს ფეხი ავუყოლე და, სკამთაშორის გასასვლელში რომ აღმოვჩნდი, ერთი გრძელი ნაბიჯით გადავინაცვლე მედეას გვერდით, და მხარში ამოვუდექი. ავტობუსის კიბეებამდე რომ მივედი, პირველი, რალა თქმა უნდა, ის ჩავუშვი და, როცა ჩადიოდა, მისი კისრისკენ გამეპარა თვალი რატომღაც: ხერხემლიდან ამომავალი ბოლო მალეების გასწვრივ შესხმულ ხორცზე ახალდანამული ბალახით ამონვეროდა ქერა ბენვები. როგორ უხდებოდა, რომ იცოდეთ! ლამის მივედი და ავულოკე, ოღონდ სიყვარულით. თუმცა, ჩემი შხამიანი ენის გადაკიდე, რალა თქმა უნდა, ამას არ ვიზამდი. ორი წამი რომ შევყოვნდი, ჩემ უკან მდგარმა გერმანელმა მანიშნა, ჩადიო, და მეც ჩავედი. მედეამ მითხრა მერე, მოვედით, ახლა კი ზევით უნდა ვიაროთო. ხრეშიან გზას გავუდექით მე, მედეა და, თუ საერთოდ მხედველობაშია მისაღები, ოცი-ოცდახუთი გერმანელი. მალე ხრეშიანი გზა კიბეებით შეიცვალა, რამაც მაიძულა, ის ლიტრობით დალეული გერმანული ლუდი გამეხსენებინა, წინა დღით რომ გადავუშვი მუცელში. თუმცა, რალა თქმა უნდა, ამ ყველაფერს არ ვიმჩნევდი – მედეა მედგა გვერდზე და, რას ამბობთ, ლუდით გასიებული მუცლისგან გამონვეული დისკომფორტი აღმებეჭდებოდა სახეზე?! მარდად მივაბიჯებდი. მედეამ მკითხა, საიდან ხარო. რომ ვუთხარი, რუსთავიდან-მეთქი, გაჩერდა, თვალები გაუფართოვდა და წარბები შუბლზე აეზიდა. მეც რუსთავიდან ვარო, მერე მითხრა. გამიხარდა, და

რა გამიხარდა! ისე, სინამდვილეში, წარმომავლობით მეგრელი იყო, ნაღდი კოლხი, გვარად ვარდია – მაშასადამე, მისი სრული სახელი იყო მედეა ვარდია. ეს რომ მითხრა – ანუ, გვარი რომ გამაცნო – წამსვე სტროფი გამახსენდა, ჰოდა ვუთხარი ასე: მედეა ვარდია, ვარდის თვეა, მაისია, ნორჩ ბალახებს სიო არხევს, ხეებს ყვავილთ თეთრი გუნდი, როგორც თოვლი, ისე აწევს, მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს და სითბოში მთა-ბარს ახვევს-მეთქი.<sup>1</sup> ვერძი იყო ზოდიაქოთი, ამკარა შეიქმნა ეს ჩემთვის თავიდანვე, და მართლაც, აპრილის დასაწყისში მაქვსო დაბადების დღე, ასე მითხრა. გამიხარდა, რომ გამოვიცანი, და პირდაპირ ციხესიმაგრისკენ გავეშურეთ. რახან 2017 წელი იდგა, მარტინ ლუთერის საეკლესიო რეფორმიდან<sup>2</sup> 500 წელი, პროტესტანტული სამყარო – განსაკუთრებით, გერმანელები – ამ წელს განსაკუთრებულად მიიჩნევდნენ და, რა გასაკვირია, ვარტურგის ციხესიმაგრეშიც, სადაც მარტინ ლუთერი მარტვილობდა, დიდი პოსტერი შემოგვეგება მისი გამოსახულებით. შესასვლელში აპარატურა დაგვირიგეს, რამაც ასევე გამოიწვია ჩემი გაოცება, რადგან ეს აპარატურა საკმაოდ დახვეწილი სისტემის ნაწილი იყო, კერძოდ: მონყობილობას ჰქონდა ღილაკები ციფრებით, პატარა ანტენა და მოსასმენი; რომ შეხვიდოდი მუზეუმში, ექსპონანტს თავისი ნომერი ეწერებოდა, რომელსაც შენ აკრეფდი მონყობილობაზე, შემდეგ მას ყურზე მიიდებდი და, შესაბა-

---

1. ნაწყვეტი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „მესაფლავე“;

2. 1517 წელს მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარზე მიაჭედა თავისი თეზისები, რითაც რომის პაპის წინააღმდეგ გაილაშქრა;

მის ენაზე, შენ რომ მიუთითებდი, მოცემულ ექსპონანტზე ინფორმაცია მოგენოდეოდა. შესასვლელში ასევე გვითხრეს, რაც შეიძლება, დაიშალებო, ერთმანეთს რომ ხელი არ შეუშალოთო. უკან რომ მოვიხედე და გვერდებზეც რომ მივიხედე, მედგა უკვე აღარ დამხვდა, რამაც, ცოტა არ იყოს, გამანბილა და ჩემში იმედგაცრუების ცუნამი წარმოშვა. ცხვირპირჩამოყრილი შევედი მუზეუმად ქცეულ ციხესიმაგრეში და, მეგონა, გემოს ვერ ჩავატან-მეთქი ჩემი ცნობისნადილის დაკმაყოფილებას, როცა პირველივე დანაყოფ ოთახში იესოს სკულპტურას მოვკარი თვალი. შორიდანვე გამაქვავა, მეც თვალები მოვჭრტე და, მკვდარ თავგვს რომ უახლოვდება მშიშარა დიასახლისი, რომ არ იცის ზუსტად, მკვდარია თუ ცოცხალი, ისე მივედი პატარა ქანდაკებამდე, მერე წელშიც გავსწორდი და თვალებიც ჩვეულებრივ ზომაზე გავახილე. ხის იყო ეს ნაკეთობა: იესო ქრისტე იდგა ქვაზე, ტერფისა და ხელის გულები დახვრეტილი ჰქონდა, თავზე ეკლის გვირგვინი ედგა, თვალები უკეთილშობილესი ჰქონდა, ხელები იმ კაცივით აეშვირა ჰაერში, თოფს რომ უმიზნებენ და სიკვდილი არ უნდა. ერთი გერმანელი ქალი გავაჩერე უცებ, უკან რომ ჩამიარა, გვერდით დავიყენე და ვუთხარი ასე:

– შეხედეთ ამას, აი, – რომ მოისმინა ჩემი საუბარი, თავი გაიქნია, არ მესმისო, მაგრამ მე არ დავნებდი და ვანიშნე, მომისმინე-მეთქი კარგად, – როგორ გგონიათ, რას გამოხატავს ეს ყველაფერი, ა? უყურეთ, აი, ყურადღებით დააკვირდით – განა, არ გებრალებათ? ესაა მეორედ მოსვლა. ხელისა და ფეხის გულები დახვრეტილი აქვს, ეკლის გვირგვი-

ნიც ადგას, მაშასადამე, ჯვარცმა წარსულია. ოცდა-მეერთე საუკუნე ცეცხლსასროლი იარაღის პერიო-  
დია, ამიტომაც აქვს ხელები უდანაშაულოდ ანეული  
ჰაერში – გვეუბნება, არ მესროლოთ, იესო ვარო. აი,  
ესაა. არანაირი რისხვით არ იქნება მეორედ მოსვლა,  
მაგრამ, ფაქტი ფაქტია, ჩვენ უკანასკნელი საუკუნის  
შვილები ვართ, და იესოს არ უნდა ვესროლოთ!

– Sorry, – მითხრა საბოლოოდ ინტერნაციონა-  
ლურ ენაზე, – I couldn't understand anything you said.

– No problem, – ვუთხარი და ერთი ნაღვლიანად  
გავუღიმე.

– წლები ითვალეთ, – იესოს ქანდაკება ალაპარაკ-  
და. მე მიყურებდა, – მალე მოვალთ. მამა ღმერთმა  
რომ სამყარო შექმნა, დიდი წინადადების ბოლოში  
ერთი წერტილი დასვა. მე რომ მოვედი ამ ქვეყანაზე  
განკაცებული, წინადადებას მეორე წერტილი მივუ-  
მატე.. და წლების შემდეგ მესამე წერტილს ელო-  
დოთ უნდა... მაშასადამე, მთავრდება რაღაც, რაც  
ახლის დასაწყისია. და შენც, იოსებ, ისე არ მოკვდე-  
ბი, საქმე ბოლომდე არ მიიყვანო.

– უფალო, – მივმართე უცებ, – საქმე მაქვს.

– შენს უკან რიგია, დროზე წადი აქედან, – ვი-  
თომ გამაგდო, არადა, მე კი გამოვედი, მაგრამ მას  
მერე მთელი ცხოვრება ვგრძნობდი მის ჩემ გვერ-  
დით ყოფნას.

რომ იბადება ადამიანი – ანუ, ემბრიონულ გან-  
ვითარებას რომ ასრულებს და პოსტ-ემბრიონულს  
იწყებს – თავისთავად უკეთესი და უმჯობესი ხდე-  
ბა სხეულით, უფრო სრულყოფილი, ვიდრე მუც-  
ლადმყოფობის პერიოდში; და ასევეა სულიც, ჩე-  
მი აზრით – სხეულიდან გამოდის იგი გარდაცვა-

ლების შემდეგ, რადგან სხეული სულის საშოა, და უკეთესი ხდება ხორცის გარეშე; ისევე, როგორც საშვილოსნოში განვითარებადასრულებული სხეული აუცილებლად უნდა იშვას, ამგვარადვე სულიც, სხეულში ღვთივგანსაზღვრული ჟამის აღმსრულებელი, აუცილებლად უნდა გამოვიდეს სხეულიდან. ალბათ, დაინტერესდებით, რატომ დავინყე ამაზე საუბარი – იმიტომ, რომ, ზუსტად მახსოვს, ძალიან მომინდა გარდაცვალება იმ მომენტში. არის ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში მომენტები, როცა იგი აცნობიერებს, თუ როგორ ართმევს ხელს დაბადების დღე გარდაცვალების დღეს, და აანალიზებს, რომ სიცოცხლე გარდაცვალების დასაწყისია. უცებ, ამ ფიქრებში გართულს, გერმანელი კაცის ხელი დამედო მხარზე, მივბრუნდი. წარბები შეკრული ჰქონდა და მეუბნებოდა:

– გულს ეტყოდე მარადის, საყვარელო, განსვლისათვის შენისა ამიერ სოფლით და დღისა მისთვის საშინელისა. და ვითარ იყო ჟამსა მას, ოდეს სული შენი გვამისა შენისაგან განეშორებოდის, დავრდომილი სარეცელსა ზედა შენსა, ძმაო, და ვერ შემძლებელ იყო ყოვლადვე შენევნად თავისა შენისა, დააჰნერგე გონებასა შენსა მარადის, რეცა სახლეულნი და მეგობარნი შენნი მსხდომარე არიან გარემოის შენსა და მწუხარედ იგლოვენ და სულ-თქუმით ტირან წარყვანებისათვის სულისა შენისა, და ვერვინ მათგანი შემძლებელ არს ვედრებად ანგელოზთა მათ, რომელნი ასწრაფებდენ სულსა შენსა გამოსლვად გვამისაგან.

– მოიცა... – დავიბენი, – რა მითხარი?

– Du stehst mitten auf dem Weg. Sich irgendwo bewe-

gen wir haben nicht genug Platz, um unseren Weg zum Museum fortzusetzen<sup>1</sup>, – გაიმეორა.

– ა, ჰო! – შევძახე და, გზას რომ ვუღობავდი, გამოვიწიე, ხალხი რომ გამეტარებინა.

ვარტბურგის ციხესიმაგრე ორმოც წუთში დავათვალიერე, იმ დროს, როცა ხალხი ოც წუთში უკვე გარეთ იყო. მე, სიმართლე გითხრათ, დროს ვწელავდი, ნერვების მოშლას რომ გადაეარა როგორმე – ხომ არ დაგავინწყდათ, კოლხმა მედეამ რომ მიმატოვა ციხემუზეუმის შესასვლელში?! არადა როგორ მინდოდა, ის იესოს ხის ფიგურა მეჩვენებინა მისთვის, მაგრამ რად გინდა, აჰა, მომშორდა და თავისთვის ათვალერებდა სასახლეს. ბოლო სართულზე მყოფ ტაძარში შევეკონდი დიდი ხანი და, როცა სხვები სპეციალურ მონყობილობებში უსმენდნენ მასზე ინფორმაციას, მე მშვიდად ვიჯექე და მუსიკალურ ცენტრში ჩართულ ბახის ადაჟიოს ვუგდებდი ყურს და, სიმართლე ითქვას, გულსაც. ქალი შემიყვარდა, და იმანაც მიმატოვა-მეთქი, ვფიქრობდი, და უფრო მეტად მეშლებოდა ნერვები, მაგრამ ბახი ჩემს გულს მალამოდ ედებოდა და მამშვიდებდა, თუმცა მაინც თითოეული ნოტებსშორისი პაუზაც კი მედეა ვარდიას თავს მაგონებდა, რასაც ჩემი ნერვული სისტემა მთლიანად გამოჰყავდა მწყობრიდან. საბოლოოდ, მაინც გავედი ციხესიმაგრის სამუზეუმო ნაწილიდან, და სუვენირების მაღაზიაში ამოვყავი თავი. ბევრი რამ იყო იქ, მაგრამ მხოლოდ კონიაკმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, პატარა ბოთლებში რომ ჩამოესხათ. ერთი

---

1. გერმ.: „შუა გზაში დგახართ. სადმე გაინიეთ, თორემ საკმარისი ადგილი არ არის, რომ განვაგრძოთ მუზეუმის თვალერება“;

ბოთლი ორი ევრო და ოთხმოცდაათი ცენტი ღირდა, ჰოდა ორი ცალი ვიყიდე, Kassierer-ს<sup>1</sup> ექვსი ევრო გაუწოდე, რის მერეც ოცი ცენტი დამიბრუნა, ნავაჭრი პატარა ცელოფანში ჩამიდო და, ბედნიერ დღეს გისურვებთო, ასე მითხრა, ოღონდ – გერმანულად. გამოვედი საერთოდ ციხესიმაგრიდან. გარეთ რომ ვიყავი უკვე, მაშინლა გამახსენდა, ბახის მუზეუმში იგივე ავტობუსით რომ უნდა წავსულიყავი, და აი, მაშინ მივხვდი, ისევ რომ ვნახავდი ჩემს კოლხ მედეას! გამიხარდა, ხომ იცით, აი. და მართლაც, ქვაფენილ დაღმართს რომ მივუყვებოდი, გზაში შემომეყარა და გვერდში ისე ამომიდგა, ვითომც არაფერიო. შეიძლება, მართლაც არაფერი იყო ის, რაც მოხდა, ვინაიდან სულ ერთი საათი იყო, რაც გაგვეცნო ერთმანეთი, და მერე რა, თუ გაცნობილი ობიექტებიდან ერთ-ერთი მეორეს ორმოცი წუთით გაშორდა. მაგრამ, ხომ იცით, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ერთი საათი იყო გასული ჩვენი გაცნობიდან, მე საუკუნედ ვგრძნობდი ჩემში აღძრულ გრძნობებს კოლხი მედეას მიმართ.

– ბახის მუზეუმისთვის მზად ხარ? – მკითხა და ხალისიანად ამომიდგა გვერდში, მაგრამ მისი აურა დათრგუნულ ფერს ასხივებდა, რამაც გამახარა, რადგანაც ეს იმას ნიშნავდა, რომ ციხესიმაგრის თვალიერებისას მხოლოდ ინფორმაცია არ აუთვისებია, არამედ მთელი სიცხადით შეიგრძნო საყამთასვლე მოხატულობის მწველი სურვილები, მუზეუმის კედლების გახევას რომ ლამობდა მაშინ მთელი ძალით.

---

1. გერმ.: „მოლარე“;



– მზად ვარ, ჩემო მედეა, მზად, – ვუთხარი, მკაფიოდ მივატრიალე კისერი მისკენ და გულწრფელად გავუღიმე. კოცნა რომ შემძლებოდა, აი, რომ არ ვკლავდე და მხოლოდ ძლიერად ვასუსტებდე-მეთქი, მახსოვს, გავიფიქრე, მაინც ვაკოცებდი-მეთქი, მაგრამ ვკლავდი, აჰა, და რად გინდა ასეთი კოცნა კაცს!

– ჰოდა, ავიდეთ უკვე. და მერე, ბად ჰერსფელდში რომ დავბრუნდებით, მინდა, ჩაიზე დაგპატიჟო ან, სულაც, ყავაზე, – ამ დროს მხარზე ხელი დამადო. შეხების წერტილიდან წამოვიდა ელექტრული დენი, და წამის მეთხუთმეტში გაიარა მთელ სხეულში. ენა დამება.

– ელე... ისა... მედეა, კარგი, რა, არ გრცხვენია? – რატომღაც ეს კითხვა დავუსვი, – მე დაგპატიჟებ, ჯობია.

– აბა, რა სისულელეს ამბობ ახლა, – ეტყობოდა, მართლა გამიბრაზდა, – მაშინ წავიდეთ კაფეში, და ჩვენ ჩვენი გადავიხადოთ, ჰა, იქნებ, ასე ჯობდეს?

– კაი, ნუ მიბრაზდები, – დავშოშმინდი და თავი დამნაშავედ ვიგრძენი, – უბრალოდ ავირიე ცოტა. მაღლობა მიპატიჟებისთვის. აუცილებლად მოვდივარ.

– ჰოდა ასე, – სახე გაუცისკროვნდა, – წავიდეთ ახლა, იოჰან სებასტიანი გველის.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თითქოს მართლაც გველოდა იოჰან სებასტიან ბახი. მისი მუზეუმის წინ დიდი ძეგლი იდგა ამ გენიოსის; მარჯვენა ხელში ბუმბულიანი კალამი ეჭირა, მარცხენა ხელში – დიდი სანოტე რვეული, რომელსაც ქვემოდან ანგელოზი ამაგრებდა. დიდი სიმბოლო იყო ამა-

ში, მივხვდი, მაგრამ მაინც მედეას დავუწყე მერე დაკვირვება. ის ნელა მიდიოდა ქანდაკებისკენ, მერე კი თვალები მოჭუტა და თითქოს იმედგაცრუებით თქვა:

– ეს რა არის, უჰ, ანგელოზს რატომ უჭირავს ნოტები?

– რატომ და, – მე ჩავთვალე, რომ ვერ გაეგო, ამიტომ ახსნას მოვყევი: – იმიტომ, რომ, მოქანდაკის აზრით, ბახის მუსიკა ანგელოზების მუსიკაა, სა-  
მოთხიდან გამომავალი.

– და, იქნებ, დემონებისაა, არ გიფიქრია? – ასეთი კითხვა მომცა.

– პრინციპში, – სამი წამი ფიქრის მერე ვუთხარი, – ეგ ერთი და იგივეა, მედეა.

გამიღიმა. ეგ ღიმილი ჩემს გონებაში აღიბეჭდა წარუშლელად, დამერწმუნეთ. ბახის მუზეუმის ამბებში კი ასაღწერი არაფერია – უფრო სწორად, ასაღწერი ბევრია, მაგრამ ვკვდები, ხომ იცით, და მინდა, მოვასწორო მთლიანი ამბის დასრულება, ამ ნაწარმოების.

გადავხტეთ მცირედით, და იქიდან გავავარძელოთ, ბად ჰერსფელდში რომ დავბრუნდით მე და კოლხი მედეა. ჰოდა, აჰა, დავბრუნდით ბად ჰერსფელდში მე და კოლხი მედეა, ქალაქის ცენტრში მდებარე რომელიღაც კაფეში დავსხედით, ჩაი შევუკვეთეთ და საუბარს მოვყევით. ჩემი ოჯახის შესახებ მკითხა, მე მისი ოჯახის შესახებ ვკითხე, ჩემსა და თავის პროფესიაზე მელაპარაკა, მუსიკაზე – უფრო თუ დავკონკრეტდები, ბახზე. და, აი, მაშინ აღმოვაჩინე, მის თვალებში რომ ჩავიხედე უფრო ღრმად, რომ თურმე მისი ფერადი გარსის შუაში შავი ხვრელივით მწოლიარე

გუგის სიღრმიდან მუსიკა მესმოდა; მივაყურადე მე ამ მუსიკას და, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ეს იყო შესავალი ნაწილი „იოანეს ვნებანიდან“:<sup>1</sup> „Her, unser Herrscher“. ეს მუსიკა თუ მოგისმენიათ, გაისხენეთ, როგორი ჯოჯოხეთურია, როგორ იწვება მსმენელი გეენის ცეცხლში; ფუგის ერთი თემა იწყება რალაც ერთი ნოტიოთ, მერე ეს ნოტი მალღდება, მერე თავდაპირველ ჟღერადობაზე უფრო ქვევით იწვეს, წვალობს, ისევ მალღდება, ერთს კიდევ წაიწვეს წინ, ისევ დაბლდება, სისხლი სდის, წყალი უნდა, მაგრამ ბახი ძმრიან ღრუბელს უსვამს ტუჩებზე, ანადგურებს; როგორც ქრისტე გოლგოთაზე მიმავალი ტანჯულობდა, ფეხს ითრევდა – ხან წინ დგამდა, ხან უკან – ისე თამაშობს ბახიც ნოტებით – ხან მალლა მიჰყავს, ხან დაბლა ანარცხებს, სიკვდილისთვის იმეტებს ამ მუსიკას – მაგრამ შენ, ჭეშმარიტო მსმენელო, უნდა გავარდე ქრისტეს ირგვლივ შეკრებილი ბრბოდან, უნდა გაჭრა ბრბოს ბრმა ჯაჭვი, და უნდა თქვა, რომ შენ, აი, შენ მიეხმარები ქრისტეს ჯვრის წამოღებაში; რომაელები დაგთანხმდებიან, და შენც იტვირთავ ქრისტეს მძიმე ჯვარს გოლგოთას მთაზე, თან იესოს გაამხნევებ შენი სიტყვებით, ცოტაც, უფალო, ცოტაც გაუძელიო; დაეცემი ერთი-ორჯერ ქრისტესთან ერთად, ერთი-ორჯერ დაგაჯდება შავი ყორანიც,

---

1. „ვენებანი“ – იოჰან სებასტიან ბახის მონუმენტალური ნაწარმოები. ბახის ნაწარმოებში ევანგელისტური მოთხრობა შეიცავს *da capo* არიებს და სპეციალურად დაწერილ პოეტურ ტექსტებსა და ქორალებს. ჩვენამდე სრულად მოაღწია და არსებობს: „ვენებანი იოანეს მიხედვით“ (რაც ტექსტში მოხსენიებულია, როგორც „იოანეს ვნებანი“), „ვენებანი მათეს მიხედვით“ და ასევე ტექსტი ნაწარმოებისა „ვენებანი ლუკას მიხედვით“. დაკარგულად ითვლებოდა „ვენებანი მარკოზის მიხედვით“ რომელიც აღადგინეს მეოცე საუკუნეში.

მხრების დაგლეჯვას დაგიპირებს, ამოგაცლის კიდეც ცოტა ხორცს, მაგრამ, შეხედავ თუ არა უფლის სისხლჩასულ თვალებს, ყველა ტკივილი დაგავინწყდება. ეს დავინახე ჩემი კოლხი მედეას თვალებში, და ათასჯერ უფრო ძლიერად შემიყვარდა. გადავირიე ამხელა კაცი, მოკლედ. ბახის მუსიკაზე საუბრისა და ჩაის დალევის შემდეგ ქალაქში გავიარეთ მე და მედეამ. ზევით ვიყურებოდი, თითქმის ცაში, როცა მაღალ კოშკს მოვკარი თვალი, მთავარ კედელზე საათით და ამ საათის დასავლეთ კედელზე გამოშვებული ხის გასავლელით, რომელიც მთავრდებოდა სადღაც ჰაერში გამოკიდებით, მაგრამ წამების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ამ ხის გასავლელის თავზე – დაახლოებით, მეტრი და ორმოცდაათი სანტიმეტრით მაღლა – იყო შავი თოკით გაკეთებული სახრჩობელა, რომელსაც, თქვენ წარმოიდგინეთ და, ზედ შავი ყორანი ეჯდა. მედეასთვის რომ მომინდა კისერში კოცნა, ავტობუსიდან რომ ჩადიოდა, თითქმის ისეთივე ჟინით მომანვა იმ წამს თავის მოკვლის სურვილი – თან, მხოლოდ ისე, იმ ყულფში რომ გამეყარა თავი. ამას გულში ხომ ვერ დავფლავდი, ჰოდა მედეას დავუძახე:

– მედეა, ნახე, – და ზევით მივანიშნე კოშკზე, – სახრჩობელას ხედავ? თან ზედ ყორანი აზის. რა პოეტურია, ვახ!.. – რომ დავხედე ჩემს კოლხ მედეას, თვალები წყლით ამევსო, და იმ წამსვე გავიხედე განზე, რომ არ შეემჩნია.

– ვხედავ, – მითხრა, – მაგრამ შენ თუ ხედავ იმას, მაგის ქვევით, სახლი რომ დგას თეთრი ფერის, შავი სახურავი რომ აქვს ნახევრად დამპალი? მაგის ფანჯრებში თოჯინები იყურებიან. პოეტური რამდენადაა, არ ვიცი, მაგრამ საშიში კი ჩანს.

– მართლა რა მაგარია, – ვუთხარი გულწრფელად, მაგრამ გული მაინც იმ მაღალი კოშკისკენ მიმინვედა, ჰოდა არც ეს დამიმალავს: – მაგრამ, მედეა, მე მაინც იმ კოშკისკენ მიმინვეს გული. უჰ, რა არის!..

– ჰო, – გაეცინა, – ორივემ ვიპოვეთ ამ ქალაქში რაღაც, მთავარი ესაა.

მინდოდა, მეთქვა, შენ ვიპოვე-მეთქი ამ ქალაქში, მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს, და იმ დღემ ასე ჩაიარა. ყველაფერი მშვიდობით მიდიოდა ჩვენს ურთიერთობაში, სანამ რუსთაფში არ ჩავედით უკან, და – გენებს რას უზამს კაცი! – მე ლოთობა არ გავაჩაღე. გავაჩაღე ლოთობა, ჰოდა ერთ დღეს ავიჩემე, ჩემს მალულ სატრფოს სიმღერა უნდა ვუმღერო და ეს სიყვარული გამოვამზეურო-მეთქი. გავარკვიე, სად იყო იმ მომენტში, ჩემი სახლიდან კომპიუტერის დინამიკები ავიღე, ტელეფონში Ohne dich-ის<sup>1</sup> კარაოკე ვერსია გადავინერე, ტაქსში ჩავჯექი და იმ მისამართისკენ გავწიე, ჩემი კოლხი მედეა რომ მეგულეობდა. მეგობრობის გამზირის ორმოცდაერთ ნომერში მივედი, მეორე მუსიკალური სკოლის გვერდზე რომ პიცერიაა, იქ. ჩემი მედეა ორ დაქალთან ერთად დამხვდა, და ეს ამბავი გამიხარდა, რადგან, რომ მომეტაცა, ორ გოგოს სალაპარაკოს რა გამოუღევედა. ჩემკენ ზურგით იჯდა მედეა და, როცა შევედი, არ დავუნახივარ. პიცერიის მენეჯერს ჩუმად დაველაპარაკე და ნებართვა ვთხოვე, სატრფოს ერთ სიმღერას შევუსრულებ-მეთქი. დამთანხმდა, ჰოდა მეც შევაერთე დინამიკი ტელეფონში,

---

1. გერმანული მეტალ ჯგუფ Rammstein-ის სიმღერა, რომანტიკული ბა-ლადა, რომელიც შესულია 2004 წლის ალბომში „Reise, Reise“.

ჩავრთე ის გადმონწერილი კარაოკე ვერსია და, თავი რომ შემოაბრუნა კოლხმა მედეამ ჩემკენ, მაშინლა დავუქნიე ხელი. Ohne dich kann ich nicht sein-მეთქი, ვუმღეროდი, რაც ითარგმნება, როგორც: „უშენოდ მე ვერ ვიცოცხლებ“. ბოლოს, სიმღერას რომ მოვრჩი, ვუთხარი, მედეა, გამომყევი, საქმე მაქვს-მეთქი. დინამიკები იქვე დავტოვე. კარგო, ასე მითხრა და, გოგოებო, უჩემოდ გააგრძელეთო, მიაძახა მეგობრებს. მისმა ერთმა დაქალმა თვალის კი ჩამიკრა და მანიშნა, აბა, შენ იციო. რა ვიცოდი მე, აბა?! გადაკეტილი მქონდა გონება, იმდენი დამელია, მაგრამ ფეხზე მაინც ვიდექი, და თან შესახედაობითაც ძლიერად არ ვიყავი შეცვლილი. მოკლედ, წავიყვანე ჩემი კოლხი მედეა იაღლუჯას ერთი გორაკისკენ, ავიყვანე ზედ, დავდექით ცენტრში, შემალღებულ ადგილას, დავუჩოქე, მისი ერთი ფარფატა ხელი ჩემს უხეშ ხელებში მოვიქციე, და დაბალ ტონალობაში, ნამდვილად წრფელი გულით ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი. არაფერი უპასუხია. თავიდან თვალები აუცრემლიანდა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა, ისიც ჩაიმუხლა და პირდაპირ ტუჩებში მაკოცა, ნერწყვი ამომწოვა. ჩავიკარი გულში ჩემი მედეა, ერთადერთი სიყვარული, ვკოცნე და ვკოცნე, ვკოცნე და ვკოცნე, უცებ ამოიხავლა, და მე ვიგრძენი, როგორ დამფხაჭნა ამ ხავილმა სულის შიგნიდან. ხელები შემოვხვიე წინიდან, ჩავემხე და ჩავეკარი. ხაოდა მედეაც, ვხაოდი მეც. ხელებში მიფართხალებდა – უნდოდა, გამსხლტომოდა. უკვე ვყვიროდი, და ცას წვდებოდა ჩემი ღრიალი საღამოხანს. სახეზე სულ თქრიალ-თქრიალით მასხამდა მისი პირიდან გადმომავალი დორბლი და სისხლი

ერთად. გავუშვი მერე ხელი, თან მაგრად ვტიროდი. უცებ ძალიან შემეშინდა, ჰოდა შინ გავიქეცი, მცირე ბარგი ჩავალაგე, ბებიაჩემს პენსიის დანაზოგი მოვპარე, ჩემი დანაზოგიც ავიღე, გავიქეცი აეროპორტში, ბილეთი ვიყიდე, ექვსი საათი შიშში გავლიე, როცა ველოდებოდი რეისს. მერე, როგორც იქნა, თვითმფრინავზე ავედი, კიევში რომ მიფრინავდა. უკრაინის დედაქალაქში კიდეც სამი საათი გავჩერდი, შემდეგ ფრანკფურტის რეისზე დავჯექი, და ჩავედი ისევ გერმანიაში, სადაც, ორი წლის მერე, ცოლი შევირთე – მაღაიკე ერქვა, მაგრამ მე მარიკას ვეძახდი. მშვენიერი გოგო იყო, ოდნავ უცნაური გადახრებით – მაგალითად, აი, ტურებში თუ მაკოცებ, გული ამერევაო, ასე მითხრა მაშინ, როცა სიყვარული ავუხსენი. მეც ამერევა-მეთქი, რომ ვუთხარი, სახე გაუცისკროვნდა და, დარწმუნებული ვარ, გონებაში უკვე ჩვენი შვილების პორტრეტები დახატა. ოცდაცამეტი წლის ასაკში – ჩემი სიცოცხლის ბოლო წელიწადს – უკვე ორი შვილი მყავდა: ერთს იოჰანესი ერქვა, თერთმეტი წლის იყო, და მეორეს ნიკოლოზი ჰქონდა სახელი, ოთხი წლისას. კარგი ბიჭები იყვნენ მეტად. ჩემი სიცოცხლის ბოლო დღეს – აი, ამ დღეს ზუსტად – იოჰანესი ფორტეპიანოს ეჯდა, მე მომაკვდავი სენით შეპყრობილი ვინეჯი სარეცელზე. უცებ ჩემმა შვილმა საოცარი მელოდიის დაკვრა დაიწყო – *Mein Herz brennt*<sup>1</sup> – და გამახსენდა ის სიზმარი, რომელშიაც მე მედეას გულისათვის ჩე-

---

1. Rammstein-ის სიმღერა, რომელიც შესულია 2001 წლის ალბომში „Mutter“. 2012 წლის შვიდ დეკემბერს სიმღერა ხელმოწერად გამოვიდა, თავად ჯგუფის მიერვე არანაწილებული, რომელიც, პირვანდელისგან განსხვავებით, სრულდებოდა ფორტეპიანოზე.

მი გული დავწვი, დავფერფლე და ეს ფერფლი მასვე მივეცი საკმევლად, ჩემთვის რომ ელოცა. საოცარი სიკვდილით მოვკვდი: ჩემმა ვაჟმა რომ დაასრულა კომპოზიციის დაკვრა, მე, ლოგინად ჩავარდნილი კაცი, ფეხზე წამოვხტი, ფორტეპიანოსთან მივირბინე, რამშტაინის მუსიკის საფორტეპიანო ნოტებიდან ულამაზესი გადასვლა გავაკეთე სოლ მინორ ტონალობისაკენ, და „იოანეს ვნებანის“ საორღანო პარტია ამ საკრავზე შევასრულე. სულ ბოლოს, დაკვრა რომ დავასრულე, ისევ გავიქეცი ჩემი სანოლისკენ, შიგ ჩავწექი, საბანი გადავიფარე და დედამინაზე უკანასკნელად ამოვისუნთქე.

საცოდავი ჩემი მარეკა, არა? დედაჩემიც. როგორ მიყვარდა კოლხი მედეა... მე საცოდავს. შემინდობს ღმერთი?

2 სექტემბერი – 8 სექტემბერი,  
განთიადი, სავსემთვარეობა, 2017 წელი



## ჰომოგამეურნი იმედგაცრეება

– ქრომოსომათა ჰაპლოიდური რიცხვი გააჩნიათ გამეტებს, მიქაელ, გესმის, ჩემო ძმაო? – მეუბნებოდა სალეოსი, ფსიქიატრიულის პაციენტი და ერთ-ერთი ჩემი მართლაც ნამდვილი მეგობარი, – ჰოდა ეს გამეტები, მიქაელ, წარმოიქმნებიან – მიქაელ, მიქაელ, გესმის, მისმენ? მისმინე – სასქესო ჯირკვლების ეპითელიუმის განვითარების პროცესში. გამეტებთანაა დაკავშირებული ამ საზიზლარი მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემა მშობლიდან შვილზე. ბანკის ვალებს ეშველება, მიქაელ, მაგრამ გენებს – არა. გინდა თუ არ გინდა – ჯო კოკერი კი არ ტყუოდა<sup>1</sup> – მაინც მამაშენის შვილი ხარ!..

ჩემი ნებით ვმუშაობდი ფსიქიატრიულში დიდ ხანს მხოლოდ იმისთვის, რომ სიგარეტის და ორმოცდაათ თეთრიანი სუპების ფული მქონოდა. როცა პირველი დღე გამითენდა იქ სამუშაო, თავი ნამდვილი კაცი მეგონა, ამიტომ ისეთი შემართებით და მაინც თითქოს ოდნავი მორცხვობით შევდგი ნაბიჯები ორ სართულ-

---

1. იგულისხმება ჯო კოკერის სიმღერა „My Father’s Son“.

ლიან ბეტონის შენობაში, როგორც პირველკლასელმა ბავშვმა – სკოლაში, სწავლა რომ სწყურია. სალეოსიც იქ გავიცანი, როგორც უკვე მიხვდებოდით. პირველად რომ დავინახე, მორყეულ სავარძელში იჯდა, მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითი ლოყებზე შემოეჭდო, დანარჩენი სამი კი ნიკაპქვეშ ამოედო. არც ამოუხედავს ჩემთვის, ისე მითხრა:

– მარტოობის დალი გასვია შენ, ჩემო ძმაო. შენი სულის უღრმეს ნადებს მხოლოდ მთვარე გაანათებს, მჯერა მე ამის და ვიცი ზუსტად. ჰოდა, ხედავ ჩემს გაბურძღვულ თმაში ტილებს? – ქვის იატაკს მისჩერებოდა ისევ, – აილე ერთი, შეჭამე და ვიმეგობროთ.

ავილე ერთი ტილი. არ მიჩერდებოდა თითებს შორის, ფართხალებდა მომაკვდავი ჩიტივით, მაგრამ ბოლოს მაინც მოვიქციე კბილებს შუა და ჩავკბიჩე. ნალამზე შემწვარი მწვადის გემო არ ჰქონია, რა თქმა უნდა, მაგრამ არც არაფრის გემო ჰქონდა. სამაგიეროდ, როგორც კი გადავყლაპე ჩემი მეტად პატარა ულუფა, აღტაცებული წამოიჭრა ფეხზე სალესოსი, ხელი ჩამომართვა და მითხრა, კაცი ხარო კაცური. ამის მერე ვმეგობრობდით ჩვენ ორნი.

– მიქაელ, ერთი უიმედო სტროფი მითხარი, თუ ძმა ხარ, – მეუბნებოდა ხოლმე ხანდახან სალესოსი.

– იმედად არვინ მეგულვის არსად,  
და ვეთხოვები სიცოცხლეს მოკლეს.

პოეტად არ ვარ დაბადებული,

მაგრამ მინდა, რომ ლექსებში მოვკვდე. – ვეტყოდი ხოლმე მეც.

– მართალია, მეც ასე მინდა სიკვდილი, მიქაელ,  
– მეტყოდა ხოლმე და ჩასისხლიანებულ თვალებში ვარდისფერი პნკარი უჩნდებოდა.

ერთ დღეს, როდესაც უკვე სახლში ვბრუნდებოდი ფსიქიატრიულიდან, კატოს გამოგზავნილი შეტყობინება მომივიდა, თუ გინდა, ამოდიო ჩემთან. ვიცი, კატო რომ არსად მიხსენებია ჯერ, და ამიტომ ახლა ვიტყვი: ეს იყო გოგო, რომელიც მიყვარდა და, დიდი ალბათობით, დღემდე მიყვარს. როგორც ყოველთვის ან როგორც არასდროს, ისე გამიხარდა, რომ წამით სულ დავივიწყე გრავიტაცია, უარი ვთქვი თვით ნიუტონზე, და შუა ქუჩაში ავხტი ჰაერში. მერე დავფიქრდი და მივხვდი, ისე ვიქცეოდი, როგორც, სტერეოტიპის მიხედვით, იმ დანესებულების მკვიდრნი, სადაც მე, შეიძლება ითქვას, ვმუშაობდი. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ფეხით სიარული ყოველთვის მერჩინა ტრანსპორტით გადაადგილებას, მაინც გავაჩერე ჩვიდმეტი ნომერი სამარშრუტო ტაქსი, რომ, რაც შეიძლებოდა, მალე მისვლიყავი კატოსთან სახლში. როგორც ჩემი ჩუმი მსჯელობიდან გამოტანილი დასკვნის მიხედვით ჩანდა, მარტო იყო კატო შინ ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა ყოფილიყო.

თეთრი ფერის მაღალჭერიან – თუ შეიძლება, ასე ეწოდოს – „სპრინტერში“ არც მუსიკა იყო ჩართული და არც ფანჯრები დამხვდა ჩანეული, მისი ერთგვარი ჭერიდან გამომავალი ლურჯ-იისფერი სხივები კი იქაურობას კიდევ უფრო მეტ მელანქოლიურობას სძენდა. მელანქოლია, თავისი არსითა და ჩემი გაგებით, უფრო დიდია, ვიდრე – დეპრესია. დეპრესია გზაა თავის მოკვლისაკენ ან, უკეთეს – თუნდაც უარეს – შემთხვევაში, ბუნებრივი სიკვდილისაკენ. მელანქოლია კი პატარა ქრისტიანული სამეფოსთვის დიდი ქრისტიანული მტერი სამეფოსავითაა – არ გკლავს, მაგრამ მთელი ცხოვრება წინ არ გიშვებს და იქამდე

მიჰყავხარ, სიკვდილიც კი რომ სანატრელი გიხდება; ერთ დიდ მორევში გატრიალებს იქამდე, სანამ კო-მაში არ ჩავარდები, თუმცაღა მაინც არ მოკვდები; უსასრულობა ხდება შენი ყოფაც და შენივე ცხოვრებაც, უსასრულობა კი, ვფიქრობ, ყველაზე პროგნოზირებადი რამაა, რაც კი არსებობას შეიძლება თან ახლდეს ამ სამყაროში, რადგან უსასრულობაში, სადაც არც სიკვდილია და, შესაბამისად, თუ სიკვდილი არაა, სიცოცხლაც ფუჭია, ყველაფერი შეგუებადია. დიახ, აი, მაგალითად, ადრე, ღრმა ბავშვობაში, თვალებს რომ დავხუჭავდი და ვცდილობდი, ჯოჯოხეთი წარმომედგინა, თვალწინ სულ მარადიული ცეცხლი, დაუსრულებელი ყვირილი და ტანჯვა-წამება მიდგებოდა ხოლმე, რისიკ, არ დაგიმაღავთ და, ძალიან მეშინოდა. მაგრამ მერე, წლები რომ გავიდა და ბევრი რამ გადავხარშე თუ გადამეხარშა ამ შავ-ბნელ გონებაში, მივხვდი, რომ თუ ჯოჯოხეთი მართლაც ისეთია, როგორც ხალხს წარმოუდგენია – მუდმივი ცეცხლი, წამება და ტკივილი – მაშინ ის სულაც არაა ჯოჯოხეთი, რადგანაც ადამიანი, ყველაზე დიადი, მაგრამ, ამავედროულად, ყველაზე მდაბიო არსება დედამიწასა და მთელს „ირმის ნახტომში“, ისეთნაირადაა მოწყობილი, რომ, თუ დროს მისცემ, ყველაფერს მიეჩვევა და შეეგუება. მარადიული ტანჯვაც კი არ შეიძლება, რეალური ტანჯვა იყოს, რადგან ნამდვილ წამებას ობიექტზე მოქმედება კი არ იწვევს, არამედ – იმის გათვიცნობიერება, რომ ეს მოქმედება მუდმივი არ არის და ოდესღაც დასრულდება. და თუ ჯოჯოხეთში ცოდვილი სულები ისჯებიან, მაგრამ თუ ჯოჯოხეთი საუკუნო სატანჯველია, მაშინ ამ პრობლემასაც დააღწევს თავს ადამიანი, რომლის მისადმი

გასაღები იქნება თვით მიჩვევა. სულ რომ მილიარდობით გზა გამონახონ დამსჯელებმა ჯოჯოხეთში, სულ მილიარდჯერ რომ დასაჯონ იქ თითოეული ცოდვილი სული, მანც ვერას დააკლებენ ისინი ადამიანებს. და მაშინლა მივხვდი, რომ თუ ჯოჯოხეთი არსებობს, ის, შანსიც არ არის, გამოორიცხულია, ვერ იქნება ასეთი მდაბიო, ასეთი ერთფეროვანი, არამედ თუ ჯოჯოხეთის არსებობა მართლაც ჭეშმარიტებაა, მაშინ ის ბევრად უფრო დიადი ჩანაფიქრია, სავარაუდოდ, მთავარი შემოქმედისა.

ბოლოს და ბოლოს, გავაჩერებინე ტრანსპორტი, მივეცი მძღოლს კუთვნილი ორმოცდაათი თეთრი, ასფალტის ბორდიურზე ჩამოვხტი და ტროტუარზე გადავედი იმ ნუთშივე. კატო, ჩემი კატო – როგორ მიყვარდა! – რვასართულიან ბინაში მეექვსე სართულზე ცხოვრობდა, რომელსაც, გასაკვირია და, ორივე – წინაც და უკანა – მხრიდან ჰქონდა ფართო აივანი. თავად ბინა ორი ასეთივე კორპუსის შუა იყო მოქცეული, და ამ სამივე უზარმაზარ კორპუსს, მთებივით რომ აღმართულიყო შუა ქალაქში, მართლაც შესაფერისად უზარმაზარივე ეზო ჰქონდა.

კუთხის მარკეტში ჩემთვის თამბაქო ვიყიდე, რასაც კატოსთვისაც დავაყოლე ერთი რძიანი შოკოლადი. უყვარდა, რალა თქმა უნდა. ყველა ქალს თუ გოგოს უყვარს შოკოლადი და, მერე რა, რომ კატო მე მიყვარდა, ის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო მაინც. ჰოდა, მოკლედ, შევედი ამ სამი კორპუსით გარშემორტყმულ მტვრიან ეზოში. ცარიელი იყო იქაურობა სულ, რადგან ისეთი ველური ქარი ქროდა, ხეებზე ფოთლებსაც კი არ ტოვებდა. ჩემივე ლექსის ბოლო სტროფი გამახსენდა:

*ქარის სტვენა მეტად მართობს...  
შინ ვიქნები მუდამ მარტოდ!..*

შუბლი დამენამა, ხელისგულები გამეჟღინთა ცივი ოფლით, დაცვარული სახე მიბრწყინავდა ღრუბლებიდან გამოცურებული მზის წყალობით. ინსტიქტურად ავიხედე თუ ამეხედა მეექვსე სართულზე, პირდაპირ ჩემი კატოს აივნისკენ, და რას ვხედავ: დგანან აივანზე გასასვლელ კართან ის და თავისი დაქალი და ერთმანეთს კოცნიან! არ გადავრეულვარ და არც გავბრაზებულვარ, მაგრამ, ღმერთო, როგორ არ გადავრეულვარ და არც გავბრაზებულვარ?! შავი უმკლავო მაისური ეცვა კატოს დაქალს და დატანტალებდა გაიძვერულად ტრუსების ამარა, კატო კი, თავისი ბუნებრივად მრავლისმეტყველი სახის ნაკვეთებით, თითქოს ჭურჭელი იყო, საიდანაც წყალი გადააქციესო, იმდენად დაცარიელებულიყო, ღმერთო ჩემო!.. ვხედავდი, კოცნიდნენ როგორ ხამებივით ერთმანეთს, უჭერდნენ რარიგ გამალებით დუნდულებზე ხელებს, მაგრამ თან ვერც ვხედავდი, აი! ღმერთო, ჰა?!. რა იყო ეს, ა?.. რისთვის გამწირე მე და რისთვის განწირე—მეთქი კაცობრიობა, ვფიქრობდი. ცრემლიც კი წამომივიდა, რადგანაც კატო, ჩემი კატო, ჩემი კატა—კატო, ერთადერთი სიყვარული ჩემი, ღმერთო, ღმერთი ჩემი, ერთდროს მეტად ამაღლებული კატო ჩემი, იდგა და, ვითომ სხვა ადამიანებივით დაეცაო ძირს, რას აკეთებდა!..

16 მარტი, 2016 წელი

## ყური ჩვენი არსობისა

იყო ივლისის თვე, იდგა ხვატი, იწვა გვალვა, ცა ცისფერი აღარ იყო, მზე – მზისფერი, მიწა – მიწისფერი, გახურებულიყო ჰაერი, ხეები დარბოდნენ გიჟებით და სახლების კედლებს თავებით ასკდებოდნენ, დაუძღურებულიყო ყოველი ცოცხალი არსება და, საერთოდ, რომ დაუკვირდეს ადამიანი, უხეშია და უაზროა და სისულელე ივლისის არსებობა – სადღაც ზაფხულის შუაშია გამოკვეტილი და, იმის გამო, რომ ივნისი პირველი და, შესაბამისად, ამოსუნთქვის თვეა, ხოლო აგვისტო უკვე ღრმა ჩასუნთქვისთვის ამზადებს კაცობრიობას, ივლისის თვეს აზრი ეკარგება. საზიზღარია მართლაც; ივლისი თვეა, როცა არავის არსებობა არაა გამართლებული; ივლისი თვეა, როცა ცხოვრება ჭირს; ივლისი თვეა, როცა ისვენებ, მაგრამ დასვენება გინდა. მომინდა მეც დასვენება, რა გასაკვირია, და გავიფიქრე: „დავიღალე. დავიღალე, რომ სულ დასვენება მინდა. დავიღალე, რომ სულ დაღლილი ვარ. თავში ქვა მინდა! უჰ, რა იქნებოდა!.. დასვენება! ზარია! მესამეს და მეოთ-

ხეს შორის დიდი პაუზაა! ათი წუთი! მმმ! ბუფეტში ჩავიდოდი! ერთი შოკოლადიანი ფუნთუშა, გენცვა!“ მერე ისევ გავიფიქრე, რებზე ვფიქრობ, ხომ არ გავგიჟდი-მეთქი, ამიტომ ჩემს აჩეჩილ დივანზე გვერდი ვიცვალე და გადავწყვიტე, თავი გამეგუდა. მოკლედ, წამოვიცვი ბალიში, მაგრამ თან სუნთქვაც მინდოდა, ამიტომ, მეთქი, ასე არ გამოვა, ჰოდა გავედი სამზარეულოში, შავ სანაგვე ცელოფნებს სამი ცალი მოვაკელი, დავბრუნდი ისევ სანოლში და ეს პოლიეთილენის ცელოფნები სათითაოდ წამოვიცვი თავზე. ვიგრძენი, ჩემი სუნთქვის ინტენსივობასთან ერთად, როგორ იკლებდა ჩასუნთქულ ჰაერში ჟანგბადის პროცენტული რაოდენობა, და როგორ იმატებდა ნახშირორჟანგის სიხშირე. საბოლოოდ – ისე არ გეგონოთ, რომ საიქიოდან იწერება ახლა ეს ყველაფერი ჩემი სულიერი კარნახით – იმის გამო, რომ ჟანგბადი ჩემს ტვინს აღარ მიეწოდებოდა, გავითიშე; გავითიშე და ბალიშიდან ჩამოვცურდი; ჩამოვცურდი ბალიშიდან და მომძვრა სამივე ცელოფანი; სამივე ცელოფანი მომძვრა და ავტომატურად, თითქოს წასული დენი მოვიდაო, გავაგრძელე სუნთქვა; სუნთქვა რომ გავაგრძელე, ისევ მოვედი გონს; გონს რომ მოვედი, ცელოფნებს დავხვდე და მივხვდი, რომ ამ ეგრედ წოდებული პროცედურის ხელმეორედ ცდა ძალიან მეზარებოდა, ამიტომაც მარჯვენა გვერდზე გადავბრუნდი, თვალები დავხუჭე და დავიძინე. მოკლედ, იმ დღეს გადავრჩი.

რომ გამეღვიძა, წმინდა განთიადი იყო – მზე თითქოს ქვევიდან ისროდა ფორთოხლისფერ სხივებს, რომელიც ცას დანაჩამოსმული ნაიარევების მსგავსად გასდევდა. თვალების გახელის შემდეგ



პირველივე, რაც გავიფიქრე, იყო, იქნებ დღეს მაინც მომინდეს-მეთქი სიცოცხლე. მივიხედე მარცხნივ, მოვიხედე მარჯვნივ, ავიხედე ზევით, შევიხედე საწოლის ქვეშაც, მაგრამ ვერსად ვიპოვე სიცოცხლის სურვილი. პოლიეთილენის ცელოფნებმა წინა ჯერზე არ გაჭრა, ამიტომ გადავწყვიტე, ამ ჯერზე თავს ჩამოვიხრჩობ-მეთქი. კანაფის თოკი არ მქონდა, მაგრამ მქონდა წვრილი, თუმცა მეტად გამძლე ლურჯი, კაპრონის დაწნული თოკი, რომელიც საკმაოდ გრძელი იყო, მე კი შემეძლო, სასურველ სიგრძემდე დამეყვანა. ავდექი, გავედი ისევ სამზარეულოში, საპურე გამოვადე, იქიდან პოლიეთილენის ცელოფნები გადმოვალაგე, ბოლოს კი ხელი კაპრონის თოკსაც წავავლე, მერე ცელოფნები ისევ უკან დავაბრუნე და ჩემს საძინებელ ოთახში გამოვედი. სკამი, რომელშიაც ორი წლის წინ ჯერ კიდევ სკოლის საგნებს ვმეცადინებოდი, ოთახის შუაში გავაცოცე, შემდეგ მასზე ავედი, თოკიც ავიტანე, მერე კი მოვტვიწიე, რომ ჰაერს ვერ ჩამოვეკიდებოდი, ამიტომაც ისევ ძირს ჩამოვედი, თოკი დავდე, გავედი საკუჭნაოში, რომ ჩაქუჩი და რამოდენიმე ლურსმანი გამომეტანა, ვიპოვე, გამოვიტანე, დავბრუნდი ისევ ჩემს ოთახში, ლურსმნები ჯიბეში ჩავიყარე, მარჯვენა ხელში ჩაქუჩი დავიკავე, მარცხენაში – თოკი, მერე ჩაქუჩიც მუხლებს შორის მოვიქციე და ისე მეკავა, რომ მეორე ხელით ერთი ლურსმანი ამომეღო. ამოვიღე ლურსმანიც, ერთი ხელით თოკი დავიჭირე, მერე ლურსმანი მჭიდროდ მივადე, ჩაქუჩი უცებ ისევ ავიღე და ძლიერად დავარტყი, რომ მიჭედებულყო. პირველივე დარტყმაზე შევიდა ჭერში, ამიტომ, უკვე ბევრად თავისუფალმა, მარტივად გავაგრძელე და-

ჭედება იქამდე, სანამ ბოლომდე არ მიეჭედა, ხოლო შემდეგ მეორე ლურსმანი ამოვიღე და თოკის სხვა ნაწილიც ავაჭედე. მერე ვიფიქრე, სამი ლურსმანი ტყუილად ხომ არ წამომიღია-მეთქი, ჰოდა თოკის მესამე წერტილიც რომ ავირჩიე, სამკუთხედი შეიკრა, და ისე ჩანდა, რომ მყარად უნდა ყოფილიყო. შესამონმებლად ორივე ხელით ჩავეჭიდე, მერე სკამს ფეხი ვკარი და, რომ ვნახე, გავჩერდი, მივხვდი, მართლაც მყარი ნაჭდევეები გამომსვლოდა. გამიხარდა – იქნებ, აქ მაინც დავასრულო-მეთქი ყველაფერი. სკამი ისევ თოკის ქვეშ მოვნიე, მასზე ავედი, სახრჩობელა თოკივით დავნანი კაპრონი და კისერი ყულფში გავყავი, მერე კი მოვუჭირე – მეტკინა, სიმართლე ითქვას – შემდეგ ერთი ღრმად ჩავისუნთქე და სკამს ფეხი ისე ძლიერად გავკარი, რომ კედელს მიენარცხა, მე კი დავრჩი ჰაერში გამოკიდებული ლურჯ კაპრონის თოკზე. და უცებ ჩემი საძინებელი ოთახის ფანჯარას ყვავი შეასკდა მთელი ძალით. გული გამისკდა ლამის – ვიფიქრე, მომაკითხეს-მეთქი უკვე. შემდეგ სამი ყვავი ერთად მიენარცხა მინას. არა-მეთქი, ოღონდ ეს არა-მეთქი, მახსოვს, გავიფიქრე. ვოცნებობდი, იქნებ, თუ თოკმა არ დამახრჩო, კაპრონმა ყელი მაინც გადამიჭრას-მეთქი. მაგრამ მერე უკვე თითქოს ცა დაბნელდაო, მე დავინახე უამრავი შავი ფრინველი – ყველა ყვავი – რომელიც ჩემი ფანჯრისკენ მოფრინავდა ომში მრავალრიცხოვანი ლაშქრის მიერ ნასროლი ისრებივით, და ზუსტად ასევე გადაეფარათ მთელი ზეცა; მოქროდნენ და, ბოლოს, ისეთი ძალით შეასკდნენ ჩემს ფანჯრებს, რომ ორივე ჩაილენა, ყვავები კი ჩემს სახლში შემოფრინდნენ, მეტაკებოდნენ სახეში, დაფ-

რწავდნენ დაბნეულად, აბნეულად, ერთმა მათგანმა კი, საუბედუროდ, თოკიც კი გამიწყვიტა, და მე ძირს დავეცი მთელი ძალით, იატაკზე გატეხილი შუშის ნამსხვრევი კი ვენასთან ახლოს შემერჭო, ყვავები კი გაფრინდნენ. მოკლედ, იმ ჯერზეც გადავრჩი, ამიტომ ისევ ძილი და დასვენება ვარჩიე, მაგრამ, დავნექი თუ არა სარეცელზე, წამსვე ფიქრებმა გამიტაცა. ისე, რა არის, არა, ფიქრი? წარმოიდგინეთ, ჩვენი ძვირფასი ქვეცნობიერი ტენიანდება მომხდარის ნამით, შემდეგ ეს ნამი ორთქლდება, მოვლენების აორთქლილი რაობა სადღაც მეორე განზომილებაში იქცევა ღრუბლად, და რამდენია ასეთი ღრუბელი ჩვენში! შემდეგ ისინი იძვრიან, გადაადგილდებიან ქვეცნობიერიდან ცნობიერისკენ, ერთმანეთს ეჯახებიან და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მოდის ჩვენს ტვინში წვიმა ასობის, რომლებიც გონებაში გვიქმნიან სიტყვის გუბებს. რაც მეტია ნაოჭი ტვინში, მით მეტია სიტყვის გუბეც. წარმოიდგინეთ, მერე ეს გუბეებიც ორთქლდება, ადის სადღაც და მეორე განზომილებაში ქმნის უკვე თავის ღრუბელს, რომელიც გადაცურდება ქვეცნობიერში, და ქვეცნობიერში წამოიწვიმებს, ხოლო შემდეგ ისევ იგივე მეორდება. მოკლედ რომ ვთქვა და ავხსნა, თუ ფიქრი დაიწყო ადამიანმა, ველარ გაჩერდება. თუმცა, ფაქტია, ვერ გაჩერება ჯობია ფიქრის გარეშე ყოფნას. ვფიქრობდი-მეთქი, ვთქვი და აღარ დამისრულებია, თუმცა ახლა დავასრულებ: წარმოვიდგინე, ვითომ არსებობდა საკმაოდ დიდი ოთახი, რომლის ცენტრშიც იყო *მარიანის ღრმულის*<sup>1</sup> ტოლი ჭა სიღ-

---

1. მსოფლიო ოკიანის უღრმესი ადგილი (11023 მეტრი);

რმით; ვთქვათ, დაღამდა, იქ კი ელექტრობა არაა გაყვანილი, შესაბამისად, ოთახი ჩაბნელდა; მოვიყვანოთ ვინმე ადამიანი და შევთავაზოთ ოთახის გადაჭრა ამ სიბნელეში, ოღონდ არ ვუთხრათ, არ ვაგებინოთ იმ ჭის არსებობის შესახებ; თუ მშვიდობით გაიარა – ისე, რომ ჭასთან წამითაც არ მოუნია შეხების მაგვარმა ქმედებამაც კი – მას არასოდეს ეცოდინება იმ ჭის არსებობის შესახებ, და ვერც ვერასოდეს გაიგებს, რამხელა ხიფათს გადაურჩა ის თავის დროზე, ამიტომ გააგრძელებს ის უშფოთველ ცხოვრებას; მაგრამ ის ფაქტი, რომ ვიღაცა სასწაულებრივად გადაურჩა უფსკრულში თავით გადამგებას, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩასავარდნი არ არსებობს.

არ მახსოვს, რა ვაკეთე იქამდე, სანამ მოსალამოვდებოდა – ალბათ, არაფერიც არ მიკეთებია – ხოლო, შებინდდა თუ არა, ავდექი, რაც პირველი მომვდა ხელში, ის ჩავიცვი, თამბაქოს ოდნავ დაჭმუჭნული კოლოფი მოსაცმლის გულის ჯიბეში ჩავიდე, ასანთიც, ყულაბიდან ექვსი ცალი ლარიანი ამოვიღე და შარვლის ჯიბეში ჩავიყარე, ბოლოს ფეხზე ჩავიცვი, კარი გავაღე, გასაღები ავიღე, გავედი, ჩავკეტე და დავეშვი დაღმართზე, რომელიც აკავშირებდა თბილისის ქუჩას მეგობრობის გამზირთან. გზის პირს რომ მივადექი, გადავწყვიტე, ცოტა ფეხით მევლო, მაგრამ მალევე გადავიფიქრე და, ამიტომ, ვიფიქრე, ხიდამდე სამარშრუტო ტაქსით მივალ-მეთქი. პირველი ოცდაორი ნომერი ტაქსი მოვიდა – „პირდაპირ, მერია, მეტალურგია“ – და მეც წამსვე დავუქნიე ხელი გასაჩერებლად. გაჩერდა, მე კი მოუხერხებლად ავედი წელში მოხრილი, ვისარგებლე იმ ფაქტით,

რომ შიგნით მძლოლის გარდა სხვა არავინ იყო, და მარჯვნივ, კარებთან ეულად მდგომ სკამზე დავჯექი. „ვეჯინამდე“ ასე მივედით, თითქმის ცარიელი ტრანსპორტით, და ზუსტად მაშინ გამიკრთა თავში ფიქრი, თუ არავინ ამოვიდა ჩემს გაჩერებამდე, ეს ნიშნავს, რომ მეფე ვარ-მეთქი. გავცდით ამ დიდ მაღაზიას, მივედით „სი-ჯი-სის“ სათაო ოფისამდეც, ჩავუქროლეთ ცურტაველის ქუჩაზე აშენებულ საბავშვო ბიბლიოთეკას და, ბიბლიოთეკის გვერდით გამოჩნდა თუ არა ავტობუსების გაჩერება, ჩემი ტრანსპორტი ჯერ შენეღდა, ხოლო ბოლოს შეჩერდა, გაიღო კარი და – წარმოგიდგენიათ?! – ქალი ამოვიდა! ქალი! გავცოფდი ჯერ იმიტომ, რომ მეფე არ ვიყავი, ხოლო მერე უკვე იმიტომ, რომ, ისე გამოდიოდა, ქალი იყო ჩემი სწორი, ეს ფაქტი კი მაგიჟებდა იქამდე, სანამ არ გავაცნობიერე, რომ ყველაფერი საჭირო იყო. ზოგადად, ყველაფერი, რაც ხდება, გარდაუვალობის კანონებითაა გამონწვეული და, შესაბამისად, საჭიროა, ხოლო ის, რაც საჭიროა, ცუდი ვერ იქნება. კი, უსამართლოა დედამინაზე ყველა და ყველაფერი, მაგრამ ყველაზე სამართლიანი ფაქტი ის გახლავთ, რომ ბოლო სიტყვა ღმერთს ეკუთვნის, კაცობრიობას კი ისლა დარჩენია, დაიცადოს, მოითმინოს, რამეთუ ადამიანი მოთმინების გარეშე ის სანთელია, რომელშიც ძაფი მხოლოდ ნახევარ სიღრმემდე ჩადის. ზოგი ფიქრობს, რომ მოთმინება თავის დამცირებაა, მაგრამ, თუ ვიფიქრებთ, რომ ყველაფრის მოთმენა ჩვენივე ცოდვებისთვის გვინევს, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. თუკი საფრთხე, უბედურება, მწუხარება და შიში შენს მოთმინების გრძნობას არყევს, გაიხსენე ღვთისმშობელი, რომელიც ჯვრის

წინ იდგა და მომაკვდავ შვილს უყურებდა. მოკლედ, დამშვიდებული და საკუთარი ფიქრებით ნასიამოვნები ჩამოვედი ხიდთან, რომელიც, სხვათა შორის, ერთი თვის წინ აღდგა, გადაკეთდა და გარემონტდა. მივეცი მძლოლს დამსახურებული და კუთვნილი და სამადლობელი ორმოცდაათ თეთრიანი, გავაღე კარი, ჩავედი ძირს, ჩავისუნთქე და, როცა ადუღებული ჰაერი ცხვირის ნესტოებიდან გარკვეული გზის გავლით გადამივიდა ფილტვებში, მიხვდი, რომ ისევ არ მინდოდა ცხოვრება. ანუ, თუ სურვილი გაქვთ – რომც არ გქონდეთ, მაინც – აგიხსნით ჩემს მდგომარეობას, თუ აქამდე ვერ მიხვდით: მე ვიყავი მარტო. მორჩა და გათავდა. სულელი არ ვიყავი და, ვიცი, ვხვდებოდი, რომ არანაირი ივლისის ბრალი არ ყოფილა ჩემი ასეთი სულიერი გაჭირვება. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, უკვე ხიდზე ვიყავი. ტროტუარზე გადავედი, ზურგით ხიდის ერთ ბოლოს მივეკარი, დაველოდე, როცა გაყვანილ გზაზე მოძრაობა წამით მაინც შეჩერდებოდა და, როცა სულ ერთი წამით გათავისუფლდა ჰორიზონტი მანქანებისგან, რაც ძალა და ღონე მქონდა, გავიქეცი. თავიდან ვიფიქრე, გადავხტები-მეთქი მტკვარში თავით, მაგრამ მალევე გადავიფიქრე, რადგან გავაანალიზე, რომ სულაც არ ვიყავი სპორტული ადამიანი ჩემი ცხოვრების წესით და, შესაბამისად, ხიდის მოაჯირს ვერ გადავახტებოდი. თუმცა სიჩქარისთვის არ მომიკლია, და გავრბოდი პირდაპირ, როგორც გამწარებული ხარი – კორიდაზე, როგორც დაბრმავებული მარტორქა გამბრაზებლისკენ, როგორც პატიმარი – უკან დადევნებული ციხის ბადრაგისგან; გავრბოდი, გავრბოდი, და ეს ორი ან სამი წამი გაიწელა ისე, როგორც ჩამოლ-

ვენთილი წვეთი ინელეზა სანთლისა ან, თუ ასე გნებავთ – თან იმ წამს ვიგრძენი შიმშილის გრძნობა – როგორც ცხელ ხაჭაპურში ინელეზა წვნიანი ყველი. თუმცა საბოლოოდ მაინც შევასკდი ქვის ხიდის ერთ კიდეს, მოაჯირს, გავიხეთქე თავი და, ჩემი მახვილი მზერისა და თვალსაჩინო კონტრასტის გამო, დავინახე, როგორ ჩაიქცა საკმაო რაოდენობით სისხლი მტკვარში. რომ გამოვფხიზლდი, ხალხი მეხვია გარს. ერთმა ჩემი ასაკის ბიჭმა მკითხა კიდეც, ძმაო, ხომ კარგად ხარო. მე ვუთხარი, ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ-მეთქი. მერე ვილაცა არც ისე ხანდაზმულმა ქალმა მითხრა, შვილო, ხომ არ გააფრინეო. ვუპასუხე, ასე გაფრენილი არასოდეს მქონია-მეთქი. გადანყვიტეს, წავეყვანე, მაგრამ სად მიყვავდი, არც მე ვიცოდი და, ვშიშობ, არც მათ. ჰოდა, ავდექი, ტანსაცმელი დავიბერტყე, ხალხი ჩემთან კიდევე უფრო ახლოს მოვიხმე და მოვატყუე, რომ მწერალი ვარ და ჩემი პერსონაჟის სიკვდილს ვეძებდი. ისე ვსაუბრობდი, რომ კი, შეიძლებოდა ეჭვი შეჰპარვოდათ, მაგრამ მაინც დამიჯერებდნენ. ასეც მოხდა. ნელ-ნელა გამეცალნენ, და მე ისევ მარტო დავრჩი, ამიტომაც ნელა მივუახლოვდი მოაჯირს, გაჭირვებით ავცოცდი მასზე, პირი მტკვრისკენ ვიბრუნე, გადავხედე, ხელები გავშალე და ვთქვი:

*– ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი? მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი...<sup>1</sup>*

---

1. სტრიქონი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“;

და გადავწყვიტე, გადავმხტარიყავი, მაგრამ ზუსტად იმ წამს გამახსენდა, რომ ორი დღის მშვიერი ვიყავი, ამიტომ გული წამივიდა და, იმის მაგივრად, რომ მტკვარში ჩავევარდნილიყავი, საცოდავივით ტროტუარზე დავეცი, თავი ძლიერად დავარტყი, თუმცა მაინც გადავრჩი.

\*\*\*

ივლისის თვე ისევე გაილია მარტოობაში, როგორაც – ჩემი ცხოვრების პირველი ან, ესეც იგივეა, უკანასკნელი ოცდაერთი წელიწადი. აგვისტო რომ დადგა, ჩემს სანოლში ვინეჯი, გულის ტკივილს გულშივე ვუჩიოდი, და პირველი, რაც გავიფიქრე, მახსოვს, იყო ეს: „როცა მოვკვდები, ალბათ, არავინ გამიხსენებს, მაგრამ, თუ მოხდა სასწაული, და ვინმემ გამიხსენა, იტყვიან: არვინ იცოდა, რას დაეძებდა, მხოლოდ ვიცოდით, რომ მისი სული აქ ველარ ძლებდა. ასე იქნება მართლაც, ალბათ, თუ ვინმე გამიხსენებს“. მერე უცებ წამოვხტი – გულმა რეჩხი მიყო, თუმცა გავუძელი – და საკუთარ თავს შეეფუძახე, რა პესიმიზმი აგიტყდა ამხელა კაცს, გარეთ გადი, სახე მზეს მიუფიცხე, ჭიქა გადაკარი, პლანი მოწიე, გოგო გაიჩინე, ხალხში გადი-მეთქი. მერე ისევ შევეწინააღმდეგე თავს: „განმარტოებით ყოფნა ადამიანში სულიერი განძის წყაროა, ხოლო ვინც ამ საქმეს გაშორდება, ისე დაცლის და ისე გაფლანგავს მთელ ამ სულიერ ძვირფასეულობას, როგორც ლოთი კაცი ფლანგავს ოჯახის ფულს სასამელში; განმარტოებასა და სიჩუმეში – და არა ხალხსა და ხმაურში – იბადება დიადი აზრები, რომლებიც შეიძლება იყოს



ღვთიური, შეიძლება იყოს ეშმაკეული, თუმცა ორივე დიდებულია; საზოგადოებაში გარეული ადამიანი საკუთარ ბოროტებას ისე ებრძვის, როგორც – ავადმყოფ და სუსტ ბავშვს, ხოლო ის, ვინც მარტოა, ისე, როგორც – გოლიათს. მე, ჩემო ძვირფასო თავო, ან უნდა გადავრჩე, ან დავიღუპო საბოლოოდ, თორემ უბრალოდ ყოფნა მე არ მეკუთვნის და არც მინდა“. და ამ დროს, ჩემდა მოულოდნელადაც კი, უცებ მომინდა, კიდევ ერთხელ მქონოდა შეხება სიკვდილთან, თუმცა არა პირდაპირ – სულელი არ ვიყავი, და ვხვდებოდი, რომ ამდენი წარუმატებელი ცდის შემდეგ ახალიც წარუმატებლად დასრულდებოდა, რადგან არ ჰქონდა განგებას გადანყვეტილი ჯერ ჩემი ნასვლა – არამედ ირიბად, ჰოდა გავვარდი გარეთ შორტებისა და ჩუსტების ამარა, და მთელ ეზოში დავინყე ყვირილი განწირულად:

– გამოასვენეთ მიცვალებულები! – ჩემი ხმა ყრუ ექოდ გაისმა მძიმე ჰაერში. მინდოდა, მკვდრებისთვის ჩამომეგლო და შუბლზე მეკოცნა, – გამოასვენეთ მიცვალებულები! ღვთის გულისათვის, მიცვალებულები გამოასვენეთ საჩქაროდ, სწრაფად! – შემდეგ კი, სანამ ვინმე დამინახავდა, უცბადვე შევვარდი სახლში, მკვდარივით გავეგე სარეცელზე, მერე საკუთარი სხეულიდან ამოვედი და, უკვე მკვდარს, შუბლზე დავუნყე კოცნა. თუმცა მალევე დავუბრუნდი მასვე, გავაცოცხლე, გადმოვხარე ლოგინიდან და შუბლი რკინის გისოსზე ვარტყმევიანე მანამ, სანამ ტკივილისგან არ გაითიშა. როცა უგონოდ ეგდო, ისევ ამოვედი, შემეცოდა და ლოგინზე დავაბრუნე მკვდრის პოზაში, შემდეგ მისი ხელი ჩემს სულიერ ხელებში მოვიქციე და დავინყე ტირი-

ლი, ვითომ მომკვდარიყოს და ვითომ არ მცოდნოდა, რომ ისევ მომინევედა დაბრუნება.

მოკლედ, რალა თქმა უნდა, დავბრუნდი. როცა გამოვიღვიძე, თავი სულ ოდნავ მიბჟუოდა, მაგრამ, გამოვფხიზლდი თუ არა, წამსვე ახალმა იდეამ დამარტყა თავში ისე ძლიერად, რომ შევიგრძენი კიდეც და მეტკინა: უნდა მიმელო ისეთი ნივთიერებები, როგორიცაა ალკოჰოლი, ნიკოტინი და კოფეინი, რათა დამედგინა მათი სასიკვდილო დოზა. არა, არ გეგონოთ, რომ ისევ სიკვდილს ვაპირებდი – აკი გითხარით, გამოვსწორდი-მეთქი – უბრალოდ მინდოდა, ჩემი გონება რაიმე საქმისთვის გამომეყენებინა, ჩემი ორგანიზმის გამძლეობა კი ამ საქმისთვის მიმეხმარებინა. დავიწყე კოფეინით: სწრაფად გამოვითვალე გონებაში, ხუთ ლიტრ წყალს რამდენი ყავა დასჭირდებოდა, შემდეგ ეს რიცხვი ჩავიწერე და წავედი მაღაზიაში, რომ მეყიდა. „ბახმაროს“ ხუთ ლიტრიან პლასტმასის ბოთლში ჩავყარე ნაყიდი ყავის აბსოლუტური ნაწილი, დავასხი წყალი იქამდე, სანამ უკანასკნელ ნიშნულს არ მიაღწია, შემდეგ კი, რახან ეს წყალი არ იყო ადუღებული, ბოთლი კარგა ხანს ვანჯღრიე, რომ ყავა კარგად გახსნილიყო. წავედი ჩემი საწოლისკენ, წავიღე ეს ბოთლიც, დავიდგი თავთან, ჯერ დავწექი, შემდეგ კი წამოვჯექი, ბოთლი ამოვწიე, თავსახური მოვხსენი და ყავა მოვიყუდე. ლიტრი რომ გამოიცალა, გულის აჩქარება ცხადად ვიგრძენი, ხოლო მეორე ლიტრის მერე ხუთი წუთი შევისვენე კიდეც; ოთხ ლიტრამდე რომ ვიყავი ჩასული, ისე ცუდად გავხდი, რომ ბოთლი ხელიდან გამივარდა და დანარჩენი ყავა ძირს დაიღვარა. მესამე დღეს, როცა მდგომარეობიდან აშკა-

რა სიკვდილს გადარჩენილი გამოვედი, ბლოკნოტში „კოფეინის“ გასწვრივ ოთხი ლიტრი ყავა დავწერე, მაგრამ შემდეგ გავიფიქრე, ხომ არ მოვმკვდარვარ-მეთქი, ამიტომ ნახევარი ლიტრიც დავუმატე, როგორც – სასიკვდილო დოზა – 0,15 კილოგრამი ჯამში, ხოლო ცალკე აღებული – 0,001 კილოგრამი, იგივე 1 გრამი, რადგან ერთი ჭიქა ყავა შეიცავს ას მილიგრამ კოფეინს, ხოლო ოთხნახევარ ლიტრში ჩადის ას ორმოცდაათი ჭიქა ყავა. ყავის საქმე რომ მოვითავე, ერთი კვირა ორგანიზმს საშუალება მივეცი, დაესვენა, თუმცა გონება არ დამისვენებია – გამალებით ვამუშავებდი უზომო გამოთვლებზე, რადგან შემდეგი ნიკოტინის ჯერი იყო. ისიც კი გამოვიანგარიშე, დაახლოებით, რამდენი უნდა ყოფილიყო სასიკვდილო დოზა, თუ სისტემის ერთეულად ღერ სიგარეტს ავიღებდი, და პასუხი მივიღე ასეთი: დაახლოებით, ოთხმოცდაათიდან ას ღერ სიგარეტის შუაღედში ადამიანი მონევისას მოკვდება ისე, რომ გაკიდებულ სიგარეტს ნაფაზებით ბოლომდე ვერ ჩაიყვანს – ანუ, მარტივად რომ ვთქვა, ადამიანი მონევის დროს გარდაიცვლება. გადავწყვიტე, ცენტრალური ქუჩის მაღაზია „განთიადში“ შევსულიყავი, რადგან შორიდან შემჩნეული მქონდა სიგარეტების დიდი არჩევანი შიგნით – მიუხედავად იმისა, რომ მაინც წითელი ფერის „მარლბორო“ უნდა მეყიდა, თვალს ესიამოვნებოდა ეკლექტურობა. აღარ დამიყოვნებია, და ჩავედი. ერთ კოლოფში, როგორც ცნობილია, დევს ოცი ღერი სიგარეტი, ამიტომ გადავწყვიტე, ხუთი კოლოფი მეყიდა, რათა ექსპერიმენტი შუაში არ გამეწყვიტა საჭირო ნივთიერების არ ქონისდა გამო. თამბაქოს სექციიდან ხუთი კო-

ლოფი წითელი „მარლბორო“ ავიღე, მოლარეს გასატარებლად მივუტანე და ამ დროს ადგილზე გავშრი, გავშემდი.

– ექსპერიმენტს ატარებ სასიკვდილო დოზების დასადგენად? – ასე მკითხა ვილაცამ ჩემს უკნიდან. რომ მივიხედე, ის იყო, გესმით? ის ! მაგრამ მე შემეშინდა და ხმა არ ამოვიღე. დაველოდე, როდის გაატარებდა ყველა კოლოფ სიგარეტს მოლარე. რომ გაატარა, ფული დავუდე, სიგარეტები ხელში დავიჭირე და ღია კარში გავიქეცი, მერე კიბეებზე დავგორდი და წარბი გავიტეხე, მაგრამ ის მოვიდა, წამომაცენა, სისხლი მომწმინდა, დაცვენილი კოლოფები მომანოდა და ხმის ამოუღებლად გამომყვა სახლამდე, ხოლო მერე შინაც შემომყვა. – მორჩა, – თქვა საკმაოხნიანი დუმილის შემდეგ, – დღეიდან აქ ვცხოვრობ. მე ვეშჩინა მქვია, და სასიამოვნოა შენი გაცნობა, თეიმურაზ იობაშვილო. – ეს თქვა და ჩემს სანოლზე წამოწვა ისე, რომ ფეხსაცმელებიც კი არ გაუხდია, მერე გადაბრუნდა და ორ წუთში საამური ხვრინვა ამოუშვა. მე რა მექნა – ავდექი და დივანზე დავიძინე.

\*\*\*

მახსოვს, არაფრის მთქმელი და სასიკვდილე დღე გათენდა ისევ. ცა არც ერთი ფერის არ ყოფილა, არამედ – ისეთი, გეგონებოდათ, ახლა გაიხსნება, ანგელოზები ჩამოვლენ, მიწიდან დემონები ამოვლენ და ბრძოლა გაჩაღდებაო. ყინავდა გარეთაც და სახლშიც, ჩემთან, მაგრამ მე და ვეშჩინა მაინც შიშვლები ვინექით ჩემს სანოლში, უთეთრეულო ლეიბზე –

მე გულ-მუცელი მექონდა ქვევით, მას – ზევით, და ორსახოვანი ადამიანის სიმბოლოს ვეძინდით. მერე გადმოვბრუნდა, მკერდით ძლიერად დამანვა ზურგზე და კბენა დამიწყო. მსიამოვნებდა, რალა თქმა უნდა, თან ხანდახან ენით ტუჩებს დაისველებდა ხოლმე, და ამ სველი ტუჩებით მიკოცნიდა კისერს. ველარ მოვითმინე, გადმოვბრუნდი, თმებში ხელი ჩავავლე, ოდნავ წამოვიწიე, ჩემკენ გამოვქაჩე და ტუჩებში ისე ძლიერად ვაკოცე, ლამის ორივეს კბილები ჩავველენა. მერე შემაჯდა და ისე იქანავა კარგა ხანი, თითქოს საუკეთესო არაბულ ცხენს აჭენებდა რომელიმე პრინცის პროვინციაში. ასე იყო ვეშჩინა ერთხანს, მერე კი უცებ გამოიღო თავისი საშოდან ჩემი ფალოსი, ზურგზე გამშოტა და, მეტად მოულოდნელად, სახეზე დამაჯდა. მისი ვაგინა ჩემს ტუჩებზე მოექცა, მაგრამ ბოქვენმა ცხვირიც დამიღშო – ველარ ვსუნთქავდი და, შესაბამისად, გავიფიქრე, ნეტავ მომკლას-მეთქი. უჰაერობისგან ვაქნევდი და თვალებივით ვაცეცებდი ჩემს ფერწასულ ტუჩებს, ეს კი ვეშჩინას ათასჯერ ძლიერ სიამოვნებდა. გამომეტყველება ამაო და ხორციელი ნეტარებისგან ეღრიცებოდა, უფრო მანვებოდა სახეზე, კნაოდა გაზაფხულის კატასავით, კვნესოდა სიამოვნებისგან ოფლდასხმული, მე კი ველარ ვსუნთქავდი უკვე, და ვხვდებოდი, ჩემი თავისთვის რომ დამეხედა ზევიდან, გალურჯებული ვიქნებოდი. გონს ვკარგავდი, თვალები მემალეობდა, უკვე უნდა მოვმკვდარიყავი, როცა სახეზე თბილი სითხე შემემსხა, ვეშჩინა კი უკან გადავარდა, ფეხებზე დამეცა ზურგით, ხერხემალთან ჩემი სოკოიანი ფრჩხილი შეერჭო, მაგრამ არ უგრძენია. გამალებით სუნთქვის გამო მისი მე-

ტად აჩქარებული გული მთვარისებრი მკერდის გახევას ლამობდა, მე კი ვხვდებოდი, ისევ გადავრჩი.

არასოდეს მითქვია ვეშჩინასთვის, მიყვარხარმეთქი, რადგან, სიმართლე ითქვას, მეშინოდა. ყოველთვის ვნებიანი იყო – ვერასდროს ძლებოდა ჩემთან რბილ და მაგარ ლოგინში კოტრიალით – მაგრამ არასდროს შემიმჩნევია მის თვალებში ან სირბილე, ან სიყვარული, ან სიბრალეული. საერთოდ, ქალსა და მამაკაცს შორის ჩამოგდებული ყოველი შიში დროის მოტანილი უბედურებაა – ადრე ვერც ერთი ქალი ვერ გაბედავდა, მამაკაცს მეგობრულ სიყვარულში გამოტყდომოდა, და ვერც ერთი კაცი ვერ დაიმცირებდა თავს იმ დონემდე, რომ შეშინებოდა მიჯნურობისა; შიში ადამიანში ცოდვასთან ერთად შემოდის და, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი კაცი და ქალი იმაზე მეტად ცოდვილია, ვიდრე – ოდესმე; ადამიანის ბუნება თავისითვე მიისწრაფვის გრძნობადიდან სულიერისაკენ იმის მსგავსად, ზოგჯერ თევზი რომ ამოყვინთავს წყლიდან და ზეცას მიელტვის, მაგრამ, როგორ ადვილად და სწრაფადაც ვარდება თევზი წყალში, ასე სწრაფადვე ეფლობა ადამიანი გრძნობადი სამყაროს ტალახში; ადამიანის სულმა საზრდო უნდა იპოვოს ღმერთში, ხოლო მისი სხეული უნდა დაექვემდებაროს სულს, მაგრამ, კარგავს რა ღმერთს ადამიანი, მისი სული იწყებს საზრდოობას თავისივე ფიზიკური სხეულით, საიდანაც წარმოსდგებიან ვნებები, ხოლო სხეული, რომელიც იძულებულია, უმოძრაო და მკვდარ მატერიაში ეძიოს საზრდო, შედეგად მხოლოდ გარდაუვალი სიკვდილის შიშს პოულობს, და ირღვევა ადამიანური სრულყოფა, რომელიც სინამ-

დვილემი არსებობს, მაგრამ მნიშვნელობით დაბლაა დასული დროის მონაბერი ქარის დამსახურებით; ქარი ზოგჯერ წარსულიდან მომავალში ქრის, ზოგჯერ კი – მომავლიდან წარსულში, რადგან დედამინაზე ანმყო არ არსებობს: ის, რასაც ჩვენ ანმყოს ვეძახით, წამში იქცევა წარსულად, ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, ჩვენ წარსულსა და მომავალს შორის ვართ გაჭედვით, მარადისობაში კი სულ ანმყოა. როგორ მინდოდა მარადისობა!..

– ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების,<sup>1</sup> – ვუთხარი ერთხელ ვეშჩინას, როცა მკითხა, ახლა რა გინდაო.

– გაჩუმდი, – სახე შეჭმუნა, – არ მიყვარს პოეზია.

– მოდი, ვეშჩინა, მაშინ ახლა რახმანინოვს ჩავერთავ...

– ა! – გამაჩერა იქამდე, სანამ ავდგებოდი, – მუსიკა მითუმეტეს არ მიყვარს.

– გიყვარს რამე? – ვკითხე მის შუშის თვალებში მომზირალმა.

– ხორცი, – ასე მიპასუხა.

– ქათმის, ღორის თუ საქონლის? გინდა, შაურმას ამოვიტან? – დავეკითხე იმ იმედით, რომ რაიმე სურვილს მაინც გამოიჩენდა. იმ მომენტში რომ გავიხსენე, მივხვდი, ჩემს თვალწინ ჯერ არაფერი ეჭამა ვეშჩინას. გავიფიქრე, ალბათ, ღამე დგება ლოგინიდან და ცოტას ჭამს-მეთქი რამეს.

– არა, თეიმურაზ, – თანაგრძნობითა და, ამავე დროულად, დამამცირებელი ღიმილით შემომხედა, – ჩემი ხორცი მიყვარს, – თქვა და თითი მოიჭამა.

---

1. აფორიზმი „ვეფხისტყაოსნიდან“;

მე ვხედავდი, როგორ მოთქრიალებდა სისხლი მისი საჩვენებელი თითიდან, და მიკვირდა, ამ პატარა ხორცის ნაგლეჯში რამდენი სისხლი შეიძლებოდა ყოფილიყო; შიშველ სხეულზე ეხეთქებოდა ბლანტი სითხის მომცრო წვეთები, მთვარისებრ მკერდს უნამავდა პლაზმისა და უჯრედების თხევადი ერთობლიობა, მაგრამ მის სახეზე არ ჩანდა არც სევდა, არც ტკივილი და არც გაგიჟება. მერე სისხლდენა უცებ შეჩერდა, ვეშჩინამ კი თვალებში შემომხედა და მითხრა: – ბოდიში, არ უნდა მექნა.

– არა, მთავარია, ცუდად არ ხარ, ხომ? – ჩავეკითხე გამტერებული.

– არა, ცუდად არ ვარ, მაგრამ მაინც არ უნდა მექნა.

– მაშ, არაუშავს: რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების, ჩემო ვეშჩინა, – მივედი, რომ თავზე ხელი დამედო, მაგრამ უხეშად მომიშორა.

– გაჩერდი-მეთქი, აკი გითხარი ერთხელ უკვე, – თავზარდამცემი გამომეტყველება ჰქონდა, ამიტომ უკან დავიხიე, – ნუ ციტირებ რაღაც სისულელეებს, თან – ძველი ქართულით ისე, თითქოს ვიღაცა უღვაშიანი კონსერვატორი იყო. გეუბნები, არ უნდა მექნა, და მორჩა. და საერთოდ, რა კავშირშია ღმერთი ჩვენთან.

– ხომ მიყურებ – უღვაშებიც მაქვს და კონსერვატორიც ვარ, პოეზიაც მიყვარს და მუსიკაც, – ვუთხარი ოდნავ განანყენებულმა, – და ღმერთი ყველაფერშია.

– არ გვჭირდება, თეიმურაზ, – ისევ ვნების ცეცხლი აინთო მის თვალებში, – მოდი ჩემთან, – და ბიუსჰალტერის შეხსნა დაიწყო, მაგრამ შევაჩერე.



– არა, არ მინდა. უნდა ისწავლო თავის შეკავება, ვეშჩინა, არ იქნება ცხოვრებაში ყოველთვის ყველაფერი ისე, როგორც შენ გენდომება.

ენყინა, გაბრაზდა, ტანსაცმელი ჩაიცვა და სახლიდან წავიდა. მისი წასვლის შემდეგ ყურებში სულ უცნაური, შემზარავი ხმები მესმოდა, თითქოს ცეცხლში იწვებოდა ვიღაც და მისი პირიდან ღრიალი ამოდიოდა.

\*\*\*

ორი კვირა სრულ უმოქმედობაში გავატარე – თან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვეშჩინამაც მიმატოვა, გამოდის, მართლა არაფერი გამიკეთებია მთელი ის დრო – მაგრამ ფიქრებს შევაკვდი; ყველაზე მეტად ის ფაქტი მჭამდა შიგნიდან, რომ, ზოგადად, ყველა საკითხზე მჩვევია ხოლმე ფიქრი – ანუ, როცა ფიქრს ვინყებ, ყველაფერზე ვფიქრობ ხოლმე – მაგრამ მაშინ ჩემი გონების ქარიშხალი მხოლოდ ერთი მიმართულებით ჰქროდა: ვეშჩინა. როგორც ღრუბლები ვერ შეერთდებიან ქარის ბერვის გარეშე, ისე ვერ იშვება ბოროტება ფიქრის ქროლვის გარეშე; თავად ადამიანიც კი არის არა ის, რასაც ლაპარაკობს, არამედ ის, რასაც არ ლაპარაკობს – ანუ, შესაბამისად, რასაც ფიქრობს. მე ვეშჩინა ვარ-მეთქი, გავიფიქრე კიდეც ასე, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, სულ მასზე ვფიქრობდი, სად არის, სად დაიკარგა, ნეტავ ახლა რას აკეთებს, მარტოა თუ ვინმესთან ერთად-მეთქი. ერთ-ერთი ასეთი ფიქრის დროს უნებურად წამოვიწიე ლოგინიდან, ასე უნებურადვე შევიმოსე და გავედი ქუჩაში, რომ არაყი მეყიდა

და გათიშვამდე დამელია. „განთიადში“ – იქ, სადაც პირველად შევხვდი ვეშჩინას – შევედი, „Medoff“ ვიყიდე ერთი შვიდას ორმოცდაათ მილილიტრიანი შუშის ბოთლი, და ნავედი სახეტილოდ, თან ნელ-ნელა ბოთლიდან ვწრუპავდი. ვგრძნობდი, როგორ იკავებდა ნელა, შეპარვითა და შეფარვით ჩემს გონებაში კარგის ადგილს ცუდი, ნათელის ადგილს – ბნელი, სიკეთის ადგილს – ბოროტება, და მეშინოდა, მაგრამ სიარული არ შემინწყვეტია. გავცდი პატარა სკვერს, რომლის ცენტრიდანაც ჰამლეტ გონაშვილის ბიუსტი მიმზერდა ჩემნაირი ულვაშითა და ბაკებით, მერე მივედი გაურკვეველ მონუმენტამდე, რომელიც იქამდე დგას, სანამ ხიდზე გადახვალ, შემდეგ კი თავად ხიდსაც მივადექი. ისევ გამიკრთა თავში ფიქრები, ხომ არ გადავხტე და საბოლოოდ დავასრულო-მეთქი ყველაფერი; დიდი ხანი ვორჭოფობდი და, რაც მეტს ვსვამდი, მით უფრო მინდოდა მტკვარში თავით გადაშვება. მოაჯირთან მივედი, დავეყრდენი, მტკვარს დავხედე და ვუთხარი, მართლაც როგორი უტყვი ხარ-მეთქი, და მერე მივხვდი, რომ მეც ასეთივე ვიყავი. წამში მომენატრა დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ბიძა – ადამიანები, რომლებმაც ნაადრევად დამტოვეს და დამაოხლეს – და მეორე წამს ვეშჩინაც კი მომენატრა; გავიფიქრე, რა ჩემი ბრალია, თუ ასეთი გოგო შემიყვარდა-მეთქი. მტკვრის იქით იყო დედაც, მამაც, ბებიაც, ბაბუაც, ბიძაც, და უფრო მძაფრად მომინდა გადახტომა, რადგან ვიცოდი, იქ მარტო არავინ დამტოვებდა, აქ კი ჩემივე მარტოობა არ მტოვებდა არავისთან. თუმცა რაღაცა ზეგარდმო და სასწაული ძალით მაინც ვთქვი უზარმაზარი და უმტკიცესი „არა“, ერთიც მოვსვი, ცრემლიანი თვალები მოვინ-

მინდე და გზა გავაგრძელებ, მაგრამ, ხიდის ბოლოში რომ მივედი, კიდევ ერთი არჩევნის წინაშე დადგომამ მომიწია – პირდაპირ წავსულიყავი, გზაზე გადავსულიყავი და იქით მევლო, თუ მარჯვნივ ჩამეხვია და პარკში შევსულიყავი. საბოლოოდ, უკანასკნელი ვარიანტი ვარჩიე – შევუხვით ჩემგან მარჯვენა მხარეს, მივადექი დიდ მწვანე გალავანს, შევედი რუსთავის პარკში და დავინწყე პირდაპირ სიარული, ბილიკზე, თან ხელში არყის ბოთლი მეჭირა და დროდადრო პატარა ყლუპებს ვსვამდი. უცებ გამახსენდა, როგორ მეუბნებოდა ხოლმე ძილის წინ დედა, ძილი ნებისა, კეთილი ანგელოზებიო; მახსოვს, ერთხელ ხუმრობით ვუთხარი, ბოროტი ანგელოზები-მეთქი, და გავიციხე, მაგრამ ღამე თვალი არ მომიხუჭავს, რადგან მელანდებოდა ჩემი სანოლის წინ მდგარი კარადის თავზე შემომჯდარი კუზიანი ქალი, რომელიც თან კმაყოფილად იღიმოდა და თან, აშკარად, დამცინოდა. არაყი მოვსვი და გავჩერდი, ორ ნაბიჯში მდგომ გრძელ სკამთან მივედი, ჩამოვჯექი და ვიფიქრე, რომ ამჟამინდელი სამყარო არის ძალზედ მდიდარი, უზადო გემოვნებით მოწყობილი, მაგრამ გაუმართავი საათი; მასში ყველაფერია, რაც ადრე იყო და რაც უნდა იყოს კიდევაც, მაგრამ მასში არ არის მთავარი – მარადიულობა – ამიტომ, ვინც მოინდომებს, რომ თავისი ცხოვრება ამ საათის მექანიზმის მიხედვით ააწყოს, მარადიულობას ვერ იპოვის და, შესაბამისად, უიმედობასა და ამაოებაში დაღუვს სულს; ადამიანი მინაზე ზეცისთვის ცხოვრობს, დროში კი – მარადიულობისთვის, თუმცა დღევანდებლობაში ყველაფერი ასმაგად რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს – ადამიანები დღეს იღვანთან დროისთვის, დრო კი მათ

მარადიულობას აკარგვინებს; მაგრამ დროც, როგორც წარმავალიც არ უნდა იყოს იგი, მარადიულობიდან მოდის და მარადიულობასვე შეუერთდება ბოლოს, რადგან ორივე ერთ დიად მიზანს ემსახურება. მოკლედ, ამ ფიქრებისგან გამორკვევის შემდეგ მივხვდი, რომ ისევ სიარული მინდოდა, ამიტომ წამოვდექი სკამიდან და კიდევ ერთხელ გავუყევი ბილიკს. მივდიოდი, მაგრამ წუთის წინანდელი ფიქრები ისევ თან მდევდა – ვამბობდი გონებაში, რომ დღევანდელი დროის ადამიანის მიერ საზიდავი ჯვარი იმაზე მძიმეა, ვიდრე ოდესმე ყოფილა, მაგრამ, ამავე დროს, ადამიანი, რომელიც თავის ჯვარს მწუხარებით ატარებს და არა სიხარულით, ვერ იაზრებს მის მნიშვნელობას. მივდიოდი, ვიყურებოდი აქეთ და იქით, ვხედავდი კაცებს, ვხედავდი ქალებს, შეყვარებულ წყვილებს, ბავშვებს, ცოლ-ქმარს, და მშურდა იმაზე ძლიერ, ვიდრე ოდესმე შემშურებია ვინმესი სადმე; შური უდიდესი მწუხარებაა, და შურიან ადამიანს იმდენი სატანჯველი აქვს, რამდენიც სხვებს – სიამე და სრულყოფილება; შურია დაავადება და სანყისი მარადიული მწუხარებისა და განუწყვეტელი ტანჯვისა; შურიანს მიწაზევე შეუძლია, იგრძნოს და მიხვდეს, რა არის ჯოჯოხეთური ტანჯვა. ამინდი იმ დღეს იყო ცხოვრების მსგავსად გაუგებარი, მაგრამ მკაფიო, და მივაბიჯებდი რუსთავის პარკში ისევე მარტო, როგორც – ცხოვრების ბილიკზე. და უცებ ის დავინახე... არა, მართლა ის იყო – ვეშჩინა – მოკლე ოქროსფერი კაბა ჩაცვა, სრულყოფილ ტერფებს წითელი კედები უფარავდა, მაგრამ მოტიტვლებული კოჭები მაინც თვალშისაცემი იყო ისე, როგორც – მტკნარი წყლის ზედაპირზე მცურავი ნიანგის მოცეკვავე თვალე-

ბი, მსხვერპლს რომ ეძებს; თეთრი მოკლემკლავიანი მაისური ეცვა, და მკერდზე მშვიდობის სიმბოლო ამოეპარგა შავი ძაფით. ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ, უკვე მეორე შეხედვით, აღარ – მის გვერდით მჯდომი მონიფულოზის ასაკში ახალი გადასული, გრძელწვერა მამრი დავინახე, რომელიც ვეშჩინას თმაში თავის ბანჯგვლიან ხელებს უცურებდა. განვრისხდი და გავცეცხლდი – მინდოდა, ჯიბეში დანა მდებოდა, მივსულიყავი მათთან, იმ ბიჭისთვის სათითაოდ დამეჭრა თითები, მერე კი ყელიც გამომეჭრა და ვეშჩინაც თან მიმეყოლებინა. მერე გულში ჩავხედე ვეშჩინას შორიდან და, სიყვარული რომ ვერ დავუნახე, უფრო მეტად მომინდა, მის სისხლში მებანავა, მაგრამ მერე, ზუსტად იგივე მიზეზით, შემეცოდა და, რომ არაფერი მევნო მისთვის, არცის ბოთლი თავზე გადავირტყი და ძირს უგონოდ დავეცი, თუმცა, სანამ ასი პროცენტით გამეთიშებოდა ტვინი, ცოცხალი პროცენტებით ვაიძულე თავი, ნამოვმდგარიყავი, ბუჩქებში მივმალულიყავი და ჩუმად მეთვალთვალა მათთვის, რომ მერე იმ მამრს სახლამდე გავყოლოდი, მეორე დღეს კი მომეკლა. მოკლედ, დაიქცა არაყი, დაიყარა ნატეხები ბოთლის, მაგრამ მე ელვაზე სწრაფად შევვარდი ბუჩქებში და, ისე, რომ არავის დავუნახივარ, ვეშჩინას და მის გვერდზე მყოფი ბიჭის თვალთვალი და ყურისგდება დავინყე.

– აქვე დაგეუფლებოდი, – ეუბნებოდა ის ბიჭი ვეშჩინას, – ამდენი ხალხი რომ არ იყოს.

– ხალხს რას უყურებ, – ვნებიანი თვალები მიაპყრო ვეშჩინამ, – მიდი, აქვე დამეუფლე.

ბიჭმა აკოცა, მაგრამ მეტი ვერ გაბედა, ამიტომ მოეშვა და სკამზე ოდნავ გადაწვა.

– ბავშვები რომ არ იყვნენ, კიდეც ჰო, – თქვა მერე, – მაგრამ მაინც ძლივს ვითმენ. ხვალ ხომ მოხვალ ჩემთან სახლში? იქ ნამდვილად არ შევიკავებ თავს, დედაჩემიც რომ მოვიდეს.

– მოვალ, აბა რას ვიზამ, – უპასუხა ვეშჩინამ და წამოდგა სკამიდან, – მაგრამ ახლა უნდა წავიდე. – და მართლაც წავიდა. ბიჭმა იქამდე უყურა ცხოველური სიშმაგით, იქამდე მიაცილა მჭამელი მზერით ვეშჩინა, სანამ თვალს არ მიეფარა, ხოლო შემდეგ ისიც ადგა და წავიდა. მე, რა თქმა უნდა, ჩუმად ავედევნე უკნიდან. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ რუსთაველის ქუჩის თოთხმეტ ნომერში მივიდა, კორპუსის მესამე სადარბაზოში შევიდა და პირველივე სართულზე მარჯვენა კარი შეაღო.

დავიმახსოვრე.

მეორე დღეს ავიღე ყველაზე მჭრელი დანა, რაც კი გამაჩნდა სახლში, ჩავიცვი იმაზე თბილად, ვიდრე ამინდს შეეფერებოდა, და გავემართე რუსთაველის ქუჩის თოთხმეტი ნომრისკენ, რომ ვეშჩინას ახალი სატრფო – თუ შეიძლება, ასე ეწოდოს მას – მომეკლა. გზაში მივხვდი, რომ მკვლელობას ერთადერთი ფესვი გააჩნია – შური, რომელიც ყველაზე ღრმადაა გაჭრილი მიწაში, და მართლაც, იმიტომ ვკლავდი მე იმ საცოდავს, რომ მშურდა მისი, რადგან ვეშჩინა იყო მასთან და არა ჩემთან. ადამიანის მდაბიობას ყველაზე მკვეთრი ხაზი მაშინ ესმევა, როცა ქმედების ერთადერთ მხარეს გამოაჩენს ხოლმე – მას შეუძლია, მოკლას, მაგრამ სიცოცხლეს უკან ვერ დააბრუნებს. მოკლედ, გავიარე ათასჯერ მაინც უკვე გავლილი გზა, გადავედი ათასჯერ მაინც გადასულ ხიდზე, როგორღაც მივალნიე რუსთაველის ქუჩას

და მესამე სადარბაზოს ზღურბლზე შევჩერდი. კარგა ხანს ვიფიქრე, ნუთუ მართლა მიინდა-მეთქი კაცის მოკვლა, მაგრამ მერე მაინც ბოროტმა ძალამ დამძლია და, შესაბამისად, სრულფასოვნად შევედი სადარბაზოში, ავიარე რამოდენიმე საფეხური კიბეზე, და აღმოვჩნდი პირველი სართულის სამ კარს შორის, რომლიდანაც მარჯვენაში – ნითელში – ცხოვრობდა ის, ვისაც ჩემი ადგილი დაეკავებინა ვეშჩინას ცხოვრებაში. დანა, რომელიც ჯიბეში საიმედოდ მქონდა შენახული, ამოვიღე ხელის კანკალით, თუმცა არ გამიშლია, რადგან ვიფიქრე, ვინმე რომ შემესწროს ასე დანით ხელში მყოფს, უეჭველად ცუდს იფიქრებს და არც შეცდება-მეთქი. გაოფლიანებული და აკანკალებული ხელით ჩამოვნიე კარის სახელური იმ იმედით, რომ შიგნიდან ჩაკეტილი არ იქნებოდა და, რაც მთავარი იყო, თავადაც შინ დამხვდებოდა ის, ვისაც მე ვეძებდი. სახელური ჩაიხსნა და კარიც გაიღო, ხოლო მე, იმის მაგივრად, რომ იმედი მომცემოდა, უფრო მეტად ამიკანკალდა ხელები და მთელი სხეულიც. თითქოს უსხეულო სული ვიყავი, ისე ჰაეროვნად შევაბიჯე მის სახლში, ამასთან ერთად კი გამიმართლა კიდეც – ხალიჩა მთელ შემოსასვლელში ეგო, ის კი ხმაურს ახშობდა და ამცირებდა. დანა ფრთხილად გავშალე, მაგრამ უნებურად თითი გამეჭრა, რადგან ოფლი თვალებში ჩამივიდა და ვერ გავარჩიე იმ წამს, რას ვაკეთებდი. ფეხაკრეფით ვმოძრაობდი და, მიუხედავად იმისა, რომ მძიმედ ვსუნთქავდი, მაინც ყველანაირად ვცდილობდი, თავი შემეკავებინა ნებისმიერი ბგერის გამოცემისაგან. საბოლოოდ გადავწყვიტე, სასტუმრო ოთახში შევსულიყავი. მოჩვენებასავით დავიძარი იქითკენ, მერე კი პირის წკლაპუნის მსგავ-

სი ხმაურიც მომესმა ზუსტად იქიდან, სადაც მე მივდიოდი. გავიფიქრე, ალბათ, ჭამს-მეთქი, მაგრამ ფაქტი გახლდათ, სახლში იყო, ეს კი მაინც მაშფოთებდა და მაფორიაქებდა შინაგანად. უკვე უნდა შევევარდნილიყავი ოთახში დანაგაშლილი, და უკვე უნდა ჩამერტყა შიგ კისერში მისთვის დანა, როცა გადავწყვიტე, ჯერ მაინც ფრთხილად შემეხედა კარისთვის გაკეთებული ჭრილიდან. მივედი ჩარჩოს ფორმის ჭრილთან, თვალები თითქოს ისე ამოვყავი მის შესათვალიერებლად, როგორც ნიანი ყოფს ხოლმე ნყლიდან, და რა დავინახე: შიშველი ვეშჩინა სასტუმრო ოთახის ცენტრში გაშლილი კუბოკრული ხალიჩის შუაში იჯდა, გვერდზე თავისი სატრფოს ცხედარი ეგდო, რომელსაც ყური და რამოდენიმე თითი მოგლეჯილი ჰქონდა; ვეშჩინა მშვიდი და არაფრისმთქმელი სახითა და თვალებით მიყურებდა პირდაპირ მე, პირში კი იმ საცოდავის საჩვენებელი თითი ედო და ლეჭავდა, ხოლო კაცის გვამიდან წამოსული სისხლის ნაკადი ლამის ჩემს ფეხებამდეც აღწევდა.

\*\*\*

– კაცი მოკალი, და ამას გამართლება არ აქვს, – ვეუბნებოდი ვეშჩინას *იმ ამბიდან* ორი კვირის თავზე.

– გვამი ოსტატურად გადავმალე, ვერავინ იპოვის, მაშასადამე, გამართლება არც მჭირდება, – ასე მიპასუხა.

– არა, ვეშჩინა, შენ შენს საკუთარ თავთან არ გაქვს გამართლება, – დავუწყე ახსნა, – შანსი არ არის, რომ ვერაფერს გრძნობდე. რა საჭიროა სასამართლო, როცა არსებობს გონებისა და გულის



ერთობა – სული – რომელიც მოსვენებას არ მოგ-  
ცემს ჩადენილის გამო. ვეშჩინა, ერთადერთი, რაც  
ასეთ დროს ადამიანს დარჩენია, ენით გამოუთქმელი  
სინანულის შეგრძნება და მისი რაობის შეცნობაა,  
რისი გაკეთებაც ერში რთულია, გესმის? ამიტომ, მე  
მგონია, ერს უნდა მოშორდე.

– ერს მოვშორდე? – ისეთი სახით მკითხა, მივ-  
ხვდი, ვერ გაეგო. – ანუ, რას გულისხმობ?

– ამათა მთლად ცხოვრება – დრტვინვის ნუთი-  
სოფელია,

ნადი, ნადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია...<sup>1</sup>

– თეიმურაზ, გახსოვს, რამდენჯერ გთხოვე, ლექ-  
სებით ნუ მესაუბრები-მეთქი? – აელენა ისევ სახე.

– არა, ვეშჩინა! არა! შენ კაცი მოკალი! და გთხოვ,  
ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს აჩვენე,  
დამაშვრალი სული, გული მონასტერში მოასვენე!  
გესმის, ვეშჩინა? – ვუყვიროდი მწარედ მე.

– გაჩუმდი! – ვერ ძლებდა, თითქოს დემონური ძა-  
ლით შეპყრობილ ქალს ლოცვებს უკითხავდნენო, ისე.

– მაშ, შორს მტვერი! – დავუღრიალე, – შორს,  
შორს მიწა – ის ცის უარმყოფელია!

ნადი, ნადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია!  
– ამის თქმა იყო და, ცხადად დავინახე, ყურებიდან  
სისხლი წასკდა თქრიალით.

მე ვიცოდი ზუსტად, ეს არ იყო მაღალი არტერიუ-  
ლი წნევის ბრალი, არამედ ეს იყო მისი ბნელი სულიე-  
რი იმუნიტეტის უკურეაქცია მისივე სულში შეჭრილ  
უცხო სხეულზე, რომელიც იბრძოდა მის შესაცვლე-

---

1. შესავალი ორი სტრიქონი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „ჰამლეტის  
ქნარით“;

ლად, ხოლო ვეშჩინას სულიერი ლეიკოციტები – და ყველა დანარჩენი ის უჯრედი, რომელიც იღებს მონაწილეობას დამცველობით პროცესებში – ებრძოდნენ ამ უცხო სხეულს. მე, საცოდავი, დაცემული და შიგნით გაპარტახებული კაცი – თეიმურაზ იაკობის ძე იობაშვილი – ვედექი დასისხლიანებულ ვეშჩინას თავზე, და განა ჩერდებოდა ჩემი საოხრე პირი, არამედ ყვებოდა ლექსებს, ნაწყვეტებს პოემებიდან, ჰიმნოგრაფიებს, მღეროდა ხან „ჩაკრულოს“, ხანაც „შენ ხარ ვენახს“ – ამან მთლად გადარია ვეშჩინა – ხანაც კი, საერთოდ, ახალ რამეს მოვიგონებდი და იმას, ერთხელ კი შილერის მეცხრე სიმფონიაში გამოყენებული ლექსიც კი მოვუყევი და, მეტიც, წაფუკითხე კიდევ – Freude, schöner Götterfunken Tochter aus Elysium, Wir betreten feuertrunken, Himmlische, dein Heiligtum! Deine Zauber binden wieder was die Mode streng geteilt; Alle Menschen werden Brüder, wo dein sanfter Flügel weilt<sup>1</sup>-მეთქი – და, რა თქმა უნდა, გადაირია, როგორ თუ ძმები არიანო, გაიფიქრა, ზუსტად ვიცი, მაგრამ ვერ თქვა. Domine Jesu Christe როგორც კი ვახსენე, წამსვე ფეხებში ჩამივარდა და სისხლიანი ცრემლებით შემევედრა, გთხოვ, გაჩერდი, ნულა გააგრძელებო, მაგრამ, rex gloriae-მეთქი, რომ დავამატე და, შესაბამისად, გაგრძელება გადავწყვიტე ნათლად, ვეშჩინამ ბარდაყში ისეთ სიღრმემდე ჩამასო კბილები, რომ, ძალაუნებურად, თავი ველარ შევიმაგრე და ძირს დავეცი, სისხლის გუბეში ჩავვარდი და სხეული მოვითხვარე. ხომ გაგაჩუმეო, ნიშნისმოგებით მით-

1. ფრიდრიხ შილერის ლექსის შესავალი სტროფი, რომელიც შემდგომ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა თავის უკანასკნელ სიმფონიაში გამოიყენა

ხრა ვეშჩინამ, თან სახეზე არნახული ტანჯვა ეწერა და გამოხატვოდა, და აშკარა იყო, ეტირებოდა კიდეც, მაგრამ ამას როგორ იზამდა – მას ხომ ჯერ ერთხელაც კი არ ეტირა ჩემ ან, ეჭვი მქონდა, ზოგადად, ადამიანების თანდასწრებით. ამიტომ მწარედ შემომარტყა სახეში, ხოლო შემდეგ, მე ისევ რომ მუსიკას მივუბრუნდი, ელვის სისწრაფით გაჩნდა თავისი პირვანდელი ადგილსამყოფელიდან ჩემს სხეულთან, თავისი გრძელი და ქვასავით მაგარი ფრჩხილები სამართებლივით ჩამომისვა სახეზე და საკუთარ სისხლში მომთხვარა. სიმწრისგან თვალები ცრემლით ამევესო – მინდოდა, დაღურჯებამდე მეცემა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მომეკლა, რადგან უცებ ყველაფერი ამომიტრიალდა თავში, როგორც ქვიშის საათს ამოატრიალებენ ხოლმე ერთ მხარეს ქვიშის გალევის შემდეგ, და უცებ შემზიზლდა ვეშჩინა, რადგან მისი რეალური სახე დავინახე, თუმცა მერე, მეორე წამს, როცა საკუთარ თავს დავუბრუნდი, აღარ მეზიზღებოდა, არამედ ისე მეცოდებოდა, როგორც არასდროს არავინ შემცოდებია. ვეშჩინამ თხელი პერანგი იოლად შემომახია, მერე შუმახერის „ფერარივით“ სწრაფად და თავბრუდამხვევად დაიწყო სირბილი მთელ ოთახში, და უცებ – ისე, რომ თვალის დახამხამებაც კი ვერ მოვასწარი – ჩემ უკან გაჩნდა, ხელები შემოხეული პერანგით შემიბოჭა, შემდეგ შარვლის უბეზე დამაჯდა, ჩემი მოშიშვლებული მკერდისკენ დაიხარა, პირი ფართოდ გააღო და ძუძუსთავზე მიკბინა. ასეთი სიძლიერის ტკივილი იქამდე არ მეგრძნო ცხოვრებაში და, ალბათ, ზუსტად ამ ტკივილმა შემმატა ძალა და მომცა საკმარისი იმისთვის, რომ ჩემს მაჯებზე დადებული პერანგის ბორკილისგან თავი დამეხსნა,

და მეც ასე ვქენი, ხოლო შემდეგ კი ჩემი დასუსტებული, მაგრამ მაინც საკმაოდ ძლიერი მარჯვენა მოვუქნიე ვეშჩინას სახეში და მთელი ძალით გავარტყი. ჭახანის ხმა გაისმა და, როცა კუთხეში მიგდებულს დავხედე, აღმოვაჩინე, რომ ყვრიმალის გასტეხვოდა და ორი კბილი გადმოეფურთხა კიდეც უკვე, თუმცა აშკარად იგრძნობოდა მის გახშირებულ და გაშმაგებულ სუნთქვაში, რომ ათასჯერ მეტი შემართებითა და ასჯერ უფრო ძლიერი ენთუზიაზმით აპირებდა შებრძოლებას, მაგრამ მე არ დავაცადე – კიდეც უფრო ძლიერად დავარტყი სახეში, მერე იმ კაპრონის თოკით, რომლითაც ერთ დროს თავის ჩამოხრჩობას ვაპირებდი, შევუკარი ხელები და ვუთხარი, ახლა ისევ ლექსებს მოგიყვები, მაგრამ, თუ ხელს შემიმშლი და არ მოისმენ, ყურებს დაგაჭრი-მეთქი. დავიწყე შექსპირის სამოცდამეექვსე სონეტი – ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა-მეთქი, ამის თქმა მოვასწარი, რომ ვეშჩინამ ისევ ყვირილი მორთო, თან აქეთ-იქით აწყდებოდა, ჰოდა ავიღე ის დანა, რომლითაც ვეშჩინას მსხვერპლის სიკვდილი მქონდა დაგეგმილი, და მას ყური მოვაჭერი მარცხენა. მთელი ხმით დაიკვივლა თუ დაიღრიალა, და იოგები მაინც მწყობრში ჰქონდა. სისხლი მოთქრიალებდა და მოჰქროდა მისი ყურიდან, ეჯახებოდა და ეხეთქებოდა ჩემი სახლის თეთრ კედლებს ისე, როგორც მყვირალა, აგრესიული, ქართული და ველური არაგვი ეხეთქება ხოლმე კალაპოტის აღმართულ კედლებს დასანგრევად, თუნდაც, ფასანაურში, ორ დახრილ, ტყიან მთას შუა. ღრიალებდა ვეშჩინა, და ყველანაირად ცდილობდა, თავი დაეხსნა კაპრონის თოკისგან, მაგრამ, ამის ნაცვლად, იმის გამო, რომ ხელებს გაუ-

ჩერებლად აქანავებდა დიდი ძალით, კაპრონმა ხორცი გაუჭრა, როგორც შემდეგ ვნახე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ვენები ყველაზე ახლოა კანთან, შესაბამისად, მისი თან ცასავით ლურჯი, თან ჭაობივით მწვანე სისხლძარღვები დასკდა, გადაიხსნა შუაზე პირველად გახლეჩილი ატომივით, დაწყდა მძიმედ, კონტრაბასის სიმებივით, და ვეშჩინას უკნიდან სისხლი გამოიპარა როგორც მდინარის წყლის პატარა ნაკადი, რომელმაც სულ ვინრო თხრილი გაიყვანა მიწაში და ახლა იქ მიჩქეფს, მარტო, თავისუფალი. მისი სიცოცხლე კრთოდა და ბჟუტავდა, როგორც სანთელი – ქარში, და ნებისმიერ წამს შეიძლებოდა, ჩამქრალიყო სამარადჟამოდ. ვეშჩინას სუნთქვა შეეკრა, თუმცა მაინც იბრძოდა – ცდილობდა, ჰაერის დიდი ნაკადი გადაეყლაპა ერთდროულად, მაგრამ მხოლოდ იმ თევზს ჰგავდა, რომელიც ნაპირზე ამოიყვანეს და პირს უაზროდ, თუმცა იმედიანად აღებს, რაღაცას ელის. უცებ ვეშჩინამ უზარმაზარი პირი გახსნა – გალაქტიკის ცენტში მყოფი შავი ხვრელის ხელა ლამის – და წამით თითქოს გადაყლაპვა დამიპირა. გამოაჩინა ვამპირივით ბასრი კბილები და...

და.

მოკვდა.

\*\*\*

თითქოს ათასეული წლები გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მაინც ცხადად მახსოვს, რა იყო და როგორ. რაც კი სკამები მქონდა სახლში ხის, ყველა დავამტვრიე და, ვითომდა მეტალი ყოფილიყოს, ისე თითქოს შევადღულე ერთმანეთზე, მევე გამოვთალე

ხის კუბო ვეშჩინასთვის, მაგრამ მისი მოჭრილი ყურისთვის ცალკე ყუთი ავიდე, რომელიც ჯერ მარლით გავავსე ნახევრამდე, ხოლო შემდეგ ის ყურიც დავდე, მერე კი ისევ დავაყარე ზედ ძალიან ცოტა NaCl. მე გადავიდე მხარზე ჩემი მიცვალებულის ხის კუბო, ერთ ხელში კი ჯვარი მეჭირა, რომელიც სპეციალურად ვეშჩინასთვის იყო. ჩავედი მეგობრობის დაღმართზე, გადავედი გზაზე, ჩაუყევი იუსტიციის სახლის დაღმართსაც, დავადექი მეთერთმეტე მიკრო-რაიონის გზას, მერე, როცა შუქნიშანთან მივედი და ჩემ მარცხნივ რაგბის სტადიონი გამოჩნდა, მარჯვნივ შევუხვიე, ხიდზე გადავედი და ავედი გორებზე – სასაფლაოზე, გადაჭედილი იყო მართლაც იქაურობა მიცვალებულებით. გავიფიქრე, ასეთი ტემპით თუ გაგრძელდა სიკვდილი რუსთავში, მალე მთელი რუსთავი გარდაცვლილთა ქალაქი გახდება-მეთქი, და ასეც იყო, განა, არა? რა ჩავიდინე, ვხვდებოდი, და ჩემ ირგვლივ – როგორც ერთ დროს კაენს დაემართა – იძვროდნენ გზები, მთები, და სულ დავკარგე მოსვენება, თუმცა ვიცოდი, უკვე შორს არ იყო დრო ჩემი დაღუპვისა. მე ბოროტებას ბოროტებით ვუპასუხე, და ვინ ვიყავი სხვა, თუ არა – ახალი საუკუნის დამღუპველი სენის თვალსაჩინო და დაუფარავი წარმომადგენელი? მოკლედ, ავედი ერთ გორაზე, ვნახე რბილი მიწა, თავისუფალი, და დავინწყე ხელებით თხრა. ორ საათში გავთხარე ორი მეტრი, დაახლოებით, ჩავანვინე ვეშჩინას კუბო ისე, რომ დავძლიე საშინელი სურვილი მისი გახსნის და ვეშჩინას ნახვის, მიწა მივაყარე, ჯვარი მის თავზე დავარჭვე, მაგრამ არ გაჩერდა – ხან ერთ მხარეს გადავარდა, ხანაც მეორე მხარეს – და გადავწყვიტე,

უბრალოდ დამედო მინაზე, თუმცა, დავდე თუ არა, ძლიერმა ქარმა წამოუბერა და ჯვარი სამი საფლავით აღმოსავლეთით გადაისროლა. მივანებე თავი, რადგან ისედაც ყველაფერი გასაგები იყო. გამოვიტირე ვეშჩინა, გამოვიტირე იქვე ჩემი დაცემული, დაჩანაგებული, გაპარტახებული და მიწასთან გასწორებული სულიც, ხოლო შემდეგ, როცა უკვე ნასვლა გადანყვეტილი მქონდა. ამოვიღე პატარა კოლოფი, რომელშიაც ვეშჩინას მოჭრილი ყური იდო, დავდე მის საფლავზე, ერთი ღრმად ჩავისუნთქე და გამოვბრუნდი. გზაში ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ; ფიქრისას ყოველთვის ავდივარ იმ დონემდე, რა დონესაც სხვა ვერავინ მიაღწევს, მაგრამ ზუსტად მაშინ, როცა ძღვევამოსილი ფიქრების შეჯამებით რალაცა უმნიშვნელოვანეს დასკვნაზე უნდა გავიდე, ხიდი ტყდება და ჰაერში ვრჩები მარტო; მე რომ იმას მივწვდე, რისი მიწვდენაც დასახული მქონდა მიზნად, უსათუოდ დავიღუპები.

ერთი კვირის თავზე ვეშჩინას დაკრძალვიდან, როდესაც ძლიერი ქარი – თითქმის გრიგალი – დაუბერავს რუსთავის ახალ სასაფლაოზე, რომელიც ახალი დიდი ხანია, აღარაა, ჩემ მიერ დადებულ მუყაოს კოლოფს თავი გადაეხდება, და გამორჩნდება, რომ არანაირი ყური იქ არ დევს.

და მეყო ყველა პოეტი და მუსიკოსი, რადგან ჩემი ლექსის დრო დადგა:

*ცალ ხელში ბოთლით, დავდივარ მარტო,  
თვალეებში შიშით, სხვა ხელში დანით,  
ველარსად ვპოვებ მე მოსვენებას,  
მაგრამ შენ ისევ მიმღერი ნანით:*

„ხმაი სისხლისა ძმისა შენისა  
ლაღადებს ჩვენდა მომართ ქვეყანით“.

აღარ მენვევა მე სიხარული,  
და აღარ მოვა ჩემთან ოცნება,  
შენი თვალებიც ჩემს დანახვაზე,  
როგორც კაენზე, კრთება, ოცდება...

მე მეგებება სისხლის სურნელით  
გარემოცული კარები ღია,  
მე მხვდება ფეხქვეშ გადათელილი  
და სიკვდილისთვის მზად მყოფი ია,  
მაგრამ გადავრგავ და გავახარებ,  
მერე კი ვიტყვი: „Ave Maria“.

იხსნება ზეცა, კრთება ღრუბლები,  
შორიდან მოჩანს ჩემი მდევარი,  
აღარ მინდება თავდავინწყება,  
აღარ მინდება ღამის თევანი,  
ავდივარ ჯვართან, რადგანაც ციდან  
ჩამოდის სისხლი, ვით – საფერავი.  
ჯვართან ჰპოვებენ ყველანი ნუგეშს,  
ვისი ნუგეშიც ძალუძს ვერავის.

ხორცშეუსხმელად მიყვარდა ქალი...

23 მარტი – 14 აპრილი, 2017 წელი



დასასრული